


# ԱՐԲԵՅՆ



ԹԻՈԼՈՍ  
2015



საზოგადოების  
კვლევის ცენტრი  
Centre for Social Studies



## საზოგადოების კვლევის ცენტრი

მარინა მუსხელიშვილი  
ლია მეზვრიშვილი  
ივანე კეჭაყმაძე  
მარიამ იაკობიძე

## პრეზენტაცია



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2015

კვლევა ჩატარდა პროგრამა „კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელის“ მხარდაჭერით. პროგრამა „კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელის“ მიზანია სამხრეთ კავკასიაში სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარება სხვადასხვა აქტივობებისა და ღონისძიებების მეშვეობით, როგორებიცაა: კვლევითი პროექტების დაფინანსება, ტრენინგების ჩატარება, სხვადასხვა სასწავლო და კვლევითი გრანტების გაცემა. პროგრამა ხელს უწყობს ნიჭიერი მკვლევარების ახალი თაობის აღმოცენებას და მათ საერთაშორისო აკადემიურ ქსელში ინტეგრაციას.

პროგრამა „კავკასიის შვეიცარიული აკადემიურ ქსელს“ ახორციელებს შვეიცარიის ფრიბურგის უნივერსიტეტის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ინტერფაკულტეტური ინსტიტუტი. პროგრამას აფინანსებს „გებერტ რიუფის ფონდი“, რომელიც დაფუძნებულია ბაზელში.

#### გარეკანი:

Stereographic projection by Charles Gunn, <http://page.math.tu-berlin.de/~gunn/>  
<https://plus.google.com/photos/+CharlesGunn/albums/5449187476832628769/5449187556088791794?banner=pwa&pid=5449187556088791794&oid=113699099052018683298>

© ASCN

© Centre for Social Studies, 2015

© საზოგადოების კვლევის ცენტრი, 2015

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2015

თბილისი, 0179, ი. ვაკევაძის გამზ. 19, თე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

## **CONTENT:**

შესავალი .....	1
თავი 1. დემოკრატია და საზოგადოებრივი არჩევანის თეორია მარინა მუსხელიშვილი .....	6
თავი 2. პოლიტიკის სამი იდეალური ტიპი და მათი მათემატიკური მოდელირება; საქართველოს შემთხვევა მარინა მუსხელიშვილი, ივანე კეჭაყმაძე .....	47
თავი 3. პოლიტიკური არჩევანი მედიაში მარინა მუსხელიშვილი .....	91
თავი 4. დემოკრატია 21-ე საუკუნეში – დემოკრატიის რეცესია თუ ახალი ტიპის დემოკრატია? ლია მეზვრიშვილი .....	125
თავი 5. საქართველო პოსტდემოკრატიულ ეპოქაში ლია მეზვრიშვილი .....	154
თავი 6. ევროპა, როგორც ცარიელი აღმნიშვნელი მარიამ იაკობიძე .....	194
დანართი №1. შერჩევის მოდელი .....	209
დანართი № 2. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები – კითხვარი .....	164
ბიბლიოგრაფია .....	189



# შესავალი

*The problem is choice.*

*Neo<sup>1</sup>*

უან-უაკ რუსოს ხატოვანი გამონათქვამით, "თავისუფალ არსებად შობილ ადამიანს ყველგან ბორკილი ადევს". ინდივიდის ავტონომია და მისი პირველადობა სოციალურ სისტემასთან და მის ინსტიტუტებთან მიმართებაში, გულისხმობს ნორმატიულ და ემპირიულ დაძაბულობას ინდივიდის თავისუფლებასა და სისტემით/ინსტიტუტებით დაწესებულ საზღვრებს შორის.

თავისუფლებასა და სისტემას შორის არსებული დაპირისპირება დაუძლეველი იქნებოდა, ინდივიდებს რომ არ შეეძლოთ სისტემაზე გავლენის მოხდენა.

ზოგჯერ მიიჩნევენ, რომ ინდივიდი თავისუფალია, თუკი მას ეძლევა შესაძლებლობა არჩევანი გააკეთოს ორ ან მეტ ოპციას შორის. მაგრამ ისმის კითხვა: არის თუ არა ინდივიდი თავისუფალი, თუ ეს ოპციები და მათ შორის არჩევანის გაკეთების წესი წინასწარაა დადგენილი სხვების მიერ? თუ ამ პრობლემას ჩავულრმავდებით, ნათლად დავინახავთ ინდივიდუალური არჩევანის თავისუფლების შეზღუდულობას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს საზოგადოებრივ არჩევანთან.

ინდივიდს არ შეუძლია უშუალოდ მოახდინოს გავლენა არჩევანის დღის წესრიგის ფორმირებაზე, რადგან ეს პროცესი თავისი ბუნებით კოლექტიურია, ანუ სოციალური და პოლიტიკური. არჩევანის თავისუფლების გარდა, რა ტიპის თავისუფლება უნდა მიენიჭოს ინდივიდს იმისთვის, რომ მან შეძლოს ამ პრობლემის დაძლევა და განახორციელოს კოოპერატიული და სუვერენული კონტროლი პროცესში ჩართული ძალაუფლებრივი ურთიერთობების ყველა ელემენტზე?

მოცემულ ნაშრომში ჩვენ ვსწავლობთ პოლიტიკური არჩევანის დღის წესრიგის ფორმირების ფენომენს და იმ ძალაუფლებას, რომელიც ინდივიდებს ამ ძალაუფლებით განპირობებული გარკვეული არჩევანის წინაშე აყენებს.

პოლიტიკური არჩევანი, რომლის შესაძლებლობას ქმნის დემოკრატია, ყალიბდება საჯარო სივრცეში. არტიკულირებული პოლიტიკა, მედია, ქმნიან დღის წესრიგებისა და ინტერპრეტაციების ფორმირების სიმბოლურ ველს. ამ ველის სტრუქტურას აყალიბებს, ერთი მხრივ, პოლიტიკური სისტემა, ხოლო მეორე მხრივ, ის თვალსაწიერები, რომელთა მეშვეობით ინდივიდები

<sup>1</sup>The matrix reloaded. Dir. Andy Wachowski and Larry Wachowski. Warner Bros 2003

სისტემის ინტერპრეტაციას აწარმოებენ. სიმბოლური მნიშვნელობების ფორმირებით ამ სივრცეში ნეგატიური და პოზიტიური, უფლება და შესაძლებლობა, ფორმალური და არაფორმალური შედიან ინტერაქციაში და ქმნიან რეალური ძალაუფლებების იმ გადანაწილებას, რომელიც სისტემის ხასიათს განაპირობებს.

სიმბოლური არჩევანი, რომელსაც ინდივიდები ამ დისკურსულ სივრცეში აკეთებენ, გამოიყურება როგორც თავისუფალი არჩევანი. თუმცა, სინამდვილეში, ის შეიძლება ინდივიდთა ნებით მანიპულირების პროცესს ნიღბავდეს.

ფილმი „მატრიცა“ ქრესტომატიულია ამ პრობლემის გასააზრებლად.<sup>2</sup> ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდება, რომ რეალობა, რომელშიაც ცხოვრობს გმირი, არის სიმულაკრა, ფიქცია, მატრიცის არქიტექტორის მიერ დაწერილი და მართული პროგრამა. ეს მარტიცა წარმოგვიდგება ისეთი სისტემის სიმბოლოდ, სადაც ინდივიდები თავისუფლები არიან არჩევანის გაკეთებაში, მაგრამ არა ამ არჩევანის ფორმირებაში.

მატრიცის არქიტექტორის თანახმად, ადამიანების ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი თანახმაა იცხოვროს მატრიცაში, თუ მათ ექნებათ არჩევანის თავისუფლება. არჩევანის შესაძლებლობა ქმნის თავისუფალი ნების, თავისუფალი არჩევანის ილუზიას.

სისტემის მიმართ ინდივიდის ავტონომიურობა და პირველადობა ხდება ფიქცია, თუ დღის წესრიგის არაფორმალური ძალაუფლება ვიღაც სხვას – სიმბოლურ „მატრიცის არქიტექტორს“ ეკუთვნის. დემოკრატია არ დამყარდება, თუ გამოხატვის ნეგატიურ თავისუფლებასთან ერთად ინდივიდებს არ ექნებათ დღის წესრიგის ფორმირების პოზიტიური შესაძლებლობა. ეს შესაძლებლობა კი, დღევანდელ რეალობაში, მიიღწევა არა ავტომატურად, არამედ ინტერპრეტაციის არაფორმალური ინსტიტუტების გავლით, რომლებიც თავისთავად პოლიტიკური ძალაუფლების ფორმას წარმოადგენს.

<sup>2</sup> „მატრიცა“, „მატრიცა გადატვირთვა“ და „მატრიცა რევოლუცია“ არის ტრილოგია, რომელშიც მთავარი გმირი – ნეო აკეთებს რამდენიმე არჩევანს. თავდაპირველად, მან უნდა აირჩიოს წითელი ან ლურჯი კაბსულა. კაბსულის ერთი სახეობა მას რეალობისკენ წაიყვანს, მეორე კი – მატრიცაში დაბრუნებას. მეორე სცენაში, წინასწარმეტყველი (ორაკული) უხსნის ნეოს, რომ მან უნდა გააკეთოს არჩევანი საკუთარ სიცოცხლესა და მორთვეულის სიცოცხლეს შორის. ტრილოგიის მომდევნო ფილმში არქიტექტორი (მატრიცის შემქმნელი) აიძულებს მას აირჩიოს ორი კარიდან ერთი. ერთი კარი ნეოს ტრინიტის გადარჩენის საშუალებას აძლევს, თუმცა, ამ ქმედებით გაინირება ყველა ვინც მატრიცის გარეთაა. მეორე კარის არჩევის შემთხვევაში ნეო გადაარჩენს ყველას ტრინიტის გარდა.

\* \* \*

წინამდებარე ნაშრომი აანალიზებს პოლიტიკური არჩევანის პრობლემას თანამედროვე საქართველოს კონტექსტში.

ნაშრომი წარმოადგენს ემპირიული კვლევის შედეგებსა და ინოვაციურ თეორიულ ხედვას. ნაშრომის ემპირიული ნაწილი ემყარება 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ ჩატარებულ რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევას. ამ კვლევის მიზანი იყო შეესწავლა პოლიტიკურ დისკურსს, პოლიტიკურ დღის წესრიგს, ამომრჩეველთა პრეფერენციებს, ამომრჩეველთა ქცევას, მედიასა და სოციო-დემოგრაფიულ ცვლადებს შორის ურთიერთმიმართება. თეორიული ნაწილი ემყარება დემოკრატიის ფართო, რელატივისტურ ხედვას, რომლის მიზანია ინდივიდების კოლექტიური არჩევანის მოდელირება მათ მიერ დღის წესრიგის ფორმირების ძალაუფლების გათვალისწინებით.

ნაშრომი შეიქმნა პროექტი – „საქართველოს პოლიტიკური სისტემის ანალიზი: პოლიტიკური დღის წესრიგის კონტროლი, როგორც ძალაუფლების წყარო“-ს ფარგლებში. პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა კავკასიის შევიცარიული აკადემიური ქსელის ფინანსური მხარდაჭერით.

გამოქვეყნებული ნაშრომი არის რამდენიმე ავტორის კოლექტიური შრომის შედეგი, თუმცა ავტორები განსხვავებულ მიდგომებსა და მეთოდოლოგიებს ეყრდნობოდნენ. ამდენად, ნაცვლად იმისა, რომ გამოგვექვეყნებინა რამდენიმე ავტორის ერთიანი ტექსტი, ჩვენ ვარჩიეთ ნაშრომს ჰქონოდა კრებულის სახე, რომელშიც წარმოდგენილია ავტორების განსხვავებული მიდგომები და ხედვები.

პირველი სამი თავი (ავტორი – მარინა მუსხელიშვილი; მეორე თავის თანაავტორი – ივანე კეჭაყმაძე) ეძღვნება კოლექტიური (დემოკრატიული) არჩევანის ახალი მოდელის შემუშავებას. პირველი თავი აღნერს დემოკრატიის თეორიაში არსებულ წინააღმდეგობრიობებს დღის წესრიგის დადგენის პრობლემასთან მიმართებაში. ის მათემატიკური მიგნებები, რომლებითაც საზოგადოებრივი არჩევანის თეორია ოპერირებს, ერთი შეხედვით დემოკრატიის შინაგან, გადაულახავ წინააღმდეგობებს ააშკარავებს.

ნაშრომის მეორე თავში ჩამოყალიბებულია ის ახალი აქსიომატური დაშვებები, რომლებიც ამ წინააღმდეგობების დაძლევის საშუალებას იძლევა. აქ წარმოდგენილია პოლიტიკური ქცევის ახალი მოდელი, რომელიც ეყრდნობა არაევკლიფურ, პროექციულ გეომეტრიას. გარდა ამისა, ამავე თავში მოცემულია 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ანალიზი ახალი მოდელის გამოყენებით. მესამე თავში აღნერილია კავშირი ახალ მოდელსა და მედია სივრცის სტრუქტურას შორის და ჩამოყალიბებულია ახალი ჰი-

პოთეზები საქართველოში პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაციის პროცესის შესახებ.

მეოთხე და მეხუთე თავებში (ავტორი – ლია მეზვრიშვილი) წარმოდგენილია პოლიტიკური პროცესების ანალიზი რეპრეზენტაციის კლასიკური თეორიის თვალთახედვით. მეოთხე თავში აღნერილია პარტიული რეპრეზენტაცია, როგორც დასავლური დემოკრატიის ძირითადი მახასიათებელი, მისი ისტორიული ტრანსფორმაცია და თანამედროვე კრიზისი. მეხუთე თავში მოცემულია 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ჩატარებული სოციო-ლოგიური კვლევის შედეგები და მათი ინტერპრეტაცია. ავტორი პარალელებს ავლებს საქართველოში და პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს შორის და ცდილობს დაინახოს მსგავსება და განსხვავება.

მეექვსე თავი (ავტორი – მარიამ იაკობიძე) წარმოადგენს კონკრეტული შემთხვევის (ფენომენის) კვლევას. ავტორი აღნერს საქართველოს პოლიტიკური დისკურსის ფენომენოლოგიას „ცარიელი აღმნიშვნელის“ იმ კონცეფციაზე დაყრდობით, რომელსაც ლაკლაუ იყენებს პოპულისტული დემოკრატიის გასააზრებლად. კვლევა უჩვენებს, როგორ ივსება „ევროპა“, როგორც ცარიელი აღმნიშვნელი, მრავალფეროვანი შინაარსით სხვადასხვა კონტექსში და როგორ ხდება მისი ინტეპრეტაცია დისკურსებს შორის ბრძოლის ველი.

კრებულში წამოჭრილია რამდენიმე კითხვა, რომლებზეც პასუხი, ალბათ, შემდგომმა კვლევებმა უნდა გასცეს. აქ ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ ერთ, პოლიტიკურად ყველაზე აქტუალურ პრობლემაზე.

რა არის ის, რაც განაპირობებს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესის თავისებურებებს – დაუსრულებელი ტრანზიციის ლოგიკა თუ ახალი გლობალური ტენდენციები, რომლებიც გავლენას ახდენს დემოკრატიის ტრანსფორმაციაზე მთელს მსოფლიოში? ეს კითხვა მნიშვნელოვანია მომავალი განვითარების თვალსაზრისით. თუ პროცესები დაუსრულებელი ტრასფორმაციის ლოგიკითაა ნაკარნახევი, მაშინ ქვეყანა გაივლის გარკვეულ გზას და მისი პოლიტიკური რეჟიმი დაემსგავსება უკვე არსებული რეჟიმებიდან (დემოკრატიული ან ავტორიტარული) რომელიმეს.

მაგრამ, თუ საქართველოს რეალობა დემოკრატიის, როგორც ასეთის, ტრანსფორმაციის ახალი გლობალური ტენდენციის ერთ-ერთი გამოვლინებაა, ეს ნიშნავს, რომ პროცესები საქართველოშიც და უკვე კონსოლიდირებულ დემოკრატიებშიც ჯერ კიდევ უცნობი მიმართულებით ვითარდება.

\*\*\*

ავტორები მადლობას უხდიან კავკასიის შვეიცარიულ აკადემიურ ქსელს ფინანსური მხარდაჭერისთვის და მის ადმინისტრაციას იმ მოთმი-

ნებისთვის, რომელიც მან გამოიჩინა, როდესაც ავტორთა ჯგუფი შემოქმედებითი პროცესის ლოგიკით უფრო ხელმძღვანელობდა, ვიდრე პროექტისთვის დადგენილი ვადებით

პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე პროცესში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ახალგაზრდა მკლევარმა: ბექა ნაცვლიშვილი, ხატია ნადარაია, რევაზ კარანაძე, მათე გაბიცინაშვილი, გური სულთანიშვილი, მარიამ გაჩერილაძე, ლაშა ხარაზი და ანი ჭანკოტაძე. მათმა მონაწილეობამ გაამდიდრა კვლევის პროცესი. შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომს უფრო მეტი ავტორი ყავს, ვიდრე ეს მის სატიტულო გვერდზეა მითითებული.

მარინა მუსხელიშვილი მადლობას უხდის ფულბრაიტის პროგრამას. 2009-2010 წლებში ის ამ პროგრამის მხარდაჭერით იმყოფებოდა ვაშინგტონის უნივერსიტეტში სენტ-ლუისში. სწორედ აქ დაიწყო მუშაობა იმ თეორიულ მოდელზე, რომელმაც მოცემულ კრებულში მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული სახე მიიღო.

## თავი 1.

### დემოკრატია და საზოგადოებრივი არჩევანის თეორია

#### მარინა მუსხელიშვილი

რა არის დემოკრატია? ნორმატიული იდეალი, რომელზეც მხოლოდ უტოპისტები ოცნებობენ, თუ პრაგმატიული ამოცანა, რომლის განხორციელებაც პოლიტიკური გზებით არის შესაძლებელი? ამ კითხვას განსაკუთრებულად ამწვავებს საზოგადოებრივი არჩევანის თეორია (social choice theory). მისი დასკვნები ხშირად აღქმულია ისე, თითქოს ის ამტკიცებს დემოკრატიის შეუძლებლობას მათემატიკური სიზუსტით.

საზოგადოებრივი არჩევანი იყვლევს კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღების სხვადასხვა მეთოდებს. ისევე, როგორც დემოკრატია, ეს თეორია ეფუძნება ნორმატიულ დაშვებას, რომ ნებისმიერი კოლექტიური გადაწყვეტილება ინდივიდუალური სურვილების ერთობლიობაა. აქედან გამომდინარე მასში გათვალისწინებული უნდა იყოს საზოგადოების ნებისმიერი წევრის მისწრაფებები და საერთო ნების ფორმირებაში უნდა ისმოდეს ყველას ხმა. ამიტომაც „საზოგადოებრივი არჩევანი“, როგორც ცნება, შეიძლება გავიგოთ როგორც ისეთი „ხალხის ნება“, რომელიც აგრეგირების გარკვეული პროცედურებით მიიღება.

“თანამედროვე საზოგადოებრივი არჩევანის თეორია მჭიდრო კავშირშია დემოკრატიის ფუძემდებლურ რწმენასთან, რომ სოციალური განსჯა და საჯარო გადაწყვეტილებები გამჭვირვალედ უნდა იყოს დამოკიდებული ინდივიდუალურ პრეფერენციებზე ფართო გავებით“ (Sen, 2002, p.32).<sup>1</sup>

საზოგადოებრივი არჩევანის თეორია, პლურალისტური დემოკრატიის თეორიის მსგავსად, სწავლობს სხვადასხვა ღირებულებების და მისწრაფებების მქონე ადამიანებს შორის თანასწორობის პირობებს და შესაძლებლობას. ის სვამს კითხვას – როგორ ავანყოთ გადაწყვეტილების მიღების პროცესი ისე, რომ თავად ეს პროცესი არ განსაზღვრავდეს წინასწარ თუ ვინ იქნება

<sup>1</sup> „The informational foundations of modern social choice theory relates closely to the basic democratic conviction that social judgments and public decisions must depend, in some transparent way, on individual preferences, broadly understood.“

მოგებული. არის თუ არა შესაძლებელი გადაწყვეტილებათა მიღებისას, სასრული პროცედურის შედეგად, მივიღოთ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ინვარიანტულია ამ პროცესის მიმართ? ანუ, თუ გადაწყვეტილების მიღების პროცედურულ წესებს პოლიტიკური სისტემის ექვივალენტად განვიხილავთ, არის თუ არა შესაძლებელი რომ ეს სისტემა აეწყოს ისე, რომ არც ერთი მხარის პრიორიტეტებს არ ანიჭებდეს უპირატესობას, იყოს მაქსიმალურად მიახლოვებული თანასწორობასთან? მეტი სიცხადისთვის, პოლიტიკოსებისთვის გასაგებ ენაზე: შესაძლებელია თუ არა, ლიბერალი, კონსერვატორი და სოციალისტი შეთანხმდნენ ისეთ კონსტიტუციაზე, რომელიც არ დაამკვიდრებს ამ სამიდან რომელიმე ერთი იდეოლოგიის ცალსახა უპირატესობას და, პირიქით, მისცემს სამივეს თავისუფალი და თანასწორ კონკურენციის შესაძლებლობას.

პრობლემას წარმოადგენს ის რომ მათემატიკური თეორემების მიხედვით, ამგვარი კონსტიტუციის ცალსახად დაფუძნება ჩანს შეუძლებელი.

კოლექტიური არჩევანის მათემატიკური შესწავლის პრინციპს დასაბამი დაუდო მარკიზ დე კონდორსემ. მისი დაკვირვებები პარადოქსულია. ერთი მხრივ ისინი ასაბუთებენ დემოკრატიის სარგებლიანობას, მეორე მხრივ, კი, უარყოფენ მის შესაძლებლობებს.

დასაწყისისთვის ავიღოთ ყველაზე მარტივი მაგალითი, რომელიც რეალურ პოლიტიკაში იშვიათად თუ შეგვხვდება. არსებობს ორი შესაძლო გადაწყვეტილება, რომლიდანაც უნდა აირჩეს მხოლოდ ერთი. ამ გადაწყვეტილებებს პირობითად დავარქვათ A და B. დავუშვათ რომ საზოგადოების თითოეული წევრი მეტი ალბათობით აირჩევს A-ს, ვიდრე B-ს, თუნდაც ეს სხვაობა ძალზედ მცირე იყოს. ამ შემთხვევაში, რაც უფრო მეტი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას კენჭისყრაში, მით მეტი იქნება ალბათობა უფრო სასურველი, A გადაწყვეტილების მიღებისა. თუკი შევადარებთ ერთმანეთს ერთპიროვნულ, ან ვიწრო ჯგუფში მიღებულ გადაწყვეტილებას დემოკრატიული მექანიზმის გამოყენებით დადგენილ შედეგთან, დავინახავთ, რომ დემოკრატიული მეთოდის გამოყენება ზრდის იმის ალბათობას, რომ შედეგი უკეთესი იქნება. როდესაც არჩევანი კეთდება არა სასურველსა და ნაკლებად სასრულელს, არამედ სწორსა და არასწორს შორის, ეს პრინციპი ცნობილია კონდორსეს ჟიურის თეორემის სახელით (Dahl, 1989, გვ.141-142).

მაშინ როდესაც კონდორსეს ჟიურის თეორემა ასაბუთებს კენჭისყრას, როგორც გადაწყვეტილებების მიღების სასურველ მექანიზმს, კონდორსეს პარადოქსი მას ეჭვის ქვეშ აყენებს.

## თავი 1.

---

პრობლემა ჩნდება მაშინ, როდესაც ასარჩევი ალტერნატივები ორზე მეტია (როგორც წესი, განიხილება სამი ალტერნატივა). ამ შემთხვევაში, ყველაზე სასურველი შედეგის დადგენა შესაძლოა დამოკიდებული იყოს არა მარტო თითოეული ამომრჩევლის არჩევაზე, არამედ თავად არჩევის პროცედურაზე. ეს მოვლენა ცნობილია კონდორსეს პარადოქსის სახელით.

სამი შესაძლო ალტერნატივა ავღნიშნოთ ასე: A, B და C. დავუშვათ, რომ A, B და C არ შეიძლება ცალსახად მოწესრიგდეს ერთნაირად ყველასთვის, თუნდაც შეიძლებოდეს მათი მოწესრიგება ყოველი ფალკე აღებული ინდივიდისთვის. ანუ თუკი ერთი ინდივიდისთვის C უფრო სასურველია ვიდრე B, ხოლო B უფრო სასურველია ვიდრე A (რაც ნიშნავს რომ B მისთვის C-ზე უარესია, მაგრამ A-ზე უკეთესი), მეორესთვის შესაძლებელია C იყოს უფრო სასურველი ვიდრე B ხოლო B – ვიდრე A (A უარესია C-ზე, მაგრამ უკეთესია B-ზე). მაგალითად, ჩვენ არ განვიხილავთ სიტუაციას, სადაც არჩევანი კეთდება 1 ლარს, 5 ლარს და 10 ლარს შორის. მეტი სიცხადისთვის წარმოვიდგინოთ, რომ არჩევანი უნდა გაკეთდეს: სკოლის, სტადიონის ან საავადმყოფოს აშენებას შორის. ამომრჩეველთა შორის დავუშვათ რომ იკვეთება პრიორიტეტების იერარქიის სამი ტიპი:

- |                |                |                |
|----------------|----------------|----------------|
| 1. სკოლა       | 2. სტადიონი    | 3. საავადმყოფო |
| 1. სტადიონი    | 2. საავადმყოფო | 3. სკოლა       |
| 1. საავადმყოფო | 2. სკოლა       | 3. სტადიონი    |

დავუშვათ, რომ ამომრჩეველთა ეს სამი ჯგუფი თანაბარზომადია, ანუ საზოგადოება დაყოფილია სამ თანაბარ ნაწილად. შესაძლებელია თუ არა ცალსახად დადგინდეს რაში მდგომარეობს საზოგადოების არჩევანი, რა უნდა აშენდეს პირველ რიგში – სკოლა, საავადმყოფო თუ სტადიონი?

კონდორსემ აჩვენა, თუ კენჭისყრა ტარდება ორ ეტაპად, სადაც ალტერნატიულ არჩევანს აწყვილებენ და ირჩევენ ჯერ პირველი წყვილიდან ერთ-ერთს, ხოლო მერე აწყვილებენ ამ წყვილის გამარჯვებულს და მესამე ოპციას, შედეგი დამოკიდებული იქნება თანმიმდევრობაზე. კონდორსე ამბობს რომ ყოველთვის გაიმარჯვებს ის ვარიანტი, რომელიც არ მონაწილეობდა კენჭისყრის პირველ რაუნდში. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ არსებობს „მანიპულატორი“ რომელიც განსაზღვრავს გადაწყვეტილებების თანმიმდევრულობას, ანუ დრის წესრიგს, ანუ რა თანმიმდევრობით დავაწყვილოთ ოპციები, მას ყოველთვის შეეძლება სასურველი შედეგის გამოწვევა.

მანიპულატორის არ არსებობის შემთხვევაში, თუ თანამიმდევრობის არჩევა ხდება შემთხვევითად, კენჭისყრის პროცესი შეიძლება გაგრძელდეს უსასრულოდ, ცალსახა გადაწყვეტილების მიღების გარეშე (საერთო ნების გამოკვეთის გარეშე). შედეგად ვიღებთ ქაოსს – მდგომარეობას, სადაც საზოგადოება ხან ერთ გადაწყვეტილებას ღებულობს, ხან მეორეს, ხოლო საბოლოო შედეგი ვერ დგება. საკითხი შემდეგნაირად დგას: ან დიქტატურა, სადაც დღის წესრიგს ყავს მაკონტროლებელი (მანიპულატორი), ვინც თავის სასურველ შედეგს აღწევს, ან ქაოსი, სადაც არჩევანის გაკეთება უსასრულო და უშედეგო პროცედურა ხდება.

ქაოსი ან დიქტატურა – რამდენად გარდაუვალია ამ ორი ალერნატივის ჩამოყალიბება კენჭისყრის პროცედურის გამოყენების შედეგად?

რეალურ პოლიტიკაში გარდაუვალია ის მთავარი წინაპირობა, რომელიც იწვევს ამგვარ მდგომარეობას, ეს არის ტრანზიტიული კავშირის არარსებობა ასარჩევ A, B, და C ვარიანტებს შორის. ტრანზიტული კავშირი ეწოდება შემდეგი სახის მიმართებას: თუ A უკეთესია B-ზე, ხოლო B უკეთესია C-ზე, აქედან A აუცილებლობით უკეთესია C-ზე. შესაძლოა, ასეთი მიმართება არსებობდეს თითოეული ინდივიდისთვის, მაგრამ არა მთელი საზოგადოებისთვის. ფაქტობრივად ჩვენ საქმე გვაქვს სამ თანასწორ და განსხვავებულ ღირებულებასთან, რომლებსაც განსხვავებული ფასი აქვთ სხვადასხვა ინდივიდების თვალში. თუკი მათ აღსანიშნავად უფრო პოლიტიზირებულ ტერმინებს გამოვიყენებთ, მეტაფორულად გამოვა ასე: თავისუფლება, თანასწორობა, სოლიდარობა. დავინახავთ, რომ მათ შორის იერარქიის დამყარება ყოველთვის გარკვეული პოლიტიკური იდეოლოგიის დომინაციას გამოიწვევს.

მეორე წინაპირობა, რომელიც გვხვდება კონდორსეს პარადოქსში, ერთი შეხედვით გარდაუვლად არ გამოიყურება. ეს არის გადაწყვეტილების მიღების წესი – მაჟორიტარული კენჭისყრა ორ ეტაპად. არსებობს კი უკეთესი პროცედურა, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მსგავს შემთხვევაში „ხალხის ნების“ ცალსახად დადგენა, ქაოსის და დიქტატურის თავიდან აცილება?

ამ კითხვაზე უარყოფით პასუხს იძლევა კენეტ ეროუს შეუძლებლობის თეორება. ეს თეორება ამტკიცებს, რომ გარკვეული აქსიომატური დაშვებების შემთხვევებში არ არსებობს ხმების შეჯამების არც ერთი მეთოდი, რომელიც გამოასწორებს კონდორსეს პარადოქსის ეფექტს. ანუ როგორიც არ უნდა იყოს საზოგადოების კონსტიტუცია, თუკი არ არსებობს ბაზისური

## თავი 1.

---

თანხმობა ღირებულებების გარკვეული თანაფარდობის შესახებ, საზოგადოება განწირულია კენჭისყრის შედეგად ქაოსისთვის ან დიქტატურისთვის.

კოლექტური გადაწყვეტილებების ციკლური (ქაოტური) მონაცვლეობის თავიდან აცილების გზა არის ორნაირი: ან საზოგადოება უნდა იყოს „მოწესრიგებული“, ანუ გააჩნდეს გარკვეული თანხმობა ბაზისური ღირებულებების თაობაზე, ან მისი კონსტიტუცია უნდა იყოს „მიკერძოებული“, და თავად ადგენდეს იმ ღირებულებებს, რომლებიც უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდება. როგორც ერთი, ასევე მეორე თანასწორობის შეზღუდვის ფორმაა.

საგულისხმოა, რომ თეორემა თანაბრად გამოყენებადია პირდაპირი და წარმომადგენლობითი დემოკრატიისთვის. არა აქვს მნიშვნელობა, თუ რას წარმოადგენს A, B და C: ესენი შესაძლოა იყოს პასუხები სარეფერენდუმო კითხვაზე პირდაპირი დემოკრატიის პირობებში; ასარჩევი კანდიდატები წარმომადგენლობის ფორმირების მომენტში, ან საკანონმდებლო ნორმები, რომლებსაც პარლამენტი უყრის კენჭს. კენჭისწყრის პარადოქსები ყველა ამ შემთხვევაში თანაბრად ვლინდება. შესაბამისად, საერთო ნების ფორმირება არის პრობლემა, რომელიც ვერ გადაიჭრება პირდაპირი დემოკრატიიდან წარმომადგენლობითზე გადასვლით, ან საკონსტიტუციო ინჟინერიით და სხვა მექანიზმების შემოტანით.

კენეტ ეროუს თეორემა წარმოადგენს საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის შუაგულს, მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს არ თავად ის, არამედ შეუძლებლობის თეორემის სხვა ნაირსახეობა, რომელიც ქაოსის თეორემის სახელითაა ცნობილი. ქაოსის თეორემა ამტკიცებს, რომ არა მარტო სტაბილური შედეგის მიღწევა შეიძლება გახდეს პრობლემა, არამედ მეტიც, შესაძლოა, მიზანმიმართული მოქმედებით, ნებისმიერი შედეგი გამოიწვიო. სწორედ ამას, ანუ საბოლოო გადაწყვეტილების სრულ განპირობებულობას კენჭისყრების მიმდევრობითობით უნდებს სკოფილდი ქაოსს.

“*McKelvey (1976)* და *Schofield (1976)* -მა აჩვენეს, რომ უმრავლესობის წესით გადაწყვეტილების მიღებისას ნონასწორული გადაწყვეტილების არარსებობა გულისხმობს იმას, რომ პრაქტიკულად ნებისმიერი პოლიტიკური შედეგი არის შესაძლებელი. აქედან გამომდინარე ის, ვინც დღის წესრიგს აკონტროლებს, შესაძლოა ჩაერთოს მანიპულაციის სხვადასხვა ფორმებში. დღის წესრიგის მონოპოლისტ მაფორმირებელს მისთვის სასურველი ნებისმიერი შედეგის მიღწევა შეუძლია, იმ შემთხვევაში, თუ მას შეუძლია სათანადო თანმიმდევრობით დაალაგოს დაწყვილებული ვარი-

ანტები, რომელიც ხმის მიცემისთვის განიხილება მაჟორიტარული წესით (*Shepsle 1979*)<sup>2</sup>. (Majone, 2006. გვ.229-230).<sup>2</sup>

ქაოსის თეორემა სრულიად განსხვავებული კუთხით აყენებს დემოკრატიის, როგორც ხალხის მმართველობის საკითხს. იგი აშკარად მიგვითითებს, რომ დღის წესრიგის ფორმირების ძალაუფლება უნდა იყოს განხილული მთელი სერიოზულობით, იმიტომ რომ იგი არის პოლიტიკური მიზნების მიღწევის სპეციფიური და ეფექტური ხერხი, პოლიტიკური ძალაუფლების ერთ-ერთი ნაირსახეობა.

ის, რომ დემოკრატიის თეორიები სავსეა პარადოქსებით და მოპარექრე ხედვებით, ახალი ამბავი ნამდვილად არ არის. თუმცა, ეს თეორიები დღის წესრიგის ცნებით არ ოპერირებენ, ამდენად საჭიროა მათი ანალიზი იმისთვის, რომ გავიგოთ თუ რას გვთავაზობენ ისინი შეუძლებლობის პარადოქსის დასაძლევად. შემდეგ პარაგრაფში ჩვენ ვაპირებთ ვაჩვენოთ, რომ დემოკრატიის კლასიკურ თეორიებს არა აქვთ ადექვატური პასუხი ქაოსის თეორემის მიერ წარმოქმნილ გამოწვევაზე.

### პრობლემას წარმოადგენს არა ციკლურობის პარადოქსი, არამედ მისი ინტერპრეტაცია

პირველ რიგში, სანამ დემოკრატიის თეორიების ანალიზს დავიწყებდეთ, აქ ჩამოვაყალიბებთ იმ მიდგომას, რომელსაც შემდეგ თავში კონსტრუირებული მათემატიკური მოდელი ეყრდნობა.

ამ მიდგომის თანახმად, პარადოქსი ამტკიცებს არა დემოკრატიის შეუძლებლობას, არამედ უარყოფს მის პოზიტივისტურ გაგებას: ისეთს, სადაც ხდება პროცედურის და სუბსტანციის, ანუ გადაწყვეტილების არსის, და მისი მიღების წესის, ერთმანეთისგან გამიჯვნა. გამიჯვნის ამ პრინციპის თანახმად, პოლიტიკური ნება, პრეფერენცია, იქნება ის ინდივიდუალური თუ კოლექტიური, არ უნდა იყოს დამოკიდებული პოლიტიკურ პროცესზე, არა-მედ უნდა ვლინდებოდეს (ან შეიძლება ვერ გამოვლინდეს) პოლიტიკური

<sup>2</sup> „McKelvey (1976) and Schofield (1976) showed that the absence of a majority-rule equilibrium implies that virtually any policy outcome is possible. Hence, those who control the agenda can engage in all sorts of manipulations. A monopoly agenda setter can achieve almost any outcome she wishes, provided she can appropriately order the sequencing of paired options considered by the voting group operating under majority rule (Shepsle 1979).“

## თავი 1.

პროცესების შედეგად, კერძოდ, კენჭისყრის პროცედურა წარმოადგენს ამ ნების დადგენის, ან მასთან მიახლოების მეთოდს.

მაგრამ თუკი საკითხს რელატივისტურად შევხედავთ, ხალხის ნება არის როგორც სუბსტანცია, ასევე პროცესი. ობიექტურად არსებობს მხოლოდ ინდივიდების ერთობა, რომლის წევრებს აქვთ უფლება და შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკური ერთობის, სოციალური კონტრაქტის ფორმირებაში. ამ ერთობის ისტორია იშლება როგორც სივრცეში, ასევე დროში, რაც მის ნებას რელატივისტურ ხასიათს ანიჭებს.

ამ ხედვის მიხედვით, პროცედურული აქსიომების და ხმების აგრეგირების წესები არ უნდა იყონ განცალკევებული იმ შინაარსისგან, რომელიც მათ შედეგად დგინდება. პოლიტიკური გადაწყვეტილების სუბსტანცია კავშირშია იმ პროცედურულ წესებთან და დაშვებებთან, რომლებიც მას ნორმატიულად შეესაბამება. ანუ ხალხის ნება მართლაც არ არსებობს, თუკი მას მხოლოდ სუბსტანციის სახით ვადგენთ, მაგრამ მან შეიძლება შეიძინოს აზრი, რომელიც დასაშვებია რომ არაცალსახა იყოს, თუკი სუბსტანციისა და პროცედურის ერთობლიობად წარმოვიდგენთ.

კავშირი სუბსტანციასა და პროცედურას შორის გადის ინტერპრეტაციაზე, მნიშვნელობის ფორმირებაზე. სუბსტანციის ინტერპრეტირება ხდება იმ კონტექსტში, რომელსაც ქმნის პროცედურა, ანუ გადაწყვეტილების მიღების დღის წესრიგი. მარტივად, მიზანი და საშუალება არიან კავშირში, მაგრამ არ განაპირობებენ ერთმანეთს: მიზნის და საშუალების ერთობლიობა არ არის უბრალოდ მათ შორის კომპრომისი; ეს არის დინამიური ინტერპრეტაციის პროცესი, რომელიც ქმნის ისტორიას.

მართლაც, ცაკლე აღებული ნება, პრეფერენცია, მაგალითად: „საქართველოს ევროპული არჩევანი“, შესაძლოა გამოიყენებოდეს საჯარო პოლიტიკურ დისკურსში ინდივიდის ან ინდივიდების ჯგუფის პოლიტიკური ხედვის გამოსახატავად. მაგრამ ცალკე აღებული ის არაფერს ნიშნავს; ნამდვილ პოლიტიკურ ელფერს ის იძენს მხოლოდ მაშინ, როდესაც განიხილება სხვა, მისი საპირისპირო არჩევანის კონტექსტში, მოქმედების მიმართულებასა და დინამიკასთან ერთად. იმისდა მიხედვით, თუ რა არის ეს საპირისპირო: პრორუსულობა, პროამერიკულობა თუ პროქართულობა, მის ირგვლივ იკრიბება განსხვავებული კოალიცია და ისახება მიღწევის განსხვავებული გზები. დღევანდელი საქართველოს კონტექსტში პირველი შემთხვევა ელიტისტურია, გარკვეულწილად ანტიდემოკრატიული და თამაშის წესებში მიდრეკილია მერიტოკრატიისკენ. მეორე, პირიქით, ევროპაში აფასებს სოციალ-დემოკრატიის ფასეულობებს, სოლიდარობის ლირებულებებს და

ეგალიტარიზმს. მესამე ატიგლოპალისტურია, ლოკალისტური და კონსერვატიული, მიდრეკილი ნაციონალური იდენტობის ფორმირებაზე და სახელმწიფო სუვერენტიტეტზე. აშკარაა, რომ თითოეული წარმოადგენს განსხვავებულ იდეოლოგიას, პროცედურული სამართლიანობის შესაბამისი ინტერპრეტაციით. ამდენად, ქართველ მოქალაქეთა პოლიტიკური ქცევა დამკიდებულია არა იმდენად მარტივად ფორმულირებულ პრეფერენციაზე „ევროპა“, არამედ ამ პრეფერენციის ინტერპრეტაციაზე მოცემულ დღის წესრიგში: „ევროპა-რუსეთი“, „ევროპა-ამერიკა“, „ევროპა-საქართველო“.<sup>3</sup>

ჩვენ შემოვიტანეთ სამი ტერმინი – პრეფერენცია, დღის წესრიგი და ინტერპრეტაცია, როგორც პოლიტიკური პროცესის კომპონენტი. აյ საჭიროა გარკვეული ტერმინოლოგიური დაზუსტება. „დღის წესრიგი“ და „დღის წესრიგი + ინტერპრეტაცია“ სხვადასხვა ნაშრომებში შესაძლოა სინონიმურად იყოს გამოყენებული. მედიის კვლევებში და ჟურნალისტიკაში დღის წესრიგის ფორმირება გაგებულია როგორც საკითხის წინ წამოწევა და მისი მნიშვნელობის ხაზგასმა პოლიტიკურ ველში:

„დღის წესრიგის ფორმირება – ეს არის მასშედიის მიერ გარკვეული საკითხების ხშირი და გამორჩეული წარდგენის პროცესი, იმ შედეგით, რომ ხალხის დიდი ნაწილი ამ საკითხებს უფრო მნიშვნელოვნად აღიქვამს, ვიდრე სხვებს. მარტივად რომ ვთქვათ, რაც უფრო მეტად გამუქდება საკითხი, მით უფრო მნიშვნელოვანია ის ხალხისთვის“ (Coleman, 2009, p. 147)<sup>4</sup>.

თუმცა, საკითხის აქტუალიზაცია თავისთავად არ გულისხმობს მისთვის გარკვეული მნიშვნელობის მინიჭებას (მის ინტერპრეტირებას). ამგვარი მნიშვნელობის მინიჭებას უწოდებენ ხოლმე ფრეიმინგს ან მეორად დღის წესრიგს. მედიის კვლევებისგან განსხვავებით, საზოგადოებრივი არჩევანის თეორიაში დღის წესრიგი გაგებულია როგორც „დღის წესრიგს + ინტერპრეტაცია“. უფრო მიახლოებულად გადაწყვეტილების მიღებასთან და ნიშნავს დიქოტომიურ არჩევანს ორ კონკრეტულ გადაწყვეტილებას შორის. ამ შემთხვევაში თითოეული არჩევანი არსებობს არა ცალ-ცალკე, არამედ ის ინტერპრეტირებულია მის საპირისპირო ოპციასთან მიმართებაში. სწორედ ეს მეორე „დღის წესრიგის“ მნიშვნელობა მას აქცევს ხიდად პროცედურასა და სუბსტანციას შორის.

<sup>3</sup> ამ დისკურსის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. თავი 6-ში.

<sup>4</sup> „Agenda setting is the process of the mass media presenting certain issues frequently and prominently with the result that large segments of the public come to perceive those issues as more important than others. Simply put, the more coverage an issue receives, the more important it is to people.“

## თავი 1.

ის, რომ კოლექტიური ნება, ამ ხედვის თანახმად, კავშირშია იმ კოლექტიურ პროცედურასთან, რომელიც მას ააშკრავებს, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ინდივიდუალური პრეფერენციები არსებობენ პრე-პროცედურულად, მისგან დამოუკიდებლად, წინ უსწრებენ და ცალმხრივად განაპირობებენ საერთოს. ინდივიდის პრეფერენცია, ამ ხედვით, ასევე არის კონდიციონალური – დამოკიდებული იმ მნიშვნელობაზე, რომელსაც მას თავად ინდივიდი ანიჭებს საერთო მდგომარეობის შეფასებიდან გამომდინარე. იმის გამო, რომ განსხვავებულ ინდივიდებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ხედვები, ხმების უბრალო აგრეგირება შესაძლოა გახდეს უაზრო ამოცანა. ხმების მარტივი შეკრება პოლიტიკურ აზრს იძენს მხოლოდ მაშინ, როდესაც ინდივიდები ერთნაირად ინტერპრეტირებენ ვითარებას.

დემოკრატიულ პროცესში ჩართულ ინდივიდებს გავლენა აქვთ არა მარტო კოლექტიური გადაწყვეტილების სუბსტანციაზე, არამედ გადაწყვეტილების ინტერპრეტირებაზე და მისი მიღების პროცედურაზე. ამგვარი ინტერპრეტაცია შესაძლოა იყოს როგორც ნორმატიული, ასევე სტრატეგიული (სიტუაციური). ასე მაგალითად, ინდივიდი, რომელიც გრძნობს, რომ შეიძლება დარჩეს უმცირესობაში, სადაც საკუთარი პოზიციის დაცვას კენჭისყრით ვერ მოახერხებს, დიდი ალბათობით მიმართავს მთელ ძალისხმევას იქითკენ, რომ გადაწყვეტილების პროცედურა გააჭიანუროს და მოითხოვოს მეტი დრო საჯარო დელიბერაციისთვის. ამით იგი მეტ არგუმენტაციას წარდგენის მოსწრებას შეძლებს რათა დაიცვას საკუთარი ხედვა. მან აგრეთვე შესაძლოა ეცადოს საერთოდ დაბლოკოს გადაწყვეტილების მიღება მისი ინტერპრეტაციის შეცვლით: მიმართოს სასამართლო პროცედურას იმ საბაბით, რომ გადაწყვეტილება ზღუდავს უმცირესობაში დარჩენილი სუბიექტების უფლებებს. ან, თუკი ამისთვის საკმარისი ძალაუფლება გააჩნია, სხვა საკითხები დააყენოს დღის წესრიგში, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებას გახდის უაზროს ან არსებითად შეცვლის. ყოველივე ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესის ნაწილებია, რომლებიც სუბსტანციისა და პროცედურის ურთიერთქმედებას ქმნიან.

თავად დემოკრატიის გაიგივება მარტოოდენ უმრავლესობის ნებასთან თეორიულადაც დაუშვებელია. დემოკრატია, როგორც უკვე ითქვა, წარმოადგენს მრავალი ნორმატიული პრინციპის, არატრანზიტული ღირებულების კონკურენციის არეალს. ეს პრინციპები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდიან იმდენად, რამდენადაც ერთმანეთის ინტერპრეტირების პროცესში არსებობენ. ამდენად, ყოველგვარი საზოგადოებრივი არჩევანის პარადოქსის გარეშეც კი, სათუოა დემოკრატიისთვის ისეთი ცალსახა, ნორმა-

ტიულად წეიტრალური განმარტება მიეცეს, რომელიც „ხალხის სუვერენიტეტის“ აბსტრაქტულ ცნებას აღემატება. ეს ეხება როგორც დემოკრატიის იდეალის ფორმულირებას, ასევე მის ინსტიტუციონალურად განხორციელების ფორმების განსაზღვრასაც. გარკვეულნილად, „დემოკრატია“ წარმოადგენს „ცარიელ აღმნიშვნელს“, რომელსაც თითოეული ინდივიდი ანიჭებს იმ მნიშვნელობას, რომელიც მის ხედვასთან ყველაზე ახლოა. მისი ამგვარი რელატივისტური გაგება აახლოებს მის განხორციელებას მოცემული ქვეყნის პოლიტიკურ კულტურასთან, დამოკიდებულს ხდის მის არსა იმ სოციალური კონტრაქტზე, რომელიც მოცემულ ქვეყანაში და მოცემულ ისტორიულ გარემოებებში ჩამოყალიბდა (Dryzek, 2004).

ამგვარ დინამიურ მოდელში, დემოკრატიის ტრადიციული ხედვისგან რჩება მხოლოდ სუვერენული სუბიექტების ერთობა. ამჯერად, სუბიექტი პოლიტიკაში ერთვება არა ერთი, მაჟორიტარული თამაშის სათამაშოდ, არა-მედ მრავლობითობის პრინციპით. ამ მრავლობით თამაშებს ის თავად ირჩევს საკუთარი ხედვის და შესაძლებლობების შესაბამისად. პირველ რიგში, ეს ინდივიდი თანამონანილეობს პოლიტიკის დღის წესრიგის ფორმირებაში – საზღვრავს, თუ რა საკითხები მოხვდება პოლიტიკურ ველში, ანუ რა არის „პოლიტიკა“ და „პოლიტიკური“ მოცემული საზოგადოებისთვის.

რა საკითხები, თემები განეკუთვნება კოლექტიურის (პოლიტიკურის) ველს, ხოლო რომლები -არა, პოლიტიკის მთავარი საკითხია და წყდება არა მაჟორიტარულად, არამედ დღის წესრიგის ფორმირების ძალაუფლების გა-მოყენებით. „ხალხის ნების“ საზღვრები კონტექსტუალურად უკავშირდება „პოლიტიკურის“ რაობას. პრობლემის ინტერპრეტაცია, მისი არსის დადგენა, პირდაპირ აისახება იმ პროცედურაზე, რომელიც მოცემულ პრობლემათან მიმართებაში სამართლიანად გამოიყურება. ინდივიდუალიზმისა და კო-ლექტივიზმის საზღვრები, კერძოს და საჯაროს გამიჯვნა, დემოკრატიისა და ტექნოკრატიის ურთიერთმიმართების ტრანსფორმაცია – ყოველივე ეს ქმნის „პოლიტიკურის“ იმ ისტორიულ კონფიგურაციას, რომელიც ძალაუფლების ამ ფორმის დინამიურ გამოყენებას უკავშირდება.

ამდენად, კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღების პროცედურებიც, ისევე როგორც მათი შინაარსი, სუბსტანცია, ისტორიული პროდუქტია და ტრანსფორმაციის საგანი. მათ კონკრეტულ ისტორიულ ინსტიტუციონალურ ფორმებს აქვთ ლირებულებრივი შეფერილობა, რომელიც „პოლიტიკურის“ დომინანტურ ხედვას ასახავს. ასე მაგალითად, განსხვავებულობა დემოკრატიის ანგლო-საქსურ და ევროპულ მოდელებს შორის, არა მხოლოდ მათი კონსტიტუციური მოწყობებშია, არამედ ამ კონსტიტუციების პრინცი-

## თავი 1.

---

პების განსხვავებულ ხედვებშია (Powell, 2000). თუმცა, ჩვენ ვაპირებთ ვაჩვენოთ, რომ ეს ორი მოდელი არ ამოწურავს დემოკრატიების ნაირსახეობების შესაძლო ფორმებს. დემოკრატიის ცნება თეორიულად თავსებადია არა ორ, არამედ სამ ინსტიტუციურ ტიპოლოგიასთან, ინდივიდის სამი პოლიტიკური ფუნქციის შესაბამისად (პრეფერენცია, დღის წესრიგი, ინტერპრეტაცია): მაჟორიტარული, პლურალისტური და პოპულისტური.

აქედან გამომდინარე, რა არის დემოკრატია? პასუხი ამ კითხვაზე ნანილობრივ წარმოადგენს ქვეყნის სოციალური კონტრაქტის პროდუქტს, და არა ობიექტურად, გარედან დადგენილ რეალობას. სწორედ ეს სოციალური კონტრაქტი შესაძლებელს ხდის შეუძლებლობის პარადოქსის დაძლევას. ყოველთვის არსებობს გარკვეული მანძილი, ნორმატიული სხვაობა, სოციალურ კონტრაქტს, გაგებულს როგორც ყველას წება, და უმრავლესობის წებას შორის. ეს მანძილი აუცილებელია იმისათვის, რომ საზოგადოების განვითარება რჩებოდეს ლიად, არ იყოს დეტერმინისტული და უშვებდეს ბაზისური ღირებულებების ტრანსფორმაციას, სოციალური კონტრაქტის მოდიფიკაციას დროთა განმავლობაში. ამისდა მიუხედავად მაინც რჩება პრაქტიკული კითხვა: შესაძლებელია თუ არა, ამ ორს შორის იტერაცია, დაახლოება, მრავალჯერადი კენჭისყრით, თუ ეს პროცესი შესაძლოა ციკლური და ქაოტური აღმოჩნდეს, რაც უმრავლესობის სურვილს ლეგიტიმაციას მოაკლებს?

დემოკრატიის სრული ვერსია მოითხოვს არა მხოლოდ ინდივიდების პრეფერენციების აგრეგირების დაშვებას, არამედ მათ თანამონანილეობას იმ პროცესში, რომელიც ირჩევს დღის წესრიგს, ანუ მის მნიშვნელობას აყალიბებს. მხოლოდ არჩევანის ყველა ასპექტზე გავლენის მქონე სუბიექტები არიან სრულად თანამონანილე დემოკრატიული, საერთო წების ფორმირებაში. სუბიექტები არა მხოლოდ ირჩევენ იმას, რასაც მათ ისტორიული მომენტი სთავაზობს – ისინი ამ ისტორიული დინამიკის შექმნის თანამონანილენი არიან. ვინაიდან კოლექტიური გადაწყვეტილების დღის წესრიგის ფორმირება, მასში თანამონანილეობა სუბიექტებს აქცევს არა მარტო პოლიტიკის, არამედ ისტორიის სუბიექტებად, აძლევს მათ ძალაუფლებას გავლენა მოახდინონ მომავალზეც, ანუ შემდგომი განვითარების საერთო მიმართულებაზე.

## ხალხის ნება ვერ მართავს – ხალხის მმართველობა კენჭისყრის გზით არის პოპულისტური ზღაპარი

თუკი წინა ქვეთავში ჩამოყალიბებულ რელატივისტურ ხედვას და-ვეთანხმებით, მაშინ იმასაც უნდა დავვეთანხმოთ, რომ ვერცერთ კონკრეტულ ისტორიულ მომენტში ვერ იარსებებს ცალსახად ინტერპრეტირებული ხალხის ნება, არამედ იარსებებს ამ ნების ამსახველი რამდენიმე პოლიტიკური ინტერპრეტაცია (პოტენციურად – ბევრი ინტერპრეტაცია). ხმების უბრალო აგრეგირება ვერ მოვცემს ამ ნების გამოკვეთის ცალსახა გზას, ვინაიდან ამისთვის (აგრეგირებისთვის) როგორც მინიმუმ ყველა უნდა იყოს შეთანხმებული საკითხის ერთნაირ ინტერპრეტაციაზე, რაც პოლიტიკურად მიუღწეველი ამოცანაა. პოზიტივისტური თვალსასწირიდან, ხალხის ნებისთვის ერთი ცალსახა მნიშვნელობის მინიჭების შეუძლებლობა შეიძლება გამოიყურებოდეს დემოკრატიის, როგორც ასეთის, შეუძლებლობად.

თუკი ხალხის ნების პოლიტიკური ინტერპრეტაციების მრავლობითობის აღიარებაზე უარს ვიტყვით, შესაძლოა მივემხროთ რადიკალურად განსხვავებულ გზას – ხალხის მმართველობის შესაძლებლობის უარყოფას, როგორც ასეთის. რელატივიზმის რადიკალურად საპირისპირო მიდგომა მდგომარეობს შემდეგში: უარი ვთვათ არჩევნების/კენჭისყრის გზით ხალხის ნების ფორმირების მცდელობაზე და არჩევნების მექანიზმს მხოლოდ ხალხის მხრიდან ვეტოს დადების მნიშვნელობა მივანოჭოთ. ამ მიდგომას საზოგადოების არჩევანის თეორიაში ავითარებს რაიკერი, ხოლო დემოკრატიის თეორიაში – პოპერი და შუმპეტერი. ეს ხედვები შესაძლოა გავაერთიანოთ ერთ კატეგორიაში, რომელსაც ლიბერალური, ან ელიტისტური სათაურით მოვიხსენიებთ.

ხალხის სუვერენიტეტი და მმართველობა ხალხის ნებით, პოპერის მიხედვით, უაზრო ფილოსოფიური ცნებებია, რომლებიც გვიშლიან დავსვათ სწორი კითხვები მმართველობის ხასიათის შესახებ. ნაცვლად იმისა, რომ ვიკამათოთ იმაზე, თუ ვინ უნდა მართავდეს, უნდა ვიკითხოთ – როგორ უნდა მოვაწყოთ პოლიტიკური დაწესებულებები ისე, რომ ცუდმა და არაკომპეტენტურმა მმართველებმა არ მიაყენონ ხალხს ზედმეტად დიდი ზიანი? (Popper, 2011, p. 292). ნაცვლად იმისა, რომ მივანიჭოთ ხალხს სუვერენიტეტი, რომლის ზემოთ არაფერი არსებობს, დემოკრატიის მეშვეობით უნდა შევზღუდოთ შესაძლო ტირანია, რომელიც უკონტროლო მმართველობას მოყვება. არჩევნებით ვერ შეიქმნება საუკეთესო მმართველობა. სამაგიეროდ, შესაძლებელი იქნება ძალიან ცუდის თავიდან აცილება, ზედმეტი ძალადობის და დესტაბილიზაციის გარეშე.

## თავი 1.

ამგვარი დემოკრატია აღარ ეფუძნება უმრავლესობის მმართველობის პრინციპს. საყოველთაო არჩევნები და წარმომადგენლობა მასში უზრუნველყოფენ ხელისუფლების კონტროლის შესაძლებლობას, და მეტი არაფერს (Popper, 2011, გვ. 299-300). ფაქტიურად, პოპერი „ხალხს“ მხოლოდ ვეტოს უფლებას ანიჭებს. არჩევნების გზით გამოხატული პრეფერენციები აღარ დებულობენ პოლიტიკური გადაწყვეტილების მნიშვნელობას, არამედ მხოლოდ სხვების (მმართველების) მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებების უარყოფასა თუ აღიარებას.

დაახლოებით იგივეს ამტკიცებს რაიკერი, ოღონდ არა ფილოსოფიის, არამედ მათემატიკური დასაბუთების გამოყენებით. ითვალისწინებს რა კენჭისყრის პარადოქსებს, რაიკერი მიიჩნევს, რომ არ არსებობს საფუძველი გავაიგივოთ კენჭისყრის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ხალხის ნებასთან.

რაიკერის ტერმინოლოგიით, ხმის მიცემას შესაძლოა მივანიჭოთ ორი განსხვავებული მნიშვნელობა – ლიბერალური და პოპულისტური. ლიბერალური ხედვის მიხედვით, რომელსაც ის მედისონის ნააზრევს უკავშირებს, ხმის მიცემას აქვს ერთადერთი ფუნქცია – პოლიტიკოსების კონტროლი (Riker, 1982, გვ.9). ხმირი და საყოველთაო არჩევნები ზღუდავს პოლიტიკოსებს, რაც ინდივიდების თავისუფლებას უზრუნველყოფს. პოპულისტური ხედვის თანახმად, რომელიც რუსოს სოციალური კონტრაქტიდან მომდინარეობს, ხმის მიცემით ინდივიდები მონაწილეობენ საერთო ნების ფორმირებაში, რომელსაც პოლიტიკოსების ქმედება ეყრდნობა. თანამონაწილეობა წარმოადგენს პოზიტიური თავისუფლების განხორციელებას.

რაიკერის მიხედვით, ამ ორი ხედვიდან კენჭისყრის ციკლურობის პარადოქსს მხოლოდ ერთი, ლიბერალური, უძლებს გამოცდას. პოპულისტური ხედვა უბრალოდ ვერ მუშაობს, რადგანაც ციკლურობა გამორიცხავს ხმის მიცემით ხალხის რეალური ნების დადგენის შესაძლებლობას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „პოპულიზმი“, როგორც ის გამოყენებულია მოცემულ ნაშრომში და როგორც მას იყენებს რაიკერი, არ ემთხვევა ერთმანეთს. პოლიტიკური აზრის ტრადიცია, რომელსაც რაიკერი რუსოს სახელს უკავშირებს, ჩვენთან ყველგან მოხსენიებული იქნება რესპუბლიკური ტრადიციის სახელით, რაც უფრო ახლოა ევროპელი ავტორების ტერმინოლოგიასთან. ხოლო პოპულიზმი, როგორც მოვლენა, მოცემულ ნაშრომში უკავშირდება არა საყოველთაო ნებას, არამედ დემოკრატიას, როგორც უმრავლესობის მმართველობას, განხორციელებულს საყოველთაო არჩევნების გზით.

რუსოს ტერმინოლოგიასთან პარალელს თუ გავავლებთ, განსხვავება დემოკრატიასა და რესპუბლიკანიზმს შორის შეესაბამება სხვაობას ხალხის ნებასა და საყოველთაო ნებას შორის, უმრავლესობასა და ყველას შორის. სოციალური კონტრაქტი არის ყველას ნება, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს უმრავლესობის ნებისგან. რუსო ცალსახად მიუთითებს, რომ ეს სხვაობა დამოკიდებულია დღის წესრიგის ფორმირებაზე. თუკი თავიდან გაჩნდა დაჯგუფებები, რომლებიც თავის მიკერძოებულ, ჯგუფურ ინტერესებს საერთო ნებაზე მაღლა აყენებენ, მათ შორის დაპირისპირებამ და ბრძოლამ შეიძლება ხელი შეუშალოს საყოველთაო ნების, სოციალური კონტრაქტის ფორმირებას. უმრავლესობის ნება და სოციალური კონტრაქტი, ამდენად, არ არის ერთიდაიგივე (Rousseau, 1762).

თუკი არ გავამახვილებთ ყურადღებას იმ თეორიულ შეცდომაზე, რომელსაც რუსოს ნააზრევის გადმოცემისას უშვებს რაიკერი, აღმოვაჩენთ, რომ რაიკერი და რუსო ერთსა და იმავე პრობლემას ხედავენ – ხმის მიცემა შესაძლოა ვერ უზრუნველყოფდეს ხალხის ნების გამოვლენას. მეტიც, რაიკერი მიიჩნევს, რომ დღის წესრიგით მანიპულირება პოლიტიკური ქცევის ძველი და ტრივიალური მეთოდია. ის ამგვარი მანიპულირების მრავალ ემპირიულ მაგალითს აანალიზებს (Riker, 1986). რაიკერი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ამომრჩევლები არ არიან მანიპულირების პასიური მსხვერპლი – მათ შეუძლიათ საპასუხოდ სტრატეგიულად მოიქცნენ, შეცვალონ არჩევანი და ამით მანიპულირების შედეგი ზოგჯერ გაანეიტრალონ, მაგრამ მანიპულირება ნებისმიერ შემთხვევაში რჩება პოლიტიკის ერთ-ერთი ძლიერი ბერკეტი, ისეთივე ძველი როგორც მეთოდი „დაყავი და იბატონე“ და სხვა, პოლიტიკაში ან უკვე კარგად ცნობილი ილეთები. საგულისხმოა, რომ ამ სტრატეგიულ ქცევას, რომელიც პოლიტიკურ ლიდერთა თუ ამომრჩეველთა მხრიდან ვითარების ინტერპრეტაციას უკავშირდება, რაკიერი დემოკრატიის ნაკლოვანებად, და არა შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს.

ორივე შემთხვევაში, როგორც პოპერთან ასევე რაიკერთან დაკავშირებით, ჩნდება ერთი კითხვა:

თუკი დემოკრატია ასე არის ინტერპრეტირებული, ის მოითხოვს მმართველებს, რომლებიც სრულად ფლობენ როგორც გადაწყვეტილებების მიღების, ასევე დღის წესრიგის განსაზღვრის ძალაუფლებას. როგორ შეიძლება ამ ვითარებაში ისეთი ციკლურობის თავიდან აცილება, როდესაც ამომრჩევლებს მუდმივად ექნებათ ასარჩევი ცუდსა და უარესს შორის, კარგი მმართველობის მიღწევის იმედის გარეშე? თუკი დღის წესრიგის ჩამოყალიბების სრული მონოპოლია ხელში ჩაუვარდა გარკვეულ ელიტარულ

ჯგუფს, როგორ შეიძლება ქაოსის თეორემით გათვალისწინებული ცუდი შედეგის თავიდან აცილება ვეტოს უფლების განხორციელებით? რაიკერი ამ კითხვაზე დამაკმაყოფილებელ პასუხს არ იძლევა. სამაგიეროდ პოპერი თავის ვერსიას აყალიბებს, თუმცა კი სრულიად სხვა ტერმინოლოგიაში.

პოპერისთვის მიუღებელია ისტორიული – პრეტენზია განვითარების კანონზომიერებების ცოდნაზე, რომელიც ისტორიული პროცესების ობიექტურობით საბუთდება. ლიდერებს, რომლებიც ამგვარ ცოდნაზე დაყრდნობით ცდილობენ დასაბუთონ გარკვეული მოშორებული მიზანი, რომელსაც საზოგადოებამ უნდა მიაღწიოს, ის ცრუ მქადაგებლებს უწოდებს. ცრუ მქადაგებლები ცდილობენ მოახდინონ უტოპიური სოციალური ინჟინერია – დასახონ ჰოლისტური, იდეალისტური მიზნები, და ამ მიზნების მიღწევის დღის წესრიგი გახადონ გადაწყვეტილებების მიღების ლოგიკად. შედეგად ყალიბდება ტოტალიტარული პოლიტიკური სივრცე, სადაც ქრება თავისუფლება და რაციონალური პოლიტიკა.

საპირისპიროდ, „თანდათანობითი სოციალური ინჟინერიის“ პრინციპი გულისხმობს დღის წესრიგის მორგებას იმ პრობლემებზე, რომლებიც რეალურად აწუხებს საზოგადოებას. ამგვარი დღის წესრიგი არ სახავს დიად მიზნებს, არამედ ქმნის საზოგადოების გარდაქმნის რაციონალურ, თანდათანობით და ევოლუციურ გზას. ის ეყრდნობა გამოცდილებას, მსჯელობას, შეცდომების დაშვებას და მათ გამოსწორებას, და აძლევს საზოგადოებას შესაძლებლობას, საკუთარ ინტერესებზე დაყრდნობით, არჩევნების გზით, საჭიროების შემთხვევაში, ვერდიქტი გამოუტანონ ხელისუფლებას

უტოპიური სოციალური ინჟინერია ტელეოლოგიურია. მას აქვს საბოლოო მიზანი, რომლის მისაღებად ის ცდილობს დაძლიოს შესაძლო წინააღმდეგობა კერძო ინტერესებსა და საბოლოო შედეგს შორის. მისგან განსხვავებით, თანდათანობითი ინჟინერია ორიენტირებულია არა საბოლოო იდეალური საზოგადოების მიღწევის ამოცანაზე, არამედ უკვე არსებული სოციალური პრობლემების მოგვარებაზე (Popper, 2011, გვ.360-365). პირველი ქმნის განვითარების „დახურულ“ გზას, რომელსაც წარმართავენ ისტორიული პროცესების საუკეთესო ცოდნით აღჭურვილი ლიდერები. მეორე ტოვებს საბოლოო შედეგს „ღიად“, უშვებს განვითარების მრავლობით აღტერნატივებს და, ამდენად, მეტ დისკრეციულ ძალაუფლებას ანიჭებს საზოგადოების წევრებს ხელისუფლებასთან მიმართებაში.

თუ ამ პოპერისეულ ხედვას გავაანალიზებთ, დავასკვნით შემდეგს: პოპერი საფრთხეს ხედავს ლიდერების მიერ დღის წესრიგის მონოპოლიის მითვისებაში. მას მიაჩნია რომ ჯობია საერთოდ არ არსებობდეს გრძელვა-დიანი პერსპექტივა (დღის წესრიგი) ვიდრე დარჩეს ამგვარი დღის წესრიგით

განპირობებული ინტერპრეტაციის ტოტალიტარულ იდეოლოგიად ქცევის საფრთხე.

პოპერის ეს ერთგვარად კონსერვატიული, ანტიიდეოლოგიური ხედვა შესაძლოა მიმზიდველი და მისაღები იყოს ინდივიდუალისტი ლიბერალებისთვის, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი, მას აკლია მთავარი – ვერ აღწერს, თუ როგორ შეიძლება გავხადოთ პოლიტიკა რაციონალური, თანდათანობითი, ემოციებისგან დაცლილი არაპოპულისტური, არაინტერპრეტაციული საქმიანობა. საბოლოო ჯამში მისი ხედვა ისეთივე უტოპიური რჩება, როგორც მის მიერ გაკრიტიკებული იდეოლოგიზმირებული ტოტალიტარიზმი.

დღევანდელ პოსტმოდერნულ პოლიტიკურ საკომუნიკაციო სივრცეში, სადაც სკანდალი, პერსონიფიცირება, თავსმოხვეული დღის წესრიგით მანიპულირება და რაციონალური პრაგმატიზმის იგნორირება იქცა წესად და არა გამონაკლისად პოლიტიკური კომუნიკაციის სფეროში, გაცილებით უფრო რეალისტურია ვიფიქროთ ღია საზოგადოების ფორმირებაზე არა დღის წესრიგის სახეობების შეზღუდვით, არამედ მათი დივერსიფიცირებით. არა ისტორიციზმის დაძლევით, არამედ მომავლის ინტერპრეტაციის სხვადასხვა ვერსიების კონკურენტული ბრძოლით.

ამ მხრივ, თანამედროვეობას გაცილებით უკეთ შეესაბამება შუმპეტერი, რომელიც ხალხის ნების პოზიტიურ არსებობას საერთოდ გამორიცხავს. შუმპეტერი რადიკალურია იმის კრიტიკაში, რასაც ის დემოკრატიის კლასიკურ დოქტრინად მოიხსენიებს (Schumpeter, 2003). მისი აზრით, საერთო სიკეთე, ისევე როგორც ხალხის ნება, თეორიულად არ შეიძლება არსებობდეს და ემპირიულადაც მიუღწეველი იდეალია, ვინაიდან ინდივიდების პოლიტიკური შეხედულებები და პოზიციები ყალიბდება არა იზოლაციაში, არამედ პოლიტიკური პროპაგანდის შედეგად, რომელიც ყოველთვის არის მანიპულაციური, ცალმხრივი და მიზანორიენტირებული.

შუმპეტერისთვის დემოკრატია არის არა ხალხის მმართველობა, არამედ მმართველობის განხორციელება კონკურენციის გზით:

“დემოკრატიული მეთოდი არის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ისეთი ინსტიტუციური მოწყობა, რომელშიაც ინდივიდები გადაწყვეტილების ძალაუფლებას იძენენ ამომრჩეველთა ხმებისთვის კონკურენტული ბრძოლის გზით” (Schumpeter, 2003, გვ.269).<sup>5</sup>

<sup>5</sup> „the democratic method is that institutional arrangement for arriving at political decisions in which individuals acquire the power to decide by means of a competitive struggle for the people's vote.“

## თავი 1.

ამგვარი დემოკრატია ფუნქციონირებს როგორც კონკურენტული ბაზარი და ეფუძნება მოთხოვნა-მიწოდების პრინციპს. პოლიტიკური ლიდერები მონაწილეობენ კონკურენტულ ბრძოლაში ამომრჩეველთა ხმებისთვის, ამდენად, მათ აქვთ განსაკუთრებული ფუნქცია კოლექტიური ხების ფორმირებაში. შეიძლება ითქვას, რომ შუმპეტერისეული ლიდერები, ჩვენს ტერმინოლოგიაში არიან დღის წესრიგის მაფორმირებლები. განსხვავებით დალისგან, რომელსაც შემდეგ ქვეთავში გავაანალიზებთ, შუმპეტერი საკმაოდ დიდ როლს ანიჭებს ლიდერებს, პოლიტიკურ ძალაუფლებაში მათი განსაკუთრებული ფუნქციონალური ადგილის გამო.

განსხვავებით დემოკრატიის უფრო ძველი თეორიებისგან, ეს მიდგომა ცალსახად აიგივებს დემოკრატიას უმრავლესობის თანხმობასთან, და არა ყველას ნების განხორციელებასთან. ამომრჩევლები გამოხატავენ ლიდერების მხარდაჭერას ან უარს აცხადებენ ამგვარი მხარდაჭერის გაგრძელებაზე. დემოკრატია ეს არის პროფესიონალი პოლიტიკოსების მმართველობა.

“პირველ რიგში, ჩვენი ხედვის თანახმად, დემოკრატია არ ნიშნავს და ვერც ნიშნავს იმას რომ ხალხი მართლაც მართავს, „ხალხის“ და მმართველობის“ რაიმე აშკარა მნიშვნელობით. დემოკრატია ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ხალხს აქვს შესაძლებლობა მიიღოს ან უარყოს ის ადამიანები, ვინც მას მართავენ. მაგრამ ვინაიდან მათ ეს შეუძლიათ გადაწყვიტონ სრულად არა-დემოკრატიული გზებით, ჩვენ მოგვინია ჩვენი განმარტების დაკონკრეტება დამატებითი კრიტერიუმის, დემოკრატიული მეთოდის იდენტიფიცირებით: ლიდერობის მსურველთა თავისუფალი კონკურენცია ამომრჩეველთა ხმებისთვის. ამდენად, ამის ერთერთი ასპექტი შეიძლება ჩამოყალიბდეს ასე: დემოკრატია პოლიტიკოსების მმართველობაა“. (Schumpeter, 2003, p 284-285).<sup>6</sup>

შეიძლება ითქვას, რომ შუმპეტერისეულმა მიდგომამ „გზა გაუხსნა“ პოსტმოდერნიზმის ხანას დემოკრატიის თეორიაში. ეს მიდგომა სრულიად ღიად ტოვებს კითხვას – როგორ შეიძლება შეფასდეს სისტემის ფუნქციონირების შედეგი? თუკი ხალხის ნება, როგორც ასეთი, არ არსებობს,

<sup>6</sup> „First of all, according to the view we have taken, democracy does not mean and cannot mean that the people actually rule in any obvious sense of the terms „people“ and „rule.“ Democracy means only that the people have the opportunity of accepting or refusing the men who are to rule them. But since they might decide this also in entirely undemocratic ways, we have had to narrow our definition by adding a further criterion identifying the democratic method, viz., free competition among would-be leaders for the vote of the electorate. Now one aspect of this may be expressed by saying that democracy is the rule of the politician.“

მმართველობის ავკარგიანობის კრიტერიუმად მასთან მიახლოება ვერ ჩაითვლება. ხოლო თუკი კრიტერიუმად ავიღებთ ინდივიდუალური კმაყოფილების აგრეგატს, ვლებულობთ პარადოქსს – სისტემას ვაფასებთ თავად სისტემისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით. რჩება შეფასების გარე კრიტერიუმები, რომლებიც ასევე ბუნდოვანია. რას ნიშნავს აყვავებული დემოკრატია? ვინ და როგორ აფასებს იმას, არის თუ არა დემოკრატია აყვავებული? ამ კითხვაზე შუმპეტერი პასუხს არ სცემს, თუმცა ტერმინს იყენებს, თანაც რელატივისტურად: ის აცხადებს, რომ დემოკრატია ხარობს მხოლოდ გარკვეული სოციალური სტრუქტურის მქონე საზოგადოებებში:

“დემოკრატია ყვავის გარკვეული მახასიათებლების მქონე სოციალურ მოწყობებში, და შესაძლოა აზრიც არ ჰქონდეს ვიკითხოთ თუ როგორ იმუშავებს ის ისეთ საზოგადოებაში, რომელსაც ეს მახასიათებლები არ გააჩნია – ან თუ როგორ მოერგებიან მას ადამიანები, ვინც ამ სხვა მოწყობაში არსებობები“. (Schumpeter, 2003, p.290)<sup>7</sup>

პროცედურული დემოკრატია, ამდენად, არ არის მმართველობის უნივერსალური ფორმა; მისი წარმატება დამოკიდებულია არა იმდენად მის მოწყობაზე, არამედ გარე ფაქტორებზე. ამგვარი ფატორებია: საკმაო რაოდენობის „კარგი“ ლიდერები; პროფესიული ბიუროკრატია; „დემოკრატიული თვითკონტროლი“; პოლიტიკური გადაწყვეტილებების ველის შეზღუდულობა და ა.შ. სხვა სიტყვებით, „კარგი მმართველობა“ გარკვეულწილად დემოკრატიის სიკეთეებისგან კი არ მომდინარეობს, არამედ მის მდგრადობას განაპირობებს.

მიუხედავად შუმპეტერისეული განმარტების არასრულფასოვნებისა, მეოცე საუკინის მიწურულს მან საოცარი გავლენა მოახდინა დემოკრატიზაციის პროცესებზე მთელ მსოფლიოში. მისმა პოსტმოდერნულმა ტექნოკრატიულმა ინტერპრეტაციამ მას უნივერსალურობის ელფერი მიანიჭა და საბაზრო ეკონომიკასთან ერთად გლობალური გავრცელებისთვის საუკეთესო ინსტიტუციურ მექანიზმად აქცია. სწორედ ამგვარმა მიდგომამ გავლენა მოახდინა საქართველოს პოლიტიკურ ტრანსფორმაციაზე, ის საუკეთესოდ ასახავს იმ სირთულეებს, რომლებიც ამ პროცესში დემოკრატიისა და ლიდერობის შერწყმას უკავშირდება.

მათვის, ვინც დემოკრატიის ნორმატიულ იდეალებს იზიარებს, ყველა აქ მიმოხილული მიდგომა გარკვეული ცინიზმის ელფერს ატარებს, ვინაიდან

<sup>7</sup> „Democracy thrives in social patterns that display certain characteristics and it might well be doubted whether there is any sense in asking how it would fare in others that lack those characteristics—or how the people in those other patterns would fare with it“.

## თავი 1.

---

ის ზღუდავს იდეალურ პოლიტიკურ თანასწორობაზე ოცნებასაც კი. მაგრამ ეს არის მათი ერთადერთი პრობლემა. დღის წესრიგის პარადოქსის დაძლევის ლიბერალური და ელიტისტური თეორიები, როგორც ამ ავტორების განხილვა ცხადყოფს, ვერ პასუხობენ ტრადიცულ კითხვას: „ვინ იცავს მცველებს?“ როგორც პოპერთან, ასევე შუმპეტერთან, მმართველების ქცევა მხოლოდ იმ შემთხვევაში უზრუნველყოფს კარგ მმართველობას, თუკი ის არ სცილდება გარკვეულ დაშვებებს დღის წესრიგის ფორმირების მეთოდებზე: პოპერთან ის არაიდეოლოგიურია, შუმპეტერთან – პროფესიული და ზომიერი. მაგრამ ამგვარი დაშვებები უფრო კეთილი ზრახვების ხასიათს ატარებს, ვინაიდან მათი რეალიზების არანაირი მექანიზმები ამ ნაშრომებში არ მოიაზრება. ის მიდგომები, რომლებსაც პლურალისტური დემოკრატიის თეორეტიკოსები გვთავაზობენ (დალი), გაცილებით უფრო მისაღებია არა მარტო ნორმატიული თვალსაწიერიდან, არამედ ინსტიტუციური თვალსაზრისითაც.

### **იმისთვის რომ დემოკრატიამ იმუშაოს, არჩევნების გარდა მას სჭირდება სხვა ინსტიტუტებიც – მონაწილეობა და დელიბერაცია**

თუკი დავვთანხმებით იმ აზრს, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებების სუბსტანცია, არსი, კავშირშია პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცედურასთან, უნდა დავასკვნათ, რომ პოლიტიკური ძალაუფლება ხორციელდება არა მხოლოდ თანამონაწილეობით გადაწყვეტილების მიღებაში, არამედ გადაწყვეტილების მიღების პროცესის მართვითაც. როგორ მონაწილეობენ ინდივიდუები პროცესების მართვაში? პრინციპი „ერთი ადამიანი – ერთი ხმა“ ამ შემთხვევაში არ მუშაობს. განსხვავებით გადაწყვეტილების მიღების მომენტისგან, როდესაც ყველა ერთდროულად მონაწილეობს კენჭისყრაში, პროცესი არის განელილი დროში და მისთვის მნიშვნელოვანია დინამიკა, მიმდევრობითობა, ინდივიდუალური ინიციატივები, ლიდერობა და სხვა აპსექტები. პროცესის საკვანძო ასპექტებია დღის წესრიგის ფორმირება, მნიშვნელობების (ინტერპრეტაციების) ფორმირება, დასაშვებ გადაწყვეტილებათა ველის (სიმრავლის) შეზღუდვა. ვინ უნდა ფლობდეს პროცესთან დაკავშირებულ ძალაუფლებას და როგორ უნდა ახორციელდეს მას? უფრო კონკრეტულად, ჩვენ შევჩერდებით დღის წესრიგის ფორმირების ძალაუფლებაზე, რომელიც, ქაოსის თეორემის მიხედვით, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ხმის მიცემით გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენა.

ვინაიდან დღის წესრიგის დადგენის ძალაუფლებამ შესაძლოა გადაწონონს არჩევნებში ხმის მიცემის ძალაუფლებათა ჯამი, რომელსაც ფლობს ინდივიდების ერთობა, საჭიროა მთელი სერიოზულობით იყოს განხილული ამ ძალაუფლების ნორმატიული ჩარჩოები, ემპირიული განხორციელება და ინსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც მას არეგულირებენ.

დღის წესრიგის ფორმირება არასდროს ყოფილა დემოკრატიის თეორიის სპეციალური განხილვისა და ანალიზის საგანი. კლასიკურ ნაშრომებში ეს თემა ფიგურირებს ლიდერობის და ლიდერების კონტექსტში, ვინაიდან დღის წესრიგის ფორმირება სწორედ ერთეულების მიერ ხდება; ის ჩნდება მაშინ, როდესაც საუბარია ქმედებების მიმდევრობითობაზე – ვინაიდან დღის წესრიგი წინ უსწრებს მის განხილვასაც და გადაწყვეტილების მიღებასაც; როდესაც საუბარია პოლიტიკურ ტექნოლოგიებზე – ვინაიდან მაკიაველისტური რესპუბლიკანიზმი აღიარებს მანიპულირებას როგორც მმართველობის ლეგიტიმურ ინსტრუმენტს (Held, 2006).

თანამედროვე ავტორები პრობლემის გადალახვას ცდილობენ სამი განსხვავებული გზით:

ა. დღის წესრიგის ფორმირება არის პოლიტიკური ძალაუფლება და, შესაბამისად, უნდა ეკუთვნოდეს ხალხს. საზოგადოების წევრებს უნდა ჰქონდეთ პოზიტიური უფლება და შესაძლებლობა დააყენონ თავისი ინტერესები დღის წესრიგში;

ბ. დღის წესრიგით მანიპულირება იზღუდება, თუკი გადაწყვეტილებების მიღება ხდება დელიბერაციით, მსჯელობით. დელიბერაცია ქმნის კონსესუალურ სივრცეს, საზოგადოებრივ კონტრაქტს, რომელიც შესაძლებელს ხდის უმრავლესობისა და ყველას ნების დაახლოებას

გ. დღის წესრიგს აყალიბებენ ელიტები, მაგრამ კარგად მოწყობილი კონსტიტუცია ზღუდავს მანიპულირების შესაძლებლობებს, ძალაუფლების დანაწილება და ბალანსი ქმნიან საპირნონეებს და გამორიცხავენ ქაოტურ მმართველობას.

### **ა. თანამონაწილეობა**

რობერტ დალი არის ის თეორეტიკოსი, რომელიც ცდილობს დემოკრატიის თეორიის მორიგებას დღის წესრიგის ფორმირების პარადოქსებთან.

დალის მიხედვით, დღის წესრიგის ფორმირება არ არის უბრალოდ ერთერთი პროცედურა, რომელიც კარგად უნდა მოწესრიგდეს ხალხის ნების გა-

მოსავლენად. დღის წესრიგი თავად არის ხალხის ნების ნაწილი. თითოეულ ინდივიდს აქვს საკუთარი პრეფერენციები დღის წესრიგთან დაკავშირებით. თუკი დემოკრატია წარმოადგენს სუვერენული ხალხის მმართველობას, ხელისუფლების დღის წესრიგი უნდა წარმოადგენდეს ამ პრეფერენციების დერივატივს, მიღებულს შეჯერების გარკვეული წესების მიხედვით.

იმისათვის რომ მმართველობის პროცესი პასუხობდეს დემოკრატიის იდეალებს, სხვა კრიტერიუმებთან ერთად (ეფექტური თანამონაწილეობა, თანაბარი ხმის უფლება, ინფორმირებული გარკვეულობა, ზრდასრულთა ჩართვა) მისი ერთ-ერთი მახასიათებელი უნდა იყოს ხალხის მხრიდან დღის წესრიგის კონტროლი: „წევრებს უნდა ჰქონდეთ ექსკლუზიური შესაძლებლობა გადაწყვიტონ როგორ მოხდეს ეს, და თუკი გადაწყვეტენ, რა საკითხები უნდა მოხვდეს დღის წესრიგში“ (Dahl, 1998, გვ.38).

დემოკრატიის ეს ნორმატიული იდეალი არსებობს მხოლოდ თეორიაში. დემოკრატია სრული სახით არის განუხორციელებელი, თუმცა შესაძლებელია ამ იდეალის ნაწილობრივი ინსტიტუციონალური ხორცების მართვა. თანამედროვე დასავლურ ქვეყნებში არსებულ პოლიტიკურ სისტემებს ის უნიკატური პოლიარქიებს. პოლიარქია ნიშნავს ბევრის და არა ყველას მმართველობას. პოლიარქია დემოკრატიის იდეალს სრულად ვერ აღწევს, თუმცა ის მოიცავს ინსტიტუტებს, რომლებიც ამ იდეალის განხორციელებაზეა მიმართული. ყველა ინსტიტუტი, რომელიც პოლიარქიას აყალიბებს: არჩევითი მმართველობა, თავისუფალი, თანასწორი და სამართლიანი არჩევნები, გამოხატვის თავისუფლება, ალტერნატიული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, დამოუკიდებელი გაერთიანების ავტონომიურობა – დღის წესრიგის კონტორლის ძალაუფლებას ხალხს ანიჭებს (Dahl 1998, გვ.92).

ჩნდება კითხვა: რას ნიშნავს დღის წესრიგის კონტროლი ხალხის მიერ? აი როგორ აღწერს დემოკრატიულ პროცესს დალი.

კოლექტიური გადაწყვეტილებები, რომლებსაც იღებს პოლიტიკური ერთობა, ხდება ყველასათვის სავალდებულო მას მერე რაც ისინი მიღებული იქნებიან, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებას წინ უსწრებს პროცესი, რომელიც მინიმუმ ორი ნაბიჯისგან შედგება: ჯერ უნდა შედგეს დღის წესრიგი, ანუ გადაწყდეს თუ რა საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილება. მეორე სტადია წყვეტს თავად შინაარსს – აყალიბებს ამა თუ იმ თემაზე მიღებულ გადაწყვეტილებას. პროცესში ორივე სტადიაზე ჩართულია ვეტოც – უარყოფაც, ვინაიდან შესაძლებელია როგორც საკითხის დაბლოკა პირველ ეტაპზე, ასევე ზოგიერთი შესაძლოა გადაწყვეტილების ამოღება ლეგიტიმური გადაწყვეტილების ველიდან (Dahl, 1998, გვ. 107).

კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების ეს პროცესი პასუხობს დემოკრატიის კრიტერიუმებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ის პასუხობს ეფექტური მონაწილეობის კრიტერიუმს: „მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ ადექვატური და თანაბარი შესაძლებლობა გამოხატონ თავისი პრეფერენციები საბოლოო შედეგთან მიმართებაში. მათ უნდა ჰქონდეთ ადექვატური და თანაბარი შესაძლებლობა მოაქციონ საკითხები დღის წესრიგში და გამოხატონ მიზეზები თუ რატომ ურჩევნიათ ერთი რომელიმე გადაწყვეტილება მეორეს“<sup>8</sup> (Dahl, 1989, გვ.109). თუკი გადაწყვეტილების მიღების პირველ ეტაპზე მოქალაქეებს არ ექნებათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ დღის წესრიგის ფორმირებაში, ზოგიერთი ინტერესი შესაძლოა არ იქნას მიღებული მხედველობაში მეორე, გადაწყვეტილების ფაზაში. მეორე ფაზა, როდესაც მიიღება გადაწყვეტილება, გულისხმობს ყველას ხმის თანაბრად გათვალისწინებას, ანუ კენჭისყრას.

მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ არა მართო თანაბარი, არამედ ექსკლუზიური უფლება საკითხების დღის წესრიგში მოქცევისა. მათ გარდა, ეს უფლება არც ერთ გარე აქტორზე არ შეიძლება იყოს დელეგირებული. ვერც დიქტატორი, ვერც სამხედრო, ვერც საერთაშორისო ორგანიზაცია ვერ უნდა ზღუდავდეს მოქალაქეთა კონტროლს დღის წესრიგზე. ყველა საკითხი, რომელიც მოითხოვს კოლექტიურ გადაწყვეტილებას, ეკუთვნის დემოსს, თუკი ხალხის დემოკრატიულ სუვერენიტეტზეა საუბარი: „დემოსს უნდა ჰქონდეს ექსკლუზიური შესაძლებლობა გადაწყვიტოს თუ როგორ უნდა განთავსდნენ ის საკითხების დღის წესრიგში, რომლებიც უნდა გადაწყდეს დემოკრატიული პროცესის მეშვეობით“ (Dahl, 1989, გვ.113).

ამდენად, იმისათვის რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი იყოს დემოკრატიული, საკმარისი არ არის კენჭისყრის/არჩევნების ჩატარება. სრული დემოკრატია მოითხოვს იმას, რომ კარგად ინფორმირებულმა მოქალაქეებმა, თანასწორად და ექსკლუზიურად, გააკონტროლონ ეს პროცესი დღის წესრიგის ფორმირების ეტაპზეც.

პოლიარქიებში, იდეალური დემოკრატიისგან განსხვავებით, დღის წესრიგის ფორმირებაში დემოსი ვერ მონაწილეობს: ბევრის გავლენა არ ნიშნავს ყველას თანამონანილეობას. პოლიარქიის დღის წესრიგს აყალიბებენ მრავლობითი დამოუკიდებელი ინტერესები, თუმცა არა ყველა. დალიმ ემპირიულად შეისწავლა განსხვავებული ინტერესების გავლენა გადაწყვე-

<sup>8</sup> "...Citizens ought to have an adequate opportunity and an equal opportunity for expressing their preferences as to the final outcome. They must have adequate and equal opportunities for placing questions on agenda and for expressing reasons for endorsing one outcome rather than other".

ტილებების მიღებაზე, ამერიკის ერთ-ერთი ქალაქის მაგალითზე (Dahl, 2005). ინტერესთა ჯგუფები, თანამონაწილეობის გზით, აძალებენ ელიტებს ჩართონ მათი პრობლემები პოლიტიკურ დღის წესრიგში, ამით ისინი აკავშირებენ ხელისუფლების პოლიტიკას საზოგადოების საჭიროებებთან. შესაბამისად, დღის წესრიგის მონოპოლია არავის ეკუთვნის. დალი აცნობიერებს, რომ ეკონომიკური უთანასწორობა პოლიტიკურ უთანასწორობასაც უკავშირდება და პოლიტიკურ დღის წესრიგზე შეძლებულ ელიტას მეტად მიუწვდება ხელი, ვიდრე ღარიბ მოსახლეობას (Dahl, 1989). შესაბამისად, პოლიარქია, რომელიც კაპიტალიზმის ფონზე ფუნქციონირებს, ვერასდროს მიაღწევს დემოკრატიის სრულყოფილ იდეალს. ბევრის მმართველობა უკეთესია, ვიდრე ერთის ან ცოტას (მონარქიის ან არისტოკრატიის) ვარიანტი, მაგრამ სრულ დემოკრატიად ქცევა არ უწერია.

დალი ასხვავებს დემოკრატიის ორ განზომილებას: ერთი ფორმალურად ინსტიტუციონალიზებული და სამართლებრივად უზრუნველყოფილი უფლებებისა და თავისუფლებების ნაკრებისგან შედგება: ნარმომადგენლების არჩევის პროცესში მონაწილეობა; გამოხატვის თავისუფლება, გამოძიება, დისკუსია და განხილვა (დელიბერაცია) ყველაზე ფართო შესაძლო მნიშვნელობით; გაერთიანებების ჩამოყალიბება სხვებთან ერთად ინფორმაციის მოგროვებისა და პოლიტიკური ქმედებისათვის; მოქალაქეობის უფლებები და შესაძლებლობები; და ა.შ. მეორე განზომილებას წარმოადგენს მოქალაქეთა მიერ ამ უფლებებისა და თავისუფლებების რეალური განხორიცელება, პოლიტიკურ ცხოვრებაში თანამონაწილეობა. (Dahl, 2000).

დემოკრატიის ეს ორი განზომილება შესაძლოა წარმოვიდგინოთ, როგორც ნეგატიური და პოზიტიური თავისუფლებების ნაკრები, საიდანაც ძირითადად ნეგატიური თავისუფლებებია უზრუნველყოფილი სამართლებრივად, ხოლო პოზიტიურები დიდწილად დამოკიდებულია ინდივიდის ნებაზე და მის ნდობაზე სისტემის მიმართ: ინდივიდი, რომელსაც სისტემის ნდობა არა აქვს, შესაძლოა არჩევნებშიც არ ღებულობდეს მონაწილეობას. თანამედროვე წარმომადგენლობითი დემოკრატიების კრიზისი სწორედ ამგვარ უნდობლობაში გამოიხატება: მიუხედავად დემოკრატიის პირველი განზომილების საყოველთაო მხარდაჭერისა, მოქალაქეები სულ უფრო ხშირად პასიურობენ, უნდობლობით ეპყრობიან საკუთარ მთავრობებს და არ მოსწონთ მათი ფუნქციონირება. იქმნება პარადოქსული ვითარება: დემოკრატია უნდა ყველას, მაგრამ დემოკრატიის სიკეთეებით სარგებლობისგან სულ უფრო თავს იკავებს.

მიუხედავად იმისა, რომ დალი დღის წესრიგის ფორმირების ძალა-უფლებას ხალხს ანიჭებს, ის მას აშკარად დემოკრატიის მეორე, არაფორმა-

ლიზებულ განზომილებას მიაკუთვნებს. ამ ძალაუფლების განხორციელება კი არაგარანტირებულ, პოზიტიურ თავისუფლებას წარმოადგენს. ამდენად, სამართლიანი იქნება დავსვათ კითხვა: დალის მიერ აღწერილი დემოკრატიის პარადოქსი იმით ხომ არ აიხსნება, რომ არაფორმალიზებული უფლებების განხორციელება ხდება სულ უფრო ძნელი, რის გამოც მმართველობის დღის წესრიგი შორს გასცდა საზოგადოების სულისკვეთებას? იმის გამო, რომ დღის წესრიგზე ზემოქმედების შესაძლებლობა არ არის უზრუნველყოფილი ფორმალური ინსტიტუტებით, ხომ არ შეარყია ნეოლიბერალურმა გლობალიზაციამ და ტექნოკრატიამ წარმომადგენლობითი დემოკრატიის საფუძვლები ისე, რომ თანამონაწილეობამ ადამიანების თვალში აზრი დაკარგა? ამ საკითხს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით.

პრაქტიკაში არსებული უთანასწორობები გვერდზე რომც გადავდოთ, პოლიტიკური პროცესის ორივე ასპექტი: ნორმატიული შეფასება (როგორ უნდა იყოს) და ინსტიტუციური განხორციელება (როგორ არის დადგენილი) დალის ინტერპრეტაციაში ღია კითხვებს ტოვებს.

ის კოლექტიური გადაწყვეტილებებს, რომლებიც დემოკრატიული პროცესის ბოლო ეტაპზე მიიღება და ეხება შინაარს, რომც არ იყოს მაუორიტარული, ნორმატიულად უნდა წარმოადგენდეს „ბევრის“ სურვილი. მაგრამ რამდენად უნდა გავრცელდეს „ბევრის“ პრინციპი დღის წესრიგის ფორმირებზე, თუნდაც ეს იყოს შესაძლებელი? რადენად არის ეს სასურველი, სამართლიანი?

არსებითია, რომ დღის წესრიგი, მას მერე რაც ის დადგენილია, არის ერთიანი ყველასთვის. დემოსტი ყოველთვის არსებობს ბევრი პრობლემური საკითხი, რომელიც მოითხოვს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებას. ვინ უნდა გადაწყვიტოს, რა მიმდევრობით უნდა მოხვდეს ეს საკითხები დღის წესრიგში? დალი ამ კითხვას ფაქტიურად გვერდს უვლის, მისი პასუხია „ყველა“. მაგრამ ჩვენთვის ეს კითხვა ყველაზე არსებითია, ვინაიდან სწორედ მიმდევრობითობა, საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების რიგითობა, წარმოადგენს საბოლოო დღის წესრიგის სახეს და იმ ძალაუფლებას, რომელიც მანიპულირების შესაძლებლობას იძლევა. ამდენად, უნდა იყოს დადგენილი, თუ როგორ ყალიბდება სასურველი მიმდევრობითობა, რა არის მიმდევრობითობის შედგენის წესი, რათა პროცესს დემოკრატიულის განზომილება ჰქონდეს.

ამ პრობლემის გადაჭრის პირველი ვარიანტი, რომელიც შეიძლება წარმოვიდგინოთ, არის შემდეგი: უპირატესობა მიეცეს იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მეტ ადამიანს აწუხებს. ანუ დემოკრატიულ ვითარებაში

## თავი 1.

უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ პრობლემების გადაჭრას , რომლებიც ყველაზე მეტი ადამიანის თვალში არის ყველაზე სასწრაფო და საჭირობოებო. მართლაც, პოლიარქიის ინსტიტუტები სწორედ ამგვარი პასუხის სასარგებლოდ მეტყველებენ. სავარაუდოა, მეტი რაოდენობის ადამიანი უფრო ეფექტურად მოახერხებს საკუთარი პრობლემების წინ წამოწევას, ხოლო არჩვნებში გამარჯვება ერგება იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც საარჩევნო ლოზუნგების თავში ამგვარ პრობლემებს მოაქცევენ.

დავუშვათ დავიჯვეროთ, რომ ეს რეალობა ემპირიულად სწორია (რაც სათუოა, ვინაიდან ხშირად მცირე, მაგრამ აქტიური, „მყვირალა“ ჯგუფები დღის წესრიგზე გაცილებით მეტ გავლენას ახდენენ ვიდრე უმრავლესობა), რამდენად არის ის სასურველი? თუკი დღის წესრიგის თავში ყოველთვის ბევრის, ან უმრავლესობის დღის წესრიგი იქნება, ხომ არ შეზღუდავს ეს დემოკრატიის ისეთ განზომილებებს, როგორებიცაა თანასწორობა და ეფექტურობა?

თუკი საზოგადოებაში არსებობს მცირე, დისკრიმინირებული ჯგუფები, რომლებიც ითხოვენ საკუთარი უფლებების დაცვას, ამგვარი მიდგომის მიხედვით მათ შესაძლოა არასოდეს მიეცეთ საშუალება საკუთარი გასაჭირის დღის წესრიგში ჩასმისა. ყოველთვის იარსებებს სხვა, უფრო საჭირობოტო პრობლემები, რომლებიც ხელისუფლების უურადლებას საჭიროებენ და კოლექტიურ გადაწყვეტილებას მოითხოვენ. ამდენად, უმრავლესობის პრეფერენციებით შედგენილი დღის წესრიგი შესაძლოა არ ითვალისწინებდეს პრობლემის თვისობრივ მახასიათებლებს -ზოგიერთი პრობლემა, რომელიც უმცირესობას აწუხებს და რომელიც ამ უმცირესობის ბაზისური უფლებების დაცვას ეხება, შესაძლოა სავალდებულო გადასაწყვეტი იყოს ხელისუფლების მიერ პირველ რიგში, თუნდაც უმრავლესობა ამით არაფერს იგებდეს. ამდენად, დღის წესრიგის ფორმირებაში დისკრიმინირებულ უმცირესობას ნორმატიულად უნდა ჰქონდეს უპირატესობა ბევრთან მიმართებაში მანამ, სანამ უთანასწორობის პრობლემა არ არის აღმოფხვრილი.

დემოკრატია ვერ იქნება ეფექტური, თუ პოლიტიკურ სივრცეში არ ჩნდება სიახლე – ახალი თემები, მიდგომები და იდეები. სიახლე, თუ ის მართლა სიახლეა, თავიდან განწირულია იმისთვის, რომ გაჩნდეს უმცირესობის, თუნდაც ერთის, თავში და მიდგომებში. ლიდერები, რომლებიც ახალი იდეებით გამოდიან, საჭიროებენ დროს და საჯარო სივრცეს, რათა ამ იდეების პოპულარიზება მოახდინონ. თუკი ახალი იდეები ყოველთვის იქნება გადატანილი პოლიტიკის დღის წესრიგის ბოლო ადგილებზე უბრალოდ იმიტომ, რომ მათ ბევრი მომხრე არა ყავთ, პოლიტიკური რეალობა შეიძლება გახდეს უაღრესად კოსერვატიული და უძრავი. ნორმატიულად, სიახლეს

უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მეტი ადგილი დაიკავოს პოლიტიკურ დღის წესრიგში, ვიდრე დამკვიდრებულ პოლიტიკურ თემებს ეთმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში განვითარებას ეფექტურობა დააკლდება.

ეს ორი მაგალითი გვიჩვენებს, რომ დღის წესრიგის ფორმირება, როგორც პროცესი, ვერ დაექვემდებარება იმავე მაჟორიტარულ წესს, რასაც ექვემდებარება გადაწყვეტილების მიღება. თუ გადაწყვეტილების მიღების დროს რაოდენობას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, დღის წესრიგის ფორმირებაში რაოდენობა არ არის მთავარი და ერთადერთი საზომი. გადაწყვეტილება მაშინაა იდეალური, როდესაც მისი შინაარსი ყველასათვის ან დიდი უმრავლესობისთვის არის მისაღები. მაგრამ რაც შეეხება დღის წესრიგის ფორმირებას, უმცირესობის ან თუნდაც ერთის პრობლემის წინ წამოწევა შესაძლოა უფრო სასურველი და დემოკრატიული აღმოჩნდეს, ვიდრე ყველა დანარჩენის პრობლემის განხილვა.

დღის წესრიგის ფორმირება უმრავლესობის პრინციპით არა მარტო არასასურველია, ის ასევე შეუძლებელია. ეფექტური თანამონაწილეობა არის შესაძლებლობა, რომელსაც მოქალაქეები იყენებენ არა ერთნაირად, არამედ იმის მიხედვით, რამდენად მძაფრია მათი განცდები საკუთარ მდგომარეობასთან მიმართებაში. უმცირესობა, რომელიც უკიდურესობამდეა მიყვანილი, შესაძლოა გახდეს პოლიტიკურად ყველაზე აქტიური ძალა და დაჩრდილოს უმრავლესობა პოლიტიკაზე ზემოქმედების მოხდენის თვალსაზრისით. ამდენად, არა მარტო პრობლემის არეალი, არამედ მისი სიმწვავეც მონაწილეობს დღის წესრიგის ფორმირებაში.

პოლიტიკოსებს, რომლებიც რეპრეზენტაციის მანდატით სარგებლობენ, აქვთ პრაქტიკულად შეუზღუდავი შესაძლებლობა, მმართველობის საჭიროებებიდან გამომდინარე, ცვალონ დღის წესრიგი. ამ მხრივ ამომრჩევლებს მათზე ზემოქმედების საკმაოდ შეზღუდული მექანიზმები გააჩნიათ. ვინაიდან თანამონაწილოების ინსტიტუტები არაფორმალიზებულია, არჩევნებს შორის პერიოდში ისინი მოქცეულია იმ სივრცეში, რომელიც არსებობს პოლიტიკასა და საზოგადოებას შორის და რომელსაც მედია და სამოქალაქო საზოგადოება აყალიბებს. ითვლება რომ ამ ინსტიტუტების მეშვეობით საზოგადოება ქმნის დღის წესრიგს, რომელსაც პოლიტიკოსები ანგარიშს უწევენ. თუმცა სათუოა კითხვა იმის თაობაზე, თუ რამდენად ფლობენ ამომრჩევლები გავლენას საჯარო სივრცეზე და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ინსტიტუტებზე. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებთან ერთად, კონსტიტუციური ჩარჩოები და ელიტების პორიზონტალური ფორმალური თუ არაფორმალური ძალთა ბალანსი ხდება საბოლოო დღის წესრიგის ფორმირების მექანიზმი. ამდენად, დემოკრატიის ჩვეული

## თავი 1.

იმედგაცრუება -როდესაც არჩეული პოლიტიკოსები არ ასრულებენ თავის დანაპირებს -ნარმოადგენს არა ცუდი პოლიტიკური ელიტების არსებობის შედეგს, არამედ რეალური პოლიარქიის ინსტიტუციურ მახასიათებელს, დღის წესრიგის კონტროლის მოქცევას ხელისუფლებაში და არა საზოგადოებაში.

ამ მაგალითებიდან შეიძლება დავასკვნათ ორი რამ: დალი მართალია, როდესაც დღის წესრიგის ფორმირებას იხილავს არა როგორც გადაწყვეტილების პროცედურის ნაწილს, არამედ როგორც ძალაუფლების ნაირსახეობას, ვინაიდან საკითხების მიმდევრობითობა არსებითად არის დამოკიდებული სუბსტანციაზე -ამ საკითხების შინაარსზე.

თუმცა, არ ესმის თანამიმდევრობის გადამწყვეტი მნიშვნელობა, დალი ცდება დღის წესრიგის ფორმირების ნორმატიულ ასპექტებთან მიმართებაში და ვერ აყალიბებს იმ ინსტიტუციურ მექანიზმებს, რომლებმაც ეს მიმდევრობითობა უნდა არეგულირონ. დღის წესრიგის ფორმირებაში თანამონაწილეობა დალისთვის გამოიყურება როგორც ერთდროულობის მომენტი – ისეთივე, როგორიც გადაწყვეტილების მიღებაში თანამონაწილეობა. რაც განაპირობებს მისი არგუმენტაციის ნაკლულობას.

### **ბ. ხალხის ნება არ არის იზოლირებული ინდივიდების პრეფერენციების ჯამი - დელიბერაცია**

საზოგადოებრივი არჩევანის დილემიდან გამოსავალს სხვა კუთხით გვთვავაზობს დელიბერაციული დემოკრატიის თეორია, რომელიც ბოლო ათწლეულებში განვითარდა.

ძირითადი, რასაც ეფუძნება დელიბერაციული მიდგომა, არის ის, რომ საზოგადოება მეტია, ვიდრე ინდივიდების ნაკრები, ხოლო ხალხის ნება ვლინდება არა იზოლირებული ინდივიდების პრეფერენციების აგრეგირებით, არამედ მათ შორის მსჯელობისა და პორიზონტალური კომუნიკაციის შედეგად. კომუნიკაციის პროცესში პრეფერენციები შეიძლება შეიცვალოს და გამოიკვეთოს ის საერთო, რასაც ყველა საუკეთესო გადაწყვეტილებად მიიჩნევს.

“დელიბერაციული დემოკრატიებისთვის, დემოკრატიული ლეგიტიმურობის არსი არის მსჯელობაში თანამონაწილეობის შესაძლებლობა მათთვის, ვისზეც კოლექტიური გადაწყვეტილება გავლენას ახდენს, რათა მონაწილეობა მიიღონ ამ გადაწყვეტილების მიღებაში. მსჯელობა (დელიბერაცია) მოიცავს დისკუსიას, რომელშიც ინდივიდები ისმენებ კრიტიკას და ცვლიან თავიანთ პრეფერენციებს სხვა მონაწილეთა მხრიდან დარწმუნების

(და არა მანიპულირების, მოტყუებუს ან იძულების) შედეგად. მოთხოვნები ქმედების მხარდასაჭერად და საწინააღმდეგოდ უნდა იყოს გამართლებული იმგვარად, რომ სხვებისთვის მისაღები იყოს. (Druzek, 2003).<sup>9</sup>

ემპირიულად, დელიბერაციის ანალოგებს ხედავენ ხოლმე საჯარო სივრცეში, სამოქალაქო საზოგადოებაში, საპარლამენტი ან სასამართლო განხილვებში, რომლებიც ამა თუ იმ საკითხებს ეხება. თუმცა, ყველა ეს ემპირიული სივრცე გამსჭვალულია ძალაუფლებრივი ურთიერთობებით, რომლებიც იდეალური თანასწორობის მიღწევას გამორიცხავს. ამისგან განსხვავებით, იდეალური დელიბერაცია არ არის უპრალოდ ნებისმიერი საუბარი. ეს არის კომუნიკაციის ისეთი გზა, რომელიც პასუხობს თანასწორობის და თავისუფლების მკაცრ ნორმატიულ ჩარჩოებს. ყველას უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა სრულად განახორციელოს თავისი უფლება იმონაწილეოს საერთო აზრის ჩამოყალიბებაში, რაც პრინციპში დელიბერაციას აქცევს უსასრულო პროცესად, რომელიც მუდმივად მიმდინარეობს და არასდროს არ თავდება.

თუკი პრეფერენციების აგრეგირება პოლიტიკურ პროცესს საბაზრო ვითარებას ამსგავსებს, დელიბერაცია ფორუმის მსგავსია (Elster, 1997) ამდენად, დელიბერაციის საფუძველში „პოლიტიკურის“ განსხვავებული ხედვაა ჩადებული. საერთო სიკეთე, რომელსაც ამ, რუსოსეული გაგებით რესპუბლიკური ტრადიციით განმარტავენ, ხალხის ნება შეიძლება ეწოდოს, უფრო მაღლა დგას, ვიდრე ინდივიდუალური სიკეთეები. „პოლიტიკა ... ეხება საერთო სიკეთეს, და განსაკუთრებით იმ შემთხვევებს, სადაც ის ვერ მიიღწევა როგორც ინდივიდების სურვილების შეჯამება, რომლებიც თავიანთ პირად ინტერესებს იცავენ.“ (Elster, 1997, გვ.4).<sup>10</sup>

დელიბერაციის მომხრეები მიიჩნევენ, რომ საარჩევნო დემოკრატიის ნაკლოვანებების გამოსწორების გზას წარმოადგენს დელიბერაციის პროცესის მაქსიმალური ინსტიტუციონალიზაცია. დელიბერაციაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები, მათი აზრით, შეიძენენ რაციონალური ლეგიტიმაციის განზომილებას, რომელიც სხვა გზით ძნელი მისაღწევია პოლიტიკურ

<sup>9</sup> „For deliberative democrats, the essence of democratic legitimacy is the capacity of those affected by a collective decision to deliberate in the production of that decision. Deliberation involves discussion in which individuals are amenable to scrutinizing and changing their preferences in light of persuasion (but not manipulation, deception, or coercion) from other participants. Claims for and against courses of action must be justified to others in terms they can accept.“

<sup>10</sup> „politics . . . is concerned with the common good, and notably with the cases in which it cannot be realized as the aggregate outcome of individuals pursuing their private interests“

## თავი 1.

---

მიკერძოებაზე დაფუძნებულ პარტიულ პოლიტიკაში. პროცესის საჯაროობა, რომელიც აკლია კერძო ინტერესების აგრეგაციას, უნდა ასუსტებდეს და აკეთილშობილებდეს მონაწილეთა ეგოისტურ მისწრაფებებს, წინ სწევდეს მოქალაქის, და არა კერძო ინდივიდის პოლიტიკური როლის აქტუალობას.

არსებობს დელიბერაციის მრავალი სახეობა და თეორია, რომლებსაც ჩვენ აქ ვერ მიმოვიხილავთ, ასევე საკმაოდ ძლიერია დელიბერაციის კრიტიკა. ბევრი ავტორის აზრით, დელიბერაცია არის შეუძლებლობის თეორების პარადოქსის გადალახვის გზა. დელიბერაცია, თუნდაც იყოს არა განცალკევებული კენჭისყრისგან, არამედ წინ უსწრებდეს მას, ხელს შეუწყობს მონაწილეთა პოზიციების დაახლოებას და ეროუს თეორემის აქსიომებით დადგენილი ჩარჩოების გადალახვას, რაც შეუძლებლობის გადალახვის გზასაც იძლევა (Dryzek, 2003). სხვები, პირიქით, მიიჩნევენ, რომ დელიბერაციამ შესაძლოა მხოლოდ გაამწვავოს დაპირისპირებები, და შედეგად გადაწყვეტილების მიღება კიდევ უფრო ძნელი გახდოს.

მთავარი, რაც ჩვენი აზრით, აკლია დაპირისპირებას აგრეგირებისა და დელიბერაციის მომხრეთა შორის არის პროცესის მესამე კომპონენტის დანახვა.

ბაზარი, ფორუმი და მათი გარკვეული კომბინაცია – ასე ხედავს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების სამ შესაძლო გზას ელსტერი. ხედავს რა პირველი ორის ნაკლოვანებებს, ის უპირატესობას მესამე, შერეულ ვარიანტს ანიჭებს. მაგრამ მესამე, ჩვენი აზრით, არ არის უბრალოდ პირველი ორი ტიპის კომბინაცია, ის წარმოადგენს მესამე იდეალურ ტიპს, რომელიც პირველ ორთან ერთად თანამონაწილეობს ყველა რეალურ პოლიტიკურ პროცესში, და დღის წესრიგის ფორმირებას უკავშირდება. ვერც ბაზარი, ვერც ფორუმი და ვერც მათი კომბინაცია ვერ ჭრიან დღის წესრიგის ფორმირების ძალაუფლების დილემას.

წარმოვიდგინოთ რომ პოლიტიკური პროცესი შედგება ფორუმისა და ბაზრის გარკვეული კომბინაციისგან. ბაზრის პრინციპით მიღებული გადაწყვეტილება (კერძო ინტერესების აგრეგირება) ძალაუფლებას ანიჭებს უმრავლესობას უმცირესობასთან მიმართებაში. ფორუმის პრინციპით მიღებული გადაწყვეტილება მოიცავს ყველას, ანუ მისაღები უნდა იყოს საზოგადოების თითოეული წევრისთვის (თუკი ვინმე არ ეთანხმება გადაწყვეტილებას, ფორუმის წესების მიხედვით დელიბერაცია უნდა გაგრძელდეს).

დავუშვათ, რომ არსებობს იდეალური ვითარება, როდესა საზოგადოებას გააჩნია შესაძლებლობა განახორციელოს როგორც აგრეგირება, ასევე დელიბერაცია. ვინაიდან დელიბერაცია დიდ საზოგადოებაში პრინციპში უსასრულო პროცესია, ეს ორი უნდა მონაცვლეობდეს – კარგად შესწავლი-

ლი და ნამსჯელი საკითხები უნდა ინაცვლებდეს ფორუმის სივრციდან კენჭისყრის სივრცეში, სადაც მათზე მოხდება კენჭისყრით გადაწყვეტილების მიღება. ვინ, როგორ და როდის მიღებას გადაწყვეტილების მისაღებად? ვინ, როგორ და როდის ადგენს გადაწყვეტილების დღის წესრიგს, აყენებს საკითხებს კენჭისყრაზე?

ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად გამოუსადეგარია უმრავლესობის პრინციპი, ვინაიდან ის აზრს დაუკარგავს დელიბერაციას. ასევე გამოუსადეგარია ყველას პრინციპი, ვინაიდან მაშინ თითქმის ვერც ერთი საკითხი გადაწყვეტილებამდე ვერ მივა. რჩება მხოლოდ ერთი ვარიანტი, უმცირესობა, ან ერთი, დღის წესრიგის რეგულატორი ინდივიდი ან ჯგუფი, ვინაც ამ ძალაუფლებით არის აღჭურვილი. პოლიტიკური გადაწყვეტილებების ერთობლიობა, რომლებიც ამგვარ მოთამაშეს ქმნიან, წარმოადგენს იმ მესამე იდეალურ ტიპს, რომელიც აკლია ფორუმისა და ბაზრის კომბინაციას და რომელიც აუცილებელია იმისთვის, რომ მათ შორის ურთიერთობა დარეგულირდეს.

აქ ჩვენ არ ვხეხბით არც დელიბერაციის და არც ბაზრის ავკარგიანობას, არამედ აპრიორი ვუშვებთ, რომ ორივე წარმოადგენს პოლიტიკური პროცესის ნაწილს. ამ დაშვებას აქვს როგორც ემპირიული, ასევე ნორმატიული გამართლება, ვინაიდან ერთი წარმოადგენს დემოკრატიის რესპუბლიკური ტრადიციის, ხოლო მეორე-ლიბერალური ტრადიციის პროდუქტს. ორივეს აქვს ნორმატიული ღირებულება და ემპირიული მანიფესტაცია თანამედროვე დემოკრატიებში. მაგრამ ეს ორი არც ერთად და არც ცალ-ცალკე არ ხსნის დღის წესრიგის ფორმირების და ერთპიროვნული ინიციატივის საჭიროებას, არამედ მას წინა პლანზე სწევენ, თუმცა კი განსხვავებული გზით. აგრეგირება, ბაზარი, საზოგადოებრივი არჩევანი, აქცენტს აკეთებს ამგვარი ძალაუფლების განსაკუთრებულობაზე და ამით ხაზს უსვამს დემოკრატიული ელიტების განსაკუთრებულ როლს და ადგილს. დელიბერაციული დემოკრატია, პირიქით, აქცევს რა საკითხის დასმის უფლებას დელიბერაციული სივრცის თანადროულ და თანასწორ პროცესში, ახდენს მის დემოკრატიზაციას და მის გაიგოვებას „ყველას“ უფლებებთან.

სამი იდეალური ტიპის კონპერაციული გადაწყვეტილებები -უმრავლესობის, ყველას და ერთის – წარმოადგენენ პოლიტიკური პროცესის შემადგენელ ელემენტებს, რომლებიც თავად ქმნიან არატრანზიტური სახის ღირებულებებს. ისინი, თავის მხრივ, ექვემდებარებიან შეუძლებლობის თეორემის პარადოქსს. თუკი ჩვენი წარმატიული მისწრაფება არის ის, რომ ეს ღირებულებები არადიქტატორული გზით დავაკავშიროთ ერთმანეთთან, დემოკრატი-

## თავი 1.

---

ული პრინციპების ერთგულებიდან გამომდინარე, თითოეული მონაწილე უნდა აღიჭურვოს არა ერთი, და არც ორი უფლებით არამედ სამით: მას უნდა ჰქონდეს პრეფერენცია გადაწყვეტილების შინაარსთან დაკავშირებით, რათა მონაწილეობა მიიღოს აგრეგირებაში, მას უნდა ჰქონდეს საერთო სიკეთის ხედვა, რათა მიიღოს მონაწილეობა დელიბერაციაში და მას სჭირდება პოლიტიკური ხედვა, რათა შეეძლოს დღის წესრიგის პრიორეტიზაცია მოახდინოს. მონაწილის ამგვარი ხედვა სრულად აქცევს მას სამი სოციალური როლის მატარებლად: ის არის კერძო პირი, მოქალაქე და პოლიტიკის სუბიექტი.

ამ სამი სოციალური როლიდან, დემოკრატიის კლასიკური ხედვა, მომდინარეობს ის ლიბერალური ტრადიციიდან თუ რესპუბლიკურიდან, ინდივიდის მესამე, პოლიტიკური სუბიექტის როლს განიხილავს ნაწარმოებად, მეორადად პირველ ორთან მიმართებაში. ანუ ინდივიდის პოლიტიკური პრეფერენცია არის ბალანსი, წონასწორობის მდგომარეობა, მის კერძო და სამოქალაქო ხედვებს შორის. საკმარისია ინდივიდს ჰქონდეს მოთხოვნილებები და იდეალები, რომ მან დაალაგოს მათ შორის არაწინააღმდეგობრივი ურთიერთმიმართება (იდეოლოგია) რომელიც იქნება მისი გზამკვლევი პოლიტიკის სამყაროში.

ამგვარი დეტერმინიზმი პარადოქსულად არავის არ ჭრის თვალს. მაგრამ თუკი გავექცევით ყოფიერებისა და ცნობიერების დიალექტიკას (რომელიც ამ დეტერმინიზმში არის ნაგულისხმევი) და შემოვიტანთ მესამე ცვლადს, რომელიც არც ყოფიერებაა, არც ცნობიერება, არამედ თამაშის წესია, პროცედურა, რომელიც ასევე ინდივიდუალური ხედვების არეალს მიეკუთვნება, სუბიექტის მახასიათებლად წარმოგვიდგება, მაშინ უნდა დავუბრუნდეთ შეუძლებლობის თეორემის პარადოქსს და ვეძებოთ ამ სამის ისეთი კომბინაცია, რომელიც არც ერთ მათგანს არ მოაქცევს დანარჩენი ორის დერივატივის როლში.

თანამედროვე სამყაროში დემოკრატიის კლასიკური ხედვა, რომელსაც ეს მესამე კომპონენტი აკლია, უნდა განვიხილოთ ან როგორც შეზღუდული, ან მოძველებული. ინდივიდის პოლიტიკური როლი, მისი პოლიტიკური ქცევა უნდა იყოს წარმოდგენილი მისი ინდივიდუალობის ისეთივე დამოუკიდებელ მახასიათებლად, როგორც მისი მოთხოვნილებები და ღირებულებები. მისი ეს სამი მახასიათებელი კავშირშია ერთმანეთთან, მაგრამ ეს კავშირი არა-დეტერმინისტულია.

## გ. კონსტიტუცია, შეზღუდული მმართველობა, ლიბერალური დემოკრატია

ნინა თავებში ჩვენ მკაფრად არ გაგვიმიჯნავს ფორმალიზებული და არაფორმალიზებული არეალები, სადაც მიღება პოლიტიკური გადაწყვეტილებები. პოლიტიკური მეცნიერება პოლიტიკურ სისტემასა და მასში მიმდინარე პროცესებს ძალაუფლების განხორციელების უფრო ფართო არეალისგან განცალკევებით იხილავს. შესაძლებელია, სწორედ ამ გამიჯვნაში, რომელიც კონსტიტუციურად ფორმირებული პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბებისგან მომდინარეობს, არის გასაღები „ხალხის ნების“ მიმართებისა დღის წესრიგის ძალაუფლებასთან. რა არის „პოლიტიკური“ მოცემულ სისტემაში და მოცემულ მომენტში თავად წარმოადგენს პოლიტიკურ პრობლემას, რომელიც დღის წესრიგის ფორმირებას უკავშირდება.

“დემოკრატია“ თანამედროვე გაებით არის ტერმინი, რომელიც პოლიტიკური მოწყობის ფორმას ახასიათებს. ეს ყოველთვის ასე არ იყო. ალექსის დე ტოკვილი ამ ტერმინს უფრო პოლისტური გაებით იყენებდა, დემოკრატიულ ერებზე სასაუბროდ, არისტოკრატული ერებისგან განსხვავებით. ის თვლიდა, რომ დემოკრატიული მმართველობა აუცილებლად უკავშირდება საზოგედოების ბუნებას და მის სტრუქტურას, გრძნობებს და ქცევას. დღესდღეობით არავინ აღნერს სოციუმებს პოლისტურად, ერთმანეთისგან „დემოკრატიული“ და „არადემოკრატიული“ საზოგადოებების განსხვავების გზით, არა მხოლოდ პოლიტიკური კორექტულობის მიზეზით, მაგრამ ასევე იმის გამო, რომ დემოკრატიის ტერმინი გახდა ასოცირებული ფორმალურ პოლიტიკურ სისტემასთან.

ყველაფერი, რაც ხდება საზოგადოების დონეზე ითვლება დემოკრატიის ფონად და არენად, პოლიტიკური კულტურის თვისებად, რომელიც შესაძლოა სხვადასხვა გზით დაკავშირებული იყოს პოლიტიკური სისტემასთან, რომელსაც დემოკრატია ჰქვია, მაგრამ რომელიც არ წარმოადგენს მის ნაწილს. საზოგადოების პოლიტიკური კულტურა, სოციალური სტრუქტურა და ეკონომიკური პირობები შეიძლება აძლიერებდნენ ან ასუსტებდნენ დემოკრატიის ფუნქციონირებას, მაგრამ მათი შესწავლა და განხილვა ცალკეუნდა მოხდეს.

პოლიტიკური სისტემის განცალკევება/გამოყოფა მისი სოციალური და ეკონომიკური ფონისგან მნიშვნელოვანია როგორც ნორმატიულად, ისე მეთოდოლოგიურად. ტერმინი „დემოკრატიის“ მიკუთვნებამ პოლიტიკური სისტემისადმი და მისი ინსტიტუტებისადმი მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბოლო ათწლეულების განმავლობაში დემოკრატიაციის შესწავლასა და

## თავი 1.

---

პრაქტიკაში. ითქვა, რომ ნებისნიერ საზოგადოებას, მიუხედავად მისი ისტორიის, პოლიტიკური კულტურის და ეკონომიკური კეთილდღეობისა, შეუძლია დაამყაროს დემოკრატიული მმართველობა თუ ის მიიღებს რეგულარულ კონკურენტულ და საყოველთაო არჩევნებს, რომლებიც ეყრდნობა რელევანტურ უფლებებს და თავისუფლებებს და რომელსაც კანონით არის დაცული.

მისი თავდაპირველი კონცეფციით დემოკრატია ეფუძნება სახალხო სუვერენიტეტსა და ხალხის მმართველობას. როდესაც ის ხდება პოლიტიკური სისტემის ექვივალენტი, რომლის შუაგულს არჩევნები წარმოადგენენ, ის უახლოვდება მაჟორიტარული მმართველობის იდეას. პირობითად, დემოკრატია არის „ხალხის მიერ“ მმართველობა, პირდაპირ ან წარმომადგენლის მეშვეობით, რომელშიც გადაწყვეტილებები ასახავენ მოსახლეობის უმრავლესობის ნებას (მინიმუმ).

„ორი ძალიან განსხვავებული იდეა ჩვეულებრივ გაერთიანებულია სახელწოდებით დემოკრატია. დემოკრატიის სუფთა იდეა, მისი განმარტების თანახმად, გულისხმობს მთელი ხალხის მმართველობას მთელი ხალხის მიერ, რომლებიც თანაბრად იქნებიან წარმოდგენილი. დემოკრატია დღევანდელი გავებით და პრაქტიკით გულისხმობს მთელი ხალხის მმართველობას უმრავლესობის მიერ, რომელიც ექსკლუზიურად არის წარმოდგენილი“ (Mill 1991: 302).<sup>11</sup>

როდესაც საზოგადოებაშო ღრმა კლასობრივი დაყოფა არსებობს, მილი ამტკიცებდა, რომ მაჟორიტარული მმართველობის პირობებში შესაძლოა უმცირესობის კლასი ნაკლებად იყოს წარმოდგენილი და უმრავლესობის მმართველობა შეიძლება, ფაქტობრივად, ტირანიად გადაიქცეს. ეს შეშფოთება ნაცნობია ყველა ახალი დემოკრატიისთვის, რომლებმაც ჩამოაყალიბეს მეტ-ნაკლებად კონკურენტული არჩევნები და უმრავლესობის მმართველობა, მაგრამ მაინც შორს არიან თანაბარი წარმომადგენლობის, მონაწილეობის, და კარგი მმართველობის იდეალებისგან. კლასიკური კონცეფციების თანახმად კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები წარმოადგენენ შეზღუდვის მექანიზმებს იმისათვის, რომ უმრავლესობის მმართველობა არ გადაიზარდოს უმრავლესობის ტირანიაში.

---

<sup>11</sup> "Two very different ideas are usually confounded under the name democracy. The pure idea of democracy, according to its definition, is the government of the whole people by the whole people, equally represented. Democracy as commonly conceived and hitherto practiced, is the government of the whole people by a mere majority of the people, exclusively represented."

არსებითად, კონსტიტუციური მმართველობის პრინციპები დემოკრატიის პრინციპებთან ერთად ახლოვებს დემოკრატიის ამ ორ მნიშვნელობას (უმრავლესობის მმართველობა და საყოველთაო სუვერენიტეტი).

თუმცა, აქ წარმოიშობა პრინციპული კითხვა: წარმოადგენენ თუ არა კონსტიტუცია და ადამიანის უფლებები დემოკრატიის, როგორც ხალხის ნების ნაწილს, თუ მისი შეზღუდვის გზას? თუკი ხალხის ნება ასე მჭიდროდ არის გაიგივებული უმრავლესობის ნებასთან, მაშინ ბუნებრივია კონსტიტუციასა და უფლებებს სხვა ლეგიტიმაცია მოვუძებნოთ, ვიდრე ხალხის ნებაა, ხოლო დემოკრატია, მათი მეშვეობით, შევზღუდოთ, და არა გავათართოვთ. სწორედ ასეთია დემოკრატიის თეორიისადმი ლიბერალური მიდგომა.

ლიბერალური თვალსაწიერიდან, თანამედროვე წარმომადგენლობითი დემოკრატია არ არის უპრალოდ უმრავლესობის მმართველობა. ის არის შეზღუდული მმართველობის ფორმა. მისი საწყისები მომდინარეობს წარმოდგენიდან, რომ საუკეთესო მმართველობა არ წარმოადგენს ხალხის მმართველობას სუფთა სახით, არამედ არის დემოკრატიის, რესპუბლიკისა და მონარქიის ნაზავს: ის კომპინირებს ერთის, ცოტას და ბევრის ძალა-უფლებას (მონტესკიე, ციტირებული Held, 2006, გვ. 67). კონსტიტუცია, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები ზღუდავენ უმრავლესობის ნებას და უყენებენ მას ჩარჩოებს. პროცედურები და თამაშის წესები დიდწილად გატანილია „ფრჩხილებს გარეთ“ და პოლიტიკური ბრძოლის უშუალო კომპონენტს არ წარმოადგენენ.

თუკი გავიზიარებთ ამ ხედვას და დავთანხმდებით დემოკრატიის ნორმატიული იდეალის (ხალხის სუვერენიტეტის) შეზღუდვას პრაქტიკული (ან ნორმატიული) საჭიროებიდან გამომდინარე, უნდა ვიკითხოთ – რამდენად და როგორ არეგულირებენ თანამედროვე კონსტიტუციები დღის წესრიგის ძალაუფლებას და რამდენად შეუძლიათ ქაოსის დაძლევა დიქტატურის ფორმირების გარეშე?

ლიბერალური კონსტიტუციური დემოკრატიის კლასიკური ნაშრომები, მართალია, არ ეყრდნობიან დღის წესრიგის ფორმირების დილემას როგორც ასეთს, მაგრამ სამართლებრივად არეგულირებენ მას სისტემის ინსტიტუტების ჩარჩოებში. გარკვეულწილად, ეს რეგულირება ეფუძნება არა იმდენად საკითხის წინ წამოწევის პოზიტიურ შესაძლებლობას (დღის წესრიგის ფორმირება), რამდენადაც გადაწყვეტილების დაბლოკვის ძალაუფლებას – ვეტოს. ვერტიკალურ ვეტოსთან ერთად (ხალხი-ხელისუფლება), რომელზე-დაც ადრე უკვე ვიღაპარაკეთ და რომელიც საზოგადოებას ანიჭებს შესაძლებლობას მშვიდობიანად შეცვალოს არსებული ხელისუფლება, ის ქმნის ასევე ჰორიზონტალურ ვეტოებსაც სისტემის შიგნით.

## თავი 1.

ძალაუფლების გაზიარებისა და ძალაუფლების გადანაწილების საკონსტიტუციო მექანიზმები ქმნიან ინსტიტუციურ სისტემას, რომელშიაც საჭიროა რამდენიმე საკვანძო ინსტიტუტის (მოთამაშის) თანხმობა იმისათვის, რათა მიღებულ იქნას გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების დაბლოკვის ძალაუფლებას ვეტო ძალაუფლებას უწოდებენ (Tsebelis, 2002). ვეტო, საკითხის დასმასთან და გადაწყვეტილების არსთან ერთად, ქმნის ძალაუფლებათა სამეულს, რომლებიც სრულად კრავენ გადაწყვეტილების მიღების ციკლს. ეს ციკლი დინამიურია და დროშია გადანაწილებული: ჯერ ხდება საკითხის შეტანა განსახილველად, შემდეგ გადაწყვეტილების მიღება, ხოლო ბოლოში – პოტნეციური ვეტოს გამოყენება. ეს მიმდევრობითობა, ცხადია, საკმაოდ პირობითია: პოტენციური ვეტო იმავდროულად ზღუდავს ლეგიტიმური ინიციატივების ველს, ხოლო გადაწყვეტილების მიღებას შესაძლოა წინ უსწრებდეს მოლაპარაკებები გადაწყვეტილების კომპრომისული ვარიანტის მოსაძებნად.

კონსტიტუციონალიზმის პრეტენზია განაცალკევოს თამაშის წესები, პროცედურა, პოლიტიკური გადაწყვეტილებების შინაარსისგან, სუბსტანციისგან, აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ კონსტიტუციას ღირებულებრივი ნეიტრალობა უნდა ახასიათებდეს. მაგრამ რამდენად რეალისტურია ამგვარი პრეტენზია?

სხვადასხვა ქვეყნების კონსტიტუციები განსხვავებულად აგვარებენ ამ სამი კომპონენტისგან შემდგარი პოლიტიკური სისტემის ფორმას. ლიბერალური ტრადიცია (ანგლო-ამერიკული) ძალაუფლების გადანაწილებასა და უმრავლეობის ნების შეზღუდვას უფრო ემხრობა (უმცირესობების ნეგატიური უფლებების დაცვა). რეპუბლუბლიკური (კონტინენტური ევროპა) – ძალაუფლების გაზიარებას და უმცირესობისთვის დღის წესრიგის ფორმირებაში თანამონაწილების უზრუნველყოფას (უმცირესობის პოზიტიური უფლება). აშკარაა, რომ თუნდაც ქვეყნების ამ ორი ჯგუფის შედარება უკვე მეტყველებს მათი კონსტიტუციების ღირებულებრივ შეფერილობაზე. არსებობს კი ობიექტური ბუნებითი სამართალი, ცოდნა ან ღირებულებები, რომლებიც არ ექვემდებარება ხალხის ნების სფეროს, დგანან მასზე მაღლა და არ უნდა შეიღახონ უმრავლესობის ან თუნდაც ყველას დესპოტიის მიერ? თუ, პირიქით, კონსტიტუციების ეს სხვაობები შესაძლებელია ავსნათ განსხვავებით ხალხის ნებაში, რომელიც ამა თუ იმ საზოგადოებას ამოძრავებს? ხომ არ ხსნის კონსტიტუცია ქაოსის პრობლემას იმით, რომ ღირებულებების გარკვეულ იერარქიას უპირატესობას ანიჭებს? თუ ასეა, სისტემა იმსახურებს მხოლოდ შეზღუდული დემოკრატიის სახელწოდებას; ლიბერალური და კონსტიტუციური როგორც ეპითეტები კი არ განმარტავენ დე-

მოკრატიას, არამედ „დემოკრატიასთან“ ერთად ქმნიან კონსტილაციას, რო-  
მელიც იმთავითვე პარადოქსების წარმოქმნისგან არის თავისუფალი.

ამ კითხვის გასაღები დევს არა იმ საკითხების განხილვის/გადაჭრის  
პროცედურაში, რომლებიც უკვე მოხვედრილია პოლიტიკის დღის წესრიგში,  
არამედ იმაში, თუ რა ხდება სადემარკაციო ხაზზე პოლიტიკურსა და არა-  
პოლიტიკურს შორის. ლიბერალური ტრადიციის დომინირების საუკუნეებმა  
მოიტანეს ნორმატიულად დადგენილი დემარკაცია პოლიტიკისა და არა-  
პოლიტიკურის სფეროებს შორის, კატეგორიული მოთხოვნა იმის თაობაზე,  
რომ გარევეული საკითხები ამოღებული ყოფილიყო პოლიტიკის დღის  
წესრიგიდან. იმავდროულად, დღის წესრიგის გაფართოების და მასში აკრძა-  
ლული თუ იგნორირებული თემების შეტანის მოთხოვნა პოლიტიკური ბრძო-  
ლის ველად იქცა. რა შეიძლება დადგეს პოლიტიკის დღის წესრიგში და რა  
უნდა დარჩეს კერძო სფეროში, ინდივიდუალური გადაწყვეტილებების  
ველში? ლიბერალური კონსტიტუციური დემოკრატიის პირობებში ეს კითხვა  
აჩენს წყალგამყოფს, რომელიც ღრმა იდეოლოგიურ სხვაობებს რეპრე-  
ზენტირებს.

პოლიტიკის დღის წესრიგის თანმიმდევრული სამართლებრივი  
შეზღუდვა შესაძლოა მივიდეს იქამდე, რომ უმრავლესობამ ვერ დააყენოს  
დღის წესრიგში და ვერ განახორციელოს თავის პოზიტივური უფლებები; ხე-  
ლისუფლებასთან მუდმივ ოპიზიციაში აღმოჩნდეს. ამგვარი ვითარება უმცი-  
რესობის მმართველობის ტოლფასია, და დემოკრატიის სახელს მხოლოდ ნო-  
მინალურად თუ იმსახურებს. ხოლო თუკი პოლიტიკურის ველი უსაზღვროდ  
გაფართოვდება, გადაწყვეტილებების მიღება გაჭირდება, რაც მმართვე-  
ლობას ეფექტურობას დაუკარგავს.

სამი სახის პოლიტიკური ძალაუფლება: ა. საკითხის წინ წამოწევა, მისი  
მოქცევა პოლიტიკური განხილვის ველში; ბ. თანამონაწილეობა გადაწყვე-  
ტილების მიღებაში, გავლენის მოხდენა იმაზე, თუ როგორ გადაწყდება მო-  
ცემული საკითხი; გ. ვეტოს დადება, მთლიანად საკითხის ან მისი გადაჭრის  
კონკრეტული ფორმის დაბლოკება და ამოგდება განხილვის პოლიტიკური ვე-  
ლიდან – შეადგენენ, ამდენად, როგორც პოლიტიკური სისტემის, ასევე პო-  
ლიტიკური პროცესის შემადგენელ ნაწილება. ეს ნაწილები შინაარსობრივად  
გადაჯაჭვულია და გადახლართული, ერთმანეთისგან ძნელად გასარჩევი და  
ხშირად ფარულად არსებული, და არა მკაფიოდ არტიკულირებული და  
გაცნობიერებული. სხვა სიტყვებით, ძალაუფლებრივი ბრძოლა ამ სამს შო-  
რის საჭიროებს პოლიტიკის ვირტუალურ, სიმბოლურ რეპრეზენტაციას, სა-  
დაც განხორციელდება ინტერპრეტირება. ეს ველი კი მხოლოდ ნაწილობრივ  
მდებარეობს პოლიტიკური სისტემის შიგნით, და სულ უფრო მეტად გამოდის

## თავი 1.

იმ საჯარო სივრცეში, რომელსაც პოლიტიკური სისტემა არ არეგულირებს (Manin, 1997).

თუკი სამივე კომპონენტს ხალხის ნების, ანუ დემოკრატიის შემადგენელ ნაწილებად ჩავთვლით, მათ შორის სიმბოლური ბრძოლის ველს შესაძლოა რეპრეზენტაციის ველი ვუწოდოთ. თუმცა ამგვარი განმარტება შესაძლოა დამაბნეველი აღმოჩნდეს. როგორც ნარმომადგენლობითი, ასევე პირდაპირი დემოკრატია საჭიროებენ პოლიტიკურის არტიკულირებასა და მათზე მსჯელობას გადაწყვეტილების მიღებამდე. შეიძლება შევეკამათოთ იმ ავტორებს, რომლებიც გადაწყვეტილებების საჯაროობას და წინასწარი განხილვის საჭიროებას მხოლოდ ნარმომადგენლობით, და არა პირდაპირ დემოკრატიას მიაწერენ. (ნარმომადგენლობით დემოკრატიაში, გადაწყვეტილებები, მანინის მიხედვით, საჯარო გადაწყვეტილებები დებატების გზით განისჯება (Manin, 1997, გვ.17). აქ, და შემდგომ, როდესაც ვლაპარაკობთ რეპრეზენტაციაზე, ხშირად ვგულისხმობთ სიმბოლურ განსაჯაროებას, ვირტუალური სურათის დახატვას, რაც აუცილებელია როგორც პირდაპირი, ასევე ნარმომადგენლობითი დემოკრატიის პირობებში. არჩევითი მმართველობა ამ სურათს მხოლოდ ერთი მნიშვნელობით ცვლის: ის მას პარტიკულარიზმის განზომილებას ამატებს იმით, რომ სუბიექტებს (პოლიტიკურ ლიდერებს) თავად დღის წესრიგად და პოლიტიკური ინტერპრეტაციის სიმბოლოებად აქცევს.

შემდგომში ჩვენ ვაპირებთ, მათემატიკური მოდელირების გამოყენებით, ვაჩვენოთ, რომ სამივე ტრადიცია, სამივე შემადგენელი ნაწილი, რომლებზედაც ამ თავში გვქონდა ლაპარაკი, თანაარსებობენ როგორც ერთიანი დემოკრატიული დინამიური პროცესის ნაწილები, სადაც ხალხის ნება ვითარდება სივრცეში და დროში როგორც ყველა კომპონენტის ერთიანობა – საკითხის დაყენებიდან გადაწყვეტილებაზე ვეტოს დადებამდე. ამდენად, კონსტიტუცია და ადამიანის უფლებები ჩვენი მოდელის თანახმად, ნარმოადგენენ დემოკრატიის ნაწილს, ხალხის ნებიდან მომდინარეობენ, და არა გარედან მას ზღუდავენ.

თუმცა, ვერც კონსტიტუციონალიზმი და ვერც ადამიანის უფლებები ვერ უზრუნველყოფენ კონკრეტული ინსტიტუციური პოლიარქიის ფუნქციონირებას დემოკრატიის ნორმატიულ იდეალებთან სრულ შესაბამისობაში. მეტიც, შეიძლება ვივარაუდოდ, რომ იმ ინსტიტუციური ფორმით, რომელიც დღესდღეობით არსებობს, პოლიარქიების სულ უფრო განწირულები არიან დაშორდნენ ამ იდეალს.

ვინაიდან უმრავლესობები ცვალებადია, და მათი შემადგენლობა და პროგრამები დინამიურად იცვლება, სავსებით შესაძლებელია, რომ არსებობდეს საზოგადოების გარკვეული ჯგუფი (თუნდაც მეტად ვიწრო) რომელიც ყოველთვის რჩებოდეს იმ კოალიციის შემადგენლობაში, რომელიც ყოველი მომდევნო არჩევნების შედეგად იმარჯვებს. თუკი ასეთი ჯგუფი არსებობს, მას დომინანტურ ელიტას ვუწოდებთ. ასევე შესაძლებელია, რომ საზოგადოებაში არსებობდეს ისეთი ჯგუფი (ასევე ვიწრო), რომელიც ვერასდროს ვერ აღწევს წარმატებას და ყოველი მომდევნო არჩევნების შედეგად უმცირესობაში რჩება. ასეთ ჯგუფს დისრიმინირებულ უმცირესობად მოვიხსენიებთ. არც კონსტიტუცია და არც ადამიანის უფლებები არ ზღუდვავენ საზოგადოებაში დომინანტური ელიტებისა და დისკრიმინირებული უმცირესობების არსებობას.

თუკი საზოგადოებაში არსებობს დომინანტური ელიტა და/ან დისკრიმინირებული უმცირესობა, შეგვიძლია თუ არა ვუწოდოთ ამგვარ პოლიტიკურ სისტემას დემოკრატია, თუნდაც ის ეფუძნებოდეს ყველა იმ ინსტიტუციურ მახასიათებელს, რომელიც ლიბერალურ კონსტიტუციურ სა-არჩევნო რეჟიმს მოეთხოვება? ქაოსის შესაძლებლობაც რომ გამოირიცხოს, რა მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ამ შემთხვევაში მოცემულ რეჟიმს, რომელიც შესაძლებელია მაღალი სტაბილურობით გამოირჩევა, უმრავლესობის მოთხოვნებს აკმაყოფილებს და უმცირესობას (ინდივიდუალურ უმრავლესობის ტირანიისგან იცავს?

ადვილი დასანახია, რომ ამგვარი მდგომარეობა, თუნდაც საშუალოვადიან პერსპექტივაში, წარმოადგენს არა გამონაკლისს, არამედ წესს სა-არჩევნო დემოკრატიის ფუნქციონირებაში. ვინაიდან საკითხები, რომელიც პოლიტიკურის სტატუსს იმსახურებენ, ანუ კოლექტიური გადაწყვეტილებების საგანი ხდება, მოიცავენ არა ყველაფერს, არამედ სოციალურად, ეკონომიკურად და კულტურულად ფორმირებულ შეზღუდულ ველს. ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს ლირებულებრივი იერარქია, რომელიც საკმაოდ სტაბილურია და კულტურულად სპეციფიური. ამ იერარქიიაში არსებული ძალაუფლებრივი ურთიერთობები სცილდება პოლიტიკური სისტემის საზღვრებს და ატარებენ სტრუქტურულ, და არა სისტემურ ან ინსტიტუციურ ხასიათს.

“ხალხის ნება” არ არის „კომუნიზმი“, სადაც ყველას აქვს თანაბარი პოზიტიური შესაძლებლობა მიაღწიოს სასურველს. დემოკრატიული მმართველობა არ მოიცავს სამართლიანობის სრული განხორციელების დანაპირებს. მდიდარ და გავლენიან ელიტებს აქვთ რესურსები, რომელიც მათ პოლიტიკურ გავლენიანობას ზრდის. სტრუქტურული ძალაუფლებრივი უთანასწო-

## თავი 1.

რობერტი, რომლებიც არსებობს საზოგადოებაში, წარმოადგენენ სოციალური კონტრაქტის, ხალხის ნების ნაწილს, და არა მის ალტერნატივას.

გამოდის, რომ პოლიტიკის დღის წესრიგი, ის რაც პოლიტიკური სისტემის ფარგლებში, კოლექტიური პროცესის შედეგად განიხილება, თავად ფორმირებულია ძალაუფლებრივი ურთიერთობებით, რომლებიც შორს სცილდება კონსტიტუციით რეგულირებული არეალის ფარგლებს. ხომ არ უნდა დავასკვნათ, რომ კონსტიტუციურად ფორმირებული „დემოკრატიის“ მდგრადობა და ავკარგიანობა არსებითად არის დამოკიდებული იმ ისტორიულ გარემოზე, რომელშიაც ის წარმოიქმნა და განვითარდა? ხომ არ მოხდება ისე, რომ სოციალური ტრანსფორმაციის ტრაქტორია მიგვიყვანს იქ, სადაც კონსტიტუციით რეგულირებული ძალაუფლება აღარ იქნება საკმარისი რათა სისტემაში იმუშაოს?

და ხომ არ არის დამდგარი ეს მომენტი უკვე ახლა, როდესაც წარმომადგენლობის ლოგიკას თანდათან ცვლის ლიდერობის ლოგიკა? როდესაც დღის წესრიგის ფორმირების ძალაუფლება უფრო მნიშვნელოვანი ხდება ვიდრე მედიანური პრეფერენციის დაკმაყოფილება?

### დინამიური დემოკრატია

თანამედროვე პოსტმოდერნულ და გლობალიზებულ სამყაროში მთავარი პოლიტიკური პრობლემა არის საკითხი იმის თაობაზე, თუ რა არის „პოლიტიკური“ პრობლემა. რა არის და რა არ არის ის, რაც უნდა გადაწყდეს პოლიტიკური გზებით, და ვინ უნდა გადაწყვიტოს ეს იმ ვითარებაში, როდესაც ეკონომიკის მართვა სულ უფრო ტექნოკრატიულია, ხალხის სუვერენიტეტი გაცდენილია ერი-სახელმწიფოს საზღვრებს, ვირტუალური საჯარო სივრცე გლობალიზებულია ხოლო ადგილობრივი, ნაციონალური და ზე-ნაციონალური ძალაუფლებები გადახლართული.

ლიბერალურმა ტრადიციამ, რომელმაც „ხალხი“ და „უმრავლესობა“ ერთმანეთში ათქვითა და დემოკრატიის ცნება უმრავლესობის ცნებასთან გააიგივა, საკმაოდ გაართულა იმის დანახვა, რომ დემოკრატიის ეს ხედვა წარმოადგენს არა ემპირიულ, არამედ ნორმატიულ მტკიცებულებას. საუკუნეების მანძილზე ამ დებულებაზე დაყრდნობით მიმდინარეობდა მუდმივი ბრძოლა იმისათვის, რომ ის რეალობად ქცეულიყო.

ლიბერალური დემოკრატია იცავს ინდივიდის ნეგატიურ თავისუფლებას როგორც მონარქიის, ასევე უმრავლესობის დიქტატისგან (პროტექციული დემოკრატია, Held , 2006, გვ.77). პოზიტიურ თავისუფლებას ის მხოლოდ არჩევნებში აგრეგირებულ კოლექტიურ ნებად ინკორპორირებს:

“თავისუფლების ძირითადი ელემენტი მომდინარეობს ინდივიდის რეალური შესაძლებლობიდან, განახორციელოს სხვადასხვა მიზნები და მოქმედების წესი („პოზიტიური თავისუფლება“). ეს ცნება არ იყო სისტემატურად განვითარებული ჩვენს მიერ განხილული ლიბერალური ტრადიციის მიერ...“ (Held, 2006, გვ. 78).<sup>12</sup> საზოგადოებრივი სიკეთე ამ ტრადიციაში ფიგურირებს როგორც კერძო სიკეთების აგრეგატი.

სსაზოგადოებრივმა არჩევანმა დღის წესრიგი ჩართო დემოკრატიის საერთო სურათში როგორც პროცედურული პრობლემა, რომელსაც არა აქვს სუბსტანციური მიკუთვნებულობა არც კერძო და არც საზოგადოებრივ სიკეთესთან, როგორც ელემენტი, რომელიც კერძოსა და საზოგადოებრივის მიმართების განსაზღვაში მონაწილეობს. ამ ხედვისგან განსხვავებით, ჩვენ დღის წესრიგის როგორც პროცედურულ ასევე სუბსტანციურ მნიშვნელობას ვანიჭებთ. საკითხები, რომლებიც საზოგადოების და პოლიტიკის დღის წესრიგშია მოქცეული, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენენ, საერთო სიკეთედ იქცევიან. დღის წესრიგი წარმოადგენს საზოგადოებრივი სიკეთის არააგრეგირებულ ფორმას. კონკურენცია დღის წესრიგის განსაზღვრის ძალაუფლების მოსაპოვებლად წარმოადგენს ბრძოლას საზოგადოების საერთო ნების რაობის განსასაზღვრად. ინტერპრეტაციების დისკურსული სივრცე კი კერძო პრეფერენციებისა და საერთო სიკეთეებს შორის მიმართებებს მრავალფეროვან, პლურალისტულ ხასიათს სძენს. სამივე ერთად, კერძო, საზოგადოებრივი და მათი მიმართებების ინტერპრეტაციების სიმრავლე, ქმნიან დემოკრატიას ფართო გაგებით, რომელიც ვითარდება დროში და სივრცეში, და ამ დინამიკაში ქმნის საკუთარ ინსტიტუტებს, კონსტიტუციებსა და თამაშის წესებს.

სუბსტანციისა და პროცედურის ერთ დინამიურ მოდელში გაერთიანება განსაკუთრებით სასარგებლოა მაშინ, როდესაც სისტემაში ხდება მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ცვლილებები. ის გვეხმარება გამოვასწოროთ ახალი (ანი უკვე კლასიკური) ინსტიტუციონალიზმის პრობლემა – მისი უუნარობა ახსნა ინსტიტუციური ცვლილებების დინამიკა. ინსტიტუტების გააზრება მათ მნიშვნელობებთან (ინტერპრეტაციებთან) და დღის წესრიგისთვის ბრძოლასთან ერთად იძლება სისტემური (ინსტიტუციური) ცვლილების მოდელირების შესაძლებლობას. ის, რომ კერძო პრეფერენციების ინტერპრეტირება ხდება არააგრეგირებადი საერთო სიკეთეებზე ორიენტირებით, ავსებს სურათს ინსტიტუციურიდან სტრუქტურულამდე.

<sup>12</sup> „A core element of freedom derives from the actual capacity to pursue different choices and courses of action (“positive freedom”). This notion was not developed systematically by the liberal tradition we have considered . . . „

## თავი 1.

---

პოლიტიკური გადაწყვეტილებები, ხმის მიცემით დაწყებული კანონის მიღებით დამთავრებული, არ არის დეტერმინირებული ფორმალური პოლიტიკური ინსტიტუტების მიერ. მათ ასევე განაპირობებენ ის მნიშვნელობები, რომლებიც ყალიბდება საჯარო სივრცეში. თავად პოლიტიკური სისტემა თავის ინტერპრეტაციას და მნიშვნელობას იძენს საჯარო დისკურსში, რაც განაპირობებს მის ქმედითობას, მდგრადობას და ფუნქციონირების ხასიათს. მნიშვნელობებით მანიპულირება და მათზე ზემოქმედება არსებითი ფაქტორია ინსტიტუტების ფუნქციონირების ხასიათის ფორმირებისთვის და მათი გარდაქმნისთვის.

საქართველოსთვის, რომლის პოლიტიკური სისტემა ამგვარი ინსტიტუციური ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბდა, ინტერპრეტირებამ პოლიტიკის ცენტრალური ადგილი დაიკავა. ინტერპრეტირებების ბრძოლა კი უაღრესად პოლარიზებულ, პოპულისტურ და ნეგატივისტურ პოლიტიკურ პროცესს ქმნის.

## თავი 2.

# პოლიტიკის სამი იდეალური ტიპი და მათი მათემატიკური მოდელირება; საქართველოს შემთხვევა

### მარინა მუსხელიშვილი, ივანე კეჭაყმაძე

**პოლიტიკური კონკურენციის სივრცული მოდელირება და არსებული ხედვის ნაკლოვანებები**

იყო დრო, როდესაც ადამიანებს ეგონათ რომ დედამიწა ბრტყელია, და სამი სპილოს ზურგებს ეყრდნობა. ემპირიული რეალობის ანალიზმა კაცობრიობა დედამიწის ამ ბრტყელი მოდელის უარყოფამდე მიიყვანა. ამჟამად ვიცით რომ ის მრგვალია, და არა ბრტყელი. ჩვენი აზრით, დაახლოებით ამ რიგის აღმოჩენა დგას საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის დღის წესრიგში. საზოგადოებრივი არჩევანი საზოგადოების ბაზისურ მოდელად იყენებს სიბრტყეს. ხოლო სამი არატრანზიტული ლირებულება, რომელიც ფიგურირებს ეროუს შეუძლებლობის თეორემაში, წააგავს იმ სამ სპილოს, რომლებსაც საზოგადოების სტაბილური არსებობა უნდა დაეფუძნოს. რთული მათემატიკური აპარატი, რომელიც შემდგომ ათწლეულებში თეორიის ფარგლებში განვითარდა, ამ არასტაბილური მოდელის გამყარების პირობების დადგენას მოხმარდა.

“არჩევნების სივრცული თეორია ეფუძნება დაშვებას იმის თაობაზე, რომ ამომრჩეველთა და კანდიდატთა პოლიტიკური პოზიციები შესაძლოა პოლიტიკური საკითხებით ფორმირებული სივრცის წერტილებად იქნას ნარმოსახული, ხოლო ამომრჩეველთა მიერ კანდიდატების პოზიციების შეფასება გაიზომოს როგორც მანძილი ამომრჩეველსა და კანდიდატს შორის ამ სივრცეში. თუკი კანდიდატებს შეუძლიათ იმოძრაონ ამ სივრცეში, თეორიის დანიშნულებაა ინინასწარმეტყველოს თუ სად განლაგდება თითოეული კანდიდატი, რომელსაც არჩევნების მოგების სურვილი გააჩნია.“ (Enelow, 1989).<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> „The spatial theory of elections is based on the premise that the policy positions of voters and candidates can be represented by points in an issue space and that a voter's evaluation of a candidate's policy positions is measured by the distance between voter and candidate in this space. If candidates have spatial mobility, the purpose of the theory is to predict where

## თავი 2.

ნინა თავში ჩვენ ვილაპარაკეთ იმაზე რომ შეუძლებლობის თეორემები დემოკრატიის იდეალის, სადაც ხალხი მართავს და არა მხოლოდ აკონტროლებს ხელისუფლებას, თეორიულ განუხორციელებლობას ამტკიცებენ. სავარაუდოდ, ეს მტკიცებულება გაზვიადებულია. დემოკრატიის თეორიული დასაბუთება და მისი მათემატიკური მოდელირება ერთმანეთთან ქათმისა და კვერცხის კავშირში იმყოფება. მათემატიკური მოდელი იძლევა თეორიული ხედვების ვერიფიკაციის შესაძლებლობას, მაგრამ თავად წარმოადგენს თეორიას, ვინაიდან აუცილებლობით ეყრდნობა დაშვებებს, აქსიომებს, რომლებიც თავის მხრივ თეორიულ ხასიათს ატარებენ. თუკი ამგვარი დაშვებები ემპირიულად არარელევანტურია, მოდელის სარგებლიანობა ხდება სათუო.

მოცემულ თავში ჩვენ ვეცდებით ავაგოთ საზოგადოების ახალი მოდელი, რომელიც ეყრდნობა ვარაუდს იმის თაობაზე, რომ სამყარო (საზოგადოება) მრგვალია.<sup>2</sup> ამიტომაც არსებობს ჰორიზონტი, წარმოსახვითი უსასრულობის ხაზი, რომელიც ხედვის არეალის საზღვარს წამოადგენს და რომლის გადაკვეთა შესაძლებელია. როდესაც მრგვალი საზოგადოება პროეცირდება ბრტყელ ზედაპირზე, ის უნდა გავიაზროთ როგორც რეპრეზენტირებული, და არა წამდვილი. მასში წერტილებს შორის მანძილი დამოკიდებულია პროეცირების ხასიათზე. საზოგადოების წევრები (ინდივიდები) ემხრობიან რეპრესენტაციის (პროეცირების) საკუთარ სასურველ გზას, რაც მათ დღის წესრიგის ფორმირებაზე გავლენას ანიჭებს. მიგვაჩნია, რომ ამგვარ მოდელს დემოკრატიის პრობლემის გადაჭრა შეუძლია, ვინაიდან დღის წესრიგის ფორმირების ძალაუფლების გადანაწილება საზოგადოების წევრებს შორის გამორიცხავს მანიპულირების შესაძლებლობას.

საარჩევნო ქცევის სივრცული მოდელები იყენებენ ევკლიდურ სივრცეს, რომლის კოორდინატთა ღერძები შეესაბამება ამომრჩეველთა პოლიტიკური პრეფერენციების კონტინუუმს რომელიმე პოლიტიკური საკითხის მიმართ. ამომრჩევლის პოლიტიკური პოზიცია აღინიშნება წერტილით, რომლის კოორდინატები მის პრეფერენციებს შეესაბამება. ამომრჩეველს აქვს რაციონალური უნარი შეადაროს საკუთარი პოზიცია სხვა ამომრჩევლის ან საარჩევნო სუბიექტის პოლიტიკურ პოზიციას და ამ შედარების საზომი არის ევკლიდური მანძილი ორ წერტილს შორის. რაც უფრო ახლოა ერთმანეთთან

each candidate will locate in the issue space if he wishes to win the election.“

<sup>2</sup> მას შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერი სხვა ფორმა, სიმრუდე, რაც ქმნის საზოგადოების მოდელირებისას არაეველიდური გეომეტრიის უფრო დახვეწილი გამოყენების მრავალ ახალ შესაძლებლობას; მოცემულ წაშრომში ჩვენ ამ მიმართულებას უფრო შორს არ ვავითარებთ.

სიპრტყვის წერტილები, მით უფრო ახლოა შესაბამისი პოლიტიკური ხედვები. ამომრჩეველი ალბათურად უფრო განწყობილი იქნება ხმა მისცეს მის სი-ახლოვეს მყოფ კანდიდატს, ვიდრე მის კონკურენტს, რომელის მისგან უფრო დიდი დისტანციითაა დაშორებული. ამომრჩევლისთვის, რომლისთვისაც ღერძებით რეპრეზენტირებული პრეფერენციები ერთმანეთისგან დამოუკიდებელია, თანაბრად მისაღები ან მიუღებელია ყველა ის კანდიდატი, რომლის პოზიცია ამომრჩევლის პოზიციიდან ერთნაირი მანძილითაა და-შორებული (წრენირი, რომლიც ცენტრი ამომრჩევლის პოზიცია). შესაბა-მისად, რაციონალური პოლიტიკური აქტორი, რომელსაც სურს მაჟორი-ტარულ არჩევნებში გამარჯვების მოპოვება, დაინტერესებული იქნება ყვე-ლა ეს მანძილი მინიმუმამდე დაიყვანოს და ეცდება დაიკავოს ისეთი პო-ლიტიკური პოზიცია, რომლის სიახლოვეს იქნება რაც შეიძლება მეტი ამომრჩეველი.

თუმცა, კანდიდატის საგრებლიანობა ამომრჩევლისთვის არის არა თა-ვად მანძილი, არამედ ამ მანძილის გარკვეული ფუნქცია, რომელსაც სარგებლიანობის ფუნქციას უწოდებენ. ეს ფუნქცია სიმეტრიულია კანდი-დატსა და ამომრჩეველს შორის: კანდიდატიც აფასებს ამომრჩევლისადმი დაშორებას, რომელიც ტოლია მისი სარგებლიანობისა ამომრჩევლის თვალში. როგორც წესი, იხილავენ სარგებლიანობის წრფივ ფუნციებს. ასე, X,Y ორგანზომილებიან სიპრტყვეზე განლაგებული V ამომრჩევლებისთვის k კანდიდატის ყველაზე ელემენტარული (წრფივი) სარგებლიანობის ფუნქცია იქნება

$$u(k,v) = a + b||k,v|| \quad (1)$$

სადაც  $b < 0$ , ამდენად რაც მეტია მანძილი მითნაკლებია სარგებლიანობა.

ეს მარტივი ხედვა საწყისი აგურია საარჩევნო ქცევის მათემატიკური მოდელირების დარგში, რომელიც სულ უფრო რთულ თეორემებსა და თეო-რიებს ავითარებს, რათა დაძლიოს მოდელსა და რეალობას შორის არსებული შეუსაბამობები. მოდელის თანახმად, კანდიდატები რაციონალურად სისტე-მის ცენტრისკენ უნდა ისწრაფვოდნენ, თუმცა ნაცვლად ცენტრისკენული ტენდენციებისა, ემპირიკა კანდიდატების ცენტრიდანულ ქცევას აფიქსი-რებს. როდესაც განზომილებები ერთზე მეტია, არჩევნების ეს მოდელი მიღრეკილია ქაოსის წინასწარმეტყველებისკენ, რომელიც პრაქტიკაში არ დაიკვირვება. ქაოსის ფენომენის დაძლევის გზას წარმოადგენს დამატებითი დაშვებების გაკეთება: მაგალითად ის, რომ კანდიდატისთვის ხმის მიცემის ალბათობა დამოკიდებულია არა მარტო მისი პოზიციის მოწონებაზე, არა-

## თავი 2.

მედ იმაზეც, თუ რამდენად გარკვეულია თუ გაურკვეველი ამომრჩეველი მისი პოზიციის ადგილმდებარეობაში. მოდელის გამოსასწორებლად საჭირო ხდება დამატებითი დაშვების გაკეთება: ამომრჩევლის არაპოლიტიკური განწყობების მხედველობაში მიღება (მოლოდინები, ვალენტობა, პარტიულობა, ა.შ.).

მოდელის დასაბუთების სულ უფრო გართულებამ და მისი გაუმჯობესების გზების ძიებამ ვერ შეცვალა საკვანძო ბლოკი, რომელზედაც ის დგას: ამომრჩევლის პოლიტიკური პოზიციის გაიგივება დეკარტული კოორდინატების ნაკრებთან (წერტილთან მრავალგანზომილებიან სივრცეში), ხოლო პოლიტიკური ქცევის (ხმის მიცემის) – პოლიტიკურ სუბიექტამდე ეკვლიდური მანძილის ფუნქციასთან, რჩება ამ რთული თეორიების სამშენებლო აგურად. იმისათვის, რომ აგურის მოდიფიცირება მოვახერხოთ, საჭიროა გავაანალიზოთ, თუ რას წარმოადგენენ საარჩევნო სივრცის წერტილები, რომლებითაც რეპრეზენტირებულია ამომრჩეველთა სიმრავლე, საარჩევნო სივრცე.

ამისთვის მხედველობაში უნდა მივიღოთ განსხვავება ინდივიდების პოზიტიურ ინტერესებსა (რეალური სამყაროს ფაქტები, აღნიშვნადები) და მათ პოლიტიკურ შეხედულებებს შორის, რომლებიც რეპრეზენტირებული, ინტერპრეტირებული პოლიტიკური სამყაროს ფაქტებს, ნიშნებს წარმოადგენენ.

წარმომადგენლობით (რეპრეზენტაციურ) დემოკრატიაში ამომრჩეველი არ იღებს გადაწყვეტილებებს, არამედ ირჩევს პოლიტიკურ ლიდერს ან პარტიას, რომელსაც ანდობს თავისი სახელით მოქმედებას. ამ აზრით ლიდერი აღნიშნავს, სიმბოლიზირებს იმ პოლიტიკურ დაპირებებს, პროგრამას, პოზიციას, რომელსაც ის სთავაზობს ამომრჩევლებს. მაგრამ ამგვარი რეპრეზენტაცია არ არის ერთადერთი მიზეზი, თუ რატომ უწევს დემოკრატიას სიმბოლოებთან, ნიშნებით ოპერირება. პროგრამების, მოწოდებების, პოზიციების არტიკულირება თავისთავად სიმბოლური კომუნიკაციის აქტია. ამდენად ამომრჩეველი ირჩევს ყველაზე სასურველ აღმნიშვნელებს და არა აღნიშვნადს. მასსა და მის მიერ არჩეულს შორის მოქმედებს კომუნიკაციისა და რეპრეზენტაციის ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების მთელი სისტემა, რომელიც მის არჩევანს გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს.

პოლიტიკური (საჯარო) სივრცე, რომელიც საჯაროდ არტიკულირებულ მოწოდებებს, გადაწყვეტილებებს, პროგრამებს და დებატებს მოიცავს, ამ მნიშვნელობების სტრუქტურირების არეალია. როგორც ამ სივრცის სუბიექტები (პოლიტიკოსები, აქტივისტები, უურნალისტები), ასევე მისი მომხმარებლები (ამომრჩევლები) მონაწილეობენ ამ მნიშვნელობების კო-

დირექტასა და დეკოდირებაში გარკვეული მესიჯებითა და სიმბოლოებით. ამ პროცესში ინდივიდების მოთხოვნილებების გარდაქმნა არტიკულირებულ ინტერესებად არ ხდება ავტომატურად: ის დამოკიდებულია საჯარო სივრცის დღის წესრიგის ფორმირების ძალაუფლებრივ პროცესზე. ასევე ძალაუფლებრივია ინტერპრეტაციის, ინტერესების დაჯგუფების და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან მათი დაკავშირების პროცესი.

მაშინაც კი, როდესაც საწყისი პირობები იდეალურად დემოკრატიულია – ყველას აქვს თანაბარი უფლება და შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს რეპრეზენტაციული სივრცის დღის წესრიგის ფორმირებაში, ნინდანინ ცნობილია, რომ საწყისი მრავალფეროვნებიდან პოლიტიკის დღის წესრიგში გადავა საკითხების მხოლოდ სასრული რაოდენობა.

“არც ერთ საზოგადოებასა თუ ინსტიტუტს არ შეუძლია ერთდროულად რამდენიმე საკითხზე მეტ რაოდენობას ყურადღება მიაქციოს. ახალ ამბებში, საზოგადოებაში და ნაირნაირ პოლიტიკურ ინსტიტუტებში ყურადღების რესურსი უაღრესად შეზღუდულია.” (McCombs, 2004. გვ. 38.)<sup>3</sup>

რაც არ უნდა „ტევადი“ და მრავალფეროვანი იყოს საჯარო სივრცე და პოლიტიკური სუბიექტების სპექტრი, მოხდება თემების შეკუმშვა, გაცხრილვა და დაჯგუფება. პოლიტიკურ სივრცეში გადასვლის პროცესში ნაწილი მოთხოვნილებებისა ვერ პოულობენ თავის სიმბოლურ საჯარო შესატყვისს, ნაწილი კი ტრანსფორმირდება სიმბოლოებში, რომლებიც არა ერთ, არამედ მრავალ თემატურ პრეფერენციას შეესაბამება. ყველაზე ზოგადი ფორმით ასეთი სიმბოლური რეპრეზენტატორებია პოლიტიკური იდეოლოგიები, ხოლო ყველაზე შეკუმშული და ტევადი სიმბოლოები ლაგდება ერთგანზომილებიან (პირობითად მემარჯვენეობა -მემარცხენეობის) ღერძზე.

ამდენად, რეალურ დემოკრატიაში ყველა შესაძლო საკითხი თანაბრად არ არის წარმოჩენილი პოლიტიკურ სივრცეში. არა მარტო საჯარო სივრცეა ამ მხრივ „შეზღუდული რესურსი“, თავად ხელისუფლება ვერ აქცევს თანაბარ ყურადღებას ყველა შესაძლო პრობლემას. დემოკრატიული ხელისუფლება არჩევნებიდან არჩევნებამდე მმართველობის პერიოდში მხოლოდ სასრული რაოდენობის გადაწყვეტილებების მიღებას ასწრებს. ამდენად, ამომრჩევლისთვის მნიშვნელოვანია იცოდეს არა მარტო ის, თუ რა პოზიცია აქვს ასარჩევ კანდიდატს, არამედ ისიც, თუ რა საკითხების მოგვა-

<sup>3</sup> But no society and its institutions can attend to more than a few issues at a time. The resource of attention in the news media, among the public, and in our various public institutions is a very scarce one.

## თავი 2.

რეპაზე გააკეთებს აქცენტს, რა მიმდევრობითობით განალაგებს თავის პრი-ორიტეტებს. რეალურ დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემაში რეპრეზენტა-ცია შეზღუდულია, და ის, თუ რა დაექვემდებარება რეპრეზენტირებას, თა-ვად შეიძლება იქცეს პოლიტიკურ საკითხად.

რეპრეზენტაციის პროცესში მრავლობითი თემების დაყვანა ერთ ან რამდენიმე საკითხზე საჭიროებს ისეთი სიმბოლოების წარმოქმნას, რომლე-ბიც ერთდროულად რამდენიმე (ბევრ) დამოუკიდებელ ფაქტორს (ცვლადს) შეესაბამება. პოლიტიკური იდეოლოგია, ლიდერი, სიმბოლო, ლოზუნგი, სა-მოქმედო პროგრამა, განვითარების ორიენტირი თუ დროშა – ყველა ეს პო-ლიტიკური ორიენტირი ერთი მნიშვნელობით გვექნება განხილული -რო-გორც ორი ან რამდენიმე დამოუკიდებელი ფაქტორის ერთმანეთთან და-კავშირების გზა, მათი ურთიერთინტერპრეტირების საშუალება. ასე მაგალი-თად, რაც არ უნდა იყოს განვითარების დღის წესრიგი: „კომუნიზმის აშე-ნება“, „ევროკავშირში ინტეგრაცია“, „პროგრესი“ ან „დიდი საზოგადოება“, ყოველივე ეს სიმბოლო გარკვეულ განზოგადოებულ ინტერპრეტაციას იძლევა ყოველ კონკრეტულ თემასთან მიმართებაში, თუმცა კი ეს ინტერპრეტაციები ხშირად არაცალსახაა, რაზედაც შემდგომში ვიღაპა-რაკებთ.

რომ შევაჯამოთ: როდესაც ხდება „პოლიტიკურის“ მოდელირება სა-არჩევნო სივრცედ, ეს სივრცე არის რეპრეზენტირებული პოლიტიკის სივრცე, სიმბოლური რეპრეზენტაციის გარკვეული პროცესის ამნუთიერი ჭრილი. მისი განზომილებების რაოდენობა სასრულია. ლერძები, რომლებიც პოლიტიკური პრეფერენციების სპექტრს მოდელირებენ, არის სულ რამდე-ნიმე (როგორც წესი, ორი საკმარისია). ისინი ფორმირებულია საზოგადო-ებრივად და საჯაროდ, წარმოადგენენ კოლექტიური პროცესის შედეგს. ადვილი დასანახია, რომ შეიძლება არსებობდეს ინდივიდი/ინდივიდები, რო-მელთათვისაც პოლიტიკურად მნიშვნელოვანი საკითხები სულ სხვა განზო-მილებებითაა სიმბოლიზებული, რომლებიც განზე დარჩა და მიმდინარე პო-ლიტიკის დღის წესრიგში ვერ მოხვდა. ასე მაგალითად, აბსოლუტური მო-ნარქიის მომხრე ამომრჩეველი ნამდვილად ვერ მოძებნის თავის შესაფერის განზომილებას იმ პოლიტიკური დისკურსში, რომელიც თანამედროვე დე-მოკრატიას ახასიათებს. ამდენად, მისი მონაწილეობა პოლიტიკაში და თა-ვისი შესაფერისი რეპრეზენტატორის შერჩევა საჭიროებს სხვა ლერძებზე მისთვის მისაღები შესატყვისის ძიებას. იმისთავის, რომ არ აღმოჩნდეს გა-რიყული მიმდინარე პოლიტიკიდან, ინდივიდი იძულებულია კავშირი დაამყა-როს მისთვის მნიშვნელოვან ხედვასა და საჯარო პოლიტიკურ დისკურს შო-რის. ეს სამუშაო, რომელსაც ამომრჩეველი ასრულებს, მოითხოვს მისგან

სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხებს შორის შესატყვისობებისა და კავშირების დამყარებას, ინტერპრეტაციას. მისი ადგილმდებარეობა საარჩევნო სიბრტყეზე ამგვარი მუშაობის შედეგია, ანუ ამომრჩევლის პოზიცია, მისი შესაბამისი წერტილი არის არა ამომრჩეველი, არამედ მისი პრეფერენციის ინტერპრეტირება იმ განზომილებებით, რომლებიც მის მიერ დადგენილი არ არის.

რიგითი ამომრჩეველი, თუნდაც ის არ იყოს აქტივისტი, მეტია ვიდრე პოლიტიკის სტატიკური ობიექტი – ის უფრო პრეფერენციების ლოკალური (ინდივიდუალური) სტატისტიკური გადანაწილების წონასწორობის ცენტრს წააგავს. ის აყალიბებს საკუთარ პოზიციას სხვების მიერ შემოტანილი დღის წესრიგის მიმართ, ახდენს საკუთარი თავის თვითრეპრეზენტაციას, თვითინტერპრეტაციას მანამ, სანამ ის მისთვის მისაღებ პოლიტიკურ პოზიციას და შესაბამის კანდიდატს შეარჩევს. ამისთვის მას უნდა ჰქონდეს უნარი შეადაროს ერთმანეთს განსხვავებული საკითხები, დაინახოს ალტერნატივები და გამოიმუშაოს საკუთარი პრიორიტეტები. სხვა სიტყვებით, ამომრჩეველი უნდა ფლობდეს ინტერპრეტაციისა და დღის წესრიგის ფორმირების უნარებს. ის ამისთვის საკუთარ პრეფერენციებს შორის იერარქიული მიმართებას აყალიბებს საკუთარი ინტერების, მსოფლმხედველობისა და მიზეზ-შედევობრივი კავშირების ხედვის შესაბამისად. მისი ადგილმდებარეობა საარჩევნო სივრცეზე, ამდენად, არის მისი ინდივიდუალური ხედვების ფუნქცია, რომელსაც განაპირობებს არა მხოლოდ პრეფერენციების სასრული სიმრავლე, არამედ პრეფერენციების უფრო ფართო სიმრავლეში იერარქიული ურთიერთდამოკიდებულების ხედვა.

იგივე ეხება პოლიტიკურ სუბიექტებს, იმ განსხვავებით, რომ თუკი ამომრჩევლის პოზიციის დასაბუთება ლატენტურია და მის შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მხოლოდ საბოლოო შედეგით – სოციოლოგიურ კვლევაში კითხვებზე გაცემული პასუხებით ან არჩევნებში ხმის მიცემით, პოლიტიკური სუბიექტის არგუმენტაცია ჩანს (უნდა ჩანდეს) საჯარო სივრცეში; პოლიტიკური სუბიექტის პრეფერენციების მიმართება მისი დღის წესრიგის პრიორიტეტებთან დისკურსულად არის გამოხატული.

ამომრჩეველთა ქცევის მოდელირებაში ყოველივე ეს მხედველობაში არ მიიღება ხოლმე. დღის წესრიგის ფორმირება როგორც პოლიტიკური ძალა-უფლების გარკვეული ნაირსახეობა, ფართოდ განიხილება კოლეგიების კვლევებში, სადაც პოლიტიკის სუბიექტთა შედარებით შეზღუდული რაოდენობა ერთმანეთთან სტრატეგიულ თამაშებს ეწევა. მაგრამ საკმაოდ უცნაურად, მასობრივი დემოკრატიის ფუნქციონირებაში, საარჩევნო კვლევებში, დემოკრატიის მთავარი სუბიექტი -ამომრჩეველი – იხილება შეკვე-

## თავი 2.

ცილი პოლიტიკური როლით. ის ხასიათდება მხოლოდ პრეფერენციებით სხვების მიერ ფორმირებული დღის წესრიგის მიმართ, ანუ აფასებს მხოლოდ გარკვეული პოლიტიკური პროცესის შედეგს, მაგრამ არ არის ამ პროცესის თანამონაწილე და მასზე ზეგავლენის მომხდენი.

როდესაც ვლაპარაკობთ სხვების მიერ ფორმირებულ დღის წესრიგზე, შეგვიძლია, მათ შორის, ვიგულისხმოთ ის სოციოლოგიური კითხვარი, რომლითაც რესპოდენტის პოზიციას განსაზღვრავენ ამომრჩეველთა ქცევის კვლევების პროცესში. ნებისმიერი დახურული კითხვა, რომელსაც ის მოიცავს, წარმოადგენს როგორც დღის წესრიგს (მკვლევარის მიერ ფორმულირებულს), ასევე ინტერპრეტაციას (რომელიც განპირობებულია არჩევანით შესაძლო პასუხების სიმრავლიდან). ამდენად, სინამდვილეში, ის პრეფერენციები, რომლებსაც ამომრჩეველი ავლენს გამოკითხვისას ან არჩევნების მომენტში, უნდა იყოს გაგებული არა როგორც მისი პრე-პოლიტიკური, პოზიტიურად არსებული საჭიროება, არამედ როგორც მისი თვითრეპრეზენტაცია იმ სივრცეში, რომელსაც მას სთავაზობს პოლიტიკური ვითარება.

დღის წესრიგზე გავლენის სურვილის არმქონე მოდელირებული სუბიექტი რომ ნაკლოვანია, ამაზე მეტყველებს ქაოსის თეორემა, რომელიც ადგენს პრეფერენციებისა და დღის წესრიგის ურთიერთმიმართების პარადოქსს. როგორც წინა თავში ავლნიშნეთ, ქაოსის თეორემის თანახმად, დღის წესრიგის ძალაუფლებას მოკლებული ამომრჩევლები შეიძლება გახდნენ მანიპულირების საგანი მათი მხრიდან, ვინც ამგვარი ძალაუფლებით აღჭურვილია. თუკი დღის წესრიგს ადგენს არა საზოგადოება, არამეს პოლიტიკური ელიტა, ქაოსის თეორემა ფაქტიურად დემოკრატიის შეუძლებლობას ქადაგებს.

ამომრჩევლის განხილვა უფრო სრულფასოვან პოლიტიკურ სუბიექტად გვაძლევს შესაძლებლობას დავძლიოთ როგორც ქაოსის პარადოქსი, ასევე ავსენათ სხვა შეუსაბამოები მოდელსა და ემპირიულ რეალობას შორის.


### **ახალი მოდელი: პრეფერენციების, დღის წესრიგის და ინტერპრეტაციის მოდელირება ერთობლივად**

იმისთვის, რომ გადავიდეთ ახალ მოდელზე, უნდა შევცვალოთ ტრადიცული ხედვის ზოგიერთი ბაზისური დაშვება. ჩვენ ვრჩებით რაციონალური არჩევანის თეორიის ფარგლებში, და თამაშის ინსტიტუციურ წესად მივიჩნევთ ამომრჩეველთა ხმების აგრეგირებისთვის სტრატეგიულ ბრძოლას, რომელიც მაჟორიტარულ პრინციპს ეყრდნობა. მაგრამ ჩვენ ამომრჩევლებს

დამატებით პოლიტიკურ მახასიათებლებს მივაწერთ, რომლებიც არ ფიგურირებს ტრადიციულ მოდელში. ეს მახასიათებელი არის მისი პრეფერენცია დღის წესრიგითან დაკავშირებით და ინტერპრეტაციის ინდივიდუალური უნარი. ამომრჩევლის რაციონალურობის ველი, ამდენად, იზრდება: მას აქვს პასუხი არა მხოლოდ კითხვაზე „რა“, არამედ კითხვებზე „რა, როგორ და რატომ“.

მათემატიკურად, ამ მახასიათებლის დამატება მოითხოვს მათემატიკური მოდელის აქსიომატიკის შეცვლას: დეკარტული სივრციდან პროექციულ სივრცეზე გადასვლას.

### სურათი 2.1. სიბრტყის პროეცირება, პროექციული გარდაქმნა




ძირითადი სხვაობა დეკარტულ და პროექციულ სივრცეებს შორის შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: დეკარტული გეომეტრია აღწერს გეომეტრიულ ობიექტებს ისეთებად, როგორებიც ისინი არიან, ხოლო პროექციული გეომეტრია – ისეთებად, როგორებადაც ისინი ჩანან. ამდენად როდესაც ლაპარაკია საჯარო სივრცეში რეპრეზენტირებული პოლიტიკის აღწერაზე, პროექციული სიბრტყე უფრო შესაფერის ინსტრუმენტად გვევლინება. თავად ის ემპირიული მასალა, რომელიც საარჩევნო ქცევის მოდელირებაში გამოიყენება, პროეცირებული ამომრჩევლის შესატყვისია. ის გვაძლევს წარმოდგენას პოლიტიკაზე ისეთად, როგორადაც მას ხედავენ რესპონდენტები.

## თავი 2.

განსხვავება ევკლიდური და პროექციული სიბრტყეებით მოდელი-რებულ პოლიტიკას შორის გეომეტრიულად კარგად ჩანს შემდეგ სურათზე.

თუკი ვიმყოფებით ტრადიცულ ევკლიდურ სიბრტყეზე, პოლიტიკური პოზიციები, წარმოდგენილი  $M$  და  $N$  წერტილებით, განსხვავებულია როგორც  $X$  (პორიზონტალური), ასევე  $Y$  (ვერტიკალური) ღერძებით მოდელი-რებული პრეფერნეციების თვალსაზრისით (სურათი 2.2). მაგრამ თუკი შემოვიტანთ პერსპექტივას, და ამ ორ წერტილზე გამავალ წრფეს მოვიაზრებთ როგორც  $Y$  ღერძის პარალელურს, რომელიც ამ ღერძთან წარმოსახვით პორიზონტზე იკვეთება, მაშინ ეს ორი წერტილი განსხვავდება მხოლოდ  $Y$  კო-ორდინატით:

სურათი 2.2.



თუკი  $M$  და  $N$  წერტილებში საარჩევნო სუბიექტები (ლიდერები, პარტი-ები) იმყოფება, ამომრჩეველი პირველ შემთხვევაში ჩათვლის, რომ მათი პოზიციები განსხვავდება როგორც ერთი, ასევე მეორე ღერძის გასწვრივ. ხოლო მეორე შემთხვევაში ის დაინახავს სხვაობას  $Y$  ღერძით გამოხატულ პოზიციებში, და ჩათვლის, რომ  $X$  ღერძით გამოხატული პრეფერნციების მიმართ მათ აქვთ ერთნაირი პოზიცია.

ამდენად, პროექციულ სიბრტყეზე ორი წერტილის ადგილმდებარეობის ცოდნა არაა საკმარისი იმისათვის, რათა მათ შორის არსებული პოლიტიკური სიახლოვე ან სიშორე განვსაზღვროთ. საჭიროა აგრეთვე ვიცოდეთ სიბრტყის გეომეტრია (მეტრიკა) და „ხედვის კუთხე“, რომლითაც ეს მანძილი ფასდება სუბიექტების მიერ.

ევკლიდურ გეომეტრიაში მანძილი ორ წერტილს შორის ინვარიანტულია კოორდინატების ნებისმიერი გარდაქმნის მიმართ, ამდენად, ის შესაძლოა იყოს გამოყენებული სუბიექტებს (ევკლიდური წერტილებს) შორის

## პოლიტიკის სამი იდეალური ტიპი და მათი მათემატიკური მოდელირება...

პოლიტიკური პოზიციების სხვაობის/მსგავსების საზომად. „დეკარტული“ სუბიექტის ავტონომიას უზრუნველყოფს მისი უნარი „გაზომოს მანძილი“ და დაიკავოს პოზიცია ამ ინფორმაციიდან გამომდინარე.

პროექციულ გეომეტრიაში მანძილი აღარ არის ინვარიანტი, ის და-მოკიდებულია „ხედვის კუთხეზე“. არაფორმალურად რომ აღვწეროთ, ორი განსხვავებული პოლიტიკური პოზიციის შედარება საჭიროებს არა მარტო მათი ადგილმდებარეობის ცოდნას, არამედ იმ წარმოსახვითი რეალობის ინტერპრეტირებას, რომელშიაც ისინი არიან წარმოდგენილი. ის, რაც ხედვის კუთხის, ანუ პერსპექტივის არჩევის მიმართ ინვარიანტულია, არის წერტილებს შორის მანძილების „ორმაგი თანაფარდობა“, რომელიც არა ორი, არამედ ოთხი კოლინეარული (ერთ წრფეზე მდებარე) წერტილის ურთი-ერთმიმართებას ეყრდნობა.

შესაბამისი მათემატიკური მოდელის ახსნას ჩვენ ვიწყებთ ტრადიციულ, ერთგანზომილებიან, მემარჯვენე-მემარცხენე ხედვასთან მისი შედარებით. შემდეგ ორგანზომილებიან სიბრტყეზე გადავალთ.

### **პროექციული კოორდინატების შემოტანა**

პოლიტიკური სპექტრის მოდელირება ერთი განზომილების გასწვრივ, სადაც ერთ მხარეს მემარცხენე, ხოლო მეორე მხარეს მემარჯვენე პოლიტიკური განწყობებია განთავსებული, ტრადიციულია როგორც პოლიტიკის ოე-ორიაში, ასევე პრაქტიკაში. როგორც ამომრჩევლები, ასევე პოლიტიკური პარტიები და ლიდერები შესაძლოა, ამ მოდელის მიხედვით, განვალაგოთ შე-ხედულებათა გარკვეულ ერთგანზომილებიან სკალაზე. ცენტრში მოხვდებიან უფრო ცენტრისტული განწყობები, ცენტრიდან შორ პოზიციებს დაიკავებენ რადიკალურად მემარჯვენე და მემარცხენე განწყობები. ამ წრფეზე მანძილი ორ პოზიციას შორის ასახავს ამ პოზიციების სიახლოვესა ან სი-შორეს. ითვლება, რომ ამომრჩეველი სავარაუდოდ მისცემს ხმას იმ პოლიტიკოსს ან პარტიას, რომლის პოზიცია მის პოზიციასთან ყველაზე ახლოსაა განლაგებული.

როგორ ნაწილდებიან ამომრჩევლები ამ პოლიტიკური წრფის გასწვრივ, უნდა განაპირობებდეს როგორც შესაბამისი პოლიტიკური ძალების გა-მაჯვება-დამარცხებას არჩევნებში, ასევე მათ საარჩევნო სტრატეგიებს - მცდელობებს, დაიკავონ ის პოზიცია, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მოუტანს.

თუკი ამომრჩევების განლაგება ე.წ. ნორამლურია, ანუ ყველაზე მეტი ამორჩეველი ცენტრშია განლგაგებული, მაშინ ყველაზე მომგებიანი პო-

## თავი 2.

ზოცია ამ ცენტრის დაკავებას ნიშნავს (მედიანური ამომრჩევლი თეორემა). ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ცენტრალურ პოზიციას იკავებს, მოზიდავს ხმებს როგორც მარცხნიდან, ასევე მარჯვნიდან და მეტობის პრინციპით აჯობებს ნებისმიერ სხვა კანდიდატს, რომელიც ამ ცენტრიდან ოდნავ მაინც არის გადახრილი. ამ დაკვირვებას ეფუძნება ე.წ. დოუნსიანური პრინციპი, რომლის მიხედვითაც საარჩევნო დემოკრატიებში უნდა დაიკვირვებოდეს ცენტრისკენული ტენდენცია. პარტიები, რომლებიც გამარჯვებისთვის იბრძვიან, უნდა მოძრაობდნენ პერიფერიებიდან ცენტრისკენ, ვინაიდან სხვანაირად მათ მოელით დამარცხება სხვა, უფრო ალლიანსი კონკურენტების მხრიდან. შესაბამისად, იდეოლოგიური განსხვავებები უნდა ქრებოდეს, ხოლო ძირითადი პოლიტიკური პარტიები უნდა ემსგავსებოდნენ ერთმანეთს იმ პრეფერენციებში, რომლებსაც ისინი რეპრეზენტირებენ.

ამგვარ მოდელში უფრო არსებითია მანძილები სასრულ წერტილებს შორის, ვიდრე მიმართულებები; ითვლება, რომ წრფის ვირტუალური ბოლოები (ან ერთი ბოლო; თუკი ჩავთვლით რომ წრფე წრენირის პროეცირებით მივიღეთ, ბოლოები უსასრულობაში ერთ წერტილში იკვეთება) საარჩევნო ქცევაში როლს არ თამაშობენ. ორი პრეფერენციიდან,  $X_1$  და  $X_2$ , ამომრჩეველი  $x$  ირჩევს იმას, რომელიც მასთან უფრო ახლოა,  $X_1$ -ს (სურათი 2.3).

### სურათი 2.3.



თუმცა, უსასრულობის წერტილი ამ მოდელში არ არის უაზრო. ის წარმოადგენს წყალგამყოფს – დღის წესრიგის მაფორმირებელ წყაროს, რომელიც განსაზღვრავს ყველა პრეფერენციის ადგილმდებარეობას წრფეზე. წრფის უსასრულო ბოლოებისთვის დარქმეული სახელები (მემარცხენე და მემარჯვენე) განაპირობებდა იმას, თუ სად განლაგდებოდა ესა თუ ის პოლიტიკური პოზიცია, და იმასაც, რომ უსასრულობის ის წერტილი, რომელშიაც ეს ბოლოები ერთდებოდა, წარმოადენდა წყალგამყოფს. პოლიტიკური სპექტრის სხვანაირი ინტერპრეტაციის შემთხვევაში (მაგალითად, რადიკალები – ზომიერები, ლიბერალები – კონსერვატორები, გლობალისტები – ლოკალისტები, სხვა) განლაგება განსხვავებული იქნებოდა.

პრეფერენციების განლაგების განმაპირობებელი დღის წესრიგის რეინტერპრეტირებით შესაძლებელია ნებისმიერი სასრული წერტილი ვაქციოთ წყალგამყოფად (რომელიც ადრე იყო უსასრულობაში). წრფის ნებისმიერი წერტილი შესაძლოა ვაქციოთ ამგვარი ინტერპრეტაციის წყაროდ, თუკი მის მიერ გამოხატულ პრეფერენციას დღის წესრიგის ძირითად საკითხად ვაცევთ. მაგალითად, ადვილად სეგვიძლია წარმოვიდგინოთ სიტუაცია, როდესაც ამგვარი წერტილი არის წრფის სტატუს ქვოს წერტილი. თუკი ვითარება იდეოლოგიზირებულია, წრფის ბოლოები - „იდეოლოგიები“, ან „განვითარების დღის წესრიგი“ - იძენენ მნიშვნელოვან გავლენას საარჩევნო ქცევაზე. ამ ვითარებაში შესაძლებელია, რომ პოლიტიკური კითხვა დასმულია ზოგადი პერსპექტივის ტერმინებში, ხოლო ამომრჩეველი ირჩევს მიმართულებას. მაშინ მდგომარეობა იცვლება. ნულოვანი (სტატუს ქვოს) წერტილი იძენს წყალგამყოფის მნიშვნელობას, რომლის მარჯვნივ და მარცხნივ მდებარე ამომრჩევლები ხმას აძლევენ სხვადასხვა სუბიექტებს. გადამწყვეტი ხდება დინამიკა, მომავალის ხედვა, ანმყო წერტილიდან გადანაცვლების მიმართულება და მისი ინტენსიონი. ამომრჩევლები ირჩევენ სუბიექტს იმის მიხედვით, თუკი ის მდებარეობს წყალგამყოფისგან მათ მხარეს, და არ აძლევენ ხმას მაშინ, თუკი ის მათი მონინააღმდეგების მხარეზეა, რაგინდ პატარა არ უნდა იყოს მანძილი მათსა და სუბიექტს შორის. ამ დინამიურ შემთხვევაში მთავარ როლს ასრულებენ წრფის უსასრულო პოლოები, როგორც პოლიტიკური მომავლის განმსაზღვრელი ფაქტორები. რაც უფრო შორია კანდიდატი ცენტრიდან, მით უფრო მიმზიდველია იმ ამომრჩეველთა თვალში, ვინც მის იდეოლოგიას იზიარებს. ამ შემთხვევაში ამომრჩეველი  $x$  ხმას აძლევს  $X_2$ -ს, მიუხედავად იმისა, რომ  $X_1$  მასთან უფრო ახლოა (სურათი 2.4).

#### სურათი 2.4.



და ბოლოს, თუკი ამომრჩეველი ორივე ლოგიკით ხელმძღვანელობს, მისი საბოლოო პოზიცია წარმოადგენს მათ გარკვეულ თანაფარდობას, ბალანსს. მაგალითად, თუკი პოლიტიკის დღის წესრიგში დადგა „გადასახადების შემცირების“ საკითხი, მოცემულ დერძზე ამომრჩევლის პოზიცია იქნება ბალანსი პირადად მისთვის მოკლევადიან პერსპექტივაში მისაღებ გა-

## თავი 2.

დაწყეტილებასა და ეკონომიკის/საზოგადოების განვითარების მისულ  
იდეოლოგიურ შეფასებას შორის

ამდენად, ამომრჩეველთა ქცევა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა  
მნიშვნელობას ანიჭებენ ისინი პოლიტიკურ შემოთავაზებას – ამ მნიშვნე-  
ლობაზე დამოკიდებულია „მეტრიკა“, ან სარგებლიანობის ოდენობა; შე-  
საძლოა ჭარბობდეს „სიახლოვის“ ფაქტორი (პრეფერენცია), ან დაშორების  
მისწრაფება (დღის წესრიგი), ან პოლისტურად ფასდებოდეს მათი თა-  
ნაფარდობა (პრეფერენცია, ინტერპრეტირებული დღის წესრიგით).

განსხვავებული ინტერპრეტაციების ბრძოლა აჩენს როგორც  
ცენტრისკენულ, ასევე ცენტრიდანულ ტენდენციებს საარჩევნო სუბიექტე-  
ბის ქცევაში. როდესაც პოლიტიკა უკიდურესად იდეოლოგიზირებულია,  
არსებული მდგომარეობა ხდება არასტაბილური. ამომრჩევლის არჩევანს გა-  
ნაპირობებენ დერძის უსასრულობაში მყოფი ბოლოები – წარმოსახვითი „მე-  
მარჯვენეობა“ და „მემარცხენეობა“, როგორც მდგომარეობის სიმბოლური  
ინტერპრეტატორები. ცენტრალურ, წყალგამყოფ წერტილში განლაგებული  
პოლიტიკური სუბიექტი ხდება არა მიმზიდველი, არამედ უაზრო, ვინაიდან  
ამ სიმბოლოებიდან არც ერთს არ უკავშირდება. ამ წერტილიდან რომელიმე  
მხარეს დაშორება არჩევნებში მონაწილე სუბიექტისთვის ხდება აუცილე-  
ბელი, ვინაიდან ის გამოსახავს იმ მიღრეკილების მიმართულებასა და  
ინტენსიონსას, რომელიც მას ამომრჩევლებისთვის გასაგებს ხდის მომავლის  
პერსპექტივასთან მიმართებაში.

ამდენად, წრფის სასრული და უსასრულო წერტილებს შორის არსე-  
ბული განსხვავება იშლება. შესაძლებელია ნებისმიერი სასრული თუ  
უსასრულო წერტილის განხილვა როგორც პრეფერენციის და როგორც  
წყალგამყოფის. ბაზისური სივრცის ელემენტების (წერტილების) ორგვარი  
ინტერპრეტირების დაშვება ნიშნავს იმას, რომ ჩვენი მოდელი, ინარჩუნებს  
რა რაციონალური არჩევანის თეორიის აქსიომატიკას, იმავდროულად იძენს  
მოქნილებას, რომელიც სისტემის მონაწილეებს ინტერპრეტაციისა და არა-  
ფორმალურობის თავისუფლებას ანიჭებს. ამომრჩეველი, აფასებს რა კანდი-  
დატის პოზიციას, ხელმძღვანელობს არა ერთი, მკაფიოდ განსაზღვრული  
პოლიტიკური საზომით (დაშორება), არამედ ინტერპრეტირებს ამ პოზიციას  
საკუთარი და საჯაროდ არსებული დღის წესრიგიდან გამომდინარე. ჩვენი  
შემდგომი ამოცანა მდგომარეობს ამ ახალი მოდელის შესაბამისი მათემა-  
ტიკური მოდელის შერჩევაში.

აქ საჭიროა დავაზუსტოდ ტერმინოლოგია, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ.  
შემდგომში, ტერმინების პრეფერენცია და წყალგამყოფი გამოყენებული  
იქნება პოლიტიკური პოზიციისადმი შესაბამისი მეტრიკული მახასიათებლის

მიწერით. როდესაც ლაპარაკი იქნება პრეფერენციაზე, ჩვენ ყოველთვის ვიგულისხმებთ პოლიტიკური პოზიციის იმ ინტერპრეტაციას, როდესაც ამომრჩეველი აფასებს მანძილს ამ პოზიციამდე, ხოლო როდესაც იქნება ლაპარაკი წყალგამყოფზე – მისგან, როგორც უსასრულობის წერტილისგან, დაშორებას (მანძილის შებრუნებული სიდიდე). წყალგამყოფის ამ მნიშვნელობის ხაზგასასმელად ზოგჯერ ვიხმართ ტერმინს „რადიკალური წყალგამყოფი“, რათა განვასხვაოთ ის ამ ტერმინის ჩვეულებრივი გაგებისგან, როდესაც წყალგამყოფში იგულისხმება ის პოზიცია ორ ალტერნატიულ არჩევანს შორის, სადაც ალტერნატივების არჩევის ალბათობები ერთმანეთის ტოლია.

ვინაიდან მოცემული ხედვა უსასრულობის წარმოსახვით წერტილს პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებს, ბუნებრივია ამ წერტილის დამატება პოლიტიკური პრეფერენციების ველში. პროექციული წრფე (და შემდგომში სიბრტყე), რომელსაც ჩვენი მოდელი დაეყრდნობა, წარმოადგენს განვირცობილ ევკლიდურ სიბრტყეს: ერთი განზომილების შემთხვევაში ჩვენ ვამატებთ წერტილს, ხოლო ორი განზომილების შემთხვევაში – უსასრულობაში განლაგებული წერტილებისგან შემდგარ წრფეს.

წინასწარი დაკვირვებით, ინტერპრეტაციდან გამომდინარე, შეიძლება მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ თუკი გამოვხატავთ მთელ ამ მსჯელობას ფორმულის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ  $x$  ამომრჩევლის პოლიტიკური ხედვები, რომელიც ორივე, ცენტრისკენულ და ცენტრიდანულ ტენდენციებს ასახავს, მიიღებს შემდეგ სახეს:

$$f(x) = \frac{ax + b}{cx + d}$$

სადაც  $ad - bc \neq 0$ . ეს კი პროექციული გარდაქმნის ფორმულაა.

ამ წინასწარი განხილვით ჩვენ ვაჩვენეთ, რომ მოდელში დღის წესრიგის შემოტანა აჩენს ახალ მოვლენას – წრფივი დამოკიდებულების ნაცვლად წრფივ-წილადობრივ დამოკიდებულებას. ჩნდება როგორც მიზიდულობის, ასევე განზიდულობის წერტილები. განზიდულობის წერტილების შემოტანა, გარდა იმისა რომ ის დღის წესრიგის ფორმირების ცნებას უკავშირდება, ასევე შესაძლებელია იყოს ინტერპრეტირებული სტრატეგიული ქცევის ტერმინებში. ამომრჩეველი ხმას აძლევს არა მარტო იმიტომ რომ მას იზიდავს გარკვეული შემოთავაზებები, არამედ იმიტომაც, რომ უნდა არასასურველი

## თავი 2.

ალტერნატივების თავიდან აცილება. მისი არჩევანი არის გასაშუალოებული სასურველსა და არასასრუველს შორის, ანუ მას აყალიბებს ორი, და არა ერთი ორიენტირი.

### პროექციული კოორდინატები

იმისათვის, რომ ავაგოთ ახალი მოდელი, ჩვენ სასრული წერტილების ევკლიდურ წრფეს ვავსებთ უსასრულობის წერტილით და გადავდივართ პროექციულ კოორდინატებზე. ახალ ერთგვაროვან (ჰომოგენურ) პროექციულ კოორდინატებში, წერტილი, რომელსაც ჰქონდა დეკარტული კოორდინატა  $X$ , იძენს კოორდინატთა წყვილს ( $X_1, X_2$ ), სადაც  $X = X_1 / X_2$ . ერთგვაროვანი კოორდინატები გააჩნია როგორც სასრულ წერტილებს, ასევე უსასრულობასაც ( $X_2 = 0$ ). კოორდინატების ორი წყვილი, რომლებიც ერთმანეთისგან მხოლოდ მუდმივი მამრავლით განსხვავდება, ( $X_1, X_2$ ) და ( $aX_1, aX_2$ ), ერთსა და იმავე წერტილს შეესაბამება.


ვიგულისხმებთ, რომ ეს კოორდინატები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მიესადაგება ამომრჩევლის ორიენტაციების ორ ტიპს (პრეფერენცია და დღის წესრიგი). პირველი გამოხატავს მის პრეფერენციას ცენტრალურ წერტილათან მიმართებაში, ხოლო მეორე – უსასრულობის წერტილთან მიმართებაში. მათი თანაფარდობა გამოხატავს ინტერპრეტაციას, ანუ მათ ფარდობით მნიშვნელობას ამომრჩევლისთვის, რომელიც გამოიხატება მისი ადგილმდებარეობით წრფეზე. ვინაიდან ისინი დამოუკიდებლები არიან, ერთის ცვლა შესაძლებელია მეორის ცვლილების გარეშე, რაც იწვევს ამომრჩევლის  $X$  პოზიციის წანაცვლებას 0-კენ ან უსასრულობისკენ. თუკი აბსოლუტური მნიშვნელობით  $X_1$  ნაკლებია  $X_2$ -ზე, ანუ წერტილი 1-ზე ნაკლები მანძილითაა დაშორებული ცენტრისგან, ეს იმას ნიშნავს, რომ ამომრჩეველს ახასიათებს მეტი ცენტრისკენული ტენდენცია, თუ პირიქით-ცენტრიდანული. ერთიანში განლაგებული ამომრჩევლისთვის მიზიდულობისა და განზიდულობის ძალები დაბალანსებულია.

გეომეტრიულად, ამგვარი წრფე შეგვიძლია უკეთესად დავინახოთ ორგანზომილებიან სიპრტყეზე, სადაც ერთ ღერძზე გადაზომილია წერტილის პირველი კოორდინატა, ხოლო მეორეზე – მეორე. ვერტიკალურ წრფეზე დავაფიქსიროთ წერტილი  $X_2 = -1$  და გავავლოთ მასზე სხივები, რომლებიც

პირველ წრფეს  $x = \frac{x_1}{x_2}$  კოორდინატის მქონე წერტილიში გადაკვეთს. მაშინ

წრფის წერტილი  $X$  ერთგვაროვანი კოორდინატებით ცალსახა შესაბამისობაში მოვა სხივთან, რომელიც გადის ამ და  $(-1, 0)$  წერტილებზე და რომლის დახრის კოეფიციენტი  $\frac{1}{x}$ .  $(-1,0)$  წერტილზე გამავალი წრფების ერთობლიობა სრულ შესაბამისობაში მოვა ჰორიზონტალური წრფის წერტილების ერთობლიობასთან. მათ შორის, უსასრულობაში მყოფი წერტილი შეესაბამება ჰორიზონტალურ წრფეს და შეიძენს კოორდინატას  $(1,0)$  (სურათი 2.5.)

სურათი 2.5.



ეს არის პროექციული წრფის თავისებურება: ის შეიძლება წარმოვიდგინოთ ან როგორც წერტილების სიმრავლე, ან როგორც ერთ წერტილზე გამავალი წრფეების სიმრავლე (წრფეების კონა). ერთგვაროვან კოორდინატებში წერტილები და წრფეები ერთმანეთთან შესაბამისობაში იმყოფება: წერტილი იმავდროულად არის წრფე, ხოლო წრფე-წერტილი. წრფის წერტილის კოორდინატა იმავდროულად არის იმ წრფის დახრის კოეფიციენტი, რომელიც ამ კოორდინატას შეესაბამება. ეს გეომეტრიული წარმოსახვა უფრო ნათელს ხდის წერტილების ორგვარ ბუნებას: როგორც პრეფერენციისა და როგორც წყალგამყოფის

როდესაც წერტილის კოორდინატები ერთგვაროვანია, მათი გარდაქმნა ხდება შემდეგნაირად.

ერთგვაროვანი კოორდინატები გარდაიქმნება ახალ კოორდინატებში წრფივი გარდაქმნით:

$$\begin{aligned} y_1 &= ax_1 + bx_2 \\ y_2 &= cx_1 + dx_2 \end{aligned} \tag{2}$$

რომლის დეტერმინანტი არანულოვანია. ასევე მომავალში ვიგულისხმებთ, რომ გარდაქმნის დეტერმინანტი ნორმირებულია:  $ad - bc = 1$ .

## თავი 2.

ერთგვაროვანი (ჰომოგენური) კოორდინატების ნაცვლად ჩვენ ძირითადად ვისარგებლებთ არაერთგვაროვანი კოორდინატებით, რომლებიც მიიღება ერთგვაროვანი კოორდინატებისგან ჰომოგრაფული (წილადობრივ-წრფივი) გარდაქმნით:

$$f(x) = \frac{ax + b}{cx + d} \quad (3)$$

სადაც  $ad - bc \neq 0$ , და ყველა კოეფიციენტი ნამდვილი რიცხვია.

ამგვარი კოორდინატები წარმოადგენენ პროექციულ კოორდინატებს, ხოლო გარდაქმნას ასევე პროექციული ენოდება.

ჰომოგრაფიული გარდაქმნების ჯგუფი ხასიათდება იმით, რომ მათ პროექციული კოორდინატები ისევ პროექციულ კოორდინატებში გადაყავთ. ჰომოგრაფიული გარდაქმნა სრულად განსაზღვრულია, თუკი ცნობილია მისი მნიშვნელობა ნებისმიერ სამ კოლინეარულ (ერთ წრფეზე განლაგებულ) წერტილში (პროეცირების შემთხვევაში, რაზედაც შემდეგ გვექნება საუბარი) ან ფორმულაში შემავალი სამი კოეფიციენტი ოთხიდან. მაგალითად, მოცემული ფორმულისთვის,

$$f(\infty) = \frac{a}{c}, \quad f(0) = \frac{b}{d}, \quad f(1) = \frac{a+c}{b+d}.$$

თუკი წერტილები წრფეზე არიან გამოსახული თავისი დეკარტული კოორდინატებით, ისინი შესაძლოა ასევე ცალსახად გამოვხატოთ მათი პროექციული კოორდინატებით, რომლებიც მიიღება დეკარტულისგან ჰომოგრაფიული გარდაქმნით. და პირიქით, თუკი ვიცით პროექციული კოორდინატა, შებრუნებული წრფივი-წილადი ფუნქციის გამოყენებით შესაძლოა მივიღოთ მისი დეკარტული შესატყვისი (უსასრულო წერტილის დამატებით). კერძო შემთხვევაში, როდესაც გარდაქმნის (3) ფორმულაში  $c = 0$ , გადაქმნა ხდება აფინური, და მდგომარეობს წრფის გაჭიმვა-შეკუმშვაში და საწყისი წერტილის გადატანაში.

ვიგულისხმოთ, რომ  $X$  არის წერტილის კოორდინატა საწყის კოორდინატებში, რომელზედაც დაფიქსირებულია ნოლი, უსასრულობა და 1 (წერტილი, სადაც  $x_1 = x_2$ , ანუ ცენტრისკენული და ცენტრიდანული ტენდენციები დაბალანსებულია). პროექციული გარდაქმნით შესაძლებელია წერტილების კოორდინატები გარდავქმნათ ისე, რომ ნოლი და უსასრულობა გახდება ნებისმიერი სასრული  $A$  და  $B$  წერტილების კოორდინატები, ხოლო უსასრულობის წერტილს მიენერება კოორდინატის სასრული მნიშვნელობა.

მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც ამგვარი გარდაქმნით შემოგვაქვს არის ის, რომ ანი წყალგამყოფის როლს ასრულებს არა უსასრულობის წერტილი, როგორც ადრე, არამედ ნებისმიერად არჩეული სასრული წერტილი B, რომლის ძველი კოორდინატა იყო  $-D/C$ , ხოლო ახალი არაერთგვაროვანი კოორდინატა უდრის უსასრულობას. ანალოგიურად, ნოლი შესაძლოა მოვაქციოთ A-ში, რომლის ძველი კოორდინატა იყო  $-B/A$ . ამგვარი გარდაქმნის შესაძლებლობა გვეუბნება იმას, რომ პროექციულ წრფეზე ყველა წერტილი თანაბრად შესაძლებელია იღებდეს ორი განსხვავებული ორიენტირის მნიშვნელობას: პრეფერენციის ან დღის წესრიგის. პროექციულ წრფეზე რეალური (სასრული) და უსასრულო წერტილები გათანაბრებულია.

პროექციული გარდაქმნით წრფის წერტილების კოორდინატები გადანაცვლდება ისე, რომ არა მარტო იცვლება მათ შორის სხვაობები, არამედ ამ სხვაობებს შორის თანაფარდობებიც. სხვაობა დამოკიდებულია ინტერპრეტაციაზე – იმაზე, თუ სად არის განლაგებული კიდევ ორი წერტილი, რომლებიც ორიენტირის როლს ასრულებენ. პროექციულ წრფეზე ორიენტაციისთვის საჭიროა ახალი საზომის შემოტანა, რომელიც ინვარიანტული იქნება კოორდინატების ნომინალური მნიშვნლეობების მიმართ. ამგვარი საზომის როლს ასრულებს ორმაგი თანაფარდობა.

პომოგრაფიულ (პროექციულ) გარდაქმნებს აქვთ შემდეგი თვისება: ოთხი წერტილის კოორდინატების ორმაგი თანაფარდობა ინვარიანტულია ამ გარდაქმნის მიმართ.

წრფეზე მდებარე A, B, C და D ოთხი წერტილის ორმაგი თანაფარდობა ენოდება გამოსახულებას

$$(A, B, C, D) = \frac{CA}{CB} \times \frac{DB}{DA} \quad (4)$$

კერძოდ, კოორდინატებში

$$(x_1, x_2, x_3, x_4) = \frac{x_1 - x_3}{x_2 - x_3} \times \frac{x_2 - x_4}{x_4 - x_1} \quad (5)$$

$$(\infty, 0, k, x) = x/k \quad (6)$$

$$(\infty, 0, 1, x) = x \quad (7)$$

კერძოდ, თუკი პროექციული გარდაქმნა ტოვებს უსასრულობას უსასრულობაში, ის ნარმოადგენს ჩვეულებრივ აფინურ გარდაქმნას:

$$u(x_4) = (\infty, x_2, x_3, x_4) = \frac{x_2 - x_4}{x_2 - x_3} \quad (8)$$

ფორმულა (5) ცხადად აჩვენებს ჰომოგრაფიული გარდაქმნის დროს წერტილების გადანაცვლებას: წერტილები  $x_1, x_2$  და  $x_3, x_4$  ცვლადის მიმართ გადადიან, უსასრულობაში, ნოლში და ერთში შესაბამისად.

პროექციული გარდაქმნის მნიშვნელოვანი თვისებები ხასიათდება ამ გარდაქმნის ფიქსირებული წერტილრბით, ანუ იმ წერტილრბით სადაც  $u(x)=x$ .

ამ გარდაქმნას შესაძლებელია ჰქონდეს ორი უძრავი წერტილი, სადაც  $u(x)=x$ . ეს წერტილები ან ნამდვილი და განსხვავებულია, ან თანხვედრი (ერთი წერტილი), ან წარმოსახვითი, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ შემდეგი კვადრატული განტოლების ფესვებს:

$$\frac{ax+b}{cx+d} = x, \quad cx^2 + (d-a)x - b = 0 \quad (9)$$

იმისდა მიხედვით, თუ რამდენია უძრავი წერტილი (ორი ნამდვილი, ერთი ორმაგი, ორი წარმოსახვითი) შემდგომში ჩვენ მათ ჰიპერბოლურ, პარაბოლურ და ელიფსურ რეპრეზენტაციად მოვიხსენიებთ შესაბამისად (წორმირებული დისკრიმინანტის შემთხვევაში ეს სამი შემთხვევა შეესაბამება კოეფიციენტების შემდეგ მნიშვნელობებს:  $a+d>2$ ,  $a+d=2$  და  $a+d<2$ ).

როგორც ვხედავთ, პროექციულ კოორდინატებში რეპრეზენტაციის მოდელირებას მოაქვს მნიშვნელოვანი სიახლეები. ჩნდება რეპრეზენტაციის სამი ტიპი. ეს ტიპები უფრო თვალანათლივი ხდება როდესაც წრფიდან სიბრტყეზე გადავდივართ, პრეფერენციების ერთგანზომილებიან დისტრიბუციას ორგანზომილებიან დისტრიბუციამდე ვაფართოებთ. ორი განზომილების შემთხვევაში ჩვენ დავაკავშირებთ რეპრეზენტაციის ტიპს მის დისკურსულ ინტერპრეტაციასთან.

## ორი განზომილება

ერთი განზომილებიდან ორ განზომილებაზე გადასვლა შესაძლებელია ორი განსხვავებული გზით. პირველი ვარიანტი მდგომარეობს იმაში, რომ ფორმულა (3)-ში შემავალი ცვლადის მნიშვნელობები გაფართოვდეს და მოიცვას კომპლექსური მნიშვნელობებიც. ხოლო მიღებული ორგანზომილებიანი კომპექსური სიბრტყე განვიხილოთ როგორც რიმანის სფერო, მიღებული

მებიუსის ტრანსფორმაციის შედეგად. მეორე ვარიანტი მგომარეობს პროექციული გეომეტრიის გამოყენებაში და განზომილებათა გაზრდაში 2-მდე. მოცემულ კვლევაში ჩვენ ვიყენებთ მეორე ვარიანტს. ამ არჩევანს აქვს ორი მიზეზი: ჯერ ერთი, ამგვარი მოდელი უშვებს განზომილებათა რაოდენობის ადვილ ცვლას. მეორეც, ის ეყრდნობა დაშვებას რომ ჩვენ უკვე რეპრეზენტირებულ პოლიტიკასთან გვაქვს საქმე, როდესაც გეომეტრიულ ობიექტებზე (წერტილი, წრფე, სიბრყე) ვსაურობთ. ჩვენ არ ვეხებით საწყისი სფეროს (საზოგადოების) პროეცირებას, არამედ მხოლოდ მისი უკვე რეპრეზენტირებული (სიბრტყეზე პროეცირებული) სახეების ტრანსფორმაციებს, რომლებიც შეადგენენ პროექციული ტრანსფორმაციების ჯგუფს. აქაც, კოორდინატთა პროექციული სისტემის შემოტანით ჩვენ ხაზს ვუსვამთ შემდეგ სამ გარემოებას:

1. „უსასრულობაში მდებარე წერტილები, რომლებიც ადრე არ მიიღებოდა მხედველობაში, ამჯერად პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენენ. ისინი სიმბოლიზირებენ დღის წესრიგს. ამომრჩევლები, რომლებიც ადრე „ვერ ხედავდნენ“ ერთობის, რეალობის საზღვრებს, და პოლიტიკის გზით ძირითადად ერთმანეთში „არკვევდნენ“ ურთიერთობებს, ანი ხედავენ „უსასრულობას“, აკავშირებენ შიდა და გარეს, აწმყოს და მომავალს, ინტერესს და იდეოლოგიას, ღირებულებას და განვითარებას. სწორედ ეს ხედვები შესაძლოა ხდებოდეს პოლიტიკური დაპირისპირების მთავარი მიზეზი, წყალგამყოფი, რაც გამოიხატება უსასრულობის წერტილის ჰომოგრაფიულ გარდაქმნაში სასრულად.

2. პროექციულ კოორდინატებში წარმოსახული ინდივიდის კოორდინატების ცონდა აღარ არის საკმარისი იმისთვის, რომ მისი პოლიტიკური პროფილი გავიგოთ. ეს წერტილი არის რამდენიმე, და არა ერთი ინდივიდუალური პარამეტრის ფუნქცია, რომლებიც წინდანინ ცნობილი არ არის. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ (და ვივარაუდებთ კიდეც), რომ თავად ინდივიდმა იცის საკუთარი ფუნქცია და შეუძლია მითი ოპერირება. ვინაიდან რამდენიმე ჰომოგრაფიული გარდაქმნის მიმდევრობითობა ისევ ჰომოგრაფიულ გარდაქმნას წარმოადგენს, მას ასევე შეუძლია საკუთარი ხედვის შედარება სხვის ხედვებთან, მაგალითად, პოლიტიკური სუბიექტის მიერ შემოთავაზებულ პროგრამასათან. ფუნქციის ცოდნა იცავს ინდივიდს კოგნიტური დისონანსისგან – ისეთი ვითარებისგან, როდესაც მას არ შეუძლია ორი სხვადასხვა პოლიტიკური გადაწყვეტილების ერთმანეთთან ლოგიკური დაკავშირება.

## თავი 2.

3. ისევე როგორც ამომრჩევლები, პოლიტიკური სუბიექტებიც ხელმძღვანელობენ გარკვეული შეხედულებების მატრიცით (პომოგენური გარდაქმნის ფუნქციით), ერთი განსხვავებით – მათი შეხედულებების სისტემა საჯაროა და ცნობილი ამომრჩევლებისთვის. გეომეტრიულად, შეიძლება წარმოვიდგინოთ კანდიდატი წერტილად არა საარჩევნო სიბრტყეზე, არამედ მასზე ზევით. კანდიდატი საკუთარ თავს საარჩევნო სიბრტყეზე ათავსებს არა ვერტიკალური დეკარტული პროეცირებით, არამედ იმ წარმოსახვითი სიბრტყისადმი პომოგენური გარდაქმნით (პროეცირებით), რომელიც მისი შეხედულებების მატრიცას ასახავს.

4. სუბიექტის რაციონალური სტრატეგია შესაძლოა მდგომარეობდეს არა მხოლოდ საუკეთესო წერტილის (ადგილმდებარეობის) არჩევაში, არა-მედ საუკეთესო პომოგენური ტრანსფორმაციის (რეპრეზენტაციის) შერჩევაში, რომელიც მას ყველაზე მეტ ხმას მოუტანს არჩევნებში.

ისევე როგორც ერთი განზომილების შემთხვევაში, ორგანზომილებიან სიბრტყეზე პროექციული კოორდინატები შემოვგაქვს დეკარტული სიბრტყის გავრცობით უსასრულობაში მყოფი წრფის დამატების გზით, და ერთგვაროვანი პროექციული კოორდინატების შემოტანით:  $(x, y, z)$  სადაც  $(x/z, y/z, 1)$  ჩვეულებრივი სასრული წერტილების კოორდინატებია, ხოლო  $z=0$  მნიშვნელობას შეესაბამება უსასრულობაში მდებარე წერტილების წრფე.

ისევე, როგორც ერთგანზომილებიან შემთხვევაში, სიბრტყეზე ერთგვაროვანი კოორდინატები გარდაიქმნება წრფივი არაგადაგვარებული სისტემით:

$$\begin{aligned} x' &= a_1x + b_1y + c_1z \\ y' &= a_2x + b_2y + c_2z \\ z' &= a_3x + b_3y + c_3z \end{aligned} \tag{10}$$

ან, ახალ არაერთგვაროვან კოორდინატებში,

$$\begin{aligned} x'/z' &= \frac{a_1x + b_1y + c_1z}{a_3x + b_3y + c_3z} \\ y'/z' &= \frac{a_2x + b_2y + c_2z}{a_3x + b_3y + c_3z} \end{aligned} \tag{11}$$

შესაბამისად, გამოსახულება  $a_3x + b_3y + c_3z = 0$  არის წრფე, რომელიც წყალგამყოფს წარმოადგენს.

არაერთგვაროვან კოორდინატებში ეს გარდაქმნა იძენს შემდეგ სახეს:

$$\begin{aligned} x'/z' &= \frac{a_1x + b_1y + c_1z}{a_3x + b_3y + c_3z} \\ y'/z' &= \frac{a_2x + b_2y + c_2z}{a_3x + b_3y + c_3z} \end{aligned} \quad (11)$$

გარდაქმნის შედეგად მიღებული ეს კოორდინატები ისევ შეგვიძლია განვიხილოთ ჩვეულებრივ დეკარტულ კოორდინატებად.

იმისათვის, რომ მოვახდინოთ პროექციული ტრანსფორმაციის კლა-სიფიკაცია, ევკლიდურ სიბრტყეზე ვირჩევთ წერტილს და წრფეს (წერტილი  $(0,0)$  და უსასრულობის წრფე) და ერთეულოვან წრენირს ცენტრის ირგვლივ, რომელიც წარმოადგენს წონასწორობოს წერტილების ერთობლიობას, რომლებსაც აქვთ ერთნაირი „მანძილი“ ცენტრამდე უსასრულობის წრფის ფონზე,  $X^2 + Y^2 = 1$ . პროექციული ტრანსფორმაცია, რომელსაც გადაყავს რაღაც წერტილი და წრფე ამ ცენტრსა და უსასრულობაში, ასევე გადაიყვანს რაღაც წირს (კვადრატული ფორმითაღწერილს) მოცემულ ერთეულოვან წრენირში. ეს საწყისი წირი შედგება წერტილებისგან, რომლებიც ერთნაირადაა განწყობილი ამ წერტილისა და წრფის მიმართ.

აშკარაა, რომ კვადრატულ ფორმას  $X^2 + Y^2 = 1$  საწყის  $X, Y$  კოორდინატებში შეესაბამება გარკვეული კვადრატული ფორმა  $p(X, Y)$  და განტოლება  $p(X, Y) = 0$ .

არაერთგვაროვანი კოორდინატების აფინური გარდაქმნით, წირი დაიყვანება შემდეგზე: ელიფსი, ჰიპერბოლა ან პარაბოლა (გადაგვარებულ შემთხვევებს არ ვიხილავთ), ანუ ეს პოლინომი შესაბამის კოოდინატებში შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც

$$\begin{aligned} x' &= \frac{a_1x + b_1y + c_1}{a_3x + b_3y + c_3} \\ y' &= \frac{a_2x + b_2y + c_2}{a_3x + b_3y + c_3} \end{aligned} \quad (12)$$

$$y^2 = 2px + (e^2 - 1)x^2 \quad (13)$$

სადაც ექსცენტრისიტეტი  $e < 1$  ელიფსისთვის,  $e = 0$  პარაბოლისთვის და მეტია ერთზე  $e > 1$  ჰიპერბოლისთვის. ან რაც იგივეა, როდესაც  $e \neq 1$

$$(1-e^2) \frac{y^2}{4p^2} + (1-e^2)^2 \left( x - \frac{2p}{1-e^2} \right)^2 = 1 \quad (14)$$

$$(1-e^2)y^2 + x^2 = 1 \quad (15)$$

ამდენად ამ კოორდინატებში ის პოლიტიკური პოზიციები, რომლებსაც აქვთ ერთნაირი „დამოკიდებულება“ რაღაც წერტილის (ფოკუსი) მიმართ რომელიღაც წრფეზე (წყალგამყოფზე) ორიენტაციით, განლაგდება არა წრე-წირზე, არამედ ელიფსზე, პარაბოლაზე ან ჰიპერბოლაზე. განსხვავება ამ სამს შორის მდგომარეობს იმაში, თუ სად მდებარეობს უსასრულობის წრფე: ის შესაძლოა არ იკვეთებოდეს ამ წირთან (ელიფსი), ეხებოდეს მას ერთ წერტილში (პარაბოლა) ან კვეთდეს ორ წერტილში (ჰიპერბოლა). მუდმივი ამ წირებზე რჩება არა თავად მანძილი წერტილიდან წერტილამდე, არამედ ამ მანძილის თანაფარდობა მეორე მანძილთან – წრფემდე (წყალგამყოფამდე). ისინი წარმოსახავენ არა პრეფერენციებს, არამედ კონტექსტუალიზებულ პრეფერენციებს – პრეფერენციისა და დღის წესრიგის თანაფარდობას. ამ წირებს, ცენტრის გარდა, გააჩნიათ ფოკუსები და დირექტრისები (უფრო დაწვრილებით იხ. შემდეგ ქვეთავში). ფოკუსის წერტილი უახლოეს დირექტრისასთან ერთად ახდენს ამ თანაფარდობის რეპრეზენტაციას:

$$e = r / \delta \quad (16)$$

სადაც  $r$  არის მანძილი წერტილიდან ფოკუსამდე, ხოლო  $\delta$  – წერტილიდან დირექტრისამდე (უფრო დაწვრილებით შემდეგ ქვეთავში).

ამდენად, თუკი ადრე, ევკლიდურ შემთხვევაში, სხვაობა ორ პოლიტიკურ პოზიციას შორის იზომებოდა მანძილით ამ პოზიციებს შორის, ამჯერად ის იზომება თანაფარდობით: მანძილი წერტილამდე შეფარდებული მანძილთან წრფემდე. გარკვეულ დაყვანილ კოორდინატებში, რომლებშიაც შესაბამის წირს აქვს ნორამლური განტოლება, ეს შეიძლება ჩაიწეროს ასე:

$$u(k, v) = -\frac{a\sqrt{(x_v - ae)^2 + y^2}}{|a - ex|} \quad (17)$$

თუკი გავითვალისწინებთ, რომ ზედა ფორმულის თანახმად, ფიქსირებული წირისთვის მანძილი წირის წერტილიდან ფოკუსამდე მისი კოორდი-

ნატების წრფივი ფუნქციაა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმ  $x$  კოორდინატის მიმართ, რომელიც ნირის დიდ დიამეტრს შეესაბამება, სარგებლიანობის ფუნქცია დებულობს იმავე წრფივ-ნილადობრივ სახეს, რაც ერთი გ ანზო-მილების შემთხვევაში

$$u(k, v) = -\frac{a|x - ae|}{|a - ex|} \quad (18)$$

სადაც  $x$  არის წერტილის კოორდინატა, მიღებული ამ დიამეტრზე პრო-ეცირებით.

უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით ევკლიდური შემთხვევისგან, რო-დესაც სარგებლიანობის ფუნქცია არსებითად წარმოადგენდა მეტრიკას, ამ შემთხვევაში ის მეტრიკას არ წარმოადგენს. ის არც უნივერსალურია და არც სიმეტრიული. პოლიტიკური პოზიცია, რომელამდეც იზომება მანძილი, უნდა იყოს ხილვადი, ანუ განლაგებული ფოკუსში რაღაც დირექტრისის მიმართ, რათა მისი აზრიანი ინტერპრეტაცია იყოს შესაძლებელი. ამომრჩევლები, ვინც მას ხმას აძლევს, ხილვადები არ არიან და სისტემაში იმავე როლს არ თამაშობენ.

### რეპრეზენტაციის მოდელირება პროექციულ კოორდინატებში. რეპრეზენტაციის ტიპოლოგია

ნინა ქვეთავში იყო ნაჩვენები რომ რეპრეზენტაციის (პროექციული გარდაქმნის) ფუნქცია (მისი ტიპოლოგია) შესაძლოა ეკუთვნოდეს ერთ-ერთს შემდეგი სამი კლასისგან: ელიფსური, პარაბოლური ან ჰიპერბოლური. თავისი არსით, ყოველი ასეთი ფუნქცია არის დისკურსი. ის, თუ რამდენი დისკურსია პოლიტიკაში და რატომ, ეს ის კითხვებია, რომლებიც ჩნდება მთავარი კითხვის პარალელურად – რეპრეზენტაციის რომელი ტიპი ჭარბობს მოცემულ სისტემაში და როგორ უკავშირდება ის პოლიტიკური სისტემის ხასიათს.

არსებობს ბევრი გარემოება, რომლებიც გავლენას ახდენენ იმაზე, თუ რა ტიპის რეპრეზენტაციას განახორციელებს ესა თუ ის პოლიტიკური სუბი-ექტი. პოლიტიკური სისტემა და მისი ინსტიტუტები შესაძლოა თავად ქმნიდნენ რეპრეზენტაციის პატერნს, რომელიც ერთნაირია ყველა სუბი-ექტისთვის – სუბიექტები ერთმანეთთან კონკურირებენ ფოკუსური პო-ზიციის დაკავებისთვის; სუბიექტები შესაძლოა ინდივიდუალურად


## თავი 2.

იორჩევდნენ საკუთარ პატერნებს გამომდინარე იმ ძალაუფლებრივი ურთიერთობებისგან, რომლებშიაც ისინი მონაწილეობენ; ამომრჩეველთა განწყობები და მედია დისკურსები შესაძლოა თავის ლოგიკას კარნახობდნენ. ამასთან, შესაძლოა განსხვავებული იყოს სისტემის პომოგენურობა. რეპრეზენტაციის „ფორმულა“ შესაძლოა იყოს ერთნაირი ყველა სუბიექტისტვის, ან სხვადასხვა სუბიექტებს ჰქონდეთ განსხვავებული მიღვომები, რაც მათ სისტემურად/იდეოლოგიურად განსხვავებულ ხასიათს ანიჭებს ამომრჩეველთა თვალში.

თუკი სხვადასხვა სუბიექტებს სხვადასხვა ფუნქცია ახასიათებთ, მათ შორის კონკურენცია მრავალგანზომილებიანი ხდება, რაც ართულებს მათ შედარებას ამომრჩეველთა თვალში. იდეალურ ვარიანტში, როდესაც პოლიტიკური სისტემა სტაბილიზირებულია, მათი პროექციული სიბრტყეები შესაძლოა ერთმანეთს ემთხვეოდეს (ან პარალელური იყოს), ხოლო თავად ეს სიბრტყე იყოს მოცემული ქვეყნის პოლიტიკური პროფილის მახასიათებელი. ამ შემთხვევაში შესაძლოა ვილაპარაკოთ იმაზე, რომ პოლიტიკური სუბიექტების დისკურსებს განსაზღვრავენ არა იმდენად თავად სუბიექტები, არა-მედ ინსტიტუციონალური, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც სისტემურია და მათზე არაა დამოკიდებული. თუკი პროექციული სიბრტყეები განსხვავებულია, და თან მნიშვნელოვნად, შესაძლოა ვილაპარაკოთ იმაზე, რომ საარჩევნო სუბიექტები განსხვავებულ პოლიტიკურ თამაშებს თამაშობენ, ან რომ მედია განსხვავებულ (პოლარიზებულ) დისკურსებს ქმნის, რაც შესაძლოა მიუთითობდეს სისტემის გარდამავალ ხასიათზე.

რეპრეზენტაციის ტიპების უკეთ დახასიათებისთვის, ჩვენ აქ ვიღლაპარაკებთ ერთიან საჯარო სივრცეზე, რომელსაც ვმოდელირებთ რეპრეზენტაციით (პროეცირებით). ამ სივრცეს დავაკავშირებთ ერთ პოლიტიკურ სუბიექტთან, რომელიც შესაბამის დისკურსს რეპრეზენტირებს. იმისათვის, რომ უფრო თვალნათლივად წარმოვიდგინოთ ის, რაზედაც წინა პარაგრაფებში ვიღლაპარაკეთ, ჩვენ გამოვიყენებთ მარტივ გეომეტრიულ სურათებს, რომლებიც მოახდენენ ჩვენი მოდელის ვიზუალიზაციას.

სურათი 2.6.



წყარო:

[https://en.wikipedia.org/wiki/Conic\\_section#/media/File:Conic\\_Sections.svg](https://en.wikipedia.org/wiki/Conic_section#/media/File:Conic_Sections.svg)

ამ სურათზე ასახულია კონუსი, რომლის კვეთები, რომლებიც სხვა-დასხვა ფერითაა აღნიშნული, წარმოსახავენ სიბრტყეებს, რომლებიც შესაძლოა წარმოვიდგინოთ როგორც პროექციები (რეპრეზენტაციის დისკურსები). კვეთას ფუძის წრენირი გადაყავს მეორე რიგის ერთ-ერთ ნირში: ელიფსში, პარაბოლაში ან ჰიპერბოლაში. ეს კვეთები ასევე შეიძლება წარმოვიდგინოთ ამ ფერად სიბრტყეზე მოთავსებული ბურთის ჩრდილად. თუკი სინათლის წყარო (კონუსის წვერი) ამ სიბრტყიდან ბურთის ზემოთაა მოთავსებული, ჩრდილი ელიფსის ფორმისაა. თუკი სინათლის წყარო სიბრტყის იმ პარალელურ სიბრტყეზეა განლაგებული, რომელიც ბურთის თავს ეხება, ჩრდილს ექნება პარაბოლის ფორმა. ხოლო თუკი კუთხე შუქის წყაროსა და მკვეთ სიბრტყეს შორის კიდევ უფრო შემცირდა, ჩრდილი ჰიპერბოლის ტოტის ფორმას მიიღებს. ის წერტილი, სადაც ბურთი სიბრტყეს ეხება, არის შესაბამისი მრუდის (ჩრდილის) ფოკუსი. შეგვიძლია საარჩევნო სუბიექტი წარმოვიდგინოთ ბურთის ცენტრში. ეს პოზიცია ყოველთვის მართი კონუსის ვერტიკალზე იქნება.

თუკი მართი კონუსის ფუძეში განლაგებულია ამომრჩეველთა სიმრავლე, მრუდები, რომლებიც მკვეთი სიბრტყეებით (რეპრეზენტაციის დისკურსებით) არიან ფორმირებული, დამოკიდებულია კვეთის დახრის

## თავი 2.


კუთხეზე (სიბრტყეების პარალელურობის შემთხვევაში მიიღება ელიფსის კერძო შემთხვევა – ისევ წრენირი). რაც უფრო დიდია კვეთის კუთხე, მით უფრო უთანასწოროა და პოლარიზებული რეპრეზენტაციის ხასიათი.

განსხვავებით ტრადიციული მოდელისგან, რომელიც სიმეტრიულია ამომრჩეველთა და კანდიდატთა მიმართ (ყველა ერთ სიბრტყეზეა მოთავსებული), ეს სურათი თვალნათლივად აჩვენებს რომ კანდიდატების საარჩევნო სტრატეგიები არ შემოიფარგლება მედიანური ცენტრის დაკავების მცდელობით. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კანდიდატი თანაბრად ცდილობს ყველა ამომრჩევლის რეპრეზენტირებას (კვეთაში წრენირია), მას უნდა ჰქონდეს ორი მისწრაფება. პირველი, ტრადიციულად, მდგომარეობს მედიანური ცენტრის თავზე მოქცევას (ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ამგვარი ცენტრი ფუძეში მოთავსებული წრის ცენტრშია). მაგრამ თუკი ამასთან კანდიდატს აქვს იდეოლოგიური ან სეგმენტური რეპრეზენტაციის მისწრაფება, ანუ ის დღის წესრიგსაც და ინტერპრეტაციასაც აქცევს მნიშვნელობას, მაშინ ის ასევე კონკურირებს მკვეთი სიბრტყის დახრის კუთხის (პოლარიზება) და დახრის მიმართულების (მანიპულირება) შესარჩევად. ჩნდება სამი ტიპის რეპრეზენტაცია, ელიფსური, პარაბოლური და ჰიპერბოლური, რომლებსაც ცალ-ცალკე განვიხილავთ.

### ელიფსი

ელიფსი არის წერტილების ისეთი სიმრავლე, რომელთა მანძილების ჯამი ელიფსის ორ ფოკუსამდე ( $F_1, F_2$ ) მუდმივია.  $r_1 + r_2 = 2a$ . ელიფსის ნორმალური განტოლება არის  $\frac{x^2}{a^2} + \frac{y^2}{b^2} = 1$ . ორ ფოკუსთან ერთად, ელიფსს აქვს ორი დირექტრისა, რომლებიც განლაგებულია მის გარეთ. დირექტრისებს და ფოკუსებს ახასიათებთ შემდეგი თვისება: მანძილები ელიფსის წერტილიდან უახლოეს ფოკუსამდე  $r$  და უახლოეს დირექტრისდამდე  $\delta$  ერთმანეთის პროპორციულია

სურათი 2.7.



$$r = \delta$$

ე კოეფიციენტს, რომელიც მუდმივია და ელიფსისთვის ერთზე ნაკლები,  $e < 1$ , ეწოდება ელიფსის ექსცენტრისიტეტი.

ეს ფორმულა მეტყველებს იმაზე, რომ მანძილი ელიფსის ნებისმიერი წერტილიდან მის ფოკუსამდე შეიძლება იყოს ნარმოდგენილი წერტილის კო-ორდინატების წრფივი ფუნქციის სახით (ამ შემთხვევაში,  $x$  კოორდინატის წრფივი ფუნქციის სახით) – თვისება, რომელიც ვრცელდება მეორე რიგის დანარჩენ მრუდებზე – ჰიპერბოლაზე და პარაბოლაზე.

თუკი ერთგანზომილებიან შემთხვევაში თავის დამოკიდებულებას კანდიდატის მიმართ ამომრჩეველი წყალგამყოფისა და ცენტრის წერტილების მეშვეობით აფასებდა, ამ სურათიდან ნათლად ჩანს, რომ ორგანზომილებიან შემთხვევაში ეს დამოკიდებულება არის ორი მიმართების თანაფარდობა: მანძილი ფოკუსამდე და მანძილი დირექტრისამდე. შეიძლება ითქვას, რომ ფოკუსში მოთავსებული კანდიდატი რეპრეზენტირებს პოლიტიკურ პროგრამას, რომელიც ცენტრის მიმართ დირექტისისის ადგილმდებარეობით არის წარმოსახული.

ფოკუსის და დირექტრისის ეს ურთიერთმიმართება გვაძლევს შესაძლებლობას მსგავსი ელიფსების ერთობლიობას მივაწეროთ ერთნაირი „პოლარიზების კოეფიციენტი“,  $e$ ,  $x$  ღერძით გამოხატული პოლიტიკური პოზიციების მიმართ.

ვინაიდან ელიფსის წერტილიდან ფოკუსებამდე მანძილების ჯამი მუდმივია, ელიფსი კარგად მოდელირებს ისეთ პოლიტიკურ ვითარებას, სადაც დღის წესრიგი ფორმირებულია „ნამცხვრის განაწილების“ ლოგიკით.


## თავი 2.

მაგალითად, მთავარი პოლიტიკური საკითხი ეკონომიკურია და ეხება გა-დასახადების შემცირებასა ან ზრდას. საზოგადოება იყოფა ორ სოციალურ ჯგუფად (კლასად), რომლებიც იგებენ ან აგებენ მოცემული პოლიტიკის ჩარჩოებში, ხოლო პოლიტიკის არსი ამ შემთხვევაში არის ვაჭრობა და კომპრომისი წონასწორული გადაწყვეტილების მისაღებად, საზოგადოებაში არსებული ძალთა ბალანსის შესაბამისად. ელიფსის მეორე ფოკუსი ამ შემთხვევაში რეპრეზენტირებს იმ ვირტუალურ ოპონენტს, ვისაც „ნამცხვრის“ დანარჩენი ნაწილი ერგება.

ელიფსს არა აქვს ასიმპტოტა და ის არ იკვეთება უსასრულობაში მდებარე წრფესთან ნამდვილ წერტილებში. შესაბამისად, ის არის ნაკლებად იდეოლოგიზირებული და პოლარიზებული პოლიტიკის ამსახველი, პარაბოლურ და ჰიპერბოლურ შემთხვევებთან შედარებით. კონკურენცია დღის წესრიგის პრიორეტიზებისთვის თამაშობს მეტ როლს, ვიდრე წრენირის შემთხვევაში, მაგრამ ნაკლებს, ვიდრე დანარჩენ ორ პატერნში. შესაბამისად, საარჩევნო სუბიექტებს აქვთ მეტი შესაძლებლობა მოახდინონ დღის წესრიგის ცვლა ვიდრე ჰიპერბოლურ შემთხვევაში. ყველაზე მანიპულაციურია წრენირის შემთხვევა – ნებისმიერი დღის წესრიგია შესაძლებელი.

### პარაბოლა

#### სურათი 2. 8.



პარაბოლა უსასრულობის წრფესთან იკვეთება ერთ ნამდვილ წერტილში, და, ამდენად, მას შეესაბამება გამოკვეთილი „იდეოლოგია“ – დღის წესრიგი, მომავლის ხედვა, რომელიც ამ წერტილითაა ინტერპრეტირებული. მისი ნორამლური განტოლება  $y = 2ax^2$ .

პარაბოლას წერტილები თანაბრადა დაშორებული მოცემული წერტილისგან (ფოკუსი) და მოცემული წრფისგან (დირექტრისა). თუკი  $r$  არის მანძილი პარაბოლის წერტილიდან ფოკუსამდე, ხოლო  $\delta$  - დირექტრისამდე, მაშინ  $r = \delta$ , რაც იმას ნიშნავს, რომ პარაბოლის ექსცენტრისიტეტი,  $e = 1$ .

ელიფსის მსგავსად, ფოკუსში მოთავსებული კანდიდატი რეპრეზენტირებს დირექტრისით წარმოსახულ პოლიტიკას. წრენირისგან განსხვავებით, მისთვის  $x$  ღერძი ინტერპრეტირებულია არა პრეფერენციებად, არა-მედ დღის წესრიგებად. თუკი წრენირი რეპრეზენტირებს თანაბრად სასურველ პრეფერენციებს ცენტრთან მიმართებაში, პარაბოლა რეპრეზენტირებს თანაბრად მისაღებ პრეფერენციებს ფოკუსითა და დირექტრისით რეპრეზენტირებულ დღის წესრიგთან მიმართებაში.

პარაბოლით რეპრეზენტირებული პოლიტიკა იდეოლოგიზირებულია „კარგი გაგებით“: კანდიდატი მთელ საზოგადოებას სთავაზობს განვითარების დღის წესრიგს, რომელიც მისი უსასრულობის წერტილით არის რეპრეზენტირებული. მას არ ყავს ვირტუალური ოპონენტი, ვინაიდან ის მთელი საზოგადოების ლიდერობას ახორციელებს. ის საზოგადოების არც მორიგებას (ცენტრისკენული), არც პოლარიზებას (ცენტრიდანული) არ ახორციელებს: მას აქვს საყოველთაობის პრეტენზია. იმავე მაგალითს, რაც ადრე მოვიყვანეთ – გადასახადების გაზრდა ან შემცირება – ის მიუდგება არა გადანაწილების თვალსაწიერიდან, არამედ ეკონომიკური მიზანშეწონილობის თვალსაწიერიდან.


### ჰიპერბოლა

ჰიპერბოლა, ელიფსისგან განსხვავებით, შედგება ორი დამოუკიდებელი შტოსგან, რომლებსაც აქვთ ასიმპტოტები. ჰიპერბოლას აქვს ორი ფოკუსი და ორი დირექტრისა, რომლებიც შტოებს შორის, ცენრისკენ მდებარეობენ. ჰიპერბოლაზე განლაგებული წერტილიდან მანძილების სხვაობა ფოკუსებამდე არის კონსტანტა:  $r_1 - r_2 = 2a$ . ხოლო მანძილი უახლოეს ფოკუსამდე და უახლოეს დირექტრისამდე ერთმანეთის პროპორციულია – ისევე, როგორც ელიფსი ვარიანტში, ოღონდ განსხვავებული კოეფიციენტით.

## თავი 2.

ექსცენტრისისიტეტი ჰიპერბოლისთვის ერთზე მეტია,  $e > 1$ . ჰიპერბოლის ფორმულაა  $\frac{x^2}{a^2} - \frac{y^2}{b^2} = 1$ .

### სურათი 2.9.



ჰიპერბოლას, ელიფსისგან განსხვავებით, ახასიათებს ცენტრიდანული, და არა ცენტრისკენული ტენდენციები. ცენტრალური პოზიცია მისთვის არის არა პრეფერენცია, არამედ წყალგამყოფი.

თუკი კანდიდატი განლაგებულია ჰიპერბოლის ფოკუსში, ხოლო მისი ვირტუალური ოპონენტი მის მეორე ფოკუსში, ჰიპერბოლაზე განლაგებული ამომრჩეველი, ისევე როგორც ელიფსის შემთხვევაში, აფასებს კანდიდატს მის ოპონენტან შედარებაში. ოღონდ ამჯერად მისთვის მნიშვნელოვანია პოზიციების სხვაობა, და არა ჯამი. მისთვის ახლოა და ლეგიტიმურია ის პოზიციები, რომლებიც მისთვის ახლო დირექტრისის მის მხარეს მდებარეობენ, ხოლო ის პოზიციები, რომლებიც მეორე დირექტრისის მიღმაა, მისთვის უბრალოდ მიუღებელია (და არა უსარგებლო). გამარჯვების შემთხვევაში ერთი მხარე მთლიანად ცდილობს გაბატონებას მეორეზე. სისტემა სრულად გახსნილია – ლეგიტიმაციის ის რესურსი, რომლითაც საზრდოობს კანდიდატი, მოდის გარედან. ვითარება პლურალისტურია, ვინაიდან არსებობს

ორი საპირისპირო პოლიტიკური პოზიცია, მაგრამ ეს არის პოლარიზებული პლურალიზმი – შესაბამისი პოლიტიკური კლასტერები არ იკვეთება.

ჰიპერბოლური პოლიტიკური სუბიექტი ცდილობს არა მანიპულირებას, არამედ ინტერპრეტირებას – დღის წესრიგისთვის ბრძოლას, როგორც ასეთს. მართლაც, თუკი ელიფსის შემთხვევაში მუდმივი იყო პრეფერენციებად ინტეპრეტირებული მანძილების ჯამი  $R_1 + R_2 = 2a$ , დერძების რეინტერპრეტირებით შესაძლებელი ხდება ჰიპერბოლურ შემთხვევაზე გადასვლა. ყველის რეინტერპრეტირებით თუკი პრეფერენციები დღის წესრიგებად იქცევა, მაშინ ჰიპერბოლისთვის მუდმივი ხდება დღის წესრიგების ჯამი (ვინაიდან, რაც, ინტერპრეტირებული არა როგორც მანძილი, არამედ როგორც ვექტორი, იცვლის ნიშანს). ანუ ჰიპერბოლა იგივე ელიფსია, ოლონდ რეინტერპრეტირებული ლერძებით – დაპირისპირება ხდება დღის წესრიგის განსაზღვრისთვის, ხოლო ძალთა ბალანსი ყალიბდება დღის წესრიგების ერთობლიობის ირგვლივ.

## რეპრეზენტაცია და პოლიტიკური სისტემა

კლასიკური მოდელისგან განსხვავებით, ამ მოდელში ფიგურირებენ როგორც სიბრტყეზე განლაგებული წერტილები (რომელთა კოორდინატები პრეფერენციებს განასახიერებენ), ასევე წყალგამყოფი წრფეები, რომლებიც პოლიტიკური ალტერნატივების სტრუქტურებას ახდენენ. ერთ ცალსახა პოლიტიკურ პოზიციას ამ შემთხვევაში წარმოაჩენს არა წერტილი, არამედ წყვილი „წერტილი და წრფე“, პრეფერენცია და დღის წესრიგი, და მათი თანაფარდობა. იმისთვის რომ შევადაროთ ორი პოლიტიკური პოზიცია, აღარ არის საკმარისი მათი რეპრეზენტატორი წერტილების ცოდნა, საჭიროა აგრეთვე ვიცოდეთ ორივე წერტილის კოორდინატები ერთსა და იმავე წერტილთან და წრფესთან მიმართებაში. მაგრამ ვინაიდან ყველა ამომრჩეველს შესაძლოა საკუთარი ორიენტირები ახასიათებდნენ, ამგვარი შედარება შეუძლებელი ხდება მანამ, სანამ მოხდება მათი პროეცირება ერთსა და იმავე „საზომებზე“. ეს ხდება საჯარო სივრცეში, ხოლო ეს პროცესი თავად ძალაუფლებრივი ურთიერთობების განსხვავებულ სტრუქტურულ მოდელებს ქმნიდეს.

ჩვენ განვასხვავებთ სამ შესაძლო მდგომარეობას:

1. ჩამოყალიბებულ დემოკრატიაში სავარაუდოა, რომ პოლიტიკის ბუნება და ძირითადი პოლიტიკური დაპირისპირებები (წყალგამყოფები) ფორმირებულია კანდიდატებისგან დამოუკიდებლად. ძალაუფლებრივი

## თავი 2.

ურთიერთობების სტრუქტურა დამოკიდებულია საზოგადოებაში არსებულ კულტურაზე, ეკონომიკურ ურთიერთობებზე, პოლიტიკური სისტემის რაობაზე და გარე ზეგავლენებზე. შესაბამისად, პოლიტიკის აქვს გარკვეული სისტემური ღოვიყა, რომელსაც კანდიდატები დიდად ვერ ცვლიან. ამ შემთხვევაში შესაძლებელია მოდელის გამოყენება სისტემის ხასიათის საანალიზოდ. რეპრეზენტაციის სამი ტიპი იმავდროულად გვაწვდის ტაქსონიმიას დემოკრატიის სამი ნაირსახეობისთვის – მაჟორიტარული (ელიფსური), პროპორციული (პარაბოლური) და პოპულისტური (ჰიპერბოლური).

2. სისტემა შერებულია, ან გარდამავალი. ამ შემთხვევაში შესაძლებელია რომ ერთი და იმავე პოლიტიკური ერთობის შიგნით თანაარსებობდეს სხვადასხვა ტიპის რეპრეზენტაციები (რეპრეზენტატორები), ხოლო რეპრეზენტაციის ტიპი თავად წარმოადგენდეს პოლიტიკური ბრძოლის საგანს. ამ შემთხვევაში პოლიტიკურ დაჯგუფებებს ექნებათ მეტი არჩევანი, ვიდრე პირველში. ზოგი დაჯგუფება (ქვე-დისკურსი) შესაძლოა მთლიანად იდეოლოგიის ძალით ეძებდეს მხარდაჭერას (პარაბოლური რეპრეზენტაცია), ზოგი კი – ოპონენტისადმი პოლარული დაპირისპირებით (ჰიპერბოლური რეპრეზენტაცია). ამგვარ სისტემაში, თუკი რეპრეზენტაციის განსხვავებული ტიპები მარგინალური არაა, ხელისუფლებაში მათი მონაცვლეობა შესაძლებელია ნიშნავდეს რეჟიმების ცვლას, და არა უბრალოდ ლიდერების მონაცვლეობას. ამგვარი ლოგიკური წყვეტები დისკურსებს შორის უნდა დაიკვირვებოდეს მედია სივრცეშიც (მაგ. განსხვავებული ტელეარხები ასევე განსხვავებულად პოლიტიკირებულები უნდა იყონ).

3. სისტემა არათავისუფალი, ნახევრად ავტორიტარული. ამ შემთხვევაში შეიძლება ვივარაუდოდ, რომ რეპრეზენტაციის ტიპის არჩევა მთლიანად დამოკიდებულია კანდიდატის პოზიციაზე ძალაუფლებრივ სტრუქტურაში, რომელიც, იმავდროულად, საჯარო დისკურზე ზეგავლენის შესაძლებლობასაც მოიცავს. მმართველი ძალის, რომლის კონტროლს ექვემდებარება ტელევიზიების დიდი ნაწილი (რაც მას დიდ გავლენას აძლებს დღის წესრიგის ფორმირებაზე), სტრატეგია სავარაუდოდ განსხვავებული იქნება მისი ოპონენტების სტრატეგიისგან. ოპოზიციური პარტიები, მოკლებულები მედიას, აქცენტს გააკეთებენ ნეგატიურ მობილიზაციაზე ხელისუფლების წინააღმდეგ (ჰიპერბოლური), ხოლო ხელისუფლება თავს წარმოაჩენს როგორც ხალხის უალტერნატიონ ლიდერი, რომელიც ხალხის სასიკეთოდ იღწვის (ელიფსური ან პარაბოლური).

ამდენად, უნდა ვივარაუდოდ, რომ რეპრეზენტაციის ტიპის დაგნოსტირებით ჩვენ ვადგენთ არა მარტო პოლიტიკური ძალების ინდივიდუ-

ალურ საარჩევნო სტრატეგიებს, არამედ მოცემული ქვეყნის პოლიტიკური დემოკრატიის ხასიათს მოცემულ ისტორიულ მომენტში.

თუმცა, ვინაიდან ამგვარი შეფასება არასდროს ჩატარებული, სხვა-დასხვა ქვეყნების სხვადასხვა ლიდერების და პარტიების ქცევის დინამიკის ემპირიულმა, სტატისტიკურმა კვლევამ შესაძლოა სხვანაირი ინტერპრეტაცია დაგვანახოს. ასე მაგალითად, პოპულისტური პარტიების ზრდა დამკვიდრებულ დემოკრატიებში შესაძლოა გვიჩვენებდეს განსხვავებული ტიპის რეპრეზენტაციის არსებობას იქაც, სადაც სისტემა ისტორიულად და პირველი შეხედვით სტაბილურად არის ჩამოყალიბებული. ასევე, პერიფერიულ ქვეყნებში, როგორიცაა საქართველო, რეპრეზენტაციის ხასიათი შესაძლოა განპირობებული იყოს არა იმდენად შიდა სისტემური ინსტიტუტების დემოკრატიულობით, რამდენადაც ქვეყნის გარეთ არსებული პოლიტიკური ძალაუფლების ცენტრების ზემოქმედების სიძლიერით.

მოცემული ნაშრომი ეყრდნობა მხოლოდ ერთი არჩევნების მონაცემების ანალიზს და არ გვაძლევს შესაძლებლობას განვიხილოთ საქართველოს პოლიტიკური სისტემა გრძელვადიან პერსპექტივაში. უფრო სრული ანალიზისთვის სასარგებლო იქნებოდა წინა საპრეზიდენტო არჩევნების ანალიზიც. ამ ანალიზის გარეშე, ჰიპოთეტურად, ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოდ ორი ვარიანტი: პოლიტიკური ძალების ოპორტუნისტული და პოპულისტური ქცევა.

თუკი ვივარაუდებთ, რომ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური ძალების მიერ განხორციელებული რეპრეზენტაცია განპირობებულია მათი ადგილით პოლიტიკურ სისტემაში (ხელისუფლება – ოპოზიცია), და არა მათი ბაზისური ლირებულებებით (სოციალური ბაზისით ან იდეოლოგიებით), მაშინ შეიძლება ვივარაუდოდ, რომ მათ მიერ განხორციელებული რეპრეზენტაცია იცვლება იმისდა მიხედვით, არის თუ არა პარტია მმართველი, თუ ის იმყოფება ოპოზიციაში. მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ მმართველობაში მყოფი პოლიტიკური ძალის სტრატეგია უნდა განსხვავდებოდეს ოპოზიციის სტრატეგიისგან.

საპირისპიროდ, მოცემული პოლიტიკური ძალის მიერ განხორციელებული რეპრეზენტაციის ტიპი შესაძლოა იყოს სტაბილური, ხოლო ამ ძალების მონაცვლეობა ხელისუფლებაში ნიშნავდეს რეჟიმების ცვლას. ასე, თუკი დავასკვნით, რომ ხელისუფლებაში სააკაშვილის ჩანაცვლება ივანიშვილით დაკავშირებულია რეპრეზენტაციის ტიპის ცვლილებასთან, შესაძლოა ვილაპარაკოთ იმაზე, რომ მოხდა სააკაშვილის ნახევრადავტორიტარული რეჟიმის დემოკრატიზაცია, გაჩნდა ახალი რეჟიმი, უფრო თანასწორი თამაშის წესებით.

## საქართველოს 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, სტატისტიკური ანალიზი

ანალიზი ჩატარებულია მონაცემთა მასივზე, რომელიც მოგროვდა რეპრეზენტატული გამოკითხვით 2013 საპრეზიდენტო არჩევნების წინ. მართალია, უფრო დაწვრილებით ამ კვლევის შედეგები აღწერილია მეხუთე თავში, აյ მოკლედ აღვნერთ იმ ასპექტებს, რომლებიც არსებითია მოდელის სტატისტიკური ინტერპრეტაციისთვის.

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, რომლებმაც დაასრულეს სააკაშვილის პრეზიდენტობის ვადა, არ იყო ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები. 2012 წელს, როდესაც პარლამენტის ადგილების უმრავლესობა მოიპოვა ივანიშვილის „ქართულმა ოცნებამ“, მოხდა მმართველი ძალის ცვლა, ვინაიდან იმავდროულად ამოქმედდა კონსტიტუციის ახალი რედაქცია, რომელიც პრეზიდენტის უფლებამოსილებას მნიშვნელოვნად ზღუდავდა. ამდენად, არჩევნებამდე ერთი წელი მოქმედმა პრეზიდენტმა თითქმის უფრის ციონდ გაატარა. თუმცა, პოლიტიკური დისკურსის ძირითად დღის წესრიგად რჩებოდა დაპირისპირება ნაციონალურ მოძრაობასა და ქართულ ოცნებას შორის. მიუხედავად ნაციონალური მოძრაობის ოპოზიციაში გადასვლისა, ის მნიშვნელოვან გავლენას ინარჩუნებდა ქვეყნის ინსტიტუტების უმრავლესობაში, ვინაიდან ამ ინსტიტუტებში (სასამართლო, სახელმწიფო ბიუროკრატია, მედია, სასწავლო დაწესებულებები, ადგილობრივი თვითმმართველობა) ამ პარტიის მომხრე/წევრების რაოდენობა იყო დისპროპორციულად მაღალი.

წინასაარჩევნო კონკურენცია ძირითადად წარიმართა ამ ორი ძალის წარმომადგენლებს შორის: ქართული ოცნების კანდიდატი იყო მარგველაშვილი, ხოლო ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი – ბაქრაძე. სიძლიერით მესამე კანდიდატმა, ნინო ბურჯანაძემ, ასევე სერიოზული წინასაარჩევნო კამპანია ჩაატარა. მისი პოზიცია უფრო რადიკალურად იყო დაპირისპირებული ბაქრაძის პოზიციასთან, ვიდრე მარგველაშვილისა, და პოტენციურად ჰქონდა შანსი მიეღო იმ ამომრჩეველთა ხმები, ვისთვისაც ორივე ძირითადი კანდიდატი მისაღები არ იყო. თუმცა, მისი პოტენციური ამომრჩევლების უმრავლესობამ სტრატეგიული გადაწყვეტილება მიიღო და ხმები უფრო ძლიერ კანდიდატს, მარგველაშვილს მისცეს. შესაბამისად, სამი საპრეზიდენტო კანდიდატიდან, რომლებმაც მოაგროვეს ხმების რამდენადმე მნიშვნელოვანი რაოდენობა, ჩვენ ამოვარჩიეთ მხოლოდ ძირითადი ორი. მესამე კანდიდატის მომხრეთა როადენობა მასივში იმდენად მცირე აღმოჩნდა (გამოკითხულთა

3.3%), რომ მისი ჩართვა ანალიზში სანდოობის დაპალ დონესთან იქნებოდა დაკავშირებული.

როგორც მარგველაშვილი, ასევე ბაქრაძე არჩევნებში პირველ რიგში აღიქმებოდნენ არა როგორც დამოუკიდებელი/ქარიზმატული ლიდერები, არამედ როგორც შესაბამისი პოლიტიკური ძალების წარმომადგენლები. არც ერთს, არც მეორეს არ გააჩნდა საკუთარი პოლიტიკური იმიჯი, და არ აღიქმებოდნენ ლიდერებად. არჩევანის ორიენტირებად რჩებოდნენ მათ უკან მდგომი ძლიერი ფიგურები, სააკაშვილი და ივანიშვილი, ამდენად კონკურენციის პოლუსებად სწორედ ეს ორი პიროვნება უნდა მოვიაზროთ.

საარჩევნო ქცევის განმაპირობებელი ფაქტორულმა ანალიზმა გამოავლინა საარჩევნო სიბრტყის ორი ძირითადი ლერძი, რომლებსაც პირობითად პრო-დასავლურსა და პრო-დემოკრატიულს უწინდებთ (მეხუთე თავში იგივე ლერძები ოდნავ განსხვავებული სახელებითაა მოხსენიებული). ორივე ლერძის წერტილები შესაძლოა იყოს ინტერპრეტირებული ორგვარად: როგორც პრეფერენცია და როგორც დღის წესრიგი, მაგრამ ოდნავ განსხვავებულად.

პრო-დასავლურ ლერძს ქმნის პასუხები ორ კითხვაზე: უჭერს თუ არა რესპონდენტი მხარს საქართველოს ინტეგრაციას ევროკავშირთან და ნატოსთან. ის შეესაბამება იმ დისკურსს, რომელიც დომინირებდა სააკაშვილის მმართველობის პერიოდში: გეოპოლიტიკური ორიენტაცია დასავლეთზე, ქვეყნის განვითარების კურსი, „მაღალი“ პოლიტიკის გრძელვადიანი დღის წესრიგი. რესპონდენტების უმრავლესობა პოზიტიურად პასუხობდნენ ამ კითხვებზე. თუმცა ბურჯანაძის რესპონდენტების მედიანა ამ ლერძთან უარყოფითად დამოკიდებული აღმოჩნდა. ვინაიდან ივანიშვილის პოლიტიკა ამ მხრივ დიდად არ განსხვავდება სააკაშვილის პოლიტიკისგან, ბაქრაძისა და მარგველაშვილის მხარდამჭერებს შორის განსხვავება ისეთი მკვეთრი არ იყო, თუმცა ბაქრაძის მომხრეების „პრო-დასავლურობა“ იყო უფრო გამოკვეთილი.

მეორე, პრო-დემოკრატიული ლერძი, არა საგარეო, არამედ საშინაო პრობლემებზე ორიენტირებულმა კითხვებმა განაპირობეს. ის შეიქმნა კითხვებით რომლებიც ასახავდა დამოკიდებულებებს: ა. საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომლებითაც შეიზღუდა პრეზიდენტის უფლებამოსილებები და გაიზარდა პრემიერ-მინისტრის როლი (E11); ბ. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მასობრივი ამნისტიის ჩატარებას (E12) გ. სამართლიანობის აღდგენის მიზნით ნაციონალური მოძრაობის ყოფილი მაღალჩინოსნების კანონის წინაშე წარდგენას (P10) (იხ. დანართი 2 და თავი 5).


## თავი 2.

ამ კითხვებში აშკარად ჩანს, რომ ეს ლერძი აგრძელებს დემოკრატიზაციის იმ დისკურსის ტელეოლოგიას, რომელიც 90-იანი წლებიდან მოყოლებული სისტემური ტრანსფორმაციის დღის წესრიგს ანიჭებდა უპირატესობას. ისევე როგორც პრო-დასავლური ლერძი, ის სიმბოლიზირებს პოლიტიკის დღის წესრიგს, ოღონდ ეს დღის წესრიგი უფრო ახლოა კერძო ინტერესების პოლარიზებულ რეპრეზენტაციასთან. თუკი ტრანსფორმაციის დასაწყისში, 90-იან წლებში, დემოკრატია, ნატოსა და ევროკავშირის მსგავსად, „დასავლეთის“ მახასიათებლად აღიქმებოდა და ქვეყნის განვითარების ორიენტირს წარმოადგენდა<sup>4</sup>, ამჯერად ის „პროდასავლური“ ლერძისგან დამოუკიდებელ ცვლადად გვევლინება. მისი თემატიკა ჯდება „სამართლიანობის აღდგენის“ დისკურსში, რომლითაც ოპოზიცია ებრძოდა სააკაშვილის რეჟიმს და ამ რეჟიმის გადმონაშთებს. წინამორბედი დისურსის ისეთ ლოზუნგებს, როგორების იყო არჩევნების გაყალბების, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის, ადამიანთა უფლებებისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრების მოთხოვნები, ანაცვლებენ ახალი თემები. ეს თემები, ტრადიციულად, დემოკრატიის ნაკლოვანებებში ხედავენ ქვეყნის პრობლემას და რეჟიმის ცვლილებაში – გამოსავალს. ამით ის ასევე ტელეოლოგიის ხასიათს ატარებს, ოღონდ არა გეოპოლიტიკაზე, არამედ შიდა სისტემურ ცვლილებებზე ორიენტირებით. განსხვავებით წინა ლერძისგან, ის უფრო პასუხობს კითხვას „როგორ“, და არა „რა“. ამდენად, ეს ორი ლერძი ერთმანეთს კარგად ავსებს: ერთი შესაძლოა მეორის დღის წესრიგად იყოს აღქმული (მეორეზე პროეცირებული). ამ ლერძის გასწრივ რესპონდენტების უმრავლესობა მიემხრო „სამართლიანობას“, რამაც, საბოლოოდ, მარგველაშვილის საარჩევნო წარმატება განაპირობა.

კანდიდატების მომხრეების საშუალო პოზიციები ამ ლერძებით შედგენილ სიბრტყეზე შემდეგნაირად განლაგდა (სურათი 2.10). რესპონდენტების დიდმა რაოდენობამ, ვინც არჩევნებამდე ერთი თვით ადრე ვერ ან არ დააფიქსირა თუ ვის აძლევდა ხმას (44.2%), ამ სურათზე ცენტრალური პოზიცია დაიკავა.

<sup>4</sup> იხ. მაგალითად, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, რომლის პრეამბულა ინყება სიტყვებით „ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი წებაა, დავამკვიდროთ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, . . .“

სურათი 2.10.



იმისათვის, რომ გამოვიყენოთ არსებული მონაცემები ჩვენი თეორიული მოდელის სადემონსტრაციოდ, ისინი საჭიროებენ გარკვეულ ინტერპრეტაციას.

ლოგიკური იქნებოდა გვეცადა მთლიანი სურათის ანალიზი, მონაცემთა ვარიაციის სტატისტიკური მიახლოებით. ჩვენ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ კანდიდატების პოზიციები წარმოადგენენ ერთი (მახასიათებელი) წირის ფოკუსებს, და ამ მახასიათებელი წირის საკვლევად გამოვიყენოთ სარგებლიანობის ფორმულა, რომელიც წარმოადგენს ნებისმიერი სახის კვადრატულ სამწევრს ამ ფოკუსებამდე მანძილების მიმართ. ამას აქვს აზრი იქიდან გამომდინარე, რომ ამ მანძილების სკალარული ნამრავლი, მოცემულ შერჩევაში, შესაძლოა განვიხილოთ რეგრესიის დამოუკიდებელ ცვლადად. მაშინ მულტინომიალური ორნევრიანი ლოგისტიკური რეგრესია გვიჩვენებს, რომ ამგვარი სამწევრი აუცილებლობით ელიფსურია, მაშინ როდესაც ჩვეულებრივი (ერთნევრიანი) ლოგისტიკური რეგრესია გვაძლევს ჰიპერბოლურ დაპირისპირებას კანდიდატის ამომრჩევლებისა მათი ოპონენტების მიმართ. ეს შედეგი ბევრს არაფერს გვეუბნება შერჩევის შესახებ, ვინაიდან შედეგი მომდინარეობს დათვლის მეთოდიდან, და არა შერჩევის ხასიათიდან.

ბუნებრივი იქნებოდა სარგებლიანობის იმ ფორმულის გამოყენება, რომელიც ადრე იყო მოყვანილი, და რომელიც წერტილამდე და წრფემდე მანძილების თანაფარდობას ეყრდნობა. მაგრამ ფორმულის წრფივ-წილადობრივი ხასიათიდან გამომდინარე (რაც გულისხმობს სინგულარობის წარმოქმნას), რეგრესიული ანალიზის პირდაპირ ვერ გამოიყენებოდა.

## თავი 2.

სინგულარული ფუნქცია რომ აუმჯობესებს საარჩევნო ქცევის მოდელირებას, ტრადიციულ კვადრატულ ფორმასთან შედარებით, ამაზე მეტყველებს შემდეგი:

რეგრესიამ აჩვენა, რომ ორივე კანდიდატის ამომრჩევლები იქცევიან სტატიგიულად – აქცევენ ყურადღებას როგორც საკუთარ კანდიდატს, ასევე მის ოპონენტს, აძლევენ ხმას ოპონენტის წინააღმდეგ. მართლად, როდესაც რეგრესიულ ანალიზი ჩართულია არა მარტო მანძილი ამომრჩევლისა და კანდიდატის წერტილებს შორის, არამედ დამატებულია მანძილი კონკურენტ კანდიდატამდე, მნიშვნელოვნად უმჯობესდება მონაცემების ვარიაციის ახსნა:

$$U(m) = -0.23r_1 + 0.11r_2 + \lambda_1 \quad (19)$$

სადაც  $r_1$  არის მანძილი ამომრჩეველსა და მარგველაშვილის წერტილებს შორის, ხოლო  $r_2$  – მანძილი ამომრჩევლისა და ბაქრაძის წერტილებს შორის,  $R^2 = 0.15$  (მარტო პირველი შესაკრებით –  $R^2 = 0.034$ ).

იგივე ბაქრაძისთვის გვაძლევს

$$U(b) = -0.132 r_2 + 0.18 r_1 + \lambda_2 \quad (20)$$

სადაც  $R^2 = 0.34$  (მარტო ერთი შესაკრებით  $R^2 = 0.149$ ).

ამასთან, როგორც რეგრესიის ამ ფორმულების კოეფიციენტები აჩვენებენ, ოპონენტის წინააღმდეგ ხმის მიცემა უფრო მნიშვნელოვანია სუსტი კანდიდატის (ბაქრაძის) შემთხვევაში, ვიდრე მარგველაშვილის შემთხვევაში.


ეს დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ სტატისტიკური წყალგამყოფი (ის წრფე, სადაც ხმის მიცემის ალბათობა მათ მიმართ ერთმანეთს უტოლდება) შესაძლოა განვიხილოთ ამომრჩეველთა მასივის დღის წესრიგად. ამ წრფის ადგილმდებარეობა იხ. სურათზე (წყვეტილი ხაზი, სურათი 2.11). წითელი და ლურჯი ხაზები წარმოადგენენ მარგველაშვილისა და ბაქრაძის დღის წესრიგებს შესაბამისად, რომლებიც მიიღება შემდეგი წრფივი რეგრესიიდან მიღებული ალბათობების ნულოვანი მნიშვნელობებით:

$$U_m = -0.935x - 0.189y + 0.358 \quad (21)$$

$$U_b = 0.834x + 0.25y + 0.145$$

სადაც  $U_m$  არის მარგველაშვილისთვის ხმის მიცემის ალბათობა, ხოლო  $U_b$  ბაქრაძისთვის ხმის მიცემის ალბათობა.

სურათი 2.11.



ჩვენი ვარაუდით, მთავარი სტრატეგიული თამაში ორ კანდიდატს შორის მიმართულია საშუალო ამომრჩევლის (სისტემის ცენტრი) აგრეგირებული ხმის მოსაპოვებლად. ჩვენი მოდელის თანახმად, ეს ალბათობა განისაზღვრება თანაფარდობით პრეფერენცია/დღის წესრიგი, ანუ, ამ მოდელირებით, მანძილი ცენტრიდან კანდიდატის წერტილამდე (მარგველაშვილისა და ბაქრაძის საშუალო ამომრჩევლები, წერტილები M და B) შეფარდებული მანძილთან ცენტრიდან კანდიდატის დღის წესრიგამდე (წითელი და ლურჯი წრფეები შესაბამისად).

ადვილი დასანახია, რომ ეს თანაფარდობა როგორც მარგველაშვილისთვის ისე ბაქრაძისთვის ერთზე მეტია, თუმცა ბაქრაძისთვის ის ბევრად მეტია, ვიდრე მარგველაშვილისთვის. ამას განაპირობებს არა მარტო ის, რომ კანდიდატის წერტილის დამორჩება ცენტრიდან ნაკლებია მარგველაშვილისთვის, არამედ ისიც, რომ წრფივი რეგრესიის ფორმულებში (ფორმულა 21), მარგველაშვილისთვის თავისუფალი წევრი მეტია, ვიდრე ბაქრაძისთვის. ამ ორი მაჩვენებლის ერთობლიობა განაპირობებს მარგველაშვილის საარჩევნო გამარჯვებას.

გეომეტრიულად, მიღებული შედეგები მიუთითებს იმაზე, რომ მარგველაშვილის და ბაქრაძის რეპრეზენტაციები ორივე ჰიპერბოლურია, თუმცა მარგველაშვილის ექსცენტრისიტეტი ბევრად ნაკლები. მართლაც, ვი-

## თავი 2.

გულისხმოთ რომ კანდიდატის პოზიცია მისი შესაბამისი წირის (ელიფსი, ჰიპერბოლა, პარაბოლა) ფოკუსია, ხოლო შესაბამისი დღის წესრიგი – ამ წირის დირექტრისა. ასევე ვიგულისხმოთ, რომ სისტემის ცენტრი ამ წირზე მდებარეობს. სისტემის ცენტრიდან შესაბამის ფოკუსამდე მანძილის თანაფარდობა მანძილთან ცენტრიდან დირექტრისამდე შესაბამისი ესცენტრისიტეტის ტოლია.

სურათიდან ასევე კარგად ჩანს, რომ საშუალო ამომრჩეველი საერთო დღის წესრიგის წრფისგან (წყვეტილი ხაზი) მარგველაშვილის მხარეს მდებარეობს. თუკი ცენტრისა და ამ წრფის ადგილმდებარეობა ფიქსირებულია (კანდიდატებისგან დამოუკიდებელია), უფრო ძლიერი კანდიდატისთვის მომგებიანია ცენტრისკენული ტენდენციები (ამ შემთხვევაში მისი სარგებლიანობა ამომრჩეველთა უმრავლესობისთვის იზრდება). მეორე კანდიდატისთვის, საპირისპიროდ, მომგებიანია ცენტრიდანული მოძრაობა.

ამდენად, შეგვიძლია გავაკეთოთ ორი მნიშვნელოვანი დასკვნა. ერთი ეხება მოდელის რელევანტურობის შეფასებას, ხოლო მეორე-მოდელის გამოყენებას ქვეყნის პოლიტიკური სისტემის დიაგნოსტიკისთვის.

განსხვავებით არსებული ევკლიდური მოდელებისგან, მოცემული მოდელი კარგად ხსნის კანდიდატების მიერ ცენტრიდან მოშორებით პოზიციების დაკავების ფენომენს. ცენტრიდანული ტენდენციები, რომლებიც ჩნდება წყალგამყოფის მხედველობაში მიღების შედეგად, განაპირობებენ ორგვარ ლოგიკას კანდიდატების ქცევაში: ყველაზე პოპულარულ პრეფერენციებთან დაახლოების ხოლო წყალგამყოფისგან დაშორების. საუკეთესო პოზიციები შედეგია ამ ორი საპირისპირო მიდგომის კომბინაციის. როგორიც არ უნდა იყოს ამ მხრივ კანდიდატის სტრატეგია, დაშორება ცენტრიდან მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იქნება.

განსხვავებულ ინტერპრეტაციას იძენს ვალენტობის ცნება. ვალენტობა ეს არის რეგრესის თავისუფალი წევრი (ფორმულა 21), რომელიც მნიშვნელოვნად განაპირობებს არჩევნების შედეგს და იმავდროულად არაპოლიტიკურ ცვლადად განიხილება. სკოფილდის მიხედვთ, ეს ცვლადი გამოხატავს ამომრჩეველთა დამოკიდებულებას კანდიდატის პირადი თვისებებისა და უნარების მიმართ, მისი ლიდერობის სტილს (იხ. თავი 5). ვალენტობის ამგვარი ინტერპრეტაცია ახლოს არის ჩვენს მიდგომასთან, ერთი პრინციპული სხვაობით. მოცემული მოდელის თანახმად, ვალენტობა აღარ არის არაპოლიტიკური წარმოდგენების, მოლოდინების ამსახველი, პირიქით, ის ხდება პოლიტიკური შეხედულებების უაღრესად მნიშვნელოვანი შემადგენელი: მას განაპირობებს ამომრჩეველთა პრეფერენციები დღის წესრიგთან მიმართებაში. ამ ცვლადზე დიდწილად არის დამოკიდებული ის,

თუ სად გაივლის პრეფერენციული დღის წესრიგის წრფე. ამდენად, მისი სი-დიდე გავლენას ახდენს რეპრეზენტაციის ტიპზე, რაც ჩვენი მოდელით, წარმოადგენს არა კანდიდატის პირად მახასიათებელს, არამედ ამომრჩეველთა პოლიტიკური შეხედულებების ფუნქციას.

რაც შეეხება პოლიტიკური სისტემის დიაგნოსტიკას, ეს თემა შემდგომ მსჯელობას მოითხოვს. არის თუ არა ჰიპერბოლური ტიპის რეპრეზენტაცია, რომელიც ჩვენ საქართველოში გამოვავლინეთ, ქვეყნის პოლიტიკური სისტემის მახასიათებელი, თუ ის ტიპიურია ისეთი მაურიტარული არჩევნებისთვის, როგორიცაა საპრეზიდენტო არჩევნები? თავიდან როდესაც ჩვენ მოვახდინეთ რეპრეზენტაციის სამი ტიპის კლასიფიკაცია, ექსცენტრისიტეტი სისტემის მახასიათებლად წარმოგვედგინა. თუმცა შემდგომში აღმოჩნდა, რომ ის თავად არის კონკურენციის ფაქტორი, კანდიდატის არჩევის ალბათობის განმაპირობებელი. ამდენად, ჩვენ დანამდვილებით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ დღის წესრიგისთვის ბრძოლა საქართველოში საარჩევნო ქცევის უფრო მნიშვნელოვანი კომპონენტია, ვიდრე პრეფერენციების განსხვავებულობა, მაგრამ ვერ დავასკვნით, რომ ამ მხრის საქართველო სხვა ქვეყნებისგან განსხვავებული პოლიტიკური ლანშაფთით ხასიათდება.

თუმცა შესაძლოა ირიბი დაკვირვებები მოვიშველიოთ. ის, რომ მარგველაშვილის სტრატეგია ნაკლებად კონფრონტაციული აღმოჩნდა, გარკვეულწილად მოულოდნელი იყო, ვინაიდან საჯარო დისკურსის მახასიათებლები უფრო მეტ დაპირისპირებასა და ანტაგონიზმს აჩვენებდნენ ქართული ოცნების მომხრების მხრიდან ნაციონალური მოძრაობის მიმართ, ვიდრე პირიქით. ამდენად, ეს მიმართება უნდა იხსნებოდეს არა იმდენად დისკურსული მახასიათებლებით, რამდენადაც ძალაუფლების სისტემური გადანაწილებით.

მართლაც, საქართველოში, მხოლოდ ის კანდიდატი, რომელიც მოქმედ ძალაუფლებას წარმოადგენს, ასოცირდება იმ პასუხისმგებლობასთან, რომელიც ინდივიდუალური პრეფერენციების დაკმაყოფილებას ემსახურება. მას აქვს შესაძლებლობა ისაუბროს ბევრ საჭირობოროტო თემაზე და გასცეს დაპირებები, რომლებიც მის ადმინისტრაციულ რესურსს ეყრდნობა. ოპოზიცია, როგორც წესი, აღიქმება უპასუხისმგებლო კრიტიკოსად, რომლისგანაც მოდის კრიტიკა, და არა დაპირებები. ეს წინასაარჩევნო კამპანია ამ მხრივ, ტიპიური იყო. მარგველაშვილის დისკურსი გაცილებით მეტად იყო ორიენტირებული პოზიტიურ სოციო-ეკონომიკურ და სხვა ტიპის დაპირებებზე, ხოლო ბაქრაძის -კრიტიკაზე. ეს ვითარება იყო განპირობებული კანდიდატების ადგილით პოლიტიკური ძალაუფლების უკვე არსებულ გა-

## თავი 2.

---

დანაწილებაში, და არა მათი პიროვნული, იდეოლოგიური თუ სხვა მახასიათებლებით. ამდენად, ის სისტემურ ხასიათს ატარებდა.

მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები ფორმალურად ჩატარდა დემოკრატიული სტანდარტების დაცვით, განსხვავება წინასაარჩევნო რეპრეზენტაციების ტიპოლოგიაში შესაძლოა ასახავდეს ლატენტურ უთანასწორობას, რომელიც არსებობს ხელისუფლებასა და მის ოპოზიციას შორის. ეს უთანასწორობა განპირობებულია სისტემური მახასიათებლებით: ხელისუფლების ასოცირებით პრეფერენციებთან, ხოლო ოპოზიციის – დღის წესრიგთან. შესაბამისად, ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკურ ძალას ყოველთვის აქვს გარკვეული უპირატესობა მის ოპონენტებთან მიმართებაში. იმისათვის, რომ მოხდეს არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლა, ოპოზიციამ უნდა მოახერხოს ვითარების რეინტერპრეტირება – წყალგამყოფისა და ცენტრის ადგილმდებარეობის გადანაცვლება. თუკი მან ეს მოახერხა, შემდგომი ცვლილებები ხდება სწრაფად და ძალთა ბალანსი ინაცვლებს მეორე მხარეს თოვლის გუნდის ეფექტით. ბოლო ათწლეულებში მომხდარი ხელისუფლების ცვლილებები ამ სცენარის ადექვატურობას ადასტურებენ.

## თავი 3

### პოლიტიკური არჩევანი მედიაში

#### მარინა მუსხელიშვილი

პოლიტიკურ სისტემას ქმნიან არა მხოლოდ ფორმალური ინსტიტუტები, არამედ ის არაცალსახა მნიშვნელობებიც, რომლებიც მათ ინტერპრეტირებენ. ის, თუ რა შინაარსით ივსება „პოლიტიკური“ მოცემულ საზოგადოებაში, როგორ ყალიბდება პოლიტიკის დღის წესრიგი, რამდენად მძაფრია კონკურენცია განსხვავებულ ინტერპრეტაციებს შორის, ერთობლივად ქმნიან ძალაუფლების რეალურ გადანაწილებას, მის სტრუქტურას და განაპირობებენ დემოკრატიის ხასიათს. „პოლიტიკურის“ ამ ფართო გაგებას ჩვენ რეპრეზენტაციის სამი ტიპი მივუსადაგეთ, რომლებსაც პირობითად ელიტური, პარაბოლური და ჰიპერბოლური ვუწოდეთ.

ბუნებრივია ვეცადოთ დავაკავშიროთ რეპრეზენტაციის ტიპები პოლიტიკური სისტემების ნაირსახეობებთან, ქვეყნების პოლიტიკურ კულტურასთან და სხვა ფაქტორებთან, რომლებიც ემპირიულ შესწავალს ექვემდებარება. ვინაიდან რეპრეზენტაციები ვლინდება დისკურსში, სადაც შინაარსობრივი ინტერპრეტაციები არაცალსახა, მრავლობით ხასიათს ატარებს, ამგვარი კავშირის ძიება ყოველთვის სუბიექტურობის საშიშროებას აჩენს.

სიმბოლური რეპრეზენტაციის არაფორმალური ველი, ინტერპრეტაციების სიმრავლე სცილდება პოლიტიკურ სისტემას და მის მიღმა, საჯარო სივრცეში და მედიაში ფორმირდება. ამდენად, ლოგიკურია ვეძებოთ ამგვარი მანიფესტაციები არა პოლიტიკურ ინსტიტუტებში, არამედ მედიაში. ამ თავში ლაპარაკი იქნება საჯარო პოლიტიკურ დუსკურსზე, როგორც ის სტრუქტურირდება მედიის, პირველ რიგში ტელევიზიის მიერ. ამ თავს არა აქვს პრეტენზია საბოლოო დასკვნებზე; ის უფრო რეფლექსიისა და განსჯის ხასიათს ატარებს.

#### დღის წესრიგის ფორმირება – ნინასწარი მოსაზრებები

მედიის პოლიტიკური ძალაუფლება არ არის რეგულირებული კონსტიტუციურად, გარდა სიტყვის თავისუფლების გარანტიისა. უურნალისტიკის მეინსტრიმული სტანდარტები მედიისგან მიუკერძოებლობასა და ნეიტრა-

### თავი 3.

ლურობას მოითხოვენ. ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი არსებობს აზრთა სხვა-დასხვაობა ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში, უურნალისტი ვალდებულია ყველა მხარე წარმოაჩინოს ისე, რომ არც ერთის პოზიცია არ გაიზიაროს. ეს სტანდარტი, სიტყვის თავისუფლებასთან ერთად, უნდა უზრუნველყოფდეს დამოუკიდებელი არჩევანის თავისუფლებას ინდივიდისთვის. მაგრამ რაც არ უნდა მიუკერძოებელი და პროფესიული იყოს მედია (პირველ რიგში აქ იგულისხმება ტელევიზია), ის ვერ გასცდება მაყურებელზე გავლენის მოხდენას, ვინაიდან ის საჯარო სივრცის დღის წესრიგის ფორმირების უცილობელი თანამონანილება.

მედია ფლობს დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალაუფლებას, და ეს პირველ რიგში დღის წესრიგის ფორმირების და ინტერპრეტირების ძალაუფლებაა. პოლიტიკური ხასიათის ნებისმიერი გადაცემა, თავისი შინაარსითა და ამ შინაარის სტრუქტურირებით, პირდაპირ თუ ირიბად, ინფორმაციასთან ერთად აწვდის მაყურებელს არა ერთ, არამედ სამი სახის შეტყობინებას: რაზე იფიქრო, როგორ იფიქრო და რა იფიქრო (McCombs, 2014) მედია არ ასახავს რეალობას, ის მას რეპრეზენტირებს.<sup>1</sup> რეალობის რეპრეზენტირებისას, მედია ქმნის ვირტუალურ სამყაროს, ინტერპრეტირებულს საკუთარი თვალსაწიერიდან, პრიორიტეტული დღის წესრიგისგან.

საჯარო სივრცე, რომელიც ახდენს რეალური სამყაროს რეპრეზენტირებას, და არა მის სარკისებრ ასახვას, იმავე შეზღუდვებს ექვემდებარება, რასაც წარმომადგელობითი დემოკრატია: თავისთავად ის ვერ უზრუნველყოფს კომუნიკაციის პოზიტიური უფლების განხორციელებას თანაბრად ყველასთვის. ამ უფლების განხორციელებისთვის ბრძოლა კი პოლიტიკურ ხასიათს იძენს.

ზუსტად ისევე, როგორც ეს ხდება პოლიტიკაში, მედია რეპრეზენტირებისას ხდება ფართო მრავალფეროვნების შეკუმშვა, პროეცირება შეზღუდულ დღის წესრიგზე. საზოგადოების კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, ასევე პოლიტიკაში, უამრავი მოვლენა, უთვალავი პრობლემა და ინტერესთა თუ შეხედულებათა სხვაობა არსებობს. მაგრამ ეს ყველაფერი ვერ აისახება მედიაში, და, მითუმეტეს, არ ხდება საზოგადოების დიდი ნაწილის ყურადღების ცენტრში.

<sup>1</sup> მათემატიკურად, განსხვავება ასახვასა და რეპრეზენტირებას შორის უნდა გავიგოთ როგორც განსხვავება ორ პროეცირებას შორის: უსასრულო თუ სასრული წერტილიდან, როგორც ცენტრიდან. მიუკერძოებელი ასახვის კონცეფცია გულისხმობს მედიის პოზიციას „უსასრულობაში“, საზოგადოების მიღმა, ნეიტრალურ სივრცეში. ხოლო რეპრეზენტაცია – სასრული წერტილიდან, რომელიც თავად გარკვეულ პოზიციას წარმოადგენს.

იმისთვის, რომ ინდივიდმა იქმნიოს შეხედულება ამა თუ იმ პოლიტიკურ საკითხთან მიმართებაში, ეს საკითხი მისი ხედვის არეალში უნდა მოექცეს. მედია სივრცე მუდმივად ასრულებს ამ ფუნქციას – მრავალფეროვანი თემებიდან და მოვლენებიდან არჩევს ნაწილს, რომელსაც მეტ ყურადღებას უთმობს, ვიდრე სხვებს. ის ასევე აშუქებს მოვლენებს გარკვეული კუთხით, სვამს მათ ისეთ კონტექსტში, რომელიც მაყურებელს გარკვეული აზრის გამოტანაში ეხმარება.

შესაბამისად, მედიას (რაც არ უნდა ვიგულისხმოთ მედიაში – უურნალისტური კორპუსი თუ მედია მენეჯმენტი და მფლობელები), უნდა თუ არ უნდა, გააჩნია აუდიტორიაზე ზემოქმედების მექანიზმები. თუკი მოვლენების შერჩევა და გარკვეული თვალსაწირიდან გაშუქება იძენს ტენდენციის სახეს – ანუ მეორდება, გრძელდება და ქმნის არა კომუნიკაციის ერთეულოვან მოვლენას, არამედ დისკურსს, მაშინ შესაძლოა ვილაპარაკოთ მედია ან მედია საშუალების პოლიტიკურ მიკერძოებაზე, რომელიც პოლიტიკური ძალაუფლების ფორმას წარმოადგენს. მეტიც, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ თვალთახედვა ყოველთვის მონაწილეობს მედია პროდუქციის შექმნაში.

ზედმეტია იმის თქმა, რომ როდესაც პოლიტიკაზე საჯაროდ საუბრობენ თავად პოლიტიკოსები და პოლიტიკური აქტივისტები, მათი ძირითადი ადრესატი აუდიტორია (და არა შესაძლო მოსაუბრე ან დებატორი), რომელსაც ისინი პირველ რიგში საკუთარ თვალთახედვასა და ინტეპრეტაციას აწვდიან. იმ დროს როცა უურნალისტი ვალდებულია ინტერპრეტაცია დამალოს და ირიბი გზები გამოიყენოს აუდიტორიისთვის მისი ხედვის მისატანად, პოლიტიკოსი პირდაპირი ნარატივის ფორმას იყენებს.

წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ პოზიციის არგამოხატვით უურნალისტი ხდება მიუკერძოებელი, მცდარია იმ აზრით, რომ არ ითვალისწინებს დღის წესრიგის ფორმირებას მედიის მიერ – ფუნქციას, რომელიც არა მედიის კორუფციულ დამახინჯებას, არამედ მისი ფუნქციონირების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მედია, რომელიც უხეშ პროპაგანდას ეწევა, ანუ არ აკმაყოფილებს ფორმალურ პროფესიულ მოთხოვნებს, ადვილი დასანახია. მაგრამ ისეთი მედია, რომელიც დღის წესრიგით მანიპულირებს, ახერხებს საკუთარი პროფესიონალიზმის და იმავდროულად პოლიტიკური შეფერილობის შეთავსებას.

ბოლო წლებში მედია კვლევები დიდ ყურადღებას უთმობენ მედიის მიერ დღის წესრიგის ფორმირებას. ამ მიდგომის ვარაუდით, მედია გავლენას ახდენს აუდიტორიაზე არა იმით, რომ ეუბნება თუ რა უნდა იფიქრონ ადამიანებმა, არამედ იმით, თუ რის შესახებ უნდა იფიქრონ მათ. ყურადღების

### თავი 3.

ცენტრში შესაძლოა ექცეოდეს ამბავი, რომელიც მიეწოდება აუდიტორიას ან ამ ამბის კონტექსტუალიზაცია, მისი ხედვა გარკეული თვალსაწირიდან:

“არაობიექტურობას ადგილი აქვს, როდესაც ახალ ამბებში ხაზგასმულია პოლიტიკური კონფლიქტის ერთ-ერთი მხარისათვის სასურველი ჩარჩო, და იგნორირებული ან ხელყოფილია მეორე მხარის ხედვა. ცალმხრივი ფრეიმინგი ხაზს უსვამს ზოგიერთ ელემენტს და ჩემალავს დანარჩენებს, იმგვარად, რომ უბიძვებს მაყურებელს ყურადღება მიაქციონ და მნიშვნელობა მიანიჭონ შეფასებით ატრიბუტებს, რომლებიც პრივილეგიას ანიჭებენ ფავორიტი მხარის ინტერპრეტაციას.” (Entman, 2010).<sup>2</sup>

მიკერძოების მიზეზი შესაძლოა იყოს როგორც უურნალისტის ქვეცნობიერი მსოფლმხედველობითი ცალმხრივობა, ასევე გარე ზეგავლენები; თანმიმდევრული მიკერძოება პოლიტიკური გავლენის მომტანია:

“შინაარსის მიკერძოებულობა ეხება მედია კომუნიკაციის თანმიმდევრულად არაობიექტურ ფრეიმინგს, რომელიც ხელს უწყობს კონკრეტული ინტერესების, პარტიის ან იდეოლოგიის ნარმატებას ხელისუფლების ძალაუფლების კონტროლისათვის კონკურენციებში.” (Entman, 2010).<sup>3</sup>

ტერმინოლოგია, რომელიც გამოყენება ამგვარ კვლევებში, ზოგჯერ განსხვავდება. ასე მაგალითად, თუკი ახალი ამბის შედარებითი ხილვადობა როგორც წესი მოიხსენიება დღის წესრიგის ფორმირების ტერმინით, მოვლენის ან ამბის სპეციფიური მახასიათებლების წინ წამოწევა, შესაძლოა იყოს განხილული ფრეიმინგის სახელწოდებით, ან მეორე რიგის დღის წესრიგის ფორმირების სახელწოდებით. ხოლო თავად შინაარსი, გზავნილი, რომელიც არტიკულირებულად გადმოიცემა მოცემულ ამბავში – მესამე რიგის დღის წესრიგადაც კი (McCombs, 2014). იმისდა მიუხედავად, რომ ის შედარებით ახალია, კვლევების ეს მიმართულება გვეხმარება დავინახოთ მედიის პოლიტიკური გავლენის ის კომპონენტი, რომელიც არ არის განპირობებული გარე ძალაუფლებების ზემოქმედებით (მფლობელობა, არათავისუფლება), არამედ თავისთავად ჩნდება მედიის არსებობის ფაქტიდან გამომდინარე.

<sup>2</sup> „Slant occurs when a news report emphasizes one side's preferred frame in a political conflict while ignoring or derogating another side's. One-sided framing emphasizes some elements and suppresses others in ways that encourage recipients to give attention and weight to the evaluative attributes that privilege the favored side's interpretation“.

<sup>3</sup> Content bias refers to consistently slanted framing of mediated communication that promotes the success of a specific interest, party or ideology in competitions to control government power.

## დღის წესრიგის ფორმირება: ფორმა არის შინაარსი

როდესაც ვიღაცა იძახის „მიშველეთ“ ან „ევრიკა“, ის აცხადებს ლე-გიტიმურ პრეტენზიას გარშემო მყოფი ადამიანების ყურადღებაზე. გარშემო მყოფი ადამიანებისგან ის მოთხოვს პრივილეგიას – მოცემულ მომენტში მისდამი მეტი ყურადღების მიქცევას ვიდრე სხვების მიმართ. ამგვარი მოთხოვნა ლეგიტიმურია მისი შინაარსიდან გამომდინარე. ეს შინაარსი არის გადაუდებელი პრობლემა ან აღმოჩენა, რომლებიც გამოარჩევენ ამ ინდი-ვიდის დღის წესრიგს სხვებისგან და მას უპირატესობას ანიჭებენ. საკითხე-ბის განხილვის და მათზე რეაგირების რიგითობა, ამდენად, არ ექვემდებარე-ბა თანასწორობის, სითანაბრის პრინციპის. დემოკრატიის პრინციპი – ერთი ადამიანი – ერთი ხმა – აქ გამოუსადეგარია. პრობლემის ყურადღების ცენტრში მოქცევა არ ხდება უმრავლესობის ხმებით. გარკვეულ ვითარე-ბებში ერთი ადამიანიც კი საკმარისია იმისათვის, რომ ყველა დანარჩენმა გა-დართოს ყურადღება და, ნაცვლად იმისა რომ გააგრძელოს ფიქრი იმაზე, რა-ზედაც მანამდე ფიქრობდა, დაინტენტირება იმაზე, რაც ამ ადამიანმა წამოი-ძახა. ყველას აქვს თანაბარი უფლება გახდეს ის პიროვნება, ვინც ყურადღე-ბას მოითხოვს. მაგრამ ყველა არ იყენებს ამ უფლებას ერთდროულად და თა-ნაბრად. ასე რომ ყოფილიყო, დადგებოდა ქაოსი – ყურადღების მომთხოვნე-ბისადმი ყურადღების მიმქცევი არავინ დარჩებოდა.

იგივე ხდება მედიაშიც. დღის წესრიგში საკუთარი თავის, საკუთარი სა-კითხის დაყენება იწყება ყველასათვის გასაგები სიგნალებით ყურადღების მიქცევის მიზნით. როდესაც ახალი ამბების წამყვანი ლაპარაკობს მშფოთვარე, დაძაბული ინტონაციით, ეს ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ მოხდა რაღაცა ექსტრაორდინარული. ეს ილეთი ქმნის მოლოდინს, მოქმედებს მსმენელთა განწყობაზე შეაჩერონ ყურადღება მოცემულ არხზე, მოცემულ გადაცემაზე, არ გადართონ სხვაგან, ვინაიდან ის უურნალისტისგან ღებულობს ფარულ გზავნილს, სიგნალს, იმის თაობაზე რომ ის ლეგიტიმურად ითხოვს მისგან ყუ-რადღებას. მოლოდინის შექმნა, დაძაბულობის გენერირება, მოვლენების ეპი-ცენტრში ყოფნა, სხვა ავგვარი, უურნალისტური რეიტინგის გასაზრდელი სტრატეგიები, დღის წესრიგის ფორმირებას უკავშირდება. საბოლოო ჯამში, თავად მედია არხი ხდება დღის წესრიგი, ისევე როგორც პოლიტიკაში ლიდერი ხდება იმ დღის წესრიგის სიმბოლო, რომელსაც განასახიერებს.

ინტონაციის გამოყენება დღის წესრიგზე ზემოქმედების მაგალითად მოვიყვანეთ იმისთვის, რომ თავიდანვე ცხადი ყოფილიყო – დღის წესრიგის ფორმირება მრავალი ფორმით ხდება.

### თავი 3.

ის, თუ რა არის მედიის მიერ დღის წესრიგის ფორმირება, სხვადასხვა წყაროში განსხვავებულად არის განმარტებული. როგორც წესი, ის განიმარტება როგორც ძალისხმევა, რომელიც მიმართულია მოცემული საკითხისადმი მეტი ყურადღების მისაქცევად. დეფინიციაზოგჯერ ასევე მოიცავს არა მარტო მოქმედების მიზანს, არამედ მიუთითებას იმაზე, თუ როგორ მიიღწევა ეს მიზანი. ასე მაგალითად, განმარტებაში შეიძლება შევიდეს „საკითხების უფრო ხშირად და ხაზგასმულად წარმოჩენა მედიაში“:

“დღის წესრიგის ფორმირება – ეს არის მასმედიის მიერ გარკვეული საკითხების ხშირი და გამორჩეული წარდგენის პროცესი, იმ შედეგით, რომ ხალხის დიდი ნაწილი ამ საკითხებს უფრო მნიშვნელოვნად აღიქვამს, ვიდრე სხვებს. მარტივად რომ ვთქვათ, რაც უფრო მეტად გამუქდება საკითხი, მით უფრო მნიშვნელოვანია ის ხალხისთვის.“ (Coleman, 2009, გვ. 147)<sup>4</sup>

ამგვარ განმარტებას აქვს იმპლიციტური ლოგიკა: მეტი დროის დათმობა მედიაში – მეტი ყურადღება საზოგადოების მხრიდან. მისი ნაკლოვანება მდგომარეობს იმაში, რომ „მეტი დროის დათმობა“ არის ერთერთი, მაგრამ არა ერთადერთი მეთოდი. მეთოდებისა და მიზნების ამგვარი გაერთიანება გარკვეულწილად განმარტებას არასრულყოფილ ხასიათს ანიჭებს, ვინაიდან როგორც „ყვირილის“ ზემოხსენებულმა მაგალითმა აჩვენა, ინტონაციაც კი შესაძლოა დღის წესრიგის ფორმირების მნიშვნელოვანი ელემენტი აღმოჩნდეს.

დღის წესრიგის ფორმირება ასევე შესაძლოა ახლოს იდგეს პრაიმინგთან – რაც მიმდევრობითობას უკავშირდება. უფრო მნიშვნელოვანი საკითხები ახალ ამბებში უფრო წინ და ადრე უნდა იყონ განლაგებული, ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანი -თავში გამოტანილი. მიმდევრობითობა, რომლითაც ესა თუ ის თემა ჩნდება ახალ ამბებში, სერიოზულ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე და ამა თუ იმ მოვლენის ფარდობითი მნიშვნელობის აღქმაზე.

ამდენად, „საკითხის მნიშვნელოვნება“ უკავშირდება დღის წესრიგის განმარტების მეორე ვარიანტს, დაფუძნებულს მიმდევრობითობაზე. ფარული გზავნილი, რომელსაც მედია ახალი ამბები მაყურებელს აწვდის დევს არა შეტყობინების შინაარსში, არამედ იმ ადგილში, რომელსაც ის იკავებს სხვა შეტყობინებებთან მიმართებაში.

<sup>4</sup> „Agenda setting is the process of the mass media presenting certain issues frequently and prominently with the result that large segments of the public come to perceive those issues as more important than others. Simply put, the more coverage an issue receives, the more important it is to people.“

მეთოდი და მიზანი ერთობლივად ფიგურირებენ ფრეიმინგის განმარტებებშიც. მეორად დღის წესრიგი და ფრეიმინგი ახლო მდგარი ტერმინებია და ორივე საკითხის დინამიურ ინტერპრეტაციას ეხება „თუ როგორ ხდება საკითხების და მოვლენების ორგანიზება და მათი გავება, განსაკუთრებით მედიის, მედია პროფესიონალების და მათი აუდიტორიის მიერ (Reese, 2001, გვ. 7)“ . (Coleman, 2009, გვ.150). ის შეიძლება გავიგოთ როგორც „დღის წესრიგი დღის წესრიგში“ – საკითხის გარკვეული მხარეებისა თუ მასისათებლების ხაზგასმა. ფრეიმინგი მოიცავს მეორად დღის წესრიგს, თუმცა უფრო ფართოა:

“ფრეიმინგი არის ყოვლისმომცველი პროცესი პოლიტიკაში და პოლიტიკის ანალიზში. ის მოიცავს აღქმული რეალობიდან რამდენიმე ასპექტის გამოყოფას/შერჩევას და მათ დაკავშირებას ერთმანეთთან ნარატივში, რომელიც ხელს უწყობს კონკრეტულ ინტერპრეტაციას... ჩარჩოები ნერგავენ ან აძლიერებენ გარკვეული იდეების ხელმისაწვდომობასა და მნიშვნელობას პოლიტიკური ობიექტის შესაფასებლად.“ (Entman, 2010)<sup>5</sup>

ჩარჩო განმეორებითად ააქტიურებს ერთსა და იმავე ობიექტებს და თვისებებს, იდენტური ან სინონიმური სიტყვების გამოყენებით, დროში კონცენტრირებული, ერთმანეთის მსგავსი კომუნიკაციების სერიებში. ამ ჩარჩოების ფუნქციაა ხელი შეუწყობ პრობლემატური სიტუაციის ან აქტორების გარკვეულ ინტერპრეტაციას, სასურველი რეაქციის (იმპლიციტურ ან ექსპლიციტურ) მხარდაჭერას, ხშირად ამ პროცესს თან ახლავს მორალური შეფასება, რომელიც ემოციურ მუხტს იწვევს. ფრეიმინგი გამოიჩინა სხვა კომუნიკაციებისგან მისი დიაქრონული ხსიათით. ფრეიმინგის გზავნილს განსაკუთრებული კულტურული რეზონანსი გააჩნია; ის გვახსენებს ნარსულში შენახული სქემების ახლანდელობასთან შესაბამის ელემენტებს. ერთნაირი ჩარჩოს დროთა განმავლობაში მრავალ ტექსტებში გამეორება მოქალაქეთა პოლიტიკურად მნიშვნელოვან პროპორციას აძლევს საშუალებას შეამჩნიონ, გაიგონ, დაიმახსოვრონ და ალიდგინონ მენტალური ასოციაცია სამომავლო გამოყენებისათვის. ( Entman, et al, 2009: გვ.177).<sup>6</sup>

<sup>5</sup> „Framing is an omnipresent process in politics and policy analysis. It involves selecting a few aspects of a perceived reality and connecting them together in a narrative that promotes a particular interpretation....frames introduce or enhance the availability and apparent importance of certain ideas for evaluating a political object.“

<sup>6</sup> „A frame repeatedly invokes the same objects and traits, using identical or synonymous words and symbols in a series of similar communications that are concentrated in time. These frames function to promote an interpretation of a problematic situation or actor and (implicit or explicit) support of a desirable response, often along with a moral judgment that

ამ განმარტებებში კარგად ჩანს ფრეიმინგის მთავარი მახასიათებელი: მოვლენების ინტერპრეტაცია დინამიურ პერსპექტივაში: strip of events; diachronic. დინამიური პერსპექტივა შესაძლოა ატარებდეს წმინდა პოლიტიკურ ხასიათს, იყოს ლატენტური მესიჯი მოვლენების ინტერპრეტაციისა: „შევარდნაძე გადადგება და ყველაფერი კარგად იქნება“. ის შეიძლება იყოს იდეოლოგიური (აყალიბებდეს გარკვეულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს): „ინვესტიციები შემოვა, ეკონომიკა ამუშავდება, გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები და საზოგადოების კეთილდღეობა მოიმატებს“. შესაძლოა ის იყოს მიმართული წარსულის განმტკიცებაზე ან უარყოფაზე, და არა მომავლის ხედვაზე: „საბჭოთა მექანიზმები უნდა დავძლიოთ“, „ქართული ტრადიცია უნდა შევინახოთ“. ფრეიმინგი შესაძლოა არ მოიცავდეს დინამიურ გზავნილს, მაგრამ თავად ის, რომ ის მოვლენების ლოგიკური ჯაჭვის ხედვას ანვდის მაყურებელს, უკვე გულისხმობს დინამიკის ამსახველი ლატენტური ხედვის ტრანსლირებას.

კარგად სტრუქტურირებული დისკურსი, რომელიც დღის წესრიგის ფორმირებისა და ფრეიმინგის თანმიმდევრულ გამოყენებას ეყრდნობა, შეიძლება განვიხილოთ როგორც მითოლოგია – რეალობის ვირტუალური განვრცობა სივრცეში და დროში, რომელსაც ყავს თავისი გმირები და ანტიგმირები, სიმბოლოები და ნარატივები, პერსპექტიული, დინამიური ათვლის წერტილები და ისტორიული მოვლენები. ტელევიზიას ამგვარი მითოლოგიის შექმნის ყველა შესაძლებლობა გააჩნია.

არსობრივად, ჩვენ შეგვიძლია როგორც ფრეიმინგი, ასევე დღის წესრიგი ინტერპრეტაციის მეთოდებად მოვიხსენიოთ. მაგრამ ინტერპრეტაციის ტიპები და სახეობები უნდა განვასხვაოთ. დინამიური ინტერპრეტაცია თავისი არსით პოლიტიკური აქტიობაა. იგულისმება, რომ ახალი ამბები ინტერპრეტაციას მინიმალური დოზით იყენებენ, მაშინ როცა პოლიტიკოსები მას ყოველთვის მიმართავენ, რათა ამომრჩევლებს საკუთარი გრძელვადიანი ხედვა აცნობონ. იმისდა მიხედვით, თუ რამდენად „პოლიტიზირებულია“ მედია, ინტერპრეტაციის დოზა ახალ ამბებში განსხვავებულია. ძლიერად პოლიტიზირებული მედია თანმიმდევრულად და ფართოდ იყენებს ინტერპრეტაციას რათა მაყურებელს რეალობის საკუთარი ვერსია შესთა-

---

provides an emotional charge. Here again framing is distinguished from other communication by its diachronic nature. A framing message has particular cultural resonance; it calls to mind currently congruent elements of schemas that were stored in the past. Repeating frames over time in multiple texts gives a politically significant proportion of the citizenry a chance to notice, understand, store and recall the mental association for future application“.

ვაზოს. ამგვარი მედია ყოველდღიურ რეჟიმში ქმნის ისტორიის იმ ვერსიას, რომელსაც ის იზიარებს.

დინამიური ინტერპრეტაცია (ფრეიმინგი) და დღის წესრიგის ფორმი-რება მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, ვინაიდან საკითხების ფარდობით მნიშვნელობაზე ზემოქმედება იმავდროულად ნიშნავს მათი გადაწყვეტის დინამიკის ტრანსფორმაციას.

რომელიმე საკითხის ხაზგასმა და აქცენტირება პოლიტიკური გავლენის მოხდენის მცდელობაა. იგულისხმება, რომ მნიშვნელოვანი საკითხები უფრო ადრე უნდა გადაწყვეტის, ვიდრე ნაკლებად მნიშვნელოვნები. ეს გვახსენებს იმ ნორმატიულ რწმენას, რომელიც არსებობს მედიასთან დაკავშირებით: დემოკრატიის პირობებში მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ჩნდება მედიის დღის წესრიგში, უნდა გადადიოდეს პოლიტიკის დღის წესრიგში; ხელისუფლება საზოგადოებრივ აზრს ყურადღებას უნდა აქცევდეს.

როგორც მედიის, ასევე ხელისუფლების ყურადღების არეალი უსასრულო არ არის. არსებობს მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა პრობლემების, რომლებიც ხელისუფლებას შეუძლია გადაჭრას დროის მოცემულ მონაკვეთში; ამდენად, საკითხები, რომლებიც უმნიშვნელოდ არიან მიჩნეულები, შესაძლოა საერთოდ ვერ მოხვდეს მთავრობის ყურადღების არეალში.

“დღის წესრიგი, როგორც მე მესმის, არის საკითხების ან პრობლემების სია, რომელსაც ნებისმიერ დროს სერიოზულ ყურადღებას უთმობენ ხელისუფლების წარმომადგენლები და ადამიანები ხელისუფლების გარეთ, რომლებიც მჭიდრო კავშირში არიან ამ თანამდებობის პირებთან. . . იმ საკითხების და პრობლემების წყებიდან, რომლებსაც შესაძლოა ყურადღებას უთმობდნენ თანამდებობის პირები, სერიოზული განხილვის საგანი ზოგიერთი უფრო ხდება, სხვებთან შედარებით. ასე რომ, დღის წესრიგის ფორმირების პროცესი ავიწროვებს საკითხების სიას იმ სიამდე, რომელიც მართლაც ექცევა ყურადღების ცენტრში. (Kingdon, 1984, p. 3)“ (Ryan, 2012, გვ.21)<sup>7</sup>

თუკი დავუშვებთ, რომ დემოკრატიის ნორმატიული იდეალი გუ-

<sup>7</sup> „The agenda, as I conceive of it, is the list of subjects or problems to which government officials, and people outside the government closely associated with those officials, are paying some serious attention at any given time... Out of the set of all conceivable subjects or problems to which officials could be paying attention, they do in fact seriously attend to some rather than others. So the agenda-setting process narrows this set of conceivable subjects to the set that actually becomes the focus of attention. (Kingdon, 1984, p. 3)“

### თავი 3.

ლისხმობს დღის წესრიგის ფორმირებას საზოგადოების მიერ, მედია ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდეს. პარტიებსა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ინსტიტუტებთან ერთად, ის უნდა მონაწილეობდეს მთავრობის დღის წესრიგის ფორმირებაში.

მრავალმა კვლევამ დაადასტურა, რომ მედიის დღის წესრიგი გავლენას ახდენს საზოგადოების დღის წესრიგზე როგორც საარჩევნო პერიოდებში, ასევე მათ შორის. ის, რასაც ახალი ამბები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, ხდება მნიშვნელოვანი საზოგადოებისთვისაც. ეს მიმართება ძირითადად ვლიდნება თავისუფალ ქვეყნებში (Coleman, 2009). არსებითია, რომ მედიის დღის წესრიგი გადადის საზოგადოებაზე, ნარჩუნდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, და შემდგომ კარგავს გავლენას რამდენიმე თვეში, თუკი მედიაში სხვა საკითხებმა დაიკავეს წამყვანი ადგილი (McCombs, 2014). ხელისუფლებაზე მედიის დღის წესრიგის გავლენის კვლევა უფრო მრავალფეროვან და წინააღმდეგობრივ შედეგებს იძლევა.

განსაკუთრებით აქტუალურია დღის წესრიგის ფორმირება წინასაარჩევნო კამპანიების დროს. წინასაარჩევნო პერიოდში დომინანტური დღის წესრიგისა და ინტერპრეტაციის ხასიათი შესაძლოა უაღრესად მნიშვნელოვანი, თუ არა გადამწყვეტი აღმოჩნდეს არჩევნების შედეგების დეტერმინაციაში. არსებითია არა მარტო ის, თუ რა სიხშირით წარუდგება საზოგადოებას ესა თუ ის ლიდერი, არამედ ისიც, თუ რომელი ლიდერის პრიორიტეტები იქნება წარმოდგენილი როგორც საზოგადოებისთვის ყველაზე აქტუალური. ისიც, თუ როგორ იქნება ინტერპრეტირებული ეს პრიორიტეტები – მიზეზ-შედეგობრივ კავშირში სხვა საკითხებთან.

თუკი შევაჯამებთ, მედიის დემოკრატიული ფუნქცია არ შემოიფარგლება ამომრჩევლების ინფორმირებით. ის მოიცავს სამ კომპონენტს: ინფორმირება, დღის წესრიგის ფორმირება და ინტერპრეტირება. პირველი ყველაზე მნიშვნელოვნად უკავშირდება მოქალაქეთა მიერ ხელისუფლების კონტროლის განხორციელებას (და, როგორც შემდგომ ვნახავთ, ყველაზე არსებითად ახასიათებს მედიას მაჟორიტარულ დემოკრატიებში, სადაც კონტროლი დემოკრატიული ჩართულობის მთავარი ფორმაა). მეორე, დღის წესრიგზე ზემოქმედება, ყველაზე არსებითია თანამონაწილეობის უზრუნველსაყოფად (პროპორციული დემოკრატიები, იდეოლოგიური შეფერილობები მედიაში). მესამე, დინამიური ინტერპრეტაციის გარეშე ვერ მოხერხდება მოქალაქეთა მობილიზაციური, საპროტესტო ჩართვა პოლიტიკაში, რაც პოპულისტურ კონტექსტს შეეფერება.

სტრუქტურულად, სამივე ეს კომპონენტი განსხვავებულ პოლიტიკურ ქცევასა და დაყოფებს განაპირობებს. თავად მედიის სტრუქტურირება პრე-

ვალენტური ლოგიკის გავლენით ხდება. სხვადასხვა (მოპაექრე) დღის წესრიგების რეპრეზენტაცია განსხვავებულ ტელეარხებს მოითხოვს. მართლაც, „პრიორიტეტის მინიჭება“ (რაც დღის წესრიგს ქმნის) უკვე ნიშნავს იერარქიას; მისთვის ყველაზე არსებითია პრაიმინგი (სიუჟეტების მიმდევრობითობა ახალ ამბებში), დათმობილი დრო ახალ ამბებში და პოლიტიკურ თოქ შოუებში, მოვლენების ინტერპრეტაცია, რომელსაც ტელევიზია მაყურებლებს სთავაზობს. ერთსა და იმავე ტელევიზიას არ შეუძლია სხვადასხვა თემას ერთდროულად პრიორიტეტი მიანიჭოს. კონკურენცია საკუთარი დღის წესრიგის დასამკვიდრებლად აჩენს ისეთ მედია ლანშაფთს, სადაც ტელეარხებს აქვთ განსხვავებული პოლიტიკური შეფერილობა.

პოლიტიკური შეფერილობა ხდება კიდევ უფრო გამოკვეთილი, თუკი პაექრობის საგანი ხდება არა დღის წესრიგი, არამედ წყალგამყოფი. როგორც პირველ თავში ავღნიშნეთ, წყალგამყოფი შეიძლება გავიგოთ როგორც პრეფერენციის ინტერპრეტირება მის გარკვეულ საპირისპირო პრეფერენციასთან შედარებაში. წყალგამყოფი იგივე დღის წესრიგია, ოღონდ წარმოჩენილი ნეგატიურ კონტექსტში: როგორც არჩევანი კარგსა და ცუდს შორის (ან ცუდსა და უარესს შორის). თუკი მედია სტრუქტურირებაში მთავარ როლს ასრულებს ბრძოლა იმის თაობაზე, თუ სად გაივლის წყალგამყოფი, მაშინ ერთმანეთს უპირისპირდება მრავლობითი ინტერპრეტაციები. კონტექსტუალიზაციის შერჩევა (ფრეიმინგი) შესაძლებელია მედიის მთავარი პოლიტიკური მახასიათებელი აღმოჩნდეს. ასე მაგალითად, ერთიდაიგივე ლიდერი მხარდამჭერ მედია საშუალებაში იქნება წარმოჩენილი როგორც დემოკრატი, და მისი ქმედებები გაშუქებული ამ ჩარჩოში, ხოლო მეორეში - როგორც არაკომპეტენტური, არაეფექტური. იმავდროულად, მთავარი დღის წესრიგი პირველი მედიისთვის ხდება დემოკრატია, ხოლო მეორესთვის – მმართველობის ეფექტურობა.

## სარკე ბრტყელია, მედია – არა

ის ძალაუფლებრივი ურთიერთობები, რომლებიც ყალიბდება მედიაში, დემოკრატიის ფუნქციონირების ხასიათზე აისახება. ტელევიზიის გავლენა პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებაზე, რომელიც გამოიხატება პოლიტიკის მზარდ პერსონიფიკაციაში, სკანდალურობასა და ნეგატიური პროპაგანდის ზრდაში როგორც წესი აღინერება როგორც რეპრეზენტაციის კრიზისი და პოპულიზმის გაძლიერება, რომელიც ზიანს აყენებს დემოკრა-

### თავი 3.

ტის ტრადიციულ ინსტიტუტებს. ტელევიზია მუდმივად ხდება კრიტიკის ობიექტი დემოკრატის დამცველთა მხრიდან როგორც ის ინსტიტუტი, რომელიც ამ ტენდენციების გაძლიერებას უწყობს ხელს.

ტელევიზია გახდა სწორედ ის ადგილი, სადაც იშლება ზღვარი სუბსტანციასა და პროცედურას შორის (რაზედაც პირველ თავში იყო საუბარი). სამივე მოვლენა – პერსონიფიკაცია, სკანდალურობა და ნეგატივიზმი ემსახურება სუბსტანციის რეინტერპრეტაციას პროცედურით და შეიძლება აღინიროს დღის წესრიგის ფორმირებისა და ინტეპრეტირების ძალაუფლების ტერმინებში.

სკანდალი პირდაპირ წარმოადგენს დღის წესრიგის ფორმირებაზე მიმართულ ქმედებას. მისი მიზანია ყურადღების მიქცევა. პროვოკაცია, ეპატატაჟი, როგორც მეთოდი, ყოველთვის გამოიყენებოდა რადიკალური, რევოლუციური გზავნილების საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოსაქცევად. ამას ემატება მედიის საკუთარი ინტერესი რეიტინგებისთვის ბრძოლაში. ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, სადაც სისტემური გარდაქმნები ლამის პერმანენტულ რევოლუციაში გადაიზარდა, პროვოკაცია და სკანდალი პოლიტიკური ბრძოლის ძირითად სტრატეგიას წარმოადგენს.

პერსონიფიკაცია და ნეგატივიზმი ქმნიან წყალგამყოფებს. ნეგატივიზმი ინტერპრეტირების ოპონენტს, მოწინააღმდეგეს, იმ განზომილებაში და დღის წესრიგში, რომელიც ყველაზე მომგებიანია მპრალდებლისთვის. მაგალითად, რეფორმების ირგვლივ თანასწორი კამათის ნაცვლად მომგებიანია ოპონენტებისთვის კორუფციის დაბრალება; გარეშე მტრის ხატი ყოველთვის იძლევა შესაძლებლობას შიდა პოლიტიკის ნებისმიერი კრიტიკა ქვეყნის დალატის რანგში იქნას აყვანილი. პოპულისტური ლიდერის პერსონას ქმნის ამ ლიდერისადმი მრავლობითი პოზიტიური ინტერპრეტაციების მიყენება, მისი გარდაქმნა „ცარიელ აღმნიშვნელად“.

შესაძლებელია პროცედურასა და სუბსტანციას შორის ზღვარის გადაკვეთა ზოგადად „მანიპულირების“ სახელით მოვიხსენიოთ. მაშინ მანიპულირების ცნება ყველა ამ მოვლენას მოიცავს და გულისხმობს დღის წესრიგის ფორმირების ძალაუფლების გამოყენებას ვითარების სტრატეგიული რეინტერპრეტირებისთვის. თუმცა თავად ტერმინი ნეგატიურია, და ნორმატიულად არასასურველ ქმედებას გულისხმობს. ის ლატენტურად გვეუბნება, რომ არსებობს თამაშის წესები, რომლებიც მოთამაშემ დაარღვია უპირატესობის არაკეთილსინდისიერად მისაღებად. ლოზუნგი „მიზანი ამართლებს საშუალებას“ ყოველთვის ასოცირდებოდა არა დემოკრატიასთან, არამედ მის კორუფციულ და ცინიკურ გადაგვარებასთან, მიუხედავად იმისა რომ ამგვარი მაკიაველიზმი დემოკრატიის თეორიის მიერ აღიარებულია რო-


გორც პოზიტიური რეალობა.

მაგრამ თუკი პოლიტიკური ვითარება ისეთია, რომ თავად თამაშის წე-  
სები გარდაქმნის პროცესში იმყოფება, ნორმატიული შეფასებების მიყენება  
ხდება შეუძლებელი; ამ წესების გარდაქმნა თამაშის ნაწილს ნარმოადგენს,  
რაც სტრატეგიული ქცევის დომინირებას იწვევს. და თუკი მეტიც, დემოკრა-  
ტიის დინამიურ ხედვას გავიზიარებთ, უნდა ვაღიაროთ რომ საზოგადოების  
და მისი ფუნქციონირების წესები გარდაქმნის და გადახედვის პერმანენტულ  
პროცესს განიცდიან. თუკი ინტერპრეტაცია სისტემის აუცილებელი შე-  
მადგენელი კომპონენტია, მაშინ მისი სტრატეგიული გამოყენება არა მარტო  
გარდაუვალი, არამედ აუცილებელიც ხდება. ბრძოლა გადაწყვეტილებების  
მიმდევრობითობისთვის, პოლიტიკის დღის წესრიგისთვის, ნარმოადგენს  
სისტემის ფუნქციონირების განუყოფელ ნაწილს, რომელიც ძალაუფლებრი-  
ვი ურთიერთობების მნიშვნელოვანი სფეროა. ინდივიდების თავისუფლების  
სარისხი შესაძლოა დიდწილად დამოკიდებული აღმოჩნდეს მათ უნარზე მო-  
ახდინონ გავლენა დღის წესრიგზე. მაშინ მანიპულირება, როგორც ტერმინი  
უნდა მივუსადაგოდ არა ყველანაირ რეინტერპრეტირებას, არმაედ მხოლოდ  
ისეთ ვითარებებს, რომლებიც ამ უფლებას ფართო საზოგადოებას ართმე-  
ვენ.

მათემატიკური მოდელი, რომელიც წინა თავში შემოვიტანეთ,  
გვაძლევს შესაძლებლობას დავინახოთ მთლიანი სურათი. ის პოლიტიკური  
სტრატეგიები, რომელთა განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა ჩვეუ-  
ლებრივ ევკლიდურ გეომეტრიაში, შესაძლებელი ხდება პროექციულ  
სიბრტყეზე. პროექციული სიბრტყე, ევკლიდურისგან განსხვავებით, და-  
ხურული სიმრავლეა, მას ერთი ზედაპირი აქვს. მას არა მარტო არა აქვს  
მარჯვენა და მარცხენა (როგორც ჰქონდა ერთგანზომილებიან პოლიტიკურ  
მემარჯვენე-მემარცხენე წრფეს), მას არა აქვს ზედა და ქვედა. ის უშვებს პო-  
ლიტიკური პოზიციების ერთმანეთში უწყვეთ გადადინებას (უსასრულობაზე,  
ანუ წყალგამყოფზე გავლით) მათი რეინტერპრეტირების გზით. ის პოსტმო-  
დერნულია, ოპორტუნისტულია და არაპოზიტივისტური თავისი ბუნებით.  
უსასრულობის წრფეზე გადასვლა აჩენს ინტერპრეტაციის დენადობას,  
მნიშვნელობების მრავლობითობის შემოტანას, „ცარიელი აღმნიშვნელების“  
გამოყენების შესაძლებლობას.

### თავი 3.

სურათი 3.1. პროექციული სიბრტყე:



წყარო:

"CrossCapTwoViews". Licensed under CC BY-SA 3.0 via Commons – [https://commons.wikimedia.org/wiki/File:CrossCapTwoViews.PNG](https://commons.wikimedia.org/wiki/File:CrossCapTwoViews.PNG#/media/File:CrossCapTwoViews.PNG)

თუკი ევკლიდურ სიბრტყეზე რაციონალური პოლიტიკური სტრატეგიები იყო ცალსახა და მდგომარეობდა საუკეთესო საარჩევნო პოზიციების დაკავებაში, პროექციულ სიბრტყეზე ჩნდება ამგვარი სტრატეგიების მრავლობითობა, რომელიც ართულებს რაციონალური ქცევის ლოგიკას.

პრეფერენციების (ინტერესების) რეპრეზენტაციისა და დღის წესრიგის ფორმირების ლოგიკები არაა თანხვედრი, არამედ საპირისპირო. პოლიტიკური მხარდაჭერის მაძიებელი სუბიექტი ვერ გამოიყენებს ორივეს თანაბრად: რაც უფრო მეტი პოტენციალი ექნება რეპრეზენტაციის, მით უფრო ნაკლებ გავლენას მოახდენს დღის წესრიგზე, და პირიქით. მართლაც, თუკი არსებობს ორი პოლიტიკური პოზიცია, რომლებიც ერთმანეთს ებრძვიან ამომრჩეველთა განწყობების მოსაზიდად, ამ პოზიციების რეპრეზენტატორები დაინტერესებულები უნდა იყვნენ დებატებით, საკუთარი პოზიციის პროპაგანდირებით, ერთმანეთის კრიტიკით. მაგრამ ამგვარი ქცევით ისინი დღის წესრიგში სვამენ და პროპაგანდას უწევენ სწორედ რომ იმ ოპონენტსა და ხედვას, რომელსაც აკრიტიკებენ. კანდიდატი და მისი ოპონენტი, ამ მხრივ არიან არა მარტო ერთმანეთის მოწინააღმდეგები, არამედ მოკავშირეებიც იმ პოლიტიკური ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში, ვისაც სხვა დღის წესრიგი აქვთ და სხვა თემებზე უნდათ ყურადღების გამახვილება.

არსებობს მეორე, საპირისპირო სტრატეგიაც: ოპონენტის იგნორირება ნაცვლად მისი კრიტიკისა. ამ შემთხვევაში, ნაცვლად იმისა რომ საკუთარი პოზიცია კრიტიკისგან დაიცვას, კანდიდატი ამჯობინებს ყურადღება გაა-

მახვილოს სხვა დღის წესრიგზე და იმ საკითხებზე ლაპარაკობს, რომლებიც მისთვის უფრო მომგებიანია. ოპონენტის იგნორირება, მასთან კამათში შესვლის თავიდან აცილება, ასუსტებს საკუთარი პოზიციის რეპრეზენტაციას, სამაგიეროდ ის ასევე ასუსტებს ოპონენტის უნარს საზოგადოების ყურადღება მიიქციოს.

ინტერესების ასახვისა და დღის წესრიგის ფორმირების ამ ურთიერთსაწინააღმდეგო სტრატეგიების შეთავსება შეუძლებელი იქნებოდა თუ არა ინტერპრეტირება, რომელიც ორივე მიმართულებით მუშაობს. პოლიტიკური პოზიციები, რომლებიც უნდა აირჩიოს/არ აირჩიოს ამომრჩეველმა ანი სხვადასხვანაირად გამოიყურება სხვადასხვა თვალსაწინერიდან: ერთი დღის წესრიგის კონტექსტში ეს პოზიცია შესაძლოა იყოს სასურველი, ხოლო მეორე დღის წესრიგის კონტექსტში – არა. ინტერპრეტირება წყალგამყოფების ადგილმდებარეობის განსაზღვრით ქმნის მესამე ლოგიკას, რომელიც მრავლობითი მნიშვნელობებით ოპერირებს.

ინტერპრეტირების ძალაუფლებისთვის ბრძოლა შესაძლოა უფრო მეტი დივიდენტების მომტანი იყოს კანდიდატებისთვის, ვიდრე პრეფერენციული ან დღის წესრიგის კონკურენცია. ამგვარი თამაშები შეზღუდულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დომინანტური ინტერპრეტაციების ხასიათზე ზემოქმედება ძნელია, ეს ხდება მაშინ, როდესაც პოლიტიკური წყალგამყოფები მყარად დგანან სოციო-ეკონომიკურ ან კულტურულ (ეთნიკურ, რელიგიურ) საფუძვლებზე; ისტორიულად ფორმირებულია მემარჯვენე-მემარცხენე ღერძებად და სხვა. მაგრამ როდესაც ვითარება არამყარია, განსაკუთრებით თუკი ის არის გარდამავალი, ინტერპრეტაციების როლი იზრდება. ოპორტუნიზმი, პოპულიზმი, მანიპულირება, დემაგოგია და სხვა ილეთები, რომლებიც ტრადიციულია პოლიტიკისთვის, ამ ვითარებაში გაცილებით დიდ როლს თამაშობენ. სწორედ ამ დროს ჩნდება პოპულიზმისთვის დამახასიათებელი ის „შეუძლებელი კოალიციები“, როდესაც საპირისპირო იდეოლოგიების ამორმჩევლები ერთსა და იმავე კანდიდატს აძლევენ ხმას, მემარჯვენე-მემარცხენე ღერძი იღუნება და იქცევა წრენირად; მიმართება თამაშის წესებსა და შინაარსს შორის ხდება ვოლუნტარისტული, ხოლო წყალგამყოფი – მოძრავი.

იქ, სადაც არის ბრძოლა ინტერპრეტაციებისთვის, ვითარება ხდება რელატივისტური (ჰიპერბოლური რეპრეზენტაციის შემთხვევა); ჩნდება: ა. კონკურენცია იმის თაობაზე, თუ სად გაივლის გადაულახავი წყალგამყოფი (რომელიც იმავდროულად მოძრავია). ბ. კანდიდატების პოზიციები ხდება „მანიპულირების წერტილები“: ისეთი პრეფერენციები, რომლებიც ერთსა და

### თავი 3.

იმავეს ნიშნავენ ერთ დღის წესრიგში, და საპირისპიროს- სხვაში. შესაბამისად, ამგვარი წერტილები ხდება არა წონასწორული, არამედ უნაგირის ფორმის. არსებითად, მთელი პრეფერენციების ველი იძენს ამ რელატივისტურობის მახასიათებელს, და თითოეული ამომრჩეველი საკუთარ პრეფერენციებს ინტერპრეტაციების ჭრილში ხედავს – „სტრატეგიული ქცევა“ მისთვის წორმაა.

წინა თავში იყო დახასიათებული პოლიტიკის სამი იდეალური ტიპი. შეიძლება ვივარაუდოთ რომ ისინი დემოკრატიის სამ განსხვავებულ სახეობას უკავშირდება, რომლებსაც მაჟორიტარულ, პლურალისტურ და პოპულისტურ (ან მანიპულაციურ) დემოკრატიებს ვუწოდებთ. მედია, პოლიტიკურ აქტორებთან ერთად, თანამონანილეობს ამ სამი სახეობის სტრუქტურირებაში. შემდეგი პარაგრაფი უფრო თვალნათლივს ხდის იმას, თუ როგორ სტრუქტურირდება მედია იმისდა მიხდევით, თუ რომელი იდეალური ტიპი პრევალირებს მასში.

#### მედია სისტემები: შიდა, გარე და პოლარიზებული პლურალიზმი

მედია სისტემების სამ იდეალურ ტიპად კლასიფიცირება ჰალინისა და მანჩინის მიერ (Hallin, 2004), გვაძლევს შესაძლებლობას გავავლოთ პარალელი წინა თავსი აგებულ მათემატიკურ მოდელსა და რეალურად არსებულ ინსტიტუციურ სტრუქტურებს შორის. ამგვარი პარალელი შესაძლოა ძალიან ზედაპირული და ემპირიულად ძნელად დასამტკიცებელი იყოს, მაგრამ ინტუიციურ დონეზე სასარგებლო მიგნებებს გვთავაზობს.

მედიის სისტემები/ინსტიტუციური შედარებითი ანალიზისთვის ჰალინი იყენებს შემდეგ მახასიათებლებს:<sup>8</sup>

1) მედია ბაზრის განვითარების დონე, განსაკუთრებით, თუ რანდენად არსებობს მაღალტირაჟიანი პრესა;

2) პოლიტიკური პარალელიზმი; ეს მოიცავს როგორც მედიისა და პოლიტიკური პარტიების ურთიერთმიმართების სიმჭიდროვეს და ხასიათს, ასევე უფრო ზოგადად, თუ რამდენად შეესაბამება მედია სისტემა საზოგადოებაში არსებულ სიღრმისეულ პოლიტიკურ დაყოფებს;

3) უურნალისტიკის, როგორც პროფესიის, გავნითარების დონე;

4) მედია სისტემაში სახელმწიფოს ჩარევის დონე და ხასიათი;

<sup>8</sup> მოცემული კლასიფიკაცია ეხება მხოლოდ დემოკრატიულ ქვეყნებს, ანუ გულისხმობს სიტყვის თავისუფლების კონტექსტის არსებობას.

ამ მახასიათებლების შედარებითი ანალიზის საფუძველზე ავტორები გამოყოფენ სამი ტიპის იდეალურ მედია სისტემას:

1) ხმელთაშუაზღვისპირა, ანუ პოლარიზებული პლურალიზმის მოდელი;

2) ჩრდილო ცენტრალური ევროპის, დემოკრატიულ-კორპორატივისტული მოდელი, ხასიათდება გარე პლურალიზმი;

3) ჩრდილო ატლანტური, ლიბერალური მოდელი შიდა პლურალიზმით.

შიდა პლურალიზმის, გარე პლურალიზმისა და პოლარიზებული პლურალიზმის ტიპები მედიის პოლიტიკური ჰომოგენურობის/ კლასტერიზაციის მახასიათებლებად შეიძლება განვიხილოთ. შიდა პლურალიზმი ნიშნავს ერთ მედია საშუალებაში ყველა განსხვავებული პოლიტიკური პოზიციის ასახვის შესაძლებლობას. მედია წეიტრალურია პოლიტიკასთან მიმართებაში. გარე პლურალიზმის პირობებში მედია არაპარტიულია, მაგრამ ღირებულებრივად (იდეოლოგიურად) შეფერილი: არსებული პოლიტიკური ხედვების სრულ სურათს ქმნის მხოლოდ მედია საშუალებების ერთობლიობა, და არა ერთი რომელიმე გამოცემა. პოლარიზებული პლურალიზმის მედიაში მედიის პოლიტიკება აღნევს მაქსიმუმს: მედია ჩართულია პარტიულ პრძოლებში, ჟურნალისტები ამომრჩეველთა ქცევაზე უშუალო გავლენის მოხდენას ცდილობენ.

უფრო სრულად, ავტორები ამ სამ სისტემას შემდეგი ნიშნებით ახასიათებენ (Hallin, 2004, გვ.67): პოლარიზებული პლურალიზმის მოდელს ახასიათებს „გაზეთების დაბალი ტირაჟები, ელიტისატური, პოლიტიკურად ორიენტირებული პრესა; მაღალი პოლიტიკური პარალელიზმი; კომენტირებაზე ორიენტირებული ჟურნალისტიკა; პოლიტიკის დომინირება მაუწყებლობაზე და სახელმწიფო კონტროლი მასზე; ჟურნალისტიკის დაბალი პროფესიონალიზაცია და მისი ინსტრუმენტალიზაცია; ძლიერი როლი სახელმწიფოსი ზოგადად“. დემოკრატიული კორპორატივიზმის მოდელს (გარე პლურალიზმი) ახასიათებს „გაზეთების მაღალი ტირაჟები; მასობრივი პრესის ადრეული განვითარება; ძლიერი პარტიული პრესა (ისტორიულად); მაუწყებლობაში პოლიტიკური პლურალიზმი და ძლიერი ავტონომია; ჟურნალისტიკის ძლიერი პროფესიონალიზაცია და ინსტიტუციონალიზებული თვითრეგულირება; სახელმწიფოს მაღალი როლი, თუმცა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის გარეშე; დიდი სუბსიდიები სახელმწიფოს მხრიდან, განსაკუთრებით ძლიერი საზოგადოებრივ მაუწყებლობაში“. ლიბერალური მოდელი (შიდა პლურალიზმი) ხასიათდება შემდეგით: „გაზეთების საშუალო ტირაჟები მასობრივი კომერციული პრესის ადრეული განვითარებით; ნე-

### თავი 3.

იტრალური კომერციული პრესა; საინფორმაციო ჟურნალისტიკა; საზოგადოებრივი მაუწყებლობის პროფესიული მოდელი; ჟურნალისტიკის ძლიერი პროფესიონალიზაცია არაინტიტუციონალიზებული თვითრეგულირებით; სახელმწიფოს როლი დაბალია საბაზრო მექანიზმებთან შედარებით“.

აშკარაა, რომ მედია სისტემის ხასიათი კავშირშია როგორც დისკურსის შინაარსთან, ასევე ქვეყნის პოლიტიკურ სისტემასთან. მაუწყებლივი (ანგლოსაქსური) დემოკრატიები მჭიდროდაა ასოციირებული ნეიტრალური ჟურნალისტიკის ცნებასთან. ხოლო პროპორციული და კონსესუალური სისტემები (კონტინენტური ევროპა) ქმნიან პოლიტიკურ პარალელიზმს ჟურნალისტიკაში. პოლიტიკური პარტიები ამ სისტემაში, მაუწყებლივი ულისგან განსხვავებით, არ ისწრაფვიან მოიპოვონ ლეგიტიმაცია „მთელი ნაციის“ რეპრეზენტაციით, არამედ საზოგადოების სეგმენტებს წარმოაჩენენ. კლიენტელისტური ურთიერთობების სიჭარბე და პოლარიზება სამხრეთის დემოკრატიებში იწვევს მედიის პოლიტიკურ ინსტრუმენტალიზაციას და არათავსებადია მედიის ლიბერალური მოდელის მახასიათებლებთან. პოლარიზებული პლურალიზმი უკავშირდება ისეთი პოლიტიკური ძალების არსებობას, რომლებიც არსებული სისტემის ლეგიტიმურობას კითხვის ქვეშ აყენებენ. ასეთ საზოგადოებებში ძლიერია იდეოლოგიური დაპირისპირება და პოლარიზაცია (Sartori, 2005).

მედიის სამი სისტემის ეს ინსტიტუციონალური თავისებურებები შესაძლოა კარგად მივუსადაგოთ იმ სამი პოლიტიკური ლოგიკის სიძლიერეს მოცემულ ქვეყნებში, რომლებიც ადრე იყო განხილული.

„ინტერპრეტაციული/მანიპულაციური დისკურსი“ (პოლარიზებული პლურალიზმის მოდელი) ყველაზე პოლიტიზირებულია; ის ძალაუფლებისთვის ბრძოლის ლოგიკას მიყვება ყველაზე მეტად. ის ყველაზე ძლიერია სწორედ იმ ქვეყნებში, რომლებიც, ჰალინის მიხედვით, გვიანდელი დემოკრატიზაციით ხასიათდება და მეოცე საუკუნის დიდი ნაწილი მათთვის ავტორიტარული და ფაშისტური რეჟიმების არსებობას უკავშირდება (ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნები). პოლიტიკური ბრძოლა ძლიერ იდეოლოგიზირებულია, ხოლო პოლიტიკური დაყოფები რადიკალური. პროცედურა და შინაარის აქ ყველაზე მეტად არის ერთმანეთთან ათქვეფილი, ვინაიდან ქვეყნის სისტემის გარდაქმნა პოლიტიკის დღის წესრიგის მნიშვნელოვან თემას წარმოადგენს.

ლიბერალური ჩრდილოატლანტური სისტემა ხასიათდება არა მარტო ფაქტებზე დამყარებული, ნეიტრალური მედიის იდეალის არსებობით, არამედ აგრეთვე ორპარტიული სისტემის ფუნქციონირებით. ორპარტიულ სისტემაში თითოეული პარტია საკუთარი ლეგიტიმაციის საწყისებს ეძებს

უმრავლესობის ინტერესების და შეხედულებების წარმოჩენაში – ვინაიდან წარმატების შემთხვევაში ის ღებულობს მთელ პასუხისმგებლობას მმართველობაზე, და ვალდებული იქნება მთელი მოსახლეობის რეპრეზენტაცია განახორციელოს. ორპარტიულ სისტემებში ყველაზე ადვილია თამაშის წესებისა და შინაარსის ერთმანეთისგან განცალკევება; ის ეყრდნობა ლიბერალური პოზიტივიზმისთვის დამახასიათებელ რწმენას ნეიტრალური გარე დამკვირვებლის, მიუკერძოებელი მსაჯის არსებობის შესაძლებლობას.

კონტინენტური ევროპის ქვეყნებში, მრავალფეროვანი მედიის არსებობა თავსებადია მრავალპარტიულ სისტემებთან, სადაც პარტიები მჭიდრო კავშირშია საზოგადოების გარკვეულ ჯგუფებთან. ჰეტეროგენურ საზოგადოებაში კონსესუალური პოლიტიკის პლურალისტური ტრადიცია აქ ძლიერადა განვითარებული. შესაბამისად, საზოგადოების ამა თუ იმ სეგმენტების რეპრეზენტაციას ახორციელებენ პოლიტიკური პარტიები და მედია საშუალებები, რომლებმაც იმთავითვე იციან თავისი აუდიტორია და არეალი. მათ, ერთის მხრივ, არა აქვთ საყოველთაობის პრეტენზია, ამდენად აქვთ საკუთარი დღის წესრიგისა და ინტერპრეტაციის შემოთავაზების შესაძლებლობა. საზოგადოების ბუნებრივი დანაწევრებულობა ჯერ აისახება პარტიებისა და მედიის დანაწევრებულობაში, რომ მერე, უკვე ქვეყნის პარლამენტში პარტიების მიერ მიღწეულ იქნას კონსესუა (შეიქმნას კოალიციური მთავრობა) უმრავლესობის შესაქმნელად და ამა თუ იმ პრობლემების გადასაჭრელად. ეს ვითარება აჩენს პროცედურულ მოქნილობას, რომელიც ზღუდავს მანიპულირებას არა იმდენად წესებისა და შინაარსის განცალკევებით, რამდენადაც კონკურენტული დღის წესრიგების მრავლობითობით.

პოლარიზებული პლურალიზმი და ძლიერი იდეოლოგიზაცია ისტორიულად დამახასიათებელია როგორც ევროპის სამხრეთისთვის, ასევე მისი აღმოსავლეთისთვის. ეს უკავშირდება მრავალ ფაქტორს, მათ შორის ამ ქვეყნების, როგორც პერიფერიულების, გახსნილობას ევროპის გავლენის მიმართ. საქართველოც შესაძლოა პერიფერიულობის ამ კონტექსტში იქნას განხილული. „პერიფერიულობის“ და ჩამორჩენილობის ეს განცდა არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც საჯარო დისკურსს დაღს ასვამს და ცვლის მის სტრუქტურას. საზოგადოებაში არსებული პრეფერენციები აღარ არიან თანასწორი, არამედ იძენენ იერარქიულობას, განიცდიან დომინირებას, რომლის წყარო იმყოფება საზოგადოების მიღმა, ქვეყნის გარეთ მდებარე გავლენის ცენტრში. პერიფერიულობის განცდა აძლიერებს ნეგატივიზმისა და დელეგიტიმაციის გამოყენებას პოლიტიკურ დისკურსში, რაც აჩენს შმიდტისეული ხასიათის პოლიტიკას: მტრებას და მოყვარეებად პოლარიზებულ სეგმენტაციას. ეს ქვეყნები მუდმივად დგანან ძირეული, სისტე-

მური გარდაქმნების გამოწვევის წინაშე, რაც ნიშნავს თამაშის წესების მუდმივ ათქვეფას პოლიტიკის შინაარსთან.

### მედია დისკურსის სტრუქტურა საქართველოში

აშკარაა, რომ ამ სამი მოდელიდან საქართველოს პოლიტიკური დისკურსი ყველაზე ახლოა პოლარიზებული პლურალიზმის მოდელთან. თუმცა, ძლიერი პოლიტიკური გავლენების გამო, მისი თავისუფლება რჩებოდა შეზღუდული, ხოლო დისკურსული დომინაციისთვის ბრძოლა – მძაფრი და ხშირად ძალადობრივი.

მედია სისტემების კლასიფიკაცია, მოცემული წინა პარაგრაფში, ეხება ისეთ ქვეყნებს და ისტორიულ ვითარებებს, სადაც სიტყვის თავისუფლების გარკვეული (მაღალი) დონე უზრუნველყოფს საჯარო დისკურსში ძალაუფლებრივი თამაშების განხორციელების შესაძლებლობას, „მენტალური მატრიცების უხილავი ხელის“ მოქმედებას და რეპრეზენტაციის შესაბამისი არაფორმალური ინსტიტუტების ფორმირებას. იქ, სადაც თავისუფლება შეზღუდულია, ამგვარ ფორმირებაზე ლაპარაკი ზედმეტი იქნებოდა. მედია დისკურსების ლოგიკა ისეთ ტოტალიტარულ ქვეყნებშიც კი, როგორიც იყო საბჭოთა კავშირი, განიცდის კონტექსტის ზემოქმედებას, მაგრამ ძალაუფლების ძლიერი კონცენტრაცია სახელმწიფოს ხელში გამორიცხავს პოლიტიკური პლურალიზმის წარმოქმნასა და სტრუქტურირებას.

პერესტროიკისა და დემოკრატიზაციის პროცესების დაწყებიდან, მედიის დეპოლიტიზაცია წარმოადგენდა როგორც თავად მედიისა და საზოგადოების, ასევე დემოკრატიის გარე ხელშემწყობების ზრუნვის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას. პროპაგანდისტული უურნალისტიკიდან, რომელსაც საზოგადოებაზე ზემოქმედებას უსახავდნენ ამოცანად, ახალი უურნალისტიკისკენ, რომელიც საზოგადოების მომსახურებას განახორციელებდა – ასეთი იყო ამ ტრანსფორმაციის გაცხადებული ვექტორი. ნეიტრალური, მიუკერძოებელი, ფაქტებზე დაფუძნებული უურნალისტიკა წარმოადგენდა ნორმატიულ იდეალს, რომელიც უკამათოდ იქნა აღიარებული როგორც დომინანტური სტანდარტი. ის უნდა გამხდარიყო ახალი თამაშის წესი, რომელიც პროცედურისა და შინაარსის, მედიისა და პოლიტიკის განცალკევებას უზრუნველყოფდა. თუმცა, თამაშის ეს წესი და „პოლიტიკურის“ ის შინაარსი, რომელიც მას უნდა გადმოეცა, ერთმანეთთან შესაბამისობაში არ აღმოჩნდა.

სისტემური ტრანსფორმაციის იმ კონტექსტში, რომელშიაც ქვეყანა

იმყოფებოდა, უურნალისტების უმრავლესობა სულაც არ გრძნობდნენ (და დღემდე არ გრძნობენ) თავს მოვლენების უბრალო ამსახველებად, რომლებიც „გარე დამკვირვებლის“ როლს ასრულებენ ქვეყნის განვითარებაში. მათი დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ისინი, ვინც პოლიტიკაზე წერდა, გრძნობდნენ რომ მოქალაქეობრივ როლს ასრულებენ ქვეყნის დემოკრატიზაციაში, წინსვლაში, განვითარებაში. მათვის სულაც არ იყო მეორეხარისხოვანი, თუ რა პოლიტიკურ შედეგს გამოიღებდა მათი პროფესია, პუბლიკაციები, საქმიანობა. გარეგნულად მიუკერძოებელი და შინაგანად მოქალაქეობრივად მოტივირებული უურნალისტები პოულობდნენ გზებს პოლიტიკური ზემოქმედების მოსახდენად დღის წესრიგის და წყალგამყოფების ფორმირებაში.

უურნალისტიკის ახალი სტანდარტები სინამდვილეში ზემოქმედების ფართო შესაძლებლობებს ქმნიან. იყო მიუკერძოებელი და ნეიტრალური ძირითადად ნიშნავს იმას, რომ თანაბრად დაუთმოს დრო და სივრცე ყველა პარტიას – ან იმ პარტიებს მანიც, რომლებიც ძირითად მოთამაშეებად არიან მიჩნეულნი, არ იყოს მიკერძოებული რომელიმე მხარის მიმართ და წარმართო დებატები ისე, რომ საკუთარი პოზიცია არ დააფიქსირო.

როდესაც პოლიტიკის მთავარი საკითხი არის განსხვავებული პრე-ფერენციების კონკურენცია, მიუკერძოებლობის ამგვარი კონცეფცია მართლაც მუშაობს. მაყურებელი, მკითხველი, ეცნობა მხარეების ხედვებსა და არგუმენტებს, იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას. მედია გარემო უზრუნველყოფს პლურალიზმს, რომელიც ინფორმირებული ამომრჩევლის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.<sup>9</sup>

მაგრამ უურნალისტიკის სტანდარტები არაფერს ამბობს დღის წესრიგის ფორმირებაზე, რეალობის ასახვის დიაქრონულ ასპექტზე. არ არსებობს ობიექტური ნორმები, რომლებიც ეხება სასაუბრო თემის არჩევას ან ახალი ამბების მიმდევრობითობის დალაგებას. ერთადერთი კრიტერიუმი, რომელიც მედიამ უნდა გამოიყენოს, არის ის, რომ თემა უნდა იყოს რაც შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი რაც შეიძლება მეტი მომხმარებლისთვის. ხო-

<sup>9</sup> ცხადია, ამგვარი, „პირველი დონის“ (როგორც ჩვენ მას ვუწოდებთ) პლურალიზმიც კი არასდროს იყო სრულყოფილი; სადაც და როდესაც შეიძლებოდა ის ირლვეოდა სასურველი მიმართულებით. მაგრამ ნაწილი მედიისა, განსაკუთრებით ტელეკომია, ყოველთვის იმყოფებოდა გარე მეთვალყურეობის ქვეშ. უხეში დარღვევები მათი მხრიდან აუცილებლად იქნებოდა შემჩნეული და ასახული საერთაშორისო დამკვირვებლების ანგარიშებში. იმ ვითარებაში, როდესაც დასავლური შეფასება ლეგიტიმურის ძლიერ წყაროს წარმოადგენდა, პოლიტიკური კონკურენციის ყველა მხარე მეტ-ნაკლებად ცდილობდა მიკერძოება შეენიღბა.

### თავი 3.

ლო ვინაიდან ამგვარი თემები ბევრია, მედიას რჩება ფართო შესაძლებლობა შეადგინონ საკუთარი დღის წესრიგი, ან მოარგონ ის იმ პარტიის ინტერესებს, რომლის სასარგებლოდაც მუშაობს კონკრეტული მედია.

ფორმალური ნორმების დაცვით პოლიტიკური პროპაგანდის წარმოება ადვილი აღმოჩნდა. განსაკუთრებით კარგად მუშაობდა დღის წესრიგისა და მეკარეობის შერწმა, რომელიც წყალგამყოფის ადგილმდებარეობას აფიქსირებს. ასე მაგალითად, პოლიტიკურ დებატებში სასურველი კანდიდატის პირისპირ უნდა დამჯდარიყო არა მისი ყველაზე პერსპექტიული ოპონენტი, არამედ ყველაზე ოდიოზური, ვის ფონზე ის კარგად გამოჩნდებოდა. ანალოგიურად, პარლამენტში უნდა არსებულიყო ოპოზიცია, რომელიც ხელისუფლებას გააკრიტიკებდა, მაგრამ დაწესებული დღის წესრიგის ფარგლებს არ გასცდებოდა.

შესაბამისად, მედიამ ისწავლა ოპერირება ინტერპრეტაციებით და მნიშვნელობების ფორმირებით, რაც იყო სიახლე საბჭოთა უხეშ და პირდაპირ პროპაგანდასთან შედარებით. ამ ახალი პროფესიონალიზმის მთავარი პოლიტიკური კომპონენტი გახდა დღის წესრიგისა და წყალგამყოფების ფორმირება.

წინა თავში ჩვენ დავახასიათეთ პოლიტიკური დაპირისპირებების ორი ღერძი, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ ამომრჩეველთა პოლიტიკურ ქცევას: პრო-დასავლური და პრო-დემოკრატიული. არჩევნების ჩატარების დღეს ყველა პოზიცია, რომელიც ამ ღერძებით ფორმირებულ სიბრტყეზე მდებარეობს, თანასწორია: თითო ამომრჩეველი-თითო ხმა. მაგრამ დისკურსის თვალსაწიერიდან, ამ ღერძების საპირისპირო ბოლოები (მიმართულებები) არ არიან ერთნაირები. ღერძებს აქვთ დომინანტური მიმართულება. ეს მიმართულება არის კარგად არტიკულირებული და პროპაგანდირებული. საპირისპირო ბოლო მეტნილად არსებობს ლატენტურად, და არა არტიკულირებული დისკურსის სახით.<sup>10</sup> ბოლოების ეს დისკურსული განსხვავება პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ამომრჩეველთა ქცევაში დომინირებს ტელეოლოგია, დღის წესრიგი.

ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გავლენას ახდენს ამ ტელეოლოგიის შენარჩუნებაზე.

პირველი ეხება ისტორიულ მემკვიდრეობას. მანამდე, თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში, საქართველოს მოსახლეობა (ნებით თუ იძულებით)

<sup>10</sup> სტატისტიკურად, ეს ჩანს იქიდანაც, რომ იმ რესპონდენტების საშუალო, რომლებიც არ სცემენ პასუხს შესაბამის კითხვაზე, დომინირებული ბოლოსკენ არის გადახრილი.

სხვა, მაგრამ ასევე მომავალზე ორიენტირებულ პროცესში იყო ჩართული – კომუნიზმის შენებაში. იმ ტოტალიტარულ პროექტში საერთოდ გამორიცხული იყო განვითარების დღის წესრიგის კითხვის ქვეშ დაყენება. კოლექტიური მომავალი, განვითარების მიმართულება, ამდენად, იყო და რჩება პოლიტიკური ძალაუფლების ლეგიტიმაციის უმნიშვნელოვანესი წყარო.

მეორე მდგომარეობს პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის ორიენტაციაში დასავლეთზე, მის გახსნილობაში გარე სამყაროსა და გარე გავლენების მიმართ. უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური გადაწყვეტილებები პოულობდნენ და პოულობენ ლეგიტიმაციას გარედან, დასავლეთიდან, რაც მათ იმავე ტელეოლოგიურ, მიმპარველ ხასიათს ანიჭებს. პოლიტიკური დისკურსის მიერ ტრანსფორმირებული (არანაკლებ ტოტალიტარულ) ნათელ მომავლად, ეს დასავლეთი ასევე იძენს დღის წესრიგის მნიშვნელობას.

ამ ორ, თითქოსდა შინაარსობრივად სრულიად განსხვავებულ ტენდენციას ემატება კულტურული შოკი, რომელიც საზოგადოებამ განიცადა საბჭოთა დახურული საინფორმაციო სივრციდან გახსნილ გლობალურ დისკურსში ინტეგრირებით. ყოველივე ეს ერთობლივად ქმნის მძაფრ ბრძოლას დისკურსული დომინაციისთვის, ძალაუფლებრივ უთანასწორობებს, რომლებიც ღრმა ეგზისტენციურ, სიმბოლურ ხასიათს ატარებენ და დისკურსულ ველში ისეთი საკითხების დომინირებას აჩენენ, რომელთა ინტერპრეტაციით მანიპულირება ხდება ადვილი იმის გამო, რომ ისინი ადამიანების პერსონალურ გამოცდილებისგან შორს დგანან.<sup>11</sup>

სისტემური ტრანსფორმაციის ტელეოლოგიამ მედიას მოქალაქეობრივი აქტივიზმისა და ახალი პროფესიული სტანდარტების შეთავსება შეაძლებინა. მედიამ მაღლ ისწავლა, რომ მისი როლი არის ხელისუფლების კონტროლი, და რომ ამ როლის განხორციელება არ ითვლება პოლიტიზირებად, არა-მედ მიუკერძოებლობად. შესაბამისად, მედიის ფუნქციინირების ლეგიტიმური სტილი დამკვიდრდა როგორც ოპოზიციურობა ხელისუფლების მიმართ. პროცედურის და სუბსტანციის, პოლიტიკურობისა და ნეიტრალობის, ასახვასა და ზემოქმედების შერწმის ეს ვარიანტი საზოგადოებისთვის ნორმატიულად მისაღები აღმოჩნდა.

ასევე აღმოჩნდა, რომ დისკურსის ტელეოლოგიური ხასიათი არ გამორიცხავს მედია პლურალიზმის შესაძლებლობას. ოლონდ ეს პლურალიზმი

<sup>11</sup> „When people have direct, personal experience with an issue, that issue is said to be „obtrusive“ for them, and they usually do not need more information from the media (Zucker, 1978). Unobtrusive issues, those with which people have little to no personal experience, are the ones most likely to become important to people if they are high on the media’s agenda.“ (Coleman, 2009).

### თავი 3.

ვერ დამკვიდრდებოდა როგორც პრეფერენციების ღერძის საპირისპირო ბოლოების კონკურენცია (მათი უთანასწორობის გამო ამგვარ კონკურენციაში ერთი ბოლო აპრიორი წაგებული იქნებოდა), არამედ როგორც განვითარების განსხვავებული პრიორიტეტების კონკურენცია, წინა თავში იყო აღნერილი საარჩევნო სიბრტყის მაფორმირებელი ღერძების ტრანსფორმაციის დინამიკა: ერთი ყოვლისმომცველი მიმართულებიდან ორი კონკურენციული დღის წესრიგისკენ. მედიის სტრუქტურის საანალიზოდ მნიშვნელოვანია დავამატოთ, რომ კონკურენციული დღის წესრიგები კონკურენციული ტელევიზიების მიერ იყო ფორმირებული. ამგვარი ტელევიზიების მრავლობითობის აღნერის ნაცვლად, გამოყოფთ მხოლოდ ორს, რუსთავი 2-ს და იმედს, რომლებმაც 2006-2007 წლებში ყველაზე დიდი როლი ითამაშეს პლურალისტული ტელეოლოგიის დაკვიდრებაში.

რუსთავი 2-მა პირველმა თამამად გადააბიჯა უხილავ ზღვარს ასახვასა და ზემოქმედებას შორის. შევარდნაძის მმართველობის ბოლო წლებიდან და შემდგომ ის ლიდერობდა როგორც დღის წესრიგის მაფორმირებელი მედია. შევარდნაძის მთავრობის მთავარი კრიტიკოსის რეპუტაციის შეძენით მან ღრმად ფრუსტრირებული საზოგადოების დიდი ნაწილის ნდობა მოიპოვა, რომელიც 2003 წელს პოლიტიკურ მობილიზაციაში ითარგმნა. ძნელია იმის ანალიზი, თუ რამდენად გულწრფელად ან სტრატეგიულად მოქმედებდნენ მისი მენეჯერები და უურნალისტები, ვინაიდან ერთობლივად ისინი არტიკულირებდნენ დომინანტურ დისკურსს, განვითარების პროდასავლურ მიმართულებას, რომლისაც უპირობოდ სჯეროდა საზოგადოების ყველაზე მრავალრიცხოვან აქტივისტთა ჯგუფებს. ტელევიზია გახდა ვარდების რევოლუციის მთავარი პლაცდარმი, მისი მარტივი, მაგრამ ეფექტური ლოზუნგით: „წადი“.

ვარდების რევოლუციის შემდეგ რუსთავი 2-მა გაიარა ტრანსფორმაციის მოკლე პერიოდი. გამარჯვებული რეჟიმის გულწრფელი მხარდაჭერა ამ რეჟიმის მხრიდან უშუალო მმართველობამ ჩაანაცვლა. ტელევიზია ხელისუფლების რეპორტად იქცა. ამ ტრანსფორმაციამ საჯარო სივრცეში ოპოზიციური მედიის ადგილი გაანთავისუფლა. ეს ადგილი პრაქტიკულად ცარიელი რჩებოდა 2006-2007 წლებამდე, როდესაც ის რუსთავი 2-ის მთავარმა კონკურენციმა, იმედმა დაიკავა.

ხელისუფლებასთან ერთად, რუსთავი 2-მა შეინარჩუნა ლიდერობა როგორც პროდასავლური ტელეოლოგიის რეპრეზენტატორმა. მან შექმნა მოვლენების დინამიური ინტერპრეტაციის თანმიმდევრული ნარატივი, რომელშიაც თემებმა, მოვლენებმა, პიროვნებებმა და მაუწყებლობის დინამიკამ კოპერენციული მატრიცის სახე მიიღეს. ხელოვნების ტერმინოლოგიას თუ

დავესესხებით, მან დახატა სურათი, რომელშიაც პერსპექტივის უსასრულოდ დაშორებული წერტილი კარგად იკითხებოდა და სურათის ყველა ელემენტს რეალისტური მაშტაბისა და სიღრმის შთაბეჭდილებას უქმნიდა. განსხვავებით სხვა მედიებისგან, რომლებიც ამგვარი კოპერენტულობით არ გამოირჩეოდნენ, მან მარტივად მოკვეთა მისთვის ზედმეტი დეტალები, მთავარი პერსპექტივის სასარგებლოდ.

განსხვავებით რუსთავი 2-გან, იმედი თავიდან არ ფუნქციონირებდა როგორც ყოველდღიური ინტერპრეტატორი, მოვლენების ერთმნიშვნელოვანი წაკითხვის ავტორი. მიუხედავად პოლიტიკური სარჩულისგან, იმედი თავიდან არა პოპულიზმზე, არამედ პროფესიონალიზმზე დაფუძნებული რეიტინგისთვის იბრძოდა. მაგრამ მისი დღის წესრიგი სულ უფრო განსხვავებული ხდებოდა რუსთავი 2-გან, რამაც მედია სივრცეში ჯერ ორპოლუსიანი დისკურსი, ხოლო შემდგომ ორდისკურსიანი პოლარიზება წარმოქმნა. იმედმა აიტაცა ის ოპოზიციური დღის წესრიგი, რომელიც რუსთავი 2-მა მიატოვა – დემოკრატიზაცია, ადამიანი უფლებები, ხელისუფლების კონტროლი და სისტემური ტრანსფორმაცია.

ამ ორი ტელევიზიონის მიერ მხარდაჭერილი დისკურსების კონფრონტაციაში საჯარო სივრცის ახალი სტრუქტურირება წარმოქმნა. ის სიმბოლური ორიენტირები, რომლებიც მანამდე მეტ-ნაკლებად ერთი განზომილების გასწვრივ ლაგდებოდა, ანი ორ დამოუკიდებელ ლერძზე განლაგდა. აქედან ერთი, ტრადიციულად მხარდაჭერილი რუსთავი 2-ის მიერ, აღნერად რეალობას როგორ დასავლეთისა და საბჭოთა კავშირის გეოპოლიტიკური დაპირისპირების გაგრძელებას. ის იყო ორიენტირებული გარეთ, იყო გლობალისტური, პრო-ნატო, პრო-დასავლეთი, პრო-იერაქიული და პრო-სახელმწუფოებრივი. იმედის დისკურსმა, საპირისპიროდ, დემოკრატიზაციის ღირებულებები აიტაცა, რომლებიც ადრე პრო-დასავლეური განვითარების ნაწილად მოიაზრებოდა, მაგრამ ანი დამოუკიდებელი დღის წესრიგის მნიშვნელობა შეიძინეს. ეს იყო ადამიანის უფლებები, ხელისუფლების კონტროლი, კანონის უზენაესობა, პუმანიზმი და იმ ტიპის ლოკალიზმი, რომელიც ანტიგლობალისტურ ხასიათს ატარებს. დემოკრატიზაციის პროექტი, ამდენად, ამ დიპოტომიაში, გაემიჯნა დასავლეთიზაციის პროექტს, რაც დიდი სიახლე იყო მონისტურად ტელეოლოგიურ პროექტთან შედარებით. ორიენტაცია გარეთ (ევროატლანტიკური სივრცე) და ორიენტაცია შიგნით (დემოკრატია) გახდა მთავარი პოლიტიკური ნებალგამყოფის მაფორმირებელი ლოგიკა.

ორპოლუსიანი სტრუქტურირება გამოიხატებოდა არა განსხვავებულად არტიკულირებული პრეფერენციების მხარდაჭერაში, არამედ დღის წესრი-

### თავი 3.

გისა და ინტერპრეტაციების კონტრასტში. რუსთავი 2-ის მაყურებლები ცხოვრობნდნენ საქართველოში, რომელიც ცივი ომის დაუმთავრებელი პროექტის ბოლომდე მიყვანას ლამობდა. იმედის მაყურებლები ცხოვრობდნენ ავტორიტარულ პოლიციურ სახელმწიფოში, რომელიც მათ არ ეკუთვნოდათ. ერთიც და მეორეც ინტერპრეტირდებოდა გარკვეულ პოლიტიკურ მიმართებებში: რუსტავი 2 -თვის მისი მითოლოგიის გმირი იყო მიხეილ სააკაშვილი და მის ირგვლივ კონსოლიდირებული ნაციონალური მოძრაობის ლიდერები, ხოლო იმედმა გააერთიანა პოლიტიკური სახეების საკმაოდ ჭრელი გუნდი, რომელიც შემდგომ პოლიტიკური ქუჩის პროტესტების სათავეში აღმოჩნდა.

პოლიციის მიერ იმედის დარბევამ 2007 წლის ნოემბერში დაარღვია დისკურსული ბალანსი და საჯარო სივრცის სტრუქტურა ორპოლუსიანისგან 1+ პოლუსიანად აქცია. საჯარო სივრცეში რჩებოდა სხვა დამოუკიდებელი ტელევიზიები (კავკასია, შემდგომში მაესტრო), რომლებიც ფინანსურად და გავრცელების არეალით იმედს ვერ ჩაანაცვლებდნენ. ყველა ის არხი, რომელიც ქვეყნის რეგიონებს სწვდებოდა, ერთ პრო-სახელისუფლებო დისკურსში მოექცა. ძალთა ბალანსი გამყარდა ნაციონალური მოძრობის სასარგებლოდ, მით უფრო რომ 2008 წლის ომმა ახალი მუხტი შეიტანა დომინანტურ დისკურსში და გარეშე მტრის (რუსეთის) წინააღმდეგ მოსახლეობის კონსოლიდირება მოახდინა.

როდესაც 2011 წელს პოლიტიკურ პორიზონტზე გაჩნდა ბიძინა ივანიშვილი, მისმა გამოჩენამ მყისიერად იმოქმედა პოლიტიკურ კლიმატზე. ეს მყისიერი გავლენა მოხდა მანამ, სანამ საზოგადოება კარგად გაერკვეოდა იმაში, თუ რას სთავაზობდა ეს აქამდე არასაჯარო ბიზნესმენი, როგორი პროგრამით აპირებდა პოლიტიკაში ჩართვას. ივანიშვილს გააჩნდა რესურსები, რომლებიც აქამდე არსებულ ოპოზიციას არ ჰქონდა: მას შეეძლო ახალი საჯარო სივრცეების შექმნა, არსებული დისკურსული დომინაციის დაძლევა. სწორედ ეს იყო მისი პირველი პოლიტიკური გზავნილები: სატელიტური თეფშებით რეგიონებამდე იმ მაუწყებლობის მიტანა, რომელიც მანამდე იქ იყო მიუწვდომელი, ახალი ტელევიზიის დაფუძნება.

ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამ ნარმოქმნა ახალი დისკურსული დაყოფა, რომელიც წააგავდა ადრე არსებულს, მაგრამ ჰქონდა განსხვავებული ნიშნებიც. ისევე, როგორც პოლიტიკური დაპირისპირების წინა ეტაპზე, კონკურენცია წარიმართა დამოუკიდებელი დღის წესრიგის შექმნით, რომელიც ძალიან წააგავდა ადრინდელ, დემოკრატიზაციის დისკურსს. თუმცა, მას დაემატა ხალხურობა, სოციო-ეკონომიკური განზომილება, აპელირება მრავალრიცხოვან სოციალურ ჯგუფებზე (სოფელი), შეიცვალა სახეები და აქცენტები.

2012 წელს ხელისუფლების ცვლილება ისევ მასობრივი საპროტესტო განწყობების, ქუჩის აქციებისა და მძაფრი დისკურსული დაპირისპირების შედეგი აღმოჩნდა. მედია სტრუქტურისა და დისკურსის შემდგომი ტრანსფორმაცია გვაძლევს შესაძლებლობას გამოვიტანოთ გარკვეული დასკვნები სისტემის ძირითადი მახასიათებლების მდგრადობის შესახებ.

ოპორტუნისტული ტრანსფორმაცია, რომელიც განიცადეს პოლიტიკურმა და მედია აქტორებმა ძალაუფლებრივ ურთიერთობებში საკუთარი ფუნქციონალური ადგილის ცვლილებასთან ერთად, მიანიშნებს იმაზე, რომ დღის წესრიგისთვის ბრძოლას აქვს უფრო სტრატეგიული, და არა იდეოლოგიური ხასიათი. დემოკრატიის ღირებულებებმა დიდწილად გადაინაცვლა ოპოზიციაში გადასული ნაციონალური მოძრაობისა და რუსთავი 2-ის რიტორიკაში, ხოლო ახალი ხელისუფლება ეფექტური პროდასავლური ინტეგრაციით იწონებს თავს. აქტორების და დისკურსების ამგვარი ჩანაცვლებადობა მიანიშნებს მათი რეპრეზენტატულობის დაბალ ხარისხზე. რეალობისგან და რაციონალურობისგან აცდენამ სიმბოლურ აღმნიშვნელებს აზრი დააკარგვინა და მოშალა ის მარტივი სტრუქტურირება, რომელიც ადრე არსებობდა. პარალელურად მოხდა ლერძების გარკვეული „გასწორება“ – დღის წესრიგების დაპირისპირებას ლერძების ბოლოების გათანაბრების ტენდენცია ემატება.

შეიძლება ითქვას, რომ თამაშის წესები, რომლებშიაც მოქმედებენ პოლიტიკური აქტორები (პოლიტიკური ძალები და მედია) ამ აქტორებისგან მოითხოვენ პერიოდულ რე-ინტერპრეტაციას, ოპორტუნიზმს, იმიჯისა და დისკურსების შეცვლას. ზოგიერთი აქტორი ამას ახერხებს, და საკმაოდ ხშირად. განსაკუთრებული უნარები ამ მხრივ სააკაშვილმა გამოიჩინა. მას ახასიათებდა წამყვანი თემების სწრაფი და კონიუქტურული ცვლა. სააკაშვილი არ შედიოდა პოლემიკაში ოპონენტებთან: რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ როდესაც საზოგადოებრივ აზრში ოპონენტების არგუმენტები წონას იძენენ, ის უბრალოდ ცვლიდა თემას და სხვა პრიორიტეტებს სახავდა. ის საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო მისი მმართველობის პერიოდში, ფიგურირებდნენ მის რიტორიკაში და მისი მხარდამჭერი მედიის დღის წესრიგში არა ერთდროულად, არამედ მიმდევრობით. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ცვლიდა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება. ევროკავშირის ადგილს მალევე ნატოში განევრიანება იკავებდა. წინასაარჩევნოდ ხელისუფლების პრიორიტეტი სიღარიბესთან ბრძოლა ხდებოდა. მერე წამყვან ადგილს ისევ რუსეთი და ტერიტორიული მთლიანობა იკავებდა. როდესაც 2008 წლის ომის შემდეგ წრე შეიკრა და ახალი წარმატებაზე ორიენტირებული კამპანიების წარმოება გახდა ძნელი, გლობალური თემების

### თავი 3.

ადგილი შედარებით ვიწრო კამპანიებმა დაიკავეს, მაგალითად ლაზიკას პროექტმა. ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ ის ისევ დემოკრატიის დისკურსს დაუბრუნდა.

დღის წერიგით მანიპულირება, საკუთარი თავის რეინტერპრეტირება ეფექტური საშუალებებია პოპულარობის შესანარჩუნებლად, რომლებიც პოლიტიკური ლიდერის მმართველობის პერიოდს ახანგრძლივებენ. თუმცა, რაც უფრო გროვდება წინააღმდეგობრივი ინტერპრეტაციები, მით უფრო ეცემა ნდობა ინტერპრეტატორის მიმართ. დისკურსები რჩება, მაგრამ მათი აქტორები პერიოდულად უნდა იცვლებოდეს. წინა პერიოდის პარტიები, ლიდერები და ტელევიზიები შესუსტდება რათა ადგილი დაუთმონ ახალ სახეებს, სიმბოლოებს.

დაბალი ნდობა და აქტორების დინამიური ცვლა ტიპიურის პოპულისტური კონტექსტისთვის. ოპორტუნიზმი, რომელსაც იწვევს პოლიტიკური ძალების გადანაცვლება სისტემის ერთი ფუნქციონალური როლიდან მეორეში (ხელისუფლება, ოპოზიცია), პოპულიზმი, პოლარიზება და მანიპულირება, რომლებიც სისტემას ახასიათებენ, არ გამოიყურება დროებით და გარდამავალ მოვლენებად. მიუხედავად მისა, რომ ინსტიტუციური მახასიათებლებით სისტემა არ წააგავს დამკვიდრებულ დემოკრატიულ რეჟიმებს, ის გამოიყურება მყარად და სტრუქტურირებულად.

### დემოკრატია ქართულად – პოპულისტური და მანიპულაციური

ამ წამომის თეორიულ ნაწილში ჩვენ ვილაპარაკეთ იმაზე, რომ დღის წერიგის ფორმირება წარმოადგენს პოლიტიკური ძალაუფლების ნაირსახეობას. ერთ ხელში ამ ძალაუფლების კონცენტრირება ქმნის მისი სტრატეგიულად გამოყენების შესაძლებლობას, რომელიც ძალაუფლების მფლობელისთვის სასურველი შედეგის მიღწევას უზრუნველყოფს, დემოკრატიის პირობებშიც კი. კონკურენციაში ნეგატიური ინტერპრეტაციების გამოყენება ქმნის ბრძოლას მოძრავი წყალგამყოფებისთვის. ზიგიერთი ავტორის აზრით, ამგვარი ვითარება ნებისმიერი პოლიტიკის ძირითად არსს წარმოადგენს:

„იმ შემთხვევაშიც კი, თუ კარლ შმიტი ცოტათი აზვიადებს, პოლიტიკის განმსაზღვრელი თვისების და ორიგინალური აქტის ვივისექციისას, როდესაც მან ისინი დაიყვანა „საერთო მტრის“ დანიშვნამდე, ის მართალი იყო, როდესაც პოლიტიკის არსად „სხვის“ დასახელებას და მასთან საქმის ქონას მიიჩნევდა. პოლიტიკის საგანია, მას შეეძლო ეთქვა, ოპოზიციების შექმნა, ოპოზიციებით მანიპულაცია და საზღვრების გავლება, „შიდა“ და „გარეს“ შო-

რის, შესაბამისად, ასევე დიფერენციაცია იმ გზებს შორის, რითაც ხდება ამ ორ მხარესთან საქმის წაყვანა. (Bauman, 2012, გვ. 17).<sup>12</sup>

ბაუმანისგან განსხვავებით, წყალგამყოფების ფორმირება ამ ნაშრომში პოლიტიკის ერთ-ერთ, და არა ძირითად ნაირსახეობად განიხილება. პოლიტიკის ეს შმიტისეული გაგება განსხვავდება ისეთი რეპრეზენტაციისგან, რომელიც გულისხმობს საზოგადოებაში პრე-პოლიტიკური, პორიზონტალური დაყოფების არსებობასა და მათ ტრანსლირებას პოლიტიკაში პარტიული ან საპარლამენტო გზით. მისგან განსხვავებით, წყალგამყოფების გავლებისთვის ბრძოლას ჩვენ შედარებით ახალ, პოსტმოდერნულ, პოპულისტურ და მანიპულაციურ სახეობად განვიხილავთ, რომელიც ამგვარ რეპრეზენტაციას ასუსტებს. ის ქმნის არა პორიზონტალურ, არამედ ვერტიკალურ დაყოფებს ელიტებსა და საზოგადოებას შორის:

“პოპულისტური მოძრაობები, როგორც წესი, უარყოფენ პორიზონტალურ გახლეჩვებს (როგორიცაა მარცხენა/მარჯვენად დაყოფა) და ხელს უწყობენ ხალხის ფუნდამენტურ ერთობას, ამავდროულად შემოაქვთ ახალი ვერტიკალური განზომილება, რომელმაც შესაძლოა გარიყოს, მაგალითად, ელიტები (ზედა დონეზე) და უცხოელები (ქვედა დონეზე). „(Meny, 2002: 12).<sup>13</sup>

პოპულიზმი არ არის მხოლოდდამხოლოდ საქართველოს მსგავსი, ჰიბრიდული რეჟიმების მახასიათებელი. ის მზარდ ტენდენციას წარმოდგენს დამკვიდრებული დემოკრატიის ქვეყნებშიც (Guisto et al, 2013). ის თავსებადია პოლიარქიის ფორმალური ინსტიტუტების მყარ ფუნქციონირებასთან. თუმცა ლიად რჩება კითხვა, თუ რამდენად თავსებადია იგი დემოკრატიის, როგორც ხალხის მმართველობის ნორმატიულ იდეალთან.

პოლიტიკის მზარდი შმიტისეული ხასიათი შესაძლოა იყოს იმის ინდიკატორი, რომ პოლიტიკის არსი, მისი ხასიათი იცვლება იმ გაგებით, რომ ის ხდება უფრო რადიკალური, „ჰიპერბოლური“ ჩვენი ტერმინოლოგიით, და მიმართული არა იმდენად ინდივიდუალური პრეფერენციების კონკურენციაზე,

<sup>12</sup> "Even if Carl Schmitt went a bit too far in his vivisection of the original act and the defining feature of politics when he reduced it to the appointment of 'a common enemy', he was right when tracing the essence of politics to the naming of, and dealing with, 'the other'. Politics, he may say, is about creation and manipulation of oppositions and drawing boundaries between 'inside' and 'outside', and consequently differentiating between the way in which each of the two members of the opposition, and so also each of the two sides of the border, are dealt with."

<sup>13</sup> Populist movements tend to deny horizontal cleavages (such as the Left/Right divide) and to promote the fundamental unity of the people, while introducing a new vertical dimension, which may exclude, for instance, elites at the top and foreigners at the bottom.

რამდენადაც ტოტალური იდენტობებით, ცარიელი აღმნიშვნელებით, მოძრავი წყალგამყოფებით ოპერირებაზე. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ პოლიტიკურ სისტემაში წინა პლანზე გამოდის დღის წესრიგთან დაკავშირებული ძალაუფლების უთანასწორო გადანაწილება და ამ უთანასწორობის, და არა პრეფერენციების რეპრეზენტირება პოლიტიკურ სისტემაში. რაც არ უნდა იყოს იმ ტენდენციების მიზეზი, რომლებიც დღის წესრიგის აქტუალობას აძლიერებენ – გლობალიზაცია, კაპიტალიზმი, ტექნოლოგიური ცვლილებები თუ სხვა, ეს გამოწვევები „გარეა“ ადრე დამკვიდრებული კონტექსტისთვის და მის ტრანსფორმაციას იწვევენ.

ვინაიდან, როგორც ჩვენ ვამტკიცებდით, პოლიტიკის არსი, სუბსტანცია, და მისი ინსტიტუტები, პროცედურული წესები, ერთმანეთთან კავშირში იმყოფება, შინაარსის ამგვარი ტრანსფორმაცია შესაძლოა განსხვავებულად იყოს მანიფესტირებული დამკვიდრებულ დემოკრატიებში და გარდამავალ რეჟიმებში. იქ, სადაც თამაშის წესები, კონსტიტუცია, არა-ფორმალური ნორმები, პოლიტიკური პარტიები მყარია, მზარდი პოპულიზმი შესაძლოა მარგინალურ ხასიათს ატარებდეს, აღიქმებოდეს როგორც დე-მოკრატიის დამახინჯება, მისი ავადმყოფობა, ან უმნიშვნელო სიახლე. მაგრამ იქ, სადაც ინსტიტუციონალური სისტემა, თამაშის წესები გარდაქმნაში იმყოფება, პოპულიზმი შესაძლოა ფუნქციონალურ როლს ასრულებდეს ახალი სისტემის ფორმირებაში.

თუკი ეს ასეა, მაშინ შესაძლებელია ვილაპარაკოთ დემოკრატიის მე-სამე იდეალური ტიპის ზრდაზე და გავრცელებაზე – ისეთ პოლიტიკურ რეჟიმზე, რომელიც, მაუორიტარული და პროპორციული სისტემების მსგავ-სად, არჩევით მმართველობას წარმოადგენს, მაგრამ ამ არჩევით მმართვე-ლობას თავისებურ, განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ნორმატიულად, მესამე ტიპის დემოკრატია იდეალური ტიპია, ხოლო ინსტიტუციურად – და-უმთავრებელი პროექტი, ვინაიდან მისი ფორმალური ინსტიტუტები ნა-სესხებია პირველი ორი ტიპისგან და შესაძლოა სრულად ვერ პასუხობდნენ მის ახალ სუბსტანციას, ვერ არეგულირებდნენ იმ ძალაუფლებრივ ურთი-ერთობებს, რომლებიც ამ ახალ სუბსტანციას უკავშირედება. მესამე ტიპს შესაძლოა მივაკუთვნოთ არა მარტო ჰიპოდოული რეჟიმები, არამედ ასევე სამხრეთ ევროპის დემოკრატიებიც, რომლებსაც. როგორც წესი, პოლიტი-კური სისტემის თვალსაზრისით, განსაკუთრებულ სახეობად არ განიხილავენ. როზენვალონის ტერმინოლოგიას თუ დავესესხებით, შესაძლოა ამგვარ რეჟიმებს კონტრ-დემოკრატიის ტერმინი მივუსადაგოთ. თუმცა შე-საძლებელია პოპულისტური დემოკრატიის სახელწოდება უფრო კარგად აღწერდეს იმ პოლიტიკის არსს, რომელიც ამგვარ რეჟიმებში დომინირებს.

პოპულისტური დემოკრატიის მთავარი ინსტიტუციური განსხვავება კლასიკური მაჟორიტარული და პროპორციული დემოკრატიისგან მდგომარეობს იმაში, რომ ის ყველაზე რადიკალურად შლის საზღვარს სუბსტანციასა და პროცედურას შორის. შესაბამისად, იშლება ზღვარი პოლიტიკურსა და არაპოლიტიკურს შორის, რაც არის გზა „პოლიტიკურის“ არეალის გაფართოება-დავიწროებისკენ. აქედან ჩანს ის, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ამ მესამე ტიპის დემოკრატიის დახასიათებისას მედია სისტემების ჩართვა ანალიზში. „პოლიტიკურის“ არეალის გაფართოება იწვევს მის გასვლას ფორმალური ინსტიტუტების ჩარჩოებიდან, გაუონვას მედიაში, სამოქალაქო საზოგადოებაში, ეკონომიკაში და ყოველდღიურ ცხოვრებაში.

პოპულიზმის არეალი არის ლეგიტიმაცია-დელეგიტიმაციის სფერო. ის მუდმივად არღვევს დამკვიდრებულ პოლიტიკურ დისკურსს და იწვევს უნდობლობასა და გაღიზიანებას – როგორც ფეხბურთში აკრძალული იღეთების გამოყენება. ვინაიდან მისი არსი წინააღმდეგობაშია ფორმალურ წესებთან, ის ამ წესების კორუფციულ დამახინჯებას იწვევს. გამოყენებული პოლიტიკური ლიდერების მიერ, ის მიმართავს ოპონენტების იგნორირებისა და პოლიტიკიდან გარიყვისა, ნაცვლად მათთან ღია პაექრობაში შესვლისა, მანიპულირებას და ნეგატივიზმს. გარდამავალ ქვეყნებში ის გადადის ავტორიტარიზმში. გამოყენებული ოპონენტების მიერ, პოპულიზმი ქმნის ახალ საზოგადოებრივ მოძრაობებს, მასობრივ მობილიზაციას და უკიდურესი ფორმებით შესაძლოა იწვევდეს დაუმორჩილებლობას, ამბოხებებსა და რევოლუციებს.

პოლიტიკური ძალაუფლების განვრცობა ფორმალური პოლიტიკური სისტემის ფარგლებს გარეთ<sup>14</sup> ასუსტებს ამ ძალაუფლების რეგულირებას საკონსტიტუციო მექანიზმების მიერ, რაც, თავის მხრივ, ქმნის მისი ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას. ფორმალურად დემოკრატიული და უმრავლესობის მმართველობაზე დაფუძნებული, პოპულისტური დემოკრატია შეიძლება არსებითად უმცირესობის მმართველობად გადაგვარდეს.

ტელევიზია ამგვარ გადაგვარებაში უმთავრეს როლს ასრულებს, ვინაიდან მასში არის კონცენტრირებული წყალგამყოფების გავლების ძალაუფლება. მესამე ტიპის დემოკრატიის ლიდერები იმარჯვებენ მაჟორიტარულ არჩევნებში, ანუ უმრავლვესობის მობილიზებას ახერხებს. ამისთვის პოპულისტურ ლიდერს სჭირდება ამომრჩევლები დააყენოს ცუდსა და უა-

<sup>14</sup> მანინი აღნიშნავს პოლიტიკური დისკურსის ფორმალური ჩარჩოებიდან გასვლისა და მედია სივრცეში მოქცევის ამ ტენდენციას როდესაც რეპრეზენტატული დემოკრატიის ტრანსფორმაციაზე ლაპარაკობს (Manin, 1997).

### თავი 3.

რესს შორის არჩევანის წინაშე. თუკი ეს ლიდერი ფლობს დღის წესრიგის ფორმირების ძალაუფლებას, ანუ აკონტროლებს ტელევიზიებს, ის ამას ახერხებს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მაინც.

საკმარისია პოლიტიკურმა ძალამ დაიკავოს ცენტრალური ადგილი, სადაც კონცენტრირებულია დღის წესრიგის ფორმირების ძალაუფლება, მისი ამ ადგილას დარჩენა ავტომატურად გარანტირებულია, თუკი მანიპულირების შესაძლებლობებსა და უნარებს ფლობს. ამდენად, თუკი დღის წესრიგის ფორმირების ძალაუფლება კონცენტრირებულია, ფორმალურად დემოკრატიული სისტემა ავტომატურად უმცირესობის მმართველობად იქცევა.

კრიტიკული მკითხველი ალბათ უკვე მიაქცევდა ყურადღებას იმას, რომ მედიის სახეობებიდან მოცემულ ნაშრომში მხოლოდ ტელევიზია არის განხილული. ცალკე ფართო და საკვლევ თემად რჩება ინტერნეტისა და სოციალური მედიის გავლენა პოლიტიკური კომუნიკაციის ხასიათზე, დღის წესრიგის ფორმირების ძალაუფლების ტრანსფორმაციაზე. სავარაუდოდ, ინტერნეტ კომუნიკაციის გავრცელება უნდა ზღუდავდეს ტელევიზიის გავლენას და უფრო ქაოტურსა და ეგალიტარულს ხდიდეს ამ ძალაუფლების განხორციელებას. მაგრამ ვინაიდან ნაშრომის ემპირიული ნაწილი ეხება საქართველოს, სადაც პოლიტიკური კომუნიკაციის ძირითად მატარებლად ჯერ კიდევ ტელევიზია რჩება,<sup>15</sup> ჩვენ ფრჩხილებს გარეთ ვტოვებთ მსჯელობას ინტერნეტის შესახებ.

მეინსტრიმული მიდგომების თანახმად, საქართველო დემოკრატიის ჯერ კიდევ დაუმთავრებელ პროექტად განიხილება. თუკი ამ მესამე ტიპის არჩევითი რეჟიმის ტიპოლოგიდან ამოვალთ, საქართველოს პოლიტიკაში შესაძლოა დავინახოთ დინამიკა, რომელიც არა ამ პროექტის დასრულებისკენ იყოს მიმართული, არამედ სხვა, პოპულისტური, მესამე ტიპის დემოკრატიის კონსოლიდაციაზე მეტყველებდეს. ამ შემთხვევაში ფორმალური ინსტიტუტებისა და არაფორმალურ ლოგიკას შორის სხვაობა შესაძლოა იყოს სისტემის არა დროებითი, არამედ სტაბილური მახასიათებელი, რომელიც ძალაუფლების განხორციელებას სტაბილურად არასტაბილურ, კამპანიურ, კორუფციულ და მასობრივი პროტესტების წარმოქმნელ ხასიათს ანიჭებდეს.

ავტორიტარული და პოპულისტური ტენდენციების დინამიური ნაზავი, რომელიც საქართველოს ახასიათებს, შესაძლოა იყოს ინტერპრეტირებული როგორც ინსტიტუციური წესრიგის ნაკლოვანება, გარდამავალი პერიოდის

<sup>15</sup> რომელიც, იმავდროულად, საარჩევნო ქცევის ერთ-ერთი უმთავრესი დეტერმინანტი აღმოჩნდა, იხ. თავი 5.

მახასიათებელი. უფრო რადიკალურადაც კი, ამ ნაზავის ბევრი ასპექტი შეიძლება მომდინარეობდეს ლიდერის პიროვნული მახასიათებლებისგან: სააკაშვილის რეჟიმი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ამ მხრივ როგორც მისი წინამორბედი შევარდნაძის, ასევე მისი მოდევნო ივანიშვილის ქცევისგან.

საპირისპიროდ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს არის არა დროებითი მოვლენა, არამედ მმართველობის სტაბილური ფორმა, არჩევითი რეჟიმის ნაირასახეობა, რომელსაც პოპულისტური დემოკრატიის სახელი შეიძლება ვუწოდოთ.

ამ ხედვის სასარგებლოდ მეტყველებს ბოლო ათწლეულების პოლიტიკური დინამიკა. მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში პოლიტიკური კონკურენცია იყო შეზღუდული და ხელისუფლება იყენებდა ძალაუფლებრივ რესურსებს კონკურენტების წინააღმდეგ, საქართველო განიცდის რეჟიმებისა და დისკურსების ცვლას. პროცესის დინამიურობა, ძალაუფლებისთვის მწვავე ბრძოლა, საზოგადოების ინტენსიური ჩართულობა მიმდინარე პროცესებში გვაძლევს შესაძლებლობას საქართველოს ვითარება არჩევანის ნაწილობრივი თავისუფლების კონტექსტში განვიხილოთ – საზოგადოებამ მიაღწია გარკვეულ, თუმც შეზღუდულ გავლენას პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე.

თუმცა, ამ ბრძოლების სიმწვავისა და პოლარიზების ფონზე, სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და რეფორმების ხასიათი ბოლო 20 წლის განმავლობაში დიდად არ შეცვლილა. ხელისუფლებაში და ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკური ძალები იცვლებოდა, მაგრამ ამ ცვლილებებს მხოლოდ შეზღუდული გავლენა მოჰქონდა ქვეყნის განვითარების მიმართულებაზე, მის ინტერესებისაზე. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ხელისუფლების გადაწყვეტილებების დღის წესრიგი დიდად არ იყო დამოკიდებული პოლიტიკურ ბრძოლაზე. სხვა ფაქტორები, ისეთები როგორიცაა გლობალიზაცია, რეგიონის გეოპოლიტიკა, ბაზარი, სოციო-კულტურული ტრანსფორმაცია, გაცილებით მეტ გავლენას ახდენენ.

წარმოადგენს თუ არა პოპულისტური პოლიარქია ნორმატიულ დემოკრატიას თავისი არსით? თუკი პოლიტიკური სისტემა იძლევა ხალხის ნების გამოვლენის შესაძლებლობას, მას შეიძლება დემოკრატია ვუწოდოთ. საქართველოს კონკურენტული და მეტ-ნაკლებად თავისუფალი არჩევნები თითქოს ამ კლასიფიკაციისკენ გვიბიძგებენ. საპირისპიროდ, თუკი არჩევნები ტარდება, მაგრამ ქვეყანას მაინც დომინანტური დისკურსი მართავს, არჩევნებით გამოვლენილი უმრავლესობის ნება ხალხის ნების ტოლფასი ვერ გახდება. დღის წესრიგით მანიპულირება უმცირესობას აძლევს შესაძლებლობას შეკრას ცვლადი საარჩევნო კოალიციები, რომლებიც მოკლევადიან გამარჯვებას უზრუნველყოფენ ვითარების დინამიური რე-

### თავი 3.

ინტერპრეტირების გზით. ამგვარი მანიპულირება მართლაც ეფექტურია საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში. თუმცა, მისი შესაძლებლობები უსასრულო არ არის – აქტორების მიმართ ნდობა ეცემა, ხოლო კონკურენტული გარემო წარმოქნის ახალ სახეებს, რომლებიც ადრე თუ გვიან იკავებენ ნდობადაკარგული ლიდერების ადგილს. მმართველები იცვლება, ხოლო პოლიტიკური სისტემა- არა.

ჩვენი მიზანი არ იყო დაგვედგინა მიზეზები, რომლებიც გავლენას ახდენენ ამგვარ ტრანსფორმაციაზე. თუმცა შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ პოლიტიკური სისტემის გახსნილობა გარე ზემოქმედებისადმი და გავლენებისადმი მას ახლებურ ხასიათს ანიჭებს. ნეოლიტერალური გლობალიზაცია ამგვარი გახსნილობის წინაპირობებს ქმნის და დღის წესრიგის ძალაუფლებას პოლიტიკური სისტემის შიდა ლოგიკაზე მაღლა აყენებს. საქართველო, რომელიც დასავლეთის პერიფერიად იაზრებს საკუთარ თავს, ამ მხრივ უფრო თვალნათლივად წარმოაჩენს ახალ ტენდენციებს, ვიდრე რომელიმე ევროპული დემოკრატია, სადაც შიდა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ლოგიკა კვლავაც დიდ როლს თამაშობს.

“პრობლემა არის არჩევანი”, ამბობს ნეო (ფილმი „მატრიცა“). მართლაც, თუკი მოქალაქის არჩევანი შეზღუდულია იმ ინტერპრეტაციით, რომელიც საჯარო სივრცეშია დომინანტური, მაშინ ის ფაქტიურად არ არსებობს. ნეგატიური თავისუფლება შესაძლოა ვერ გადადიოდეს პოზიტიურ შესაძლებლობებში. ღია სისტემისთვის, და განსაკუთრებით პერიფერიული ქვეყნისთვის ეს განსაკუთრებით აქტუალურია; მისი მოსახლეობა ფაქტიურად „სხვისი ცხოვრებით“ ცხოვრობს, მომავალ „კომუნიზმს“ აშენებს. საკმარისია ხელისუფლება ამ დომინანტურ დღის წესრიგს „მოაჯდეს“ და ამით სისტემის ცენტრალური პოზიცია დაიკავოს, რომ ფორმალურად დემოკრატიული სისტემა ავტორიტარულად იქცეს. ამგვარ ვითარებაში აქტიური საზოგადოება იწყებს ბრძოლას საკუთარი ინტერპრეტაციისთვის, რომელიც (ეს ბრძოლა) საჯარო პოლიტიკის ძირითადი არსი ხდება. პოპულიზმის ზრდა, შესაძლებელია, არა დემოკრატიის ავტორიტარულ გადაგვარებაზე, არამედ მისი არეალის რადიკალურ გაფართოებაზე მეტყველებდეს, არჩევანის გაფართოებისთვის ახალი ბრძოლის აქტუალიზებაზე.

## თავი 4

### დემოკრატია 21-ი საუკუნეში – დემოკრატიის რეცესია თუ ახალი ტიპის დემოკრატია?

#### ლია მეზვრიშვილი

მე-20 საუკუნეში დაბადებული ადამიანისთვის დემოკრატია, რომელშიც ძირითადი აქტორები პოლიტიკური პარტიებია, თავისთავად ნაგულისხმევი (taken for granted) რეალობაა. ჩვენთვის ამ ორი ფენომენის (დემოკრატიის და პოლიტიკური პარტიების) ანალიტიკურად გამიჯვნაც კი რთულია. გვიჭირს იმის წარმოდგენა, რომ ოდესღაც არსებობდა დემოკრატია პოლიტიკური პარტიების გარეშე და მოსახლეობის ინტერესთა რეპრეზენტაცია სულ სხვა პრინციპით ხდებოდა. იმის წარმოდგენაც გვიჭირს, რომ ოდესღაც რეპრეზენტაციის პრინციპიც არ არსებობდა და თითოეული მოქალაქე უშუალოდ იღებდა მონანილეობას მართვის პროცესში. ყველაზე რთული კი იმის წარმოდგენაა, რომ შეიძლება პოლიტიკური პარტიები არც ისე შორეულ მომავალში ანაქრონიზმი გახდეს და პოლიტიკურმა პროცესმა სრულებით იცვალოს სახე. არადა, ამაზე სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ პოლიტოლოგები და სოციოლოგები.

ჩვენ შევეცდებით წარმოვადგინოთ დემოკრატიის ტრანსფორმაციის მოკლე ისტორია და „შევიხედოთ“ მომავალში: საით მიდის დემოკრატია? დემოკრატიის ტრანსფორმაციის რა უახლეს ტენდენციებს ხედავენ მეცნიერები? რა ხდება ამ თვალსაზრისით საქართველოში? ჩვენც იმ ევოლუციურ ბილიკს მივუყვებით, რომელიც კონსოლიდირებულმა დემოკრატიულმა რეჟიმებმა ჩვენამდე გაიარეს თუ გლობალიზაციის და ერთიანი საინფორმაციო სივრცის ძლიერმა დინებამ ახალი მსოფლიო ტენდენციების ნაწილად გვაქცია?

#### რეპრეზენტაციის პოლიტიკური თეორიები

რეპრეზენტაცია, როგორც პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელების ძირითადი ფორმა, შეიძლება განვიხილოთ თანამედროვე ეპოქის მასასიათებლად.

ანტიკურ საბერძნეთში პოლიტიკური ცხოვრების და პოლიტიკური ძა-

ლაუფლების ფორმაა პირდაპირი დემოკრატია. დემოსი არის სუვერენი, რომელმაც უნდა მიიღოს მონაწილეობა ქალაქის საერთო საქმის მართვაში. პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა მოქალაქის<sup>1</sup> ვალდებულებად და აზრიანი ცხოვრების აუცილებელ პირობად განიხილება. უმაღლესი სუვერენული ორგანოა ქალაქის კრება (Assembly), რომელსაც ესწრება საარჩევნო ხმის მქონე მოქალაქეების დიდი ნაწილი.

კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები -მაგისტრატები ანტიკურ საბერძნეთში შეირჩეოდნენ ლატარიის პრინციპით. გენერლების არჩევა კი ხდებოდა უნარების მიხედვით. ლატარიის პრინციპით შერჩევა ითვლებოდა ნამდვილ დემოკრატიულ პრინციპად, კანდიდატების უნარებზე დაფუძნებული არჩევნები კი – ოლიგარქიულ პრინციპად.

ამგვარი პოლიტიკური სისტემა არის დემოკრატიის ერთ-ერთი დილემის: შანსების თანასწორობის და შედეგების თანასწორობის შერიგების მცდელობა.

ანტიკური დემოკრატიის<sup>2</sup> პრინციპები ევროპის შემდგომი ისტორიის მანძილზე დიდი ხნით მიეცა დავიწყებას. დემოსის, როგორც სუვერენის, აქტიური მოქალაქის, თანასწორობის იდეები შუა საუკუნეების ქრისტიანულ ევროპაში ღმერთის წინაშე თანასწორობის და მიწიერი იერარქიის თეოკრატიულმა იდეებმა ჩაანაცვლა.

<sup>1</sup> მოქალაქედ ითვლება 20 წელზე უფროსი თავისუფალი მამაკაცი.

<sup>2</sup> რომის რესპუბლიკაში იყო შერეული პოლიტიკური სისტემა, რომელიც აერთიანებდა მონარქიულ, არისტოკრატიულ და დემოკრატიულ ელემენტებს. რომის რესპუბლიკაში მოქალაქის ძირითადი კვალიფიკაციური ფაქტორი იყო საკუთრების მოცულობა. რომში ტარდებოდა აღნერა, რომელიც მოქალაქეს ანიჭებდა გარკვეულ რანგს იერარქიაში. ამ რანგის საფუძველი, საკუთრების გარდა, იყო მოქალაქის ფიზიკური, მორალური და სოციალური უნარები. სოციალური მობილობა შესაძლებელი იყო, რადგან ძველი აღნერის მონაცემების გადახედვა ხდებოდა ახალი აღნერის შემდეგ.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება ღარიბ მოსახლეობასაც ჰქონდა, მაგრამ ხმების შეწონა ხდებოდა სოციალური ჯგუფების მიხედვით და მდიდარი მოქალაქეების ჯგუფის ხმებს უფრო მაღალი წონა ენიჭებოდა.

დაბალი სოციალური ფენები მონაწილეობდნენ მაღალი მაგისტრატების არჩევნებში, მაგრამ საკუთარი კანდიდატურების წამოყენების უფლება არ ჰქონდათ.

არჩევნების შედეგების დათვლა იწყებოდა მაღალი ფენების ჯგუფების ხმის დათვლით და თუ უმრავლესობა გამოვლინდებოდა, ხმების დათვლა წყდებოდა. ამგვარად, დაბალ ფენებს ჰქონდათ მხოლოდ არბიტრის ფუნქცია იმ შემთხვევაში, თუ მაღალ ფენებში გაურკვევლობის ან კონფლიქტის სიტუაცია დადგებოდა.

დემოკრატიული ტრადიციების აღორძინება ევროპაში უკავშირდება იტალიური ქალაქების განვითარებას მე-11 საუკუნის შემდეგ. აგრარული ევროპისგან განსხვავებით, ქალაქების მეურნეობა დამყარებული იყო ვაჭრობაზე და მანუფაქტურაზე, რაც მმართველობის განსხვავებული სტილის და განსხვავებული პოლიტიკური იდენტობის საფუძველი გახდა. რენესანსის დროინდელ იტალიურ ქალაქ-სახელმწიფოების განხილვისას მკვლევრები ანალოგიებს უფრო მეტად რომაულ ოლიგარქიულ მმართველობასთან ავლებენ, ვიდრე ბერძნულ დემოკრატიასთან. ეს იყო ქალაქების თვითმმართველობა, რომელსაც ახორციელებდნენ ქალაქების მდიდარი და არისტოკრატიული წარმომავლობის მქონე რესპუბლიკელები. არაარისტოკრატიული ფენის წარმომადგენელს შეეძლო ქალაქის მმართველობითი ორგანოების არჩევნებში მონაწილეობა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მის კანდიდატურას ქალაქის არისტოკრატია განიხილავდა.<sup>3</sup> არჩევნებში მონაწილეობა შეეძლოთ იმ ოჯახების უფროსებს, რომელთა ქონებაც დაბეგვრას ექვემდებარებოდა. რენესანსის დროინდელ იტალიურ ქალაქებშიც მიიჩნეოდა, რომ არჩევნები იყო რეპრეზენტაციის უკიდურესად ელიტისტური ფორმა. ამის გამო, იყო მცდელობები შემოეტანათ ძველ საბერძნეთში პრობირებული ლატარიის სისტემის ელემენტები. ბევრ ქალაქში პროცესი აერთიანებდა არჩევნებისა და ლატარიის პრინციპებს. მაგ. ვენეციაში ლატარია განსაზღვრავდა არჩევნებში მონაწილე პირების ნომინატორებს. ლატარიის პრინციპი განიხილებოდა, როგორც ეგალიტარული განზომილების შემოტანა არჩევნების პროცესში. ლატარია ასუსტებდა ძლიერი ჯვეფების გავლენას კანდიდატების ნომინაციის პროცესზე. მართვის ასეთ შერეულ მოდელს უპირატესობას ანიჭებდა მაკიაველიც, რადგან ის იძლევა მოსახლეობის სხვადასხვა ფენის, მდიდრების და ლარიბების ინტერესების შეჯერების საშუალებას (Held, 2006). ამ ტიპის მმართველობა გულისხმობს ინტერესთა მუდმივი კონფლიქტის ინსტიტუციონალიზაციას. კონფლიქტის ინსტიტუციონალიზაცია კი თავისუფლების ბაზისია.

ამდენად, თავისუფლების ბაზისი არის არა მხოლოდ თვითმმართველობა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის სურვილი, არამედ ინტერესთა კონფლიქტის გადატანა პოლიტიკაში.

<sup>3</sup> მეთხუთმეტე საუკუნის ბოლოს, მედიჩების დამხობის შემდეგ, არისტოკრატიის მაკონტროლებელი ფუნქცია არჩევნების პროცესში შესუსტდა

## რეპრეზენტაციის პოლიტიკური თეორიები

ნორმატიული დისპუტი იმის თაობაზე, არჩევის რომელი პრინციპია (ლატარით შერჩევა თუ არჩევნები) ჭეშმარიტად დემოკრატიული, მე-17 და მე-18 საუკუნეების პოლიტიკური თეორიის მნიშვნელოვანი თემა გახდა. ფრანგული რესპუბლიკანიზმის ტრადიცია, ფრანგი თეორეტიკოსები (მონტესკიე, რუსო) ნამდვილ დემოკრატიას აკავშირებდნენ ლატარიის სისტემასთან, რადგან სწორედ ეს სისტემა აძლევს ყველა მოქალაქეს თანაბარ შანსს, იყოს არჩეული თავისი ქეყნის სამსახურში. ფრანგი თეორეტიკოსებისთვის, ლატარიის სისტემა არის ნამდვილი დემოკრატია და ეგალიტარიზმი. არჩევნები, ამ თვალსაზრისით, არის არჩეული არისტოკრატია. არჩეული მოქალაქე, რომელიმე ფაქტორით ყოველთვის აღმატებულია საშუალო სტატისტიკურ მოქალაქესთან მიმართებაში. ლატარიის პრინციპთან დაკავშირებული საფრთხე – არაკომპეტეტური ადამიანების ხელისუფლებაში მოხვედრა – რუსოსა და მონტესკიეს მიხედვით, უნდა დარეგულირდეს სხვა დამაბალანსებელი ინსტიტუტებით. საინტერესოა, რომ საფრანგეთის რევოლუციის დროს, და ზოგადად, მე-17 მე-18 საუკუნეების ბრიტანეთში, საფრანგეთსა და ამერიკაში ლატარიის პროცედურით სახელმწიფო მმართველობაში არჩევა სერიოზულად არასოდეს განიხილებოდა პოლიტიკური აქტორების მიერ. დემოკრატიის განვითარება დაეყრდნო არჩეული რეპრეზენტატორების ინსტიტუტს (Manin, 1997).

არჩეული რეპრეზენტატორების პრინციპი ანგლო-საქსური პოლიტიკური აზროვნებისთვის<sup>4</sup>, იმთავითვე, უფრო მისაღები იყო, ვიდრე კონტინენტური ევროპისთვის. კომპეტენტურობა ინგლისური პოლიტიკური კულტურისთვის უფრო პრიორიტეტული ღირებულება იყო, ვიდრე ეგალიტარიზმი. ტორები და ვიგები თანხმდებოდნენ იმაზე, რომ არჩეულებს უნდა ჰქონოდათ უფრო მაღალი სოციალური სტატუსი, ვიდრე ამომრჩევლებს.

არჩეულთა გამორჩეულობის პრინციპი გამორჩეულია ამერიკულ რესპუბლიკურ მიდგომაშიც, თუმცა, აქ გამორჩეულობის პრინციპი ბრიტანულ მიდგომაზე ნაკლებად იერარქიულია. არჩეულ მოქალაქეებს მოეთხოვებათ, იყვნენ ამომრჩეველი მოქალაქეებისგან გამორჩეულნი სათნოებისა და სიბრძნის მახასიათებლებით. მედისონის აზრით, რესპუბლიკას დემოკრატიისგან განასხვავებს ის, რომ რესპუბლიკური მმართველობის ორგა-

<sup>4</sup> ამის მიზეზად პ. მანინი მიიჩნევს ინგლისელების პოლიტიკური კულტურის თავისებურებებს. კერძოდ, სოციალური გამორჩეულობის და სოციალური იერარქიის მიმართ პატივისცემა ბრიტანეთის ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა.

ნო არის არა მხოლოდ არჩეული, არამედ გამორჩეული. ბუნებრივი არისტოკრატიის რეპრეზენტატორებად არჩევა ამერიკელი დამფუძნებელი მამების მიერ გაზიარებული პრინციპი იყო.<sup>5</sup>

პოლიტიკურ თეორიებში განიხილება რეპრეზენტაციის პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც. მაგ. რამდენად თავისუფალი უნდა იყოს რეპრეზენტატორი იმ ჯგუფის დიქტატისგან, რომელმაც ის აირჩია? ბრიტანული ტრადიცია რეპრეზენტატორს უფრო მნიშვნელოვან თავისუფლებას ანიჭებს, ვიდრე ფრანგული. ბენტამის აზრით, ამომრჩევლებს რეპრეზენტატორებზე ზემოქმედების მხოლოდ ერთი იარაღი უნდა ჰქონდეთ – ხელმეორედ არ არჩევის უფლება. რეპრეზენტატორი უნდა იქცეოდეს თავისი სინდისისა და კომპეტენციის კარნახით და არა იმის მიხედვით, რა უნდათ ამომრჩევლებს. ამ თვალსაზრისით, რეპრეზენტატორს ინგლისური კანონმდებლობა არ ზღუდავდა. თუმცა, დაპირებების შესრულება ღრმად გამჯდარი სოციალური ნორმა იყო, რომელსაც კონტროლის ძლიერი არაფორმალური მექანიზმები ჰქონდა. საფრანგეთში დრო და დრო ხდებოდა ისეთი ინსტიტუტების შემოღება, რომელიც ამომრჩეველს აძლევდა კონტროლს რეპრეზენტატორზე. ამერიკელ ამომრჩეველს შეეძლო ინსტრუქციების მიცემა რეპრეზენტატორისთვის, მაგრამ ეს უფლება გარანტირებული არ იყო კანონმდებლობით.

მე-19 და მე-20 საუკუნეების განმავლობაში რეპრეზენტაციის სისტემაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, რომლებიც საარჩევნო სისტემის დემოკრატიზაციას ისახავდა მიზნად. კერძოდ, გაფართოვდა საარჩევნო უფლებები და მოიხსნა ქონებრივი მოთხოვნები არჩევნებში მონაწილე კანდიდატებისთვის.

ჩვენს მიერ ზემოთ აღნერილი მოსაზრებები შეეხება რეპრეზენტაციის ევროპული ისტორიის იმ ეტაპს, რომელსაც მკვლევრები პარლამენტარიზმს უნდებენ. ისტორიის ამ ეტაპზე რეპრეზენტაცია რეგიონალური პრინციპით ხორციელდებოდა. რეპრეზენტაციის ისტორიის მეორე ეტაპია პოლიტიკური პარტიების გამოჩენა პოლიტიკურ ავანსცენაზე. დღეს, სოციოლოგები და პოლიტიკოგები საუბრობენ პარტიული დემოკრატიის კრიზისზე და რეპრეზენტაციის ახალი ფორმების აღმოცენებაზე.

<sup>5</sup> არჩევნებში მონაწილეობისთვის ქონებრივი კვალიფიკაცია ინგლისში და საფრანგეთში არსებობდა, თუმცა, ამგვარი კვალიფიკაცია არ დაკანონდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. როგორც მკვლევრები მიუთითებენ, ამერიკის დამფუძნებელმა მამებმა ამ საკითხზე შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, რის გამოც საკითხი ღია დარჩა.

## რეპრეზენტაციის სოციოლოგიური თეორიები

რეპრეზენტაციის პოლიტიკური თეორიებისგან განსხვავებით, სადაც წამყვანია ნორმატიული დისპუტი იმის შესახებ, დემოკრატიის რომელი ფორმაა უკეთესი ან უფრო მეტად ეგალიტარული, სოციოლოგიური თეორიების მიზანია, დაინახოს კავშირი საზოგადოებასა და პოლიტიკურ სისტემას შორის. ლიპსეტის და როკანის წყალგამყოფების (*cleavages*) კლასიკური თეორია ცდილობს ახსნას, როგორ ითარგმნება საზოგადოებაში არსებული კონფლიქტები და დაძაბულობები პოლიტიკურ სისტემაში.

ლიპსეტი და როკანი განიხილავენ პარტიების ორ ძირითად ფუნქციას: პირველი ფუნქციაა საზოგადოებაში არსებული ინტერესთა კონფლიქტის გამოაშვარავება და კრისტალიზაცია; მეორე კი – „სხვადასხვა მსოფლმხედველობის და ინტერესების გამომხატველთა შორის გარიგებების ფორსირება, მოთხოვნათა დიფერენცირება და ზენოლის აგრეგაცია“ (Lipset and Rokkan, 1967, გვ. 5).

ასახავს თუ არა პარტიების რეპრეზენტატული აქტივობა საზოგადოებაში უკვე არსებულ წყალგამყოფებებს? ლიპსეტის და როკანის მიხედვით, პარტიებს უხდებათ არსებული წყალგამყოფების თანაკვეთაზე მოქმედება იმისთვის, რომ მოხერხდეს საერთო მფრების და ოპონენტების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნა. ისინი იყვლევენ კონფლიქტების არს და კონფლიქტების წყალგამყოფებად და პოლიტიკურ პარტიებად გარდაქმნის გზებს.

ერების ფორმირების პირველ ეტაპზე, კონფლიქტები უფრო მეტად ლოკალური ხასიათის იყო და ნაკლებად ეხებოდა ზოგად პოლიტიკურ საკითხებს. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ადგილობრივი მიწათმფლობელები უპირისპირდებოდნენ ცენტრალურ ადმინისტრაციას ლონდონში.

ინდუსტრიალიზაციის პირველ ეტაპებზე წყალგამყოფები, ძირითადად, კულტურული და რელიგიური ხასიათის იყო და ასახავდნენ კონფლიქტს გლეხობის ტრადიციულ, ორთოდოქსულ მსოფლმხედველობასა და ქალაქების სეკულარულ განწყობებს შორის. ამ ტიპის კონფლიქტის მანიფესტაციები გვხვდება ბრიტანეთში, საფრანგეთში, სკანდინავიის ქვეყნებსა და ჩრდილოეთ ამერიკაში.

ორი რევოლუციის (ბრიტანეთის და საფრანგეთის) შემდეგ, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დაპირისპირება გასცდა წმინდად ეკონომიკურ საკითხებს. ეროვნული სახელმწიფოები ცდილობდნენ ეკლესიის ტრადიციულ „სამფლობელოებში“ შეღწევას. ეს იყო მორალის, ნორმების, ქორწინების, განქორწინების, დევიაციის, ქველმოქმედების, დაკრძალვის სფეროები. გა-

დამწყვეტი ბრძოლა გაიმართა განათლების პროცესზე კონტროლისთვის. კათოლიკურმა და პროტესტანტულმა ეკლესიებმა მოახერხეს ასოციაციების და ინსტიტუტების დახვენილი ქსელების ორგანიზება. ეს ქსელები მათ მომხსრებს საშუალებას აძლევდა, მონაწილეობა მიეღოთ პოლიტიკურ პროცესებში. თანდათან, ამან მიიღო ეროვნული სახელმწიფოების მშენებლობის, საერთო ეროვნული სტანდარტიზაციისა, ბიუროკრატიზაციისა და სეკულარიზაციის პროცესების მიმართ კულტურული ოპოზიციის ფორმა.

მაგალითად, ასეთმა მოძრაობებმა ნორვეგიაში ჩამოაყალიბეს ხალხის ქრისტიანული პარტია. მოსახლეობას შეეძლო აერჩია, რომელ მხარეს იყო ღირებულებების და კულტურული იდენტობების მიხედვით გაყოფილ საზოგადოებაში.

ინდუსტრიულმა რევოლუციამ შექმნა კიდევ ერთი განზომილება, რომელიც საზოგადოებას ყოფდა ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით. ლიპსეტი და როკანი აღნერენ ორგვარ დაჯგუფებას ეკონომიკური განზომილების გასწვრივ: რურალურ-ურბანული და დაქირავებული-დამქირავებელი. ბრიტანეთში, ინდუსტრიული რევოლუციის პირველ ეტაპებზე, კონსერვატორებისა და ლიბერალების კონფლიქტი გამოხატავდა რურალურ-ურბანულ დაპირისპირებას. ერთის მხრივ, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება ქმნიდა დაძაბულობას პროდუქციის ადგილობრივ მწარმოებლებსა და ქალაქელ ვაჭრებსა და მენარმეებს შორის; მეორე მხრივ, ეს იყო ბრძოლა პოლიტიკური გავლენისთვის და ასახავდა დაპირისპირებას ორ ღირებულებით ორიენტაციას შორის: ნათესაური კავშირებით მოპოვებული სტატუსი მიღწევებით მოპოვებული სტატუსის წინააღმდეგ.

ინდუსტრიალიზაციის პროცესის განვითარებათან ერთად გაღრმავდა დაქირავებული-დამქირავებლის წყალგამყოფი. მუშათა კლასის მოძრაობების სიმძაფრე დამოკიდებული იყო სხვადასხვა ფაქტორზე.<sup>6</sup>

ევროპაში მემარცხენე მოძრაობები ანტისისტემური ძალის ფორმით ჩამოყალიბდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მემარცხენე პარტიების ჩართვამ უკვე არსებულ პოლიტიკურ სისტემაში, მნიშვნელოვნად შეამცირა იდეოლოგიური დაძაბულობა ევროპაში.

ზემოთ ჩვენ აღვნერეთ ისტორიული კონფლიქტები, რომლებმაც ჩამოაყალიბა წყალგამყოფები. ყველაზე მნიშვნელოვანი სოციოლოგიური შე-

<sup>6</sup> ლიპსეტისა და როკანის მიხედვით აღმავალი სოციალური მობილობის შესაძლებლობა იყო გადამწყვეტი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავდა მემარცხენე მოძრაობების ფორმას. ამერიკის შეერთებულ შტატებში აღმავალი სოციალური მობილობის შესაძლებლობები უფრო ფართო იყო. მეცხრამეტე საუკუნის ევროპაში სტატუსის მარკერები და ბარიერები გაცილებით უფრო ძლიერი იყო.

კითხვაა: როგორ ხდება უკვე არსებული სოციო კულტურული კონფლიქტის გარდაქმნა პარტიულ სისტემად. არის თუ არა პოლიტიკური პარტიების კონსტილაცია არსებული კონფლიქტების სარკისებრი ასახვა?

ლიპსეტის და როკანის მიხედვით, ამა თუ იმ ქვეყანაში პოლიტიკური სისტემის ფორმირებაზე გავლენას ახდებს ფაქტორების მთელი წყება. ყოველი პოლიტიკური სისტემა ქმნის გარემოს, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის ახალი პოლიტიკური აქტორის ფორმირებას. პროცესის გაგებისთვის აუცილებელია შემდეგ კითხვებზე პასუხების მოძიება: როგორია ამა თუ იმ სისტემაში პროტესტისა და მასობრივი უკმაყოფილების რეგულირების ტრადიცია? როგორია პროტესტის, როგორც ასეთის აღქმა (კონსპირაციული თუ არაკონსპირაციული)? არსებობს თუ არა იმის მექანიზმი, რომ ახალმა მოძრაობამ მოიპოვოს სტატუსი არჩევნების გზით, თუ ის უნდა შეუერთდეს უკვე არსებულ პოლიტიკურ ძალას პოლიტიკურ სისტემაში მოსახვედრად? და ა.შ.

ლიპსეტის და როკანის აზრით, მეოცე საუკუნის 60-იან წლებში განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში არსებული პარტიების სისტემა არ იყო სოციო კულტურული ცვლილების ადექვატური:

„1960 – იანი წლების პარტიული სისტემა ასახავს 1920-იანი წლების წყალგამყოფების სისტემას... პარტიული ალტერნატივები ეროვნული ელექტორატების უმრავლესობაზე „უფროსია“ (Lipset and Rokkan, 1967, გვ.50). 60-იანი წლების ბოლოს ნათლად გამოჩნდა „.... პოლიტიკური ლიდერებითა და გადაწყვეტილებათა მიღების არსებული სისტემით იმედგაცრუებისა და განხიბლვის მზარდი ტენდენცია, იმის და მიუხედავად, რომელი პარტია იყო ხელისუფლების სათავეში“ (Lipset and Rokkan, 1967, გვ.56).

### რეპრეზენტაციის პარტიული ფორმის კრიზისი

რეპრეზენტატული დემოკრატია, რომლის განხორციელების ძირითადი მექანიზმი იყო პარტიების კონკურენცია ამონმრჩეველთა გარკვეული სოციალური ჯგუფების ხმებისთვის, მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, სტაბილურობის მწვერვალად მიიჩნეოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უკვე 60-იანი წლებში, ლიპსეტი და როკანი მიუთითებდნენ იმ ფაქტზე, რომ ევროპაში არსებული პარტიული დემოკრატიის სისტემა აღარ ასახავს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს და პოსტინდუსტრიული საზოგადოებაში არსებული რეალური ჯგუფების კონგრუენტული აღარ არის. პოლიტიკური აქტორების ჩამოყალიბებულმა

სტრუქტურამ განიცადა მხოლოდ მცირე ცვლილებები რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში. პოლიტიკური სისტემა მიისწრაფოდა უკვე ჩამოყალიბებული ეკვილიბრიუმის შენარჩუნებისკენ. ამის გამო, სისტემისთვის ახალი, ეკვილიბრიუმისთვის პოტენციურად სახითათო სიახლეების ტრანსლირება პოლიტიკურ სისტემაში ვერ ხდებოდა რეპრეზენტაციის უკვე ჩამოყალიბებული არხების მეშვეობით. სისტემამ ჩამოაყალიბა რუტინები და ავტომატურად ცდილობდა რუტინისთვის სახითათო მოვლენებისგან თავის დაცვას. ამის გამო, აქტუალური პრობლემები ვერ ხვდებოდა სისტემის დღის წესრიგში. პოლიტიკურ პარტიებზე დაფუძნებული სისტემა ძალზე მოუქნელი გახდა და აფერხებს აუცილებელი ცვლილების პროცესს.

მკვლევრები საუბრობენ, აგრეთვე, პარტიების და ბიუროკრატიული აპარატის დაახლოებაზე. ამის გამო, ხშირად გაურკვეველია ვინ ვისი ინტერესების რეპრეზენტაციას აწარმოებს. სულ უფრო მეტი ჩივილი ისმის იმის თაობაზე, პარტიები ბიუროკრატიის ინტერესების რეპრეზენტატორებად გადაიქცნენ.

მე-20 საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში, აგრეთვე, პოპულარული გახდა დ. დელის „იდეოლოგიის დასასრულის“ თეზისი. თეზისმა „ იდეოლოგიის დასასრულის“ შესახებ პოლიტიკური სოციოლოგიაში ემპირიული კვლევების დიდი ნაკადი გამოიწვია. ბელის მიხედვით, მე-20 საუკუნის 50-იანი წლებისთვის მანამდე არსებულმა იდეოლოგიურმა ნარატივებმა საკუთარი თავი ამოწურა. კაპიტალისტური საზოგადოების ფუნდამენტურმა ცვლილებებმა გამოიწვია მანამდე არსებული კლასობრივი სტრუქტურის რღვევა. საზოგადოებაში მიმდინარე ემანსიპაციურმა პროცესებმა<sup>7</sup> და ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა გამოიწვია ე.წ. საოჯახო კაპიტალიზმის რეცესია. თვისებრივად შეიცვალა კაპიტალისტური საწარმოს ფორმა. მაგ. ამერიკის შეერთებულ შტატებში კომპანიების ორ მესამედზე მეტი აღარ წარმოადგენს ერთი პირის ან ერთი ოჯახის საკუთრებას. ფართოდ გავრცელდა კორპორაციული საწარმოს ფორმა. გაიყო საკუთრებისა და კონფრონტიერთოებები. აქციათა მფლობელები საკმაოდ პლურალისტური ჯგუფია. აღარ არსებობს კაპიტალისთა პომოგენური კლასი. როგორც დარენდორფი მიუთითებს, თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოება ესაა საზოგადოება კაპიტალისტებისა ფუნქციების გარეშე და „ფუნქციონერებისა (მენეჯერების) კაპიტალის გარეშე (Dahrendorf, 1959). საწარმოების და ორგანიზაციის

<sup>7</sup> ქალთა ემანსიპაციის და პარტიარქალური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ცხოვრების წესის რღვევის შედეგად დინასტიური ქორწინებების შესაძლებლობები შემცირდა.

## თავი 4.

ების მართვის სისტემის გართულებამ გამოიწვია მენეჯერული კლასის აღზევება, რომელსაც საკუთარი მოთხოვნები გაუჩნდა.

მას შემდეგ რაც განხორციელდა შორმასა და კაპიტალს შორის კონფლიქტის ინსტიტუციონალიზაცია, კლასზე დამყარებული პოლიტიკური აფილაცია ისეთი ძლიერი აღარ არის. პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში დაჩქარდა თაობათაშორისი სოციალური მობილობა, რამაც მნიშვნელოვნად შეასუსტა კავშირი სოციალურ კლასსა და პოლიტიკურ პარტიას შორის. სოციოლოგების ნაწილი თვლის, რომ პომოგენური, სტატიკური კლასი მხოლოდ ევრისტიკული ფიქცია გახდა. თუ ერთი ძმა არაკვალიფიციური მუშაა, მეორე ძმა ბიზნესმენი და მესამე ძმა ექიმი, გაურკვეველია რომელ კლასს მიეკუთვნება ეს ოჯახი. იმ სამყაროში, სადაც ვერტიკალური სოციალური მობილობა რეალობაა, ერთი ინდივიდი აღარ არის მიჯაჭვული ერთ სოციალურ ყუთზე მთელი ცხოვრების მანძილზე. დელოკაციის ამგვარი პროცესები იწვევს იმას, რომ ჯგუფური სოლიდარობის და ანტიგონიზმის პროცესები კონტექსტუალური ხდება.

სოციოლოგები ეძებენ ისეთ მოდელს, რომელიც კლასობრივ მოდელზე უფრო ადექვატურად აღწერს თანამედროვე საზოგადოებას.

კლასზე დაფუძნებული პოლიტიკური იდენტობა და საარჩევნო ქცევა შესუსტდა, არც ერთი იდენტობა აღარ განიხილება დეტერმინისტული ტერმინებით. გარდა ამისა, საზოგადოების მზარდმა სეკულარიზაციამ შეასუსტა ტრადიციული რელიგიური წყალგამყოფებიც. ძველი სოციალური იდენტობები ირდვევა და ყალიბდება ახალი, სეგმენტირებული და ცვალებადი იდენტობები. პოსტმოდერნიზმი, რომელსაც ზოგჯერ „კაპიტალის ახალ კულტურულ ლოგიკას“ უწოდებენ, თანამედროვე სოციალურ სტრუქტურას განიხილავს, როგორც თანამედროვე სტილიზებული ცხოვრებისა და მოხმარების პრაქტიკების კონსტრუირებას. ადრეული ინდუსტრიული ეპოქის მუშების გამორჩევა ადვილად შეიძლებოდა ჩაცმის და მეტყველების სტილით. დღეს მოხმარების პრაქტიკები ნაკლებადაა დაკავშირებული კლასებთან. დღეს ყველა კლასი მეტ-ნაკლებად ჩართულია მასობრივ კულტურაში. მასობრივი კულტურა კლასობრივი ცნობიერების დესტრუქციის ერთ-ერთ ფაქტორია. კლასობრივ ცნობიერებას ანაცვლებს იდენტობის, მსგავსების ცნობიერება.

დღესდღეობით, მარკეტინგულ და სოციოლოგიურ კვლევებში სოციოდემოგრაფიულ ცვლადებს აღარ აქვს ძლიერი პრედიქტორული პოტენციალი, იქმნება უფრო რთული კონსტრუქტები.<sup>8</sup> საზოგადოების სტრატიფი-

<sup>8</sup> ამგვარ კომპოზიტ ინდექსებს ცხოვრების სტილს უწოდებენ.

კაციის ეკონომიკური განზომილება აღარ არის ყველაზე მნიშვნელოვანი განზომილება. სოციალური და პოლიტიკური (მათ შორის საარჩევნო) ქცევის ასახესნელად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა სტატუსური ჯგუფის წევრობა.

დასავლურ საზოგადოებებში კეთილდღეობის სახელმწიფოს, დისკრეციული შემოსავლების, საშუალო კლასის, თეთრსაყელოიანი დასაქმებულების რაოდენობის ზრდამ ნინ ნამონია პოსტ მატერიალისტური ღირებულებები (Inglehart, 1977). პოლიტიკურმა დისკურსმა სახე იცვალა. ამომრჩევლები სულ უფრო მეტად ინტერესდებიან ეკოლოგიის, სპირიტუალიზმის, მოქალაქეობის, ადამიანის უფლებების და სხვა იმგვარი ღირებულებებით, რომლებსაც მკვეთრად გამოხატული პარტიული ლოკაცია არ აქვთ. სოციალური მოძრაობები და ინტერესთა ჯგუფები ძლიერ კონკურენციას უწევენ პოლიტიკურ პარტიებს სოციალური ჯგუფების ინტერესების რეპრეზენტაციის პროცესში. ჩამოყალიბდა კროსკულტურული და კროსკლასობრივი იდენტობების მთელი სპექტრი, რომელთა რეპრეზენტაციისთვის ტრადიციული პარტიები და გზები აღარ არის ადექვატური. იდენტიფიკაცია კლასთან და პარტიასთან შეცვალა იდენტიფიკაციამ ახალ ასოციაციებთან და ახალ სოციალურ მოძრაობებთან.

პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება ბიუროკრატიული მმართველობის სისტემაშიც. 1980 იანი<sup>9</sup> წლებიდან პოპულარული გახდა მართვის ახალი, პოსტბიუროკრატიული პარადიგმა, რომელსაც ახალ საჯარო მენეჯმენტს (New Public Management – NPM) უწოდებენ. დღეს, ახალი დოქტრინა საჯარო სფეროს მართვის მოდური, ოქროს სტანდარტია. პარტიული დემოკრატიის შესაბამისი ადმინისტრაციული სისტემის მთავარი მახასიათებელი იყო ის, რომ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებდნენ პოლიტიკოსები, ბიუროკრატები კი ამ გადაწყვეტილებებს ასრულებდნენ. ახალი დოქტრინა გულისხმობს საჯარო სფეროს მართვას კერძო საწარმოს პრინციპით, პროფესიონალი მენეჯერის მიერ. მთავრობის და მოქალაქის ურთიერთობა იცვლება სერვისების მწარმოებლის და მომხმარებლის ურთიერთობებით.

გადაწყვეტილების მიღების ძირითადი კრიტერიუმია ეფექტიანობა და არა პოლიტიკური მიზანშეწონილობა. საჯარო სფეროს მართვის გართულების გამო ბევრი ფუნქცია სრულდება არა უშუალოდ მთავრობის, არამედ მის გარშემო არსებული ორგანიზაციების ქსელის მიერ. ამ ქსელის წარმოებლის და მომხმარებლის ურთიერთობებით.

<sup>9</sup> 1970 -იანი წლების მძიმე ეკონომიკური რეცესიის შედეგად დასავლეთის ქვეყნების ბიუჯეტის დეფიციტი მკვეთრად გაიზარდა, საზოგადოებაში გაჩნდა მოთხოვნა უფრო ეფექტიან, იაფ და გამჭირვალე ბიუროკრატიაზე.

მადგენლები არიან პროფესიული სააგენტოები, ინტერესთა ჯგუფები, კერძო კომპანიების წარმომადგენლები. შესაძლოა, დემოკრატიული პროცესი ჩანაცვლდეს ამ ჯგუფების ინტერესების დაბალანსების პროცესით. ერთნაირი პრინციპებით იმართება კერძო, საზოგადოებრივი და თვითმმართველობის სტრუქტურები. გადაწყვეტილებათა მიღების იერარქიული სტრუქტურა ასპარეზს უთმობს საჯარო და კერძო სააგენტოების დეცენტრალიზებული, პორიზონტალური პრინციპით მოქმედ კოოპერაციას. როგორც წესი, ამგვარი პოლიცენტრული პროცესი ძალზე ფრაგმენტიზებული და ელექტრონრატისთვის ნაკლებად თვალსაჩინოა. პარტიული დემოკრატიისთვის დამახასიათებელი ანგარიშვალდებულების სისტემა აღარ შეესაბამება პოლიტიკური პროცესის მზარდ სირთულეს. მკვლევრები, ხშირად, მიუთითებენ მთავრობისა და მართვის (government/governance) ურთიერთმიმართების პრობლემებზე. იქმნება აბსურდული სიტუაცია: ანგარიშვალდებულნი არიან არჩეული ოფიციალური პირები, რომლებიც რეალურად, გადაწყვეტილებებს არ იღებენ. ხდება პოლიტიკურის შემდგომი დევალვაცია და ჩნდება სულ უფრო მეტი კითხვა: მართლაც და, რას აკეთებენ სინამდვილეში პოლიტიკური პარტიები?

„რა აზრი აქვს ფორმალურად ანგარიშვალდებული ოფიციალური საჯარო პირების არჩევას, თუ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი ბერკეტები და ეფექტური ძირი მართავს? პლურალისტური დემოკრატია ცუდაა აღჭურვილი პოლიტიკურ სისტემასა (იგულისხმება, რომ ამ სისტემაში გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები პორიზონტალურად და კერტიკალურად გაერთიანებულია) და სხვა სოციალურ სუბსისტემებს შორის გართულებული კავშირით გამოწვეული პრობლემების დასაძლევად“ (Papadopoulos, 2002, გვ.56).

ამ პროცესს შეიძლება ორგვარად შევხედოთ: 1.ნორმატიულ-იდეოლოგიურ ტერმინებში, როგორც მთლიანი საზოგადოებრივი ინტერესის დაკინინების და ტრადიციული პარტიულ-რეპრეზენტატული დემოკრატიის დასუსტების პროცესს. 2. შეიძლება ეს პროცესი აღინიროს უფრო ნეიტრალურ ტერმინებშიც. კერძოდ, ამგვარი ცვლილება განპირობებულია თანამედროვე საზოგადოების განვითარებით და გართულებით. შეიძლება ამ პროცესის პოზიტიური ნიშნების დანახვაც: საზოგადოება სულ უფრო მეტად ავლენს პორიზონტალური თვითორგანიზების უნარს.

გარდა საზოგადოების სტრატიფიკაციულ სტრუქტურასა და ბიუროკრატიულ მმართველობაში მიმდინარე ცვლილებებისა, განათლების და მედია კომუნიკაციების სფეროში მიმდინარე პროცესებიც იმავე მიმართულებით მუშაობს: პოლიტიკური პარტიები კარგავენ იმ ფუნქციებს,

რომლებსაც მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში წარმატებით ასრულებდნენ. პარტიები ასრულებდნენ ინფორმაციის გადაცემის და ამომრჩევლის განათლების ფუნქციას; აყალიბებდნენ პლატფორმას, რომელიც ევრისტიკული ინსტრუმენტის როლს ასრულებდა ამომრჩევლისთვის და უადვილებდა პოლიტიკური პარტია აყალიბებდა იდენტობის, მიკუთვნებულობის განცდას<sup>10</sup>, რაც საზოგადოებას იცავდა ექსტრემისტული იდეების და შემთხვევითი ლიდერების დემაგოგისგან. პოლიტიკური პარტიები, როგორც ორგანიზაციები ასრულებდნენ მნიშვნელოვან როლს პოლიტიკური ელიტების ფორმირების და თავისი მხარდამჭერების ინტერესების პოლიტიკური დისკურსის ფორმაში არტიკულირების საქმეში.

ფაქტობრივად, პოლიტიკური პარტიები იყო ამომრჩევლის და პოლიტიკური სისტემის დამაკავშირებელი რგოლი.

განათლების დონის ზრდამ თანამედროვე საზოგადოებებში გამოიწვია ის, რომ ელექტორატის დიდი ნაწილს აღარ სჭირდება პარტიის პოზიციის, როგორც ევრისტიკული ინსტრუმენტის გამოყენება; პარტიის, როგორც ელექტორატის განმანათლებლის ფუნქცია სუსტდება. გარდა ამისა, პარტიის საგანმანათლებლო ფუნქცია, ნაწილობრივ, მედიამ ჩაანაცვლა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებულმა კვლევებმა უჩვენა, რომ იმ რესპონდენტებს შორის, რომლებიც აფილირებული არ არიან რომელიმე პარტიასთან და თავს უწოდებენ დამოუკიდებლებს, ყველაზე მაღალია განათლების მაღალი ცენზის მქონეთა ხვედრითი წილი. ამავე დროს, ესენი არიან რესპონდენტები, რომლებიც უკეთ ერკვევიან პოლიტიკურ პროცესებში და ფლობენ უფრო მეტ ინფორმაციას პოლიტიკის შესახებ (Dalton, 2000).

ემპირიული ინდიკატორი, რომელიც ელექტორატსა და პარტიებს შორის კავშირის დასუსტებაზე მიუთითებს, არის ამომრჩეველთა მერყეობის (volatility) მაჩვენებელი არჩევნებს შორის პერიოდში. როგორც კვლევების მონაცემები უჩვენებს, 1970 იანი წლებიდან დაიკვირვება ამომრჩეველთა მერყეობის მაჩვენებლების ზრდა 18 განვითარებულ ქვეყანაში. გარდა ამისა, იზრდება იმ ამომრჩეველთა ხვედრითი წილი, რომლებიც მიმართავენ ხმის გაყოფის პრატიკას (მაგ. აშშ-ში პრეზიდენტის არჩევნებზე ერთი პარტიის კანდიდატს აძლევენ ხმას, კონგრესის არჩევნებში კი მეორე პარტიის კანდი-

<sup>10</sup> მაგ. პარტიასთან იდენტობის განცდის გასაძლიერებლად ბრიტანეთში კონსერვატიულ პარტია აქცენტს აკეთებს ლოკალურ საქმიანობებზე, ბრიტანეთის პროვინციებში არსებობს კონსერვატიულ პარტიასთან აფილირებული ამომრჩეველების კლუბები, პაბები და ა.შ.

დატს. 1960-იან წლებში ასეთ პრაქტიკას მიმართავდა ამომრჩველთა და-ახლოებით ერთი მექანიზმი, 1990 წლებისთვის კი – მათმა ხვედრითი წილმა ერთ მეოთხედს გადააჭარბა).

გარდა ამისა, სულ უფრო მეტად მცირდება დრო, რომელშიც ამომრჩვე-ველი იღებს გადაწყვეტილებას პარტიული პრეფერენციის შესახებ. როგორც ემპირიული კვლევები უჩვენებს, რესპონდენტთა სულ უფრო მეტი რაო-დენობა იღებს ელექტორალურ გადაწყვეტილებას საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის პროცესში.

პოლიტიკური პარტიების გავლენის შემცირების კიდევ ერთი ინდი-კატორია პოლიტიკურ კამპანიებში მოხალისეობრივი მონაწილეობის დაქვე-ითება. ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე გაიზარდა საარჩევნო კამპანიებში ფულადი კონტრიბუცია მოსახლეობის მხრიდან და შემცირდა მოხალისე-ობრივი მონაწილეობა. როგორც მკვლევრები მიუთითებენ, ელექტორატი დღეს საარჩევნო კამპანიების მაყურებელი უფროა, ვიდრე მონაწილე. პო-ლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის სურვილი სულ უფრო მეტად მცირდება. სატელევიზიო ეპოქამდე, პარტიებს სჭირდებოდათ წევრების და მოხალისეების ფართო ბაზა იმისთვის, რომ საარჩევნო კამპანია წარმა-ტებით ენარმოებინათ. ტექნოლოგიების (ტელევიზიის და ინტერნეტის) განვითარებასთან ერთად ეს საჭიროება ქრება. დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში შეინიშნება, აგრეთვე, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების რაოდენობის შემცირება. თანამედროვე საარჩევნო კამპანიები ხდება უფრო ძვირი და ცენტრალიზებული. პარტიის მხარდამჭერების და მოხალისეების დიდი ნაწილის როლი, ხშირად, მხოლოდ საარჩევნო კამპანიისთვის შემოწი-რულობების გაღებით შემოიფარგლება.

ტელევიზიის ეპოქაში ხდება კლასობრივ სამიზნე ჯგუფებზე დაფუძნე-ბული პროპაგანდის ჩანაცვლება კომუნიკაციის იმ ტიპით, რომლის სამიზნე აუ-დიტორია ფართოა და არ მოიცავს მხოლოდ რომელიმე სოციალურ ჯგუფს. გაჩნდა ყველა ტიპის ამომჩეველზე ორიენტირებული „Catch all“<sup>11</sup> საარჩევნო კამპანიები. პოლიტიკური პარტიები მიმართავენ ე.ნ. მედიანურ ამომრჩეველზე ორიენტირებულ საარჩევნო რიტორიკას. ეს უკვე გულისხმობს პლატფორმების გარკვეულ დეიდეოლოგიზაციას და კონვერგენციას.<sup>12</sup>

<sup>11</sup> ო.კირჩევიმერის მიერ შემოტანილი კონცეპტი (1966) ისეთი პარტიის აღსაწერად, რომელიც ცდილობს ამომრჩეველთა ბაზის გაფართოებას იდეოლოგიის უარყოფის მეშვეობით.

<sup>12</sup> ზოგ შემთხვევაში ეს პროცესი იმდენად შორს მისდის, რომ პარტიების პლატფორ-მებს შორის განსხვავები დანახვა რთული ხდება. მაგ. კომენტატორები ტონი ბლე-რის „ახალ ლეიბორისტებს“ ირონიულად უწოდებდნენ „ძველ კოსნსერვატორებს“.

საარჩევნო კამპანიების ამ ეტაპზე იგულისხმებოდა, რომ შესაძლებელია საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება. ფართოდ გავრცელდა დაქირავებული პროფესიონალების გამოყენების პრაქტიკა. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა გახდა საარჩევნო პროცესის ერთ-ერთი ცენტრალური ტექნოლოგია. საარჩევნო კამპანია ორიენტირებული გახდა არა იდეოლოგიზებული პოზიციის წარმოჩენაზე, არამედ ლიდერის იმიჯის შექმნაზე და რომელიმე აქტუალური საკითხის (issue) შესახებ ეფექტურად შეფუთული მესიჯის მასობრივ კომუნიკაციაზე. სატელევიზიო ეპოქის ქმნილება – ლიდერების დებატები, ხშირად გადამწვეტ როლს ასრულებდა არჩევნების შედეგის განსაზღვრაში. სატელევიზიო კამპანიებმა დაასუსტა ტრადიციული იდეოლოგიურ-რეპრეზენტაციული პოლიტიკა და წინა პლანზე წამოსწია Agenda Setting კომპონენტი.

შეცვალა თუ არა ინტერნეტისა და სოციალური მედიის განვითარებამ სატელევიზიო დემოკრატიის ხასიათი? შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ კიბერდემოკრატია თვისებრივად განსხვავდება სატელევიზიო დემოკრატიისგან?

მკვლევართ ნაწილი თვლის, რომ ინტერნეტის და სოციალური მედიის განვითარებასთან ერთად პოლიტიკაში განვითარდა იგივე პროცესები, რაც სხვა სამომხმარებლო პროდუქტების ბაზარზე. კერძოდ, საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და ამომრჩეველთა ჯგუფებთან პირდაპირი კომუნიკაციების სწრაფ განვითარებასთან ერთად საარჩევნო პროდუქტის მარკეტინგი გახდა უფრო მეტად სეგმენტირებული და მომხმარებლის სხვადასხვა ჯგუფზე<sup>13</sup> მორგებული. ამ ტიპის კამპანიებს ნაკლებად სჯერათ, რომ საზოგადოებრივი აზრის ფორმირება შესაძლებელია, ისინი უფრო მეტად ერგებიან საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტის პოლიტიკურ გემოვნებას, ვიდრე ქმნიან მას. ამის გამო, პოლიტიკოსები სულაც აღარ არიან საარჩევნო პროცესების ცენტრალური ფიგურები და შესაძლებელია მათი ჩანაცვლება ძვირადლირებული ტექნოკრატებით. ამ პროცესს სულ უფრო მეტად სჭირდება პოლსტერების<sup>14</sup>, მარკეტოლოგების და სხვა ტიპის პროფესიო-

<sup>13</sup> მომხმარებელთა ჯგუფები ერთმანეთისგან განსხვავდება არა მკაფიოდ გამოხატული კლასობრივი ბაზისით, არამედ ზემოთ ნახსენები პოსტმოდერნული თაობის კონსტრუირებული ინდექსით, რომელსაც ეწოდება ცხოვრების სტილი.

<sup>14</sup> საზოგადოებრივი აზრის კვლევის, როგორც საარჩევნო ბრძოლის ინსტუმენტის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ზოგი თვლის, რომ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა Agenda setting -ის ფუნქციას ასრულებს და საზოგადოებრივი აზრით მანიპულაციას ეწევა. თუმცა, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ საზოგადოებრივი აზრი თვითონაც არის დღის წესრიგის დამდგენი პოლიტიკოსებისთვის. თუ ჩვენ ვლაპარაკობთ კიბერდემოკრატიის პერიოდში პოლიტიკური მარკეტინგის

## თავი 4.

ნალების მონაწილეობა იმისთვის, რომ წარმატებით განხორციელდეს კამპანიის კოორდინაცია და ადაპტაცია მომხმარებელთა მოთხოვნილებებთან. საარჩევნო კამპანიების თვისობრივად ახალი ტალღა გულისხმობს იმას, რომ პოლიტიკური პარტიები ხდებიან არა პოლიტიკური პრეფერენციების შემქმნელები, არამედ თვითონ ერგებიან უკვე ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ პრეფერენციებს.

ამგვარი პროცესი აჩენს პერმანენტული პოლიტიკური ოპორტუნიზმის აუცილებლობას, რაც საბოლოო ჯამში, ძირს უთხრის პოლიტიკური პარტიების რეპუტაციას.

მოსალოდნელია, რომ კიბერსამყაროს როლი პოლიტიკური პროცესების ფორმირებაში კიდევ უფრო გაიზრდება. ამის ნათელი მაგალითია ე.წ. არაბული გაზაფხულის მოვლენები, რომელებშიც პოლიტიკური პარტიების როლი საერთოდ არ ჩანს.

სოციალური ქსელები საზოგადოებაში ჰორიზონტალური კოოპერაციის არნახულ საშუალებებს ქმნის, თუმცა, შედარებით მყარი ჯგუფების ფორმირებას ხელს არ უწყობს.

ჯგუფები იქმნება და იმლება კონკრეტულ პრობლემებთან მიმართებაში.

კონკრეტულ პრობლემებზე (issue based politics) ორიენტირებული ფლექსიური პოლიტიკა ანაცვლებს სოციალური ჯგუფების რეპრეზენტაციაზე დაფუძნებულ პოლიტიკას.

მკვლევართა შორის დავაა იმის თაობაზე, თუ რამდენად შორსწასული და მდგრადია პოლიტიკის დეიდეოლოგიზაციის ზემოთ აღწერილი პროცესები. მედიანურ ამომრჩეველზე ორიენტირებული პარტიული პლატფორმების კონვერგენცია შეუქცევადი პროცესია თუ დროებითი ტენდენცია? მაგ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ტრადიციული იდეოლოგიური პოლარიზაცია გაძლიერდა რ. რეიგანის და ბ. ობამას მმართველობის პერიოდებში. საინტერესოა, რომ ბ. ობამას მმართველობის პერიოდში პოლარიზაცია გასცდა პარტიული რეპრეზენტაციის სისტემას და გამოვლინდა ძლიერი საზოგადოებრივი მოძრაობების<sup>15</sup> სახით.

როგორც სოციოლოგები მიუთითებენ, ერთი და იგივე პარტიის ამომრჩეველი იყოფა ახალი ღერძების (ეკოლოგია, ადამიანის უფლებები, სექსუალური და რეპრედუქციული ქცევა, ემიგრაცია და ა.შ) მიხედვით. არსებული იდეოლოგიური დაყოფები არ არის კონგრუენტული იმ ღერძების

ტენდენციების გაძლიერებაზე, მაშინ ეს მეორე ასპექტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

<sup>15</sup> Tea Party, Occupy Wall Street.

სიმრავლისა, რომელიც მოაქვს გლობალიზაციის ეპოქას. ერთადერთი წყალგამყოფი, რომელიც ინარჩუნებს ძლიერ პრედიქტორულ პოტენციალს, ესაა რასისა და ეთნიკურობის წყალგამყოფი. აშშ-ში რასა და ეთნიკურობა რჩება საარჩევნო ქცევის მნიშვნელოვან ფაქტორებად. ამ წყალგამყოფის გარშემო იკრებს ძალას ახალი ნაციონალისტურ-პოპულისტური მოძრაობები ევროპის ქვეყნებშიც (Dalton, 1996).

როგორი იქნება საარჩევნო ქცევა მომავალში? გაძლიერდება თუ დასუსტდება ტრადიციული წყალგამყოფები? გაჩნდება თუ არა ახალი წყალგამყოფები? <sup>16</sup> სოციოლოგთა ნაწილის აზრით, პრობლემებზე (issue), ლიდერთა იმიჯებზე და ხელისუფლებაში მყოფი პარტიის შეფასებაზე ორიენტირებული – **რეტროსპექტული** საარჩევნო ქცევა უკვე სახეზეა. რეტროსპექტული საარჩევნო ქცევა არ ითხოვს განსაკუთრებულ ინფორმირებულობას იდეოლოგიურ საკითხებზე. იდეოლოგიებში გაუთვითცნობიერებელ ამომრჩეველსაც შეუძლია იმის შეფასება, როგორი სამუშაო გასწია ხელისუფლებამ.

ეს ტენდენცია კი უკავშირდება პოლიტიკაში რეპრეზენტაციის პრინციპის დასუსტებას და ანგარიშვალდებულების პრინციპის გაძლიერებას (ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ).

### ეკონომიკური გლობალიზაცია და პარტიული დემოკრატია

მე-20 საუკუნის 70-იან წლებამდე დემოკრატიის და რეპრეზენტაციის თეორიებში აქსიომატურად იგულისხმებოდა სახელმწიფოს სუვერენულობის კონცეფცია. კერძოდ, სახელმწიფო არის დახურული სისტემა და პოლიტიკური პროცესის მთავარი მოქმედი პირები არიან სახელმწიფოს შიგნით არსებული აქტორები. სუვერენული ტერიტორია არის სოციალური ცხოვრების ორგანიზების მნიშვნელოვანი პრინციპი.

გლობალიზაციის გაღრმავებამ წარმოქმნა სრულებით განსხვავებული რეალობა. გლობალიზაციამ შექმნა გარკვეული შეზღუდვები სახელმწიფოების შიგნით მოქმედი პოლიტიკური აქტორებისთვის. საერთაშორისო ორგანიზაციების, საერთაშორისო არასამთავრობო ქსელების, ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და გლობალური რისკების ზრდა, ყველაზე ძლიერი სახელმწიფოების დისკრეციული მოქმედებების შესაძლებლობასაც კი ეჭვქვეშ აყენებს.

<sup>16</sup> დასავლურ სამყაროში სულ უფრო მეტად ძლიერდება ღერძი გლობალური-ლოკალური. ემიგრაცია და ამ ღერძთან დაკავშირებული სხვა კულტურული ფაქტორები ბოლო წლების საარჩევნო კამპანიებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

თანამედროვე სამყაროში იზრდება სუპრანაციონალური (მაგ. ევროკავშირი) და საერთაშორისო ორგანიზაციების იურისდიქცია; საზოგადოებრივი ცხოვრების სულ უფრო მეტი სფეროს რეგულირება ხდება საერთაშორისო კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

არის სფეროები, რომელთა ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღება მოითხოვს არა მხოლოდ სახელმწიფოს შიგნით, არამედ სახელმწიფოს გარეთ ლეგიტიმაციას, რადგან ეს გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს მეზობელი (და არა მარტო მეზობელი) სახელმწიფოების ცხოვრებაზე. როდესაც გადაწყვეტილებებია მისალები ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ატომური სადგურის მშენებლობა, ნარკოტიკების გადაზიდვასთან ბრძოლა, ისმის კითხვა: ვინ არის ამ შემთხვევაში ხმის უფლების მქონე? საიდან უნდა მიიღოს სახელმწიფომ ლეგიტიმაცია ისეთ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მეზობელი სახელმწიფოების ცხოვრებაზეც ასეთივე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს? და მთავარი კითხვა, რომელიც გლობალიზებულ სამყაროში ისმის: სად არის დემოკრატიისა და რეპრეზენტაციის „სახლი“? (Held, 2006). ამასთან დაკავშირებით ისმის დამატებითი შეკითხვები: ვინ არის ლეგიტიმაციის პროცესის რეალური აქტორი? როგორია ლეგიტიმაციის პროცესის აქტორების კომპოზიცია?

პარტიული რეპრეზენტაციის საკითხთან მიმართებაში დგება უმნიშვნელოვანები კითხვა: რამდენად არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ხელისუფლებაში მოსულმა პარტიებმა გაატარონ მათი იდეოლოგიური პლატფორმის შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკა იმ შემთხვევაში თუ ევეგანა ჩართულია გლობალურ ეკონომიკაში?

ტრადიციულად ითვლება, რომ როდესაც პარტია მოდის ხელისუფლებაში, ის გაატარებს ისეთ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც ხელსაყრელია მისი ამომრჩევლებისთვის. რაციონალური არჩევანის მოდელი გულისხმობს, რომ თუ ამომრჩეველი ხმას მისცემს გარკვეულ პოლიტიკურ პარტიას, მაშინ მან უნდა იხეიროს ამ პარტიის მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკისგან. მაგ. მემარცხენე ორიენტაციის პარტიები შეეცდებიან მიაღწიონ დასაქმების მაქსიმალურ დონეს და ნაკლებ ყურადღებას მიაქცევენ ბიუჯეტის დეფიციტსა და ინფლაციას. მემარჯვენე პარტიები იმოქმედებენ ბიზნეს წრეების და საშუალო კლასის ინტერესების დასაცავად და შესაბამისად, მათი ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება ინფლაციის დაბალი დონის შენარჩუნებისკენ, თუნდაც უმუშევრობის მაჩვენებლების გაზრდის ხარჯზე. რეალურად, გარკვეული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება რეპრეზენტაციის პროცესის ყველაზე მნიშვნელოვანი ბოლო რგოლია.

როგორც კვლევები უჩვენებს, 70-იანი წლებიდან ასეთი გამოკვეთილი

განსხვავების დანახვა განსხვავებული პოლიტიკური პარტიების ეკონომიკურ პოლიტიკაში უფრო რთულია. პოლიტიკურ პარტიებს შორის განსხვავება თანდათან იშლება ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაზრისითაც. ამათუ იმ ქვეყნის შიგნით მიმდინარე ეკონომიკური პროცესები სულ უფრო მეტადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა ხდება ქვეყნის გარეთ. რაც უფრო მეტად არის ჩართული ქვეყანა გლობალურ ეკონომიკაში, მით უფრო მეტად ახდენს გავლენას ქვეყნის გარეთ მიმდინარე პროცესები ინფლაციის, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე, უმუშევრობაზე და ზოგადად, კეთილდღეობის დონეზე.

ფინანსური ბაზრების და საერთაშორისო ვაჭრობის ლიპერალიზაცია და საერთაშორისო შეთანხმებებში და ორგანიზაციებში (საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ა.შ.) მონაწილეობა მნიშვნელოვნად ამცირებს პარტიების შესაძლებლობას გაატარონ იდეოლოგიური პლატფორმის შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკა. ეკონომიკური ზრდა და სტაბილურობა განისაზღვრა, როგორც დასავლური დემოკრატიების უპირველესი მიზანი. ეკონომიკური ზრდის აუცილებლობა ტრანსნაციონალურ კაპიტალსა და კორპორაციებს უპირატეს მდგომარეობაში აყენებს ეროვნულ სახელმწიფოებთან მიმართებაში. თუ სახელმწიფო ფინანსურ კაპიტალს ხელსაყრელ პირობებს არ შეუქმნის, კაპიტალი თავისუფლად გადავა სხვა ქვეყანაში, რაც შესაბამისად, ეკონომიკურ ზრდაზე და მოსახლეობის კეთილდღეობაზე უარყოფითად აისახება. სახელმწიფოები ერთმანეთთან გამალებულ კონკურენციას ანარმოებენ ინვესტიციების მოსაზიდად.

ამგვარად, თუ მთავრობის მიზანია ინვესტიციების მოზიდვა, ადეკვატური ეკონომიკური პოლიტიკის ალტერნატივების რიცხვი საკმაოდ შეზღუდულია. იდეოლოგიური პლატფორმის მიუხედავად, ხელისუფლებაში მყოფი პარტია იძულებულია გაატაროს პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ სტაბილურობასა, კარგ საინვესტიციო გარემოსა და პროგნოზირებადობას.

მსოფლიო პოლიტიკა შესაბამისად პასუხობს ამ გამოწვევას. 1990-იანი წლებიდან დაიკვირვება ხელისუფლების აღმასრულებელი შტოების დეიდეოლოგიზაციის პროცესი. ამ პროცესის აშკარა გამოხატულებაა ცენტრალური ბანკების ავტონომიურობის ხარისხის ზრდა. განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში გატარდა რეფორმები, რომელთა მიზანი იყო მოკლევადიანი პოლიტიკური ანგარიშვალდებულებისგან ცენტრალური ბანკების გათავისუფლება. ეს საკითხი პოლიტიკურ საკითხად აღარ განიხილება და საჯარო დებატების თემაც აღარ არის. გარდა ამისა, სულ უფრო მე-

ტად თავისუფლდება იდეოლოგიური წნებისგან აღმასრულებელი ხელისუფლებების ის შტოები, რომლებიც ფისკალურ და მონეტარულ პოლიტიკას განაგებს. გლობალიზაციის პროცესის ზრდასთან ერთად, ეს სფერო განსაკუთრებულ ტექნოკრატიულ კომპეტენციას მოითხოვს და საზოგადოებაც თვლის, რომ მას ტექნოკრატები უკეთესად გაუძლვებიან, ვიდრე პარტიული ბიუროკრატები.<sup>17</sup>

თუ ემპირიულად დასაბუთდება, რომ პარტიული პლატფორმა აღმასრულებელი ხელისუფლების მოღვაწეობის ყველაზე მნიშვნელოვანი მდგენელი არ არის, პარტიებზე დაფუძნებული დემოკრატიის მიზანშეწონილობის შესახებ უფრო მეტი კითხვები გაჩნდება.

გლობალიზაციის პროცესების გაღრმავებასთან დაკავშირებით დგება ასეთი შეკითხვა: ხომ არ ხდება აღმასრულებელ ხელისუფლებაში მყოფი პარტიის ეკონომიკური პოლიტიკა დამოკიდებული ცვლადი იმ მოვლენებთან მიმართებაში, რომლებიც ქვეყნის გარეთ ხდება? ამ საკითხზე ჩატარებული ეპირიული კვლევების შედეგები საკმაოდ წინააღმდეგობრივია და მერყეობს ორ უკიდურესობას შორის:

„პოლიტიკას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს“ და „განსხვავებული პარტიები მცვეთრად განსხვავებულ ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებენ“ (Caul and Gray, 2000, გვ. 224).

აღნიშნულ პრობლემასთან მიმართებაში, საინტერესოა ქოულისა და გრეის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები. კვლევის მიზანი იყო იმის

<sup>17</sup> ეს ტენდეცია შედარებით სუფთა სახით გამოვლინდა 90-იანი წლების აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტურ საზოგადოებებში. 90-იანი წლების ხავერდოვანი რევოლუციების შემდეგ ამ ქვეყნებში არ არსებობდა არც ტრადიციული (ისტორიულად განმტკიცებული) პოლიტიკური კაპიტალი და არც დიდი საკუთრების მფლობელთა კლასი. ფაქტობრივად, მმართველობით პროექტებს ახორციელებდა ადამიანური კაპიტალის (Human capital) მფლობელი ტექნოკრატია. მკვლევრები (სლეზენი, ტოუნსლი) განვითარების ამ პერიოდს ახასიათებენ, როგორც პოსტკომუნისტურ მენეჯერიალიზმს. 90-იანი წლების ბოლოს, საკუთრების გაფანტულობის ფენომენის გამო, ცენტრალურ ევროპაში ყველაზე მეტი ძალაუფლება ჰქონდათ არა ინდუსტრიული ფირმების მენეჯერებს ან პოლიტიკურ პარტიებს, არამედ ფინანსების მართვასთან დაკავშირებულ პირებს, ფინანსთა სამინისტროების და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ექსპერტებს. ფინანსების ექსპერტების ძალაუფლების წყარო არ იყო არც რომელიმე ჯგუფის რეპრეზენტაცია და არც დიდი საკუთრების ფლობა. მათი ძალაუფლება მომდინარეობდა გლობალური კაპიტალიზმის ფუნქციონირების მექანიზმების ცოდნისგან. შეიძლება ითქვას, რომ ძალაუფლების წყარო ამ შემთხვევაში იყო ადამიანური კაპიტალი – ტექნოკრატიული ექსპერტიზა. პოლიტიკის ტექნოკრატიზაციის ტრენდის გამოვლინებად შეიძლება ჩავთვალოთ, აგრეთვე, 2014-15 წლებში უკრაინაში მიმდინარე მოვლენები, როდესაც ქვეყნის მნიშვნელოვან პოლიტიკურ თანამდებობებზე უცხო ქვეყნების მოქალაქეები მიიწვიეს.

გარკვევა, თუ რამდენად განსაზღვრავს მთავრობის პარტიული კომპოზიცია საჯარო პოლიტიკის მიმართულებებს. დაიკვირვება თუ არა პარტიზანული მთავრობების ეკონომიკური პოლიტიკის კონვერგენციის ტენდენციები? ხომ არ ხდება პარტიზანული მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა უფრო მეტად მიმართული მედიანურ ამომრჩეველზე?

ამ ურთიერთმიმართების დასადგენად კვლევის ავტორები აანალიზებნ 1945 -1997 წლებში.

კვლევა განსაზღვრავს აღმასრულებელი ხელისუფლების პარტიულ კომპოზიციას, როგორც დამოუკიდებელ ცვლადს და საჯარო პოლიტიკის ექვს ინდიკატორს, როგორც დამოკიდებულ ცვლადებს. ეს ინდიკატორებია: ინფლაციის ნლიური მაჩვენებელი, უმუშევრობის დონე, მშპ-ს ზრდის მაჩვენებელი, სამთავრობო ხარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, სოციალურ სფეროზე დანახარჯები და სამხედრო დანახარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში.

დაადასტურა თუ არა კვლევამ ის ჰიპოთეზები, რომელთა ჩამოყალიბება შეიძლებოდა თეორიულ ლიტერატურაზე დაყრდნობით? კერძოდ, დადასტურდა თუ არა რომ მემარჯვენე მთავრობები ინარჩუნებენ სოციალური ხარჯების დაბალ და სამხედრო ხარჯების მაღალ დონეს, მემარცხენე მთავრობები კი – დასაქმების და ინფლაციის მაღალ დონეს?

თუ განვიხილავთ 18 სუვერენული სახელმწიფოს აგრეგირებულ მაჩვენებლებს, კვლევამ ვერ გამოავლინა მოსალოდნელი თანმიმდევრული პატერნები. გამოვლინდა საკმაოდ არათანმიმდვრული სურათი ქვეყნების და დროითი მონაკვეთების მიხედვით:

გერმანიაში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირია მთავრობის პარტიულ კომპოზიციასა და მის მიერ გატარებულ პოლიტიკას შორის; სხვა ქვეყნებში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მოსალოდნელი კავშირების ძალზე მცირე რაოდენობა დაფიქსირდა, ცხრა სახელმწიფოში კი მოსალოდნელის საპირისპირო ტენდენციები გამოვლინდა. მაგ. როდესაც შვედეთში მთავრობას აკონტროლებს მემარჯვენე-ცენტრისტული კოალიცია, მშპ-ს ზრდა დაბალია, სამთავრობო და სოციალური დანახარჯები კი – მაღალი. 1981-დან 1995 წლამდე პერიოდში გამოვლინდა კავშირი, რომელიც ადასტურებდა ჰიპოთეზას. კერძოდ, ამ პერიოდში მემარჯვენე მთავრობები ინარჩუნებენ ინფლაციის დაბალ დონეს და უმუშევრობის მაჩვენებელი მატულობს.

კვლევის პროცესში გაანალიზებული 108 კორელაციის კოეფიციენტიდან მხოლოდ 18-მა გამოავლინა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა მთავრობის პარტიულ კომპოზიციასა და საჯარო პოლიტიკის ხასიათს შორის კავშირის

## თავი 4.

დასაბუთება. ზოგიერთ ქვეყანაში, დროის გარკვეულ მონაკვეთში ჰიპოთეზები მთავრობის პარტიულ კომპოზიციასა და ეკონომიკურ პოლიტიკას შორის კავშირის შესახებ დასტურდება, თუმცა, ამას გამოხატული პატერნის სახე არ აქვს.

მოცემულ კვლევაში შემოიტანეს რამდენიმე დამატებითი ცვლადი, რომელიც ასახავდა ეგზოგენური ეკონომიკური შოკების და გლობალური ტრენდების გავლენას მთავრობების დანახარჯებსა და ეკონომიკურ ეფექტიანობაზე. მონაცემების ანალიზმა უჩვენა, რომ ეგზოგენური ფაქტორები ისეთივე ძლიერ გავლენას ახდენს მთავრობების ეკონომიკურ პოლიტიკაზე, როგორც ქვეყნის შიგნით მოქმედი ფაქტორები. გარდა ამისა, OCED ქვეყნებში ჩნდება სტრუქტურული ფაქტორები (მოსახლეობის დაბერება, მიგრაცია, ჩართულობა გლობალურ ეკონომიკაში), რომელიც კიდევ უფრო მეტად ზღუდავს ეკონომიკური პოლიტიკის ალტერნატივების რეპერტუარს და პარტიული მთავრობის დისკრეციას. გლობალიზაციის პროცესთან დაკავშირებული ფაქტორების გამო, განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში სულ უფრო რთული ხდება პარტიული იდენტობის და განსხვავებულობის შენარჩუნება, როდესაც საქმე მიდგება ეკონომიკური პოლიტიკის ფორმულირებასა და გატარებაზე.

ამგვარად, ეკონომიკის გლობალიზაციის ფაქტორი კიდევ ერთი დამატებითი ფაქტორია, რომელიც მე-20 საუკუნისთვის ტრადიციულ – პარტიულ დემოკრატიას ასუსტებს.<sup>18</sup>

ჩვენს მიერ ზემოთ აღნერილ, რეპრეზენტაციის პარტიული ფორმის კრიზისთან დაკავშირებით ისმის ფუნდამენტური შეკითხვა: რა არის პოლიტიკა და პოლიტიკური იმ ვითარებაში, როდესაც ეპოქას ტრადიციულად პოლიტიკური თემების დეპოლიტიზაცია მოაქვს?

### როგორი იქნება დემოკრატია 21-ე საუკუნეში? როგორ პასუხობს საზოგადოება პარტიული დემოკრატიის დისფუნქციურობას?

ჩვენს მიერ ზემოთ აღნერილი ტენდენციების გამო, მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ დღეს, პოლიტიკური პროცესი დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში თვისებრივად განსხვავდება მე-20 საუკუნის 80-იან წლებამდე

<sup>18</sup> მკვლევრები ხშირად სვამენ კითხვას; გახდა თუ არა ტრანსნაციონალური კორპორაცია ყველაზე ძლიერი მოთამაშე გლობალურ სამყაროში? არსებობს თუ არა ძალა, რომელსაც მისი დაბალანსება შეუძლია? ამ ძალად მოიაზრებენ არასამთავრობო ორგანიზაციების საერთაშორისო ქსელს (Held, 2006).

არსებული ვითარებისგან. ამ პროცესს ახასიათებენ, როგორც „პოსტ-დე-მოკრატიას“ (Crouch, 2004) „კონტრ-დემოკრატიას“ (Rosanvallon, 2008), „პო-პულისტულ დემოკრატიას“, „აუდიტორულ (audience) დემოკრატიას“ (Manin, 1997) და ა.შ. მკვლევართა ნაწილის აზრით, თანამედროვე ვითარება შეიძლება აღინიშნოს, როგორც დემოკრატიის კრიზისი, დემოკრატიის რეცესია.

„პოსტდემოკრატიული“ სიტუაციის, როგორც დემოკრატიის კრიზისის შეფასებას, საფუძვლად უდევს ნორმატიული ვარაუდი იმის შესახებ, რომ დემოკრატიის ერთი ფორმა (პარტიული დემოკრატია) აღმატებულია დე-მოკრატიის სხვა შესაძლო ფორმებთან მიმართებაში.

თუ ასეთ შეფასებით მიდგომას არ გავიზიარებთ, ბუნებრივია ისმის კითხვები: შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ პარტიული დემოკრატიის დასუსტება დემოკრატიის კრიზისად?

პარტიული დემოკრატიის კრიზისი შეიძლება განვიხილოთ არა როგორც დემოკრატიის კრიზისი, არამედ, როგორც რეპრეზენტაციის პარტიული ფორმის შეუსაბამობა გლობალზაციის ეპოქის საზოგადოების მოთხოვნებთან და დემოკრატიის ახალი ფორმის დაბადების შესაძლებლობა. თავის დროზე, პარტიების გაძლიერებასაც ეჭვის თვალით უცურებდნენ. პარტიების აღზევება ტრადიციული პარლამენტარიზმის კრიზისად განიხილებოდა. რამდენიმე ათწლეულის შემდეგ კი პარტიული დემოკრატია ჩაითვალა დემოკრატიული ევოლუციის უმაღლეს საფეხურად.

ნინა ქვეთავში ჩვენ აღვწერეთ ფაქტორები, რომლებმაც პოსტინდუსტრიულ ეპოქაში პოლიტიკური პარტიების დასუსტება გამოიწვია. ქვემოთ კი – შევეცდებით აღვწეროთ ინტერესების არტიკულაციის ის განსხვავებული ფორმები და არხები, რომლებსაც დასავლური საზოგადოება მიმართავს პარტიული დემოკრატიის დისფუნქციურობის პირობებში.

კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარება ახალ შესაძლებლობებს ქმნის ე.ნ. პირდაპირი დემოკრატიის „დაბრუნებისთვის“. დასავლეთის ქვეყნებში სულ უფრო მეტი საკითხის გადაჭრა ხდება რეფერენდუმების გზით. „არაბული გაზაფხული“ გახდა ქრესტომატიული მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება პოლიტიკური პროცესების ნარმართვა პოლიტიკური პარტიების გარეშე.

მკვლევართა ერთ ნაწილში გავრცელებულია აზრი, რომ პოსტინდუსტრიულ ეპოქაში მოქალაქე გახდა აპოლიტიკური და აპათიური. მაგრამ, თუ ემპირიულ საზოგადოებრივ პროცესებს სხვაგვარად შევხედავთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საზოგადოება აპათიური კი არ გახდა, არამედ სამოქალაქო და პოლიტიკური თვითგამოხატვის ფორმები შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებში მონაწილეთა რიცხვმა იკლო, იმატა იმ მოქალაქეთა

რიცხვმა, რომლებიც მონაწილეობენ დემონსტრაციებში, პეტიციების ხელ-მოწერებში, სოლიდარობის გამოხატვის კოლექტიურ აქციებში და ა.შ. იკლო პარტიებში განევრიანების მსურველთა რიცხვმა და ამავე დროს, გაჩნდა ახა-ლი ასოციაციები და ინტერესთა ჯგუფები. მოქალაქეები სულ უფრო მეტად ეძებენ საკუთარი ინტერესების და წუხილის არტიკულაციის გზებს პარტი-ულ-რეპრეზენტატული სისტემის გარეთ. ეს შეიძლება განვიხილოთ სამოქა-ლაქო საზოგადოებასა და ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ ინსტიტუტებს შო-რის მზარდი სოციალური დისტანციის ინდიკატორად. სამოქალაქო მოძრაო-ბების მახასიათებელი ისაა, რომ ისინი არსით დემოკრატიულია, მაგრამ მი-მართული არ არის პოლიტიკურ მიზნებზე. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ შემოდის არაპოლიტიკური დემოკრატიის, სამოქალაქო დე-მოკრატიის ფორმა (Rosanvallon, 2008).

არსებობს სამოქალაქო დემოკრატიასთან დაკავშირებული პროცესე-ბის მრავალგვარი ხედვა და შეფასება. მაგ. სამოქალაქო დემოკრატიის არსა და მახასიათებლებს როზენვალონი ახასიათებს, როგორც „კონტრდემოკრა-ტიას“. კონტრდემოკრატია – ეს არის სამოქალაქო საზოგადოების ნეგატიუ-რი სუვერენიტეტი, რომელიც გამოიხატება მთავრობების მიმართ უნ-დობლობის ზრდით და უნდობლობის არტიკულაციის ფორმების მრავალფე-როვნებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახალი ეპოქის დემოკრატიის მნიშვნე-ლოვანი მახასიათებელია რეპრეზენტაციის პრინციპის დასუსტება და ანგა-რიშვალდებულების პრინციპის გაძლიერება.

დღესდღობით, „ფხიზელი“, მთავრობის მიმართ კრიტიკული მოქალაქე იძენს უფრო მეტ საზრისს, ვიდრე მოქალაქე, რომელიც ხმას აძლევს არჩევნებზე. 80-იანი წლებიდან, მოქალაქეობის ეს ასპექტი თანდათან ძლი-ერდება. იმ ტრადიციული მოძრაობებისგან და ინტერესთა ჯგუფებისგან განსხვავებით, რომელთა მიზანი იყო გარკვეული ინტერესების რეპრე-ზენტაცია, ახალი ტიპის მოძრაობები მიზნად ისახავს მთავრობაზე ზე-დამხედველობას, იქმნება ზედამხედველობის და შეფასების ახალი სისტე-მები და ჩნდება ახალი აქტორი – „სოციალური მოდარაჯე ძალი“ (Social watchdog).<sup>19</sup>

---

<sup>19</sup> მთავრობების ზედამხედველობის საკითხები მე-20 საუკუნემდეც აქტუალური იყო, მაგრამ ეს საკითხები უფრო ხშირად პოლიტიკური სისტემის შიგნით, ინსტიტუ-ციურად წყდებოდა. მაგ. ინგლისში მთავრობის საქმიანობას ზედამხედველობას უწევდა პარლამენტი. ლიბერალური დემოკრატიის მთავარი არსი იყო სახელმწიფოს მიერ შეუსაბამო ქმედებების პრევენცია.

„განგაშის ატეხვის ფენომები ისე ფართოდ გავრცელდა, რომ სოციო-ლოგის ახალი დარგიც კი გაჩნდა მის შესასწავლად“ (Rosanvallon, 2008, გვ 63).

ამ ტიპის ორგანიზაციების მიზანია არა ინტერესების დაცვა, არამედ საკითხების დაყენება და მთავრობების იძულება მათ შესასრულებლად. ასე-თი შეფასებები და მუდმივი კრიტიკა დეცენტრალიზებულია, ხორციელდება პრესის, საექსპრესო საზოგადოებების, კომისიების, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების მეშვეობით. საინტერესოა, რომ ამ ტიპის ინსტიტუტების მიზანია არა ძალაუფლების მოპოვება, არამედ გავლენის გაზრდა.

„ეს უხილავი და დეცენტრალიზებული კვაზი-ინსტიტუტია, მაგრამ მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა პროცესებზე. პოლიტიკის მკვლევრები საუბრობენ დღის წესრიგის ფორმირების ფუნქციაზე: შეიძლება მედია ვერ ცვლიდეს ადამიანების ბაზისურ შეხედულებებს, მაგრამ მას შეუძლია გა-დამწყვეტი როლი ითამაშოს სოციალური დებატების დღის წესრიგის ფორმირების პროცესში. ამდენად, სიფხიზლე საზოგადოებას ეხმარება იმაში, რომ განსაზღვროს პოლიტიკური ველი და დაადგინოს სამთავრობო პრიო-რიტეტები. მაშასადამე, ის ხდება გაცილებით უფრო ეფექტიანი, ვიდრე ინსტიტუციონალიზებული თანამონანილეობის სხვადასხვა ტიპის ინსტი-ტუტი. სიფხიზლის მეშვეობით საზოგადოება არეგულირებს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესს“ (Rosanvallon, 2008, გვ. 40).

სამოქალაქო საზოგადოებაში გაიზარდა მოთხოვნა პოლიტიკური პრო-ცესების გამჭირვალეობაზე. გამჭირვალეობა გახდა დღის წესრიგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემა. გამოძიებითი უურნალისტიკის როლის ზრდა და პოლიტიკური სკანდალის მუდმივი მუქარა 70-იანი წლების ბოლოდან ინსტიტუციურ სახეს იძენს. პოლიტიკოსების საზოგადოებრივ მხილებას აქვს საზოგადოებრივი ნორმების კონსოლიდაციის ფუნქციაც. ამგვარი მოთხოვნა გამჭირვალეობაზე შეიძლება დაკავშირებული იყოს პოლიტიკის დეიდეოლოგიზაციასთან. დეიდეოლოგიზაციამ გამოიწვია პოლიტიკის პერსონალიზება და უფრო მნიშვნელოვანი გახდა კონკრეტული პოლიტი-კოსებისადმი ნდობის საკითხი. უნდობლობის დემოკრატიის პირობებში პი-როვნული სიმბოლური კაპიტალი გახდა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ერთგულება იდეოლოგიური პრინციპების მიმართ.

„ამ თვალსაზრისით, თანამედროვე დემოკრატიები ემსგავსება ძველ საზოგადოებებს, რომლებშიც ღირსება მნიშვნელოვან მარეგულირებელ როლს ასრულებდა. რა თქმა უნდა, ღირსება სიმბოლური კაპიტალის ფორმა-ცაა და მისი ფორმირება სოციალური შეფასების მეშვეობითაც ხდე-ბა“ (Rosanvallon, 2008, გვ.49).

საზოგადოების მხრიდან მუდმივი ზედამხედველობის ერთ-ერთი ფორმაა მთავრობის შეფასება. 70-იანი წლებიდან შეფასება იღებს სულ უფრო და უფრო დახვეწილ ფორმებს. გაჩნდა უამრავი საზოგადოებრივი ორგანიზაცია და სააგენტო, რომელებიც სპეციალიზდება სწორედ მთავრობების მიერ განხორციელებული პოლიტიკის შეფასებაში. გაჩნდა საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც აფასებს ქვეყნების რეიტინგს სხვადასხვა სფეროში. მოქალაქეები სულ უფრო მეტად ითხოვენ იმას, რომ მთავრობის წარმომადგენლებმა საკუთარი კომპეტენტურობა და საკუთარი მოქმედებების სისწორე დაასაბუთონ გარედან სისტემატური შეფასების მეშვეობით.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი პირობაა ხილვადობა (Visibility). ამდენად, მედია და საზოგადოებრივი მოძრაობები და ორგანიზაციები უნდობლობის დემოკრატიის ყველაზე გავლენიანი აქტორები ხდებიან.

იქმნება ლეგიტიმურობის კონფლიქტი: მაგ. ვის აქვს მთავრობის კონტროლის უფლება პარლამენტს თუ საზოგადოებრივ მოძრაობებსა და მედიას? საზოგადოებრივ მოძრაობას შეუძლია მოიპოვოს „ემპირიული ლეგიტიმურობა“. მთავრობის კონტროლის ფუნქციას რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ასრულებდა პოლიტიკური ოპოზიცია. რატომ ვეღარ ასრულებს ამ ფუნქციას პოლიტიკური ოპოზიცია დღეს? პოსტინდუსტრიულ ეპოქაში საზოგადოების ფრაგმენტაციის დონე იზრდება. პოლიტიკური პარტიებისთვის სულ უფრო რთული ხდება საზოგადოებრივი აზრის მობილიზება თავისი ქოლგის ქვეშ. საზოგადოებრივი აზრი შედარებით ამორფულია. მისთვის უფრო კარგადა გასაგები რა არ მოსწონს, ვიდრე ის, რისკენ უნდა ისწრაფოდეს. როზენვალონის აზრით, სოციალური ძალაუფლების პროექტი, რომელიც თითქმის ორი საუკუნის მანძილზე მეტ-ნაკლებად სტაბილურ სახეს ინარჩუნებდა, დასრულდა. შეიცვალა საარჩევნო პროცესის ბუნება. არჩევნები უფრო მეტად გახდა ვეტოს დადების და არა არჩევის ძალაუფლება. არჩევნები გახდა არა მომავალი ორიენტაციის შესახებ მსჯელობის ასპარეზი, არამედ მსჯელობა იმაზე, მოხდეს თუ არა უკვე არსებული ხელისუფლების დისკვალიფიკაცია. პროცესის ემპირიულ მანიფესტაციად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ აშშ-ში ბოლო ათწლეულებში შემცირდა მოქმედი პრეზიდენტის ხელახალი არჩევის შემთხვევები.

ამ პროცესს ცივი ომის დასასრულსაც უკავშირებენ. ცივი ომის დასრულების შემდეგ, საარჩევნო კამპანიების სტრუქტურირება განვითარების ორი მოდელის გარშემო დასუსტდა. მომავალი ტრანსფორმაციების შესახებ მეტანარატივები ამომრჩევლების ინსპირაციას ვეღარ ახდენს. მოქალაქეები

უფრო მეტად ირჩევენ მოდარაჯე ძალის და ცენზორის როლს.

წინასაარჩევნო კამპანიებში გაიზარდა მონინააღმდეგები „შეტევითი“ კომპონენტის და ნეგატიური კამპანიის ხვედრითი წილი. რჩება შთაბეჭდილება, რომ საარჩევნო კამპანიის მიზანია არა გამარჯვება, არამედ მონინააღმდეგის არდაშვება ხელისუფლებასთან.

ნეგატიურ პოლიტიკას აქვს გარკვეული სტრუქტურული სიმარტივე. გაცილებით ადვილია მომაბაზრებელი გადასახადის უარყოფა, ვიდრე სამართლიან საგადასახადო სისტემაზე მუშაობა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატიული აქტივობა იძენს თვისებრივად ახალ ფორმას და სცილდება რეპრეზენტაციის სფეროს.

ოპოზიცია – მემარჯვენე-მემარცხენე – ველარ ასახავს პოლიტიკური საკითხების მრავალფეროვნებას. მოქალაქეებს არ სჯერათ, რომ ერთი ტიპის პოლიტიკა შეიძლება იყოს პრინციპულად უკეთესი, ვიდრე მეორე. რევოლუციური გარდაქმნების მიმართ იდეალისტური რწმენა დასრულებულია. მოქალაქეები აფასებენ ყველა შესაძლო პოლიტიკას, როგორც ცალკე აღბულს და არა რაღაც დიდი ნარატივის ნაწილს.

## ახალი პოპულიზმი

არის თუ არა პარტიული დემოკრატიის რეცესია და სამოქალაქო დემოკრატიის გაძლიერება შეუქცევადი პროცესი? თუ ასეა, მაშინ საზოგადოება დგება გარდამავალი ვითარების სიტუაციაში: დემოკრატიის ძველი ინსტიტუტები ადექვატურად ველარ მუშაობს, ახალი ინსტიტუტები კი არ ჩამოყალიბებულა. ასეთი სიტუაცია, გარკვეულწილად, ხითათის შემცველია და გზას უხსნის ე.წ. პოპულისტულ პოლიტიკას. მკვლევრების ნაწილი მიუთითებს სწორედ პოპულისტული ტენდენციების გაძლიერებაზე თანამედროვე დასავლურ პოლიტიკაში.

თეორიულ ლიტერატურაში პოპულიზმის ცნების ურიცხვი განსაზღვრება არსებობს. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით ცნება განვსაზღვროთ ოპერაციონალურად, მისი ძირითადი ინდიკატორების მეშვეობით. რა არის ახალი პოპულიზმის ემპირიული მანიფესტაციები?

• პირველ რიგში, ესაა რეპრეზენტატული დემოკრატიისთვის დამახასიათებელი, საზოგადოების სხვადასხვა ფენების ინტერესებზე მორგებული იდეოლოგიური პროცესის უარყოფა. პოლიტიკური პროცესში ერთმანეთს უპირისპირდება არა საზოგადოების სხვადასხვა ფენის ინტერესების რეპრე-

ზენტრალორები პარტიების სახით, არამედ ხდება „ხალხზე“, როგორც მისტიფიციონირებულ, ერთიანი საერთო ინტერესის მატარებელ სუბიექტზე აპელირება. ქარიზმატული პოლიტიკური აქტორები იბრძვიან არა ჯგუფების რეპრეზენტაციისთვის, არამედ იმ უფლებისთვის, რომ ილაპარაკონ და მართონ „ხალხის“ სახელით.

• პოპულიზმის მანიფესტაციაა, აგრეთვე, სისტემის წინააღმდეგ მიმართული, ანტიელიტისტური განწყობა: „უბრალო ხალხი“ – კორუმპირებული ელიტის დიხოტომია მემარჯვენე – მემარცხენე<sup>20</sup> დიხოტომის ნაცვლად. პოპულისტი ლიდერები მიუთითებენ, რომ პოლიტიკურ ესტაბლიშმენტსა და ხალხს შორის სოციალური დისტანცია იზრდება, პარტიული ელიტები ხდებიან ხალხისგან იზოლირებულნი.

• პოპულიზმის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია „სხვის“, მტრის ხატი. პოპულიზმი უარყოფს „სხვებს“ მორალურ ტერმინებში („გარყვნილები“), სოციალურ ტერმინებში (ელიტები) და ეთნიკურ-რელიგიურ ტერმინებში („უცხოელები, „უმცირესობები“ „სექტანტები“, „ემიგრანტები“ „აგენტები“ „1% „- Occupy Wall Street-ის აქტივისტებისთვის და ა.შ.).

„პოპულისტური მოძრაობები უარყოფენ პორიზონტალურ წყალგამყოფებს (მემარცხენე/მემარჯვენე დაყოფას) და უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ხალხის ფუნდამენტურ ერთობას. ისინი ქმნიან ახალ ვერტიკალურ განზომილებას, რომელიც უგულებელყოფს ელიტებს „ზემოთ“ და უცხოელებს ფსკერზე .....ეს პოპულისტური გულისწყრომა ვრცელდება, აგრეთვე, იმ ინსტიტუტებზე, რომლებიც განასახიერებს რეპრეზენტაციის პრინციპს“ (Meny and Surel, 2002, გვ.12).

მკვლევართა აზრი იყოფა იმის თაობაზე, რამდენადაა პოპულიზმი პოსტდემოკრატიული (კონტრდემოკრატიული) პოლიტიკის ძირითადი მახასიათებელი. მკვლევართა ნაწილის აზრით, პოპულიზმი კონტდემოკრატიის მხოლოდ შესაძლებელი, ყველაზე მეტად გროტესკული პათოლოგიაა და

<sup>20</sup> პოპულისტური ნაციონალისტური პარტიების ეკონომიკური რიტორიკა ერთგვაროვანი არ არის. მაგ. ჟ.მ.ლეპენის რიტორიკა ნეოლიბერალიზმთან იყო ახლოს, მ. ლეპენი კი- ეთნოსოციალიზმზე ალაპარაკდა. მკვლევრები მიუთითებენ, რომ ნაციონალისტურ-პოპულისტური პარტიების ელექტორატი, უფრო მეტად, მემარცხენე პარტიების ბაზაკიდან გადაბარებულთაგან შედგება. ეს არის ანტიგლობალისტურად განწყობილი ელექტორატი. ისინი მემარცხენე პარტიებს განუდგნენ იმის გამო, რომ მემარცხენეებმა ადგილობრივი შრომის ბაზარი ემიგრანტებისგან არ დაიცვეს. 2015 წლის დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო არჩევნებში ლეიბლორისტული პარტიის დამარცხებას უკავშირებენ შოტლანდიაში მემარცხენედ განწყობილი ელექტორატის გადაბარებას შოტლანდიის დამოუკიდებლობის პარტიის რიგებში.

არ არის სწორი მისი გაიგივება კონტრდემოკრატიასთან. პოპულიზმი შეიძლება გამოვლინდეს კონტრდემოკრატიის ფორმების უკიდურესი რადიკალიზაციის სახით. მკვლევართა ნაწილისთვის, პოპულიზმი მხოლოდ თანამედროვე პოლიტიკური პროცესის მახასიათებელი კი არ არის, არამედ დემოკრატიის მუდმივი აჩრდილია იმის გამო, რომ დემოკრატია თავის თავში შინაგან წინააღმდეგობას – პარადოქსს მოიცავს. რაში მდგომარეობს დემოკრატიის პარადოქსი?

როგორც ქენოვანი მიუთითებს, დემოკრატია გულისხმობს როგორც ხალხის ჩართვას პოლიტიკაში, ასევე პოლიტიკის მიტანას ხალხამდე ისე, რომ მან შეძლოს პოლიტიკური პროცესის მეტ-ნაკლებად აღქმადი სურათის დანახვა. ავტოკრატიული მმართველობისას, ხალხი ძალაუფლების სუბიექტი არ არის, მაგრამ ის ნათლად ხედავს ძალუფლების ლოკაციას და სურათს; დემოკრატიის დროს ხალხი მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესში, მაგრამ პოლიტიკური პროცესი იმდენად რთული და მრავალსახოვანია, რომ ადამიანებს უჭირთ იმის გარჩევა, სად არის ძალაუფლება და რა არის პოლიტიკური პროცესი. პოლიტიკური პროცესი ემსგავსება ლაბირინთს; მისი შედეგები ხშირად შემთხვევითა და რაციონალობისგან შორს დგას.

„რაც უფრო წარმატებულია თანამონაწილეობის პროექტი, მით უფრო გადატვირთული და ხალხმრავალია პოლიტიკური ველი. ამის შედეგად ჩვეულებრივი ამომრჩევლისთვის უფრო რთულია დემოკრატიის ნათელი სურათის დანახვა. იდეოლოგია სირთულეებს ამარტივებს“ (Canovan, 2002, გვ. 43).

დემოკრატიისთვის აუცილებელია იდეოლოგია, როგორც ევრისტიკული ინსტრუმენტი პოლიტიკაში ორიენტაციისთვის. ამავე დროს, იდეოლოგია გულისხმობს პოლიტიკური სურათის რეალუცირებას ადვილად აღქმად დოგმებზე და თავის თავში მოიცავს სურათის დამახინჯების საფრთხეს. ეს შეუსაბამობა იდეოლოგიასა და რეალობას შორის არის კარგი ნიადაგი მასობრივი გაღიზიანებისთვის და ამის შედეგად, პოპულიზმისთვის. ეს დემოკრატიის მუდმივი პარადოქსია, რომელიც გადაჭრას არ ექვემდებარება. დემოკრატიის ორი ლირებულება: ხალხის მონაწილეობა (რეპრეზენტაცია) და გამჭირვალეობა ენინააღმდეგება ერთმანეთს.<sup>21</sup>

<sup>21</sup> ინგლისური პოლიტიკური სისტემა (მაურიტარული საარჩევნო სისტემა) ამ დილემას გამჭირვალეობის სასარგებლოდ წყვეტს, ევროპის ქვეყნების პოლიტიკური სისტემა (პროპორციული საარჩევნო სისტემა) კი -თანამონაწილეობის სასარგებლოდ.

## თავი 5

### საქართველო პოსტდემოკრატიულ ეკონომიკი

#### ლია მეზვრიშვილი

წინა თავში ჩვენ აღვწერეთ პოსტინდუსტრიულ დასავლეთში მიმდინარე პროცესები, რომელთა აღწერა პარტიული დემოკრატიისთვის დამახასიათებელი რეპრეზენტაციის მოდელით რთული გახდა. ქვემოთ ჩვენ შევაცდებით ვუჩვენოთ, რომ საქართველოს პოლიტიკურ სივრცეშიც დაიკვირვება პროცესები, რომლებიც თვისებრივად განსხვავდება პარტიული დემოკრატიისთვის დამახასიათებელი რეპრეზენტაციის ტიპისგან. თუმცა, დასავლეთის ქვეყნებში ამგვარ განვითარებას განაპირობებს პოსტინდუსტრიული საზოგადოების მდგომარეობა. საქართველოში კი, პროცესებს შესაძლოა ტრასფორმაციული პროცესების ლოგიკა განსაზღვრავდეს.

ქვემოთ, ჩვენ მოკლედ მიმოვიხილავთ საქართველოში პოლიტიკური რეჟიმების<sup>1</sup> ისტორიას ბოლო 25 წლის განმავლობაში; შემდეგ წარმოვადგენთ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს და შევეცდებით კვლევის მონაცემების ინტერპრეტაციას იმ პროცესების წინ წამოწევით, რომლებიც დემოკრატიის პარტიულ-რეპრეზენტაციული მოდელის ჩამოყალიბებისთვის ხელშემწყობი (მ.ვებერის ტერმინოლოგიით კი -ადეკვატური) არ იყო.

#### 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში ხელისუფლება ოთხვერ შეიცვალა. საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზ. გამსახურდია და მოძრაობა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ ხელისუფლებაში მოვიდა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, 1990 წლის 28 ოქტომბრის უზენაესი საბჭოს არჩევნებში კომუნისტურ პარტიაზე გამარჯვების გზით. გამსახურდიას რეჟიმის მთავარი დღის წესრიგი იყო სა-

<sup>1</sup> რეჟიმს ჩვენ განვიხილავთ, როგორც მთავრობის მიერ დადგენილი თამაშის წესების (როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური) ერთობლიობას და არ ვანიჭებთ მას უარყოფით კონოტაციას.

ქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მან ვერ შეძლო ძალაუფლების დიდხანს შენარჩუნება. გამსახურდიას რეჟიმს საზოგადოების ის ნაწილი დაუპირისპირდა, რომელიც თვლიდა, რომ რეჟიმი ეთნიკურ-რელიგიური და ავტოკრატიული იყო. საზოგადოების ამ ნაწილის აზრით, დღის წესრიგში პირველ ადგილზე საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის ლიბერალური ტრანსფორმაცია უნდა ყოფილიყო. მასობრივი პროტესტი გამსახურდიას რეჟიმის წინააღმდეგ გადაიზარდა შეიარაღებულ ამბოხებაში და დასრულდა მისი ქვეყნიდან განდევნით.

გამსახურდიას განდევნის შემდეგ, 1992 წელს, ახალმა მთავრობამ ქვეყნის სამართავად, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის სტატუსით მოიწვია ე.შევარდაძე. შევარდნაძის მმართველობის პირველი წლები დაემთხვა საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი) სიტუაციის გამწვავებას. ამავე დროს, საქართველოში დაბრუნდა განდევნილი პრეზიდენტი ზ. გამსახურდია და დასავლეთ საქართველოს რეგიონებში გააქტიურდნენ ყოფილი პრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული დაჯგუფებები. სამთავრობო ჯარები დამარცხდნენ აფხაზეთში მიმდინარე სამხედრო ოპერაციაში<sup>2</sup>, რასაც შედეგად მოჰყვა ორი სეპარატისტული რეგიონის საქართველოსგან დე-ფაქტო გამოყოფა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი ნაკადი. გარდა ამისა, ქვეყანაში დიდ პრობლემას ქმნიდნენ პარამილიტარისტული დაჯგუფებები, რომლებიც გამსახურდიას რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში ე. შევარდნაძის მოკავშირეები იყვნენ.

საბჭოთა ინტეგრირებული ეკონომიკური სივრცის რღვევის შედეგად, შევარდნაძის მმართველობის პირველ წლებში საქართველოს ეკონომიკამ არნახული კოლაფსი განიცადა. 1992 წელს საქართველოს ეკონომიკა 44%-ით შემცირდა.

რამდენიმე წლიანი სამოქალაქო არეულობის შემდეგ, შევარდნაძის რეჟიმმა მოახერხა პარამილიტარისტული დაჯგუფებების განეიტრალება და სიტუაციის სტაბილიზაცია. 1995 წელს მიღებულ იქნა ქვეყნის კონსტიტუცია, შევარდანაძემ გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში და დაიწყო მკვეთრად გამოხატული პროდასავლური საგარეო პოლიტიკის გატარება. საქართველო გახდა რეგიონში ამერიკის შეერთებული შტატების მნიშვნელოვანი მოკავშირე და ენერგომატარებლების საერთაშორისო პროექტების მონაწილე. 1994 – 1996 წლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობით გატარდა მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაზე და ეკონომიკური სისტემის

<sup>2</sup>სეპარატისტულ რეგიონებს არაფორმალურად დახმარება გაუწიეს რუსეთის სამხედრო წრეებმა და ჩრდილოეთ კავკასიაში მობილიზებულმა პარამილიტარისტულმა დაჯგუფებმა.

## თავი 5.

ტრანსფორმაციაზე მიმართული რადიკალური ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც გულისხმობდა ფისკალური დისციპლინის დამყარებას, ფასებისა და ვაჭრობის ლიბერალიზაციას, ფართო მასშტაბიან პრივატიზებას და ა.შ. ასევე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხარდაჭერით შემოღებულ იქნა ეროვნული ვალუტა – ლარი.

თუმცა, ეს რეფორმები არასაკმარისი აღმოჩნდა; სისტემა ფუნქციონირებდა როგორც ძველი და ახალი, ერთმანეთთან შეუთავსებელი ინსტიტუტების ნაკრები. ამის გამო, პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტები ერთმანეთს არაფორმალური, ქსელური ურთიერთობებით დაუკავშირდა. ქონების მოპოვების და დაგროვების წყარო, უფრო მეტად, იყო არა კონკურენტულ ბაზარზე მოპოვებული უპირატესობა, არამედ რეჟიმთან არაფორმალური, ქსელური ურთიერთობები. სახელმწიფო ბიუროკრატიის ყველა დონეზე გამეფებული კორუფცია ცხოვრების წესი გახდა. ფაქტობრივად, ფორმალური სახელმწიფო ინსტიტუტები ქვეყანაში არ ფუნქციონირებდა. 1998-1999 წლებში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებს შორის საქართველოს ყველაზე დიდი ჩრდილოვანი ეკონომიკა ჰქონდა (მშპ-ს 64%) (Schneider and Enste, 2002).

საზოგადოების დიდი ნაწილი შევარდნადის რეჟიმს სწორედ კორუფციასთან ბრძოლის ლოზუნგით დაუპირისპირდა. 2003 წლის ნოემბერში არჩევნების გაყალბების ბრალდებით დაიწყო მასობრივი გამოსვლები შევარდნადის ხელისუფლების წინააღმდეგ, რაც გადაიზარდა „ვარდების რევოლუციაში“. „ვარდების რევოლუციას“ მოჰყვა შევარდნადის რეჟიმის დასრულება.

2004 წლის იანვარში საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა „ვარდების რევოლუციის“ ლიდერმა, მიხეილ სააკაშვილმა. სააკაშვილის მმართველობის პირველსავე წლებში განხორციელდა სახელმწიფო მართვის სტრუქტურების სწრაფი ოპტიმიზაცია და ეკონომიკის ლიბერალიზაციაზე მიმართული რეფორმები<sup>3</sup>, რამაც შთამბეჭდავი შედეგები მოიტანა. შემცირდა კორუფცია სახელმწიფო სტრუქტურებში, სახელმწიფოს შემოსავლები გაიზარდა \$558 მილიონიდან (2003წ) \$3.3 მილიარდამდე (2008წ); 2007 წელს დაფიქსირდა შიდა პროდუქტის ზრდა -12.4%.

თუმცა, საზოგადოებაში სააკაშვილის რეჟიმთან დაპირისპირების მუხტს

<sup>3</sup> ეკონომიკის ლიბერალიზაციაზე მიმართულ რეფორმებს ატარებდა რეფორმების კონდინაციის მინისტრის, კ. ბენდუქიძის ჯვაფი. ბიზნეს აქტივობებისთვის აუცილებელი ლიცენზიების რაოდენობა შემცირდა 909 -დან 137-მდე; განხორციელდა სტრუქტურული რეფორმა, რომლის მიზანი იყო რაც შეიძლება მეტი კომერციული აქტივობის გატანა სახელმწიფოს გარეთ კერძო სექტორის მიმართულებით; განხორციელდა საგადასახადო სფეროს და შრომის კოდექსის ლიბერალიზაცია.

ქმნიდა სხვა ფაქტორები. სააკაშვილის რეზიმის წინაშე იდგა ობიექტური დილემა: მთავრობას ერთდროულად უნდა გაეტარებინა არაპოპულარული რეფორმები და ამავე დროს უზრუნველყო საზოგადოების და ოპოზიციური სპექტრის ფართო ფენების ჩართულობა პროცესში იმისთვის, რომ არ დარღვეულიყო საზოგადოებრივი კონსენსუსი. დილემა მდგომარეობს იმაში, რომ ფართო საზოგადოების ჩართულობა, დემოკრატიულ პრინციპებზე ორიენტირებული პროცესი და ტექნიკური კომპეტენცია ხშირად ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის და რეფორმების პროცესს აფერხებს. სააკაშვილის რეზიმმა აირჩია ტექნიკურ კონპეტენციაზე დაფუძნებული პოლიტიკა. სახელმწიფო ისნტიტუტების მშენებლობის და სწრაფი მოდერნიზაციის მიზნით განხორციელდა ხელისუფლების კონცენტრაცია აღმასრულებელი შტოს ხელში. სახელმწიფო სექტორში პროცესების ოპტიმიზაციაზე მიმართული რეფორმები წარიმართა სწრაფად და ფორსირებულად, შესაბამისი საკომუნიკაციო კამპანიების გარეშე. ამ პროცესების შედეგად გაჩნდა საზოგადოების საკმაოდ მნიშნელოვანი ნაწილი, რომელიც თავს პროცესებისგან გარიყულად ან უსამართლოდ დაზარალებულად მიიჩნევდა.

გარდა ამისა, სააკაშვილის რეზიმი თავის მისიად მიიჩნევდა საზოგადოებაში კულტურული რევოლუციის ტიპის მენტალური ძვრების განხორციელებას, რაც გაადვილებდა ქვეყნის ინტეგრაციას დასავლეთის კულტურულ სივრცეში. ამან გამოიწვია საფრთხის შეგრძნება საზოგადოების კონსერვატულად განწყობილ ნაწილში. საზოგადოების ამ ნაწილისთვის სააკაშვილის რეზიმთან დაპირისპირება გახდა ეროვნული და რელიგიური იდენტობისთვის ბრძოლის ტოლფასი.

ვერ მოხერხდა, აგრეთვე, სამართლებრივი უნივერსალიზმის გარემოს შექმნა, რაც, თეორიულად ეკონომიკის ლიბერალიზაციის ხელისშემწყობი კორელატი<sup>4</sup> უნდა ყოფილიყო. საზოგადოების ნაწილში გაჩნდა იმის განცდა, რომ ქვეყანაში არსებობს სახელმწიფო ბიუროკრატთა ჯგუფი, რომელიც კანონზე მაღლა დგას.

2007 წელს დაიწყო მასობრივი გამოსვლები სააკაშვილის რეზიმის წინააღმდეგ უსამართლობასთან ბრძოლის ლოზუნგებით. მასობრივი გამოსვლების ფონზე, სააკაშვილის რეზიმის წინააღმდეგ „დემოკრატიზაციის“ ქოლგის ქვეშ გაერთიანდნენ კონსერვატული და ლიბერალური ოპოზიციური ძალები.

<sup>4</sup> ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსები (ფ. ჰაიეკი) სახელმწიფოს უპირველეს ფუნქციას სწორედ სამართლებრივი უნივერსალიზმის უზრუნველყოფაში ხედავდნენ. სამართლებრივი უნივერსალიზმი განიხილებოდა ბაზრის ფუნქციონირების აუცილებელ წინაპირობად.

## თავი 5.

2007 წელს მასობრივი დემონსტრაციის და ოპოზიციური ტელევიზიის დარბევამ საზოგადოებაში არაერთმნიშვნელოვანი რეაქცია გამოიწვია<sup>5</sup>. პრეზიდენტი სააკაშვილი გადადგა პრეზიდენტის თანამდებობიდან და დანიშნა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები. 2008 წლის საპრეზიდენტო და 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებმა დაძაბულობა საზოგადოებაში ვერ განმუხტა. სააკაშვილის რეუიმის მოწინააღმდეგები თვლიდნენ, რომ არჩევნები უსამართლო გარემოში ჩატარდა და ხელისუფლების ლეგიტიმურობას ეჭვევეშ აყენებდნენ.

2011 წელს დაიწყო მზადება ახალი საპარლამენტო არჩევნებისთვის. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები რამდენიმე ფაქტორის გამო იყო მნიშვნელოვანი საქართველოსთვის: 2010 წლს პარლამენტმა მიიღო საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელთა თანახმად, საქართველოში პრეზიდენტის ძალაუფლება იზღუდებოდა და მმართველობა იძენდა საპარლამენტო რესპუბლიკის მახასიათებლებს. აღმასრულებელი ხელისუფლების მთავარი მოქმედი პირი ხდებოდა პრემიერ-მინისტრი და მთავრობა. 2011 წლის ოქტომბერში პოლიტიკაში შემოსვლის შესახებ განცხადება გააკეთა ქართველმა მილიარდერმა – ბიძინა ივანიშვილმა. მის გარშემო შეიქმნა კოალიცია „ქართული ოცნება“, რომელშიც ოპოზიციური სპექტრის რამდენიმე შედარებით გავლენიანი, თუმცა, იდეოლოგიურად არათავსებადი პარტია გაერთიანდა. ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლამ ძალთა ბალანსი შეცვალა. ნაციონალურ მოძრაობას, რომელიც მანამდე უალტერნატივო ძალად მოაიზრებოდა, სუსტი და დაქსაქსული ოპოზიციის ნაცვლად უფრო მობილიზებული მოწინააღმდეგე გამოუჩნდა.

ნინასაარჩევნო კამპანიამ ჩაიარა უაღრესად კონფრონტაციულ და კონსპირაციულ გარემოში. ნაციონალური მოძრაობის მომხრეები ივანიშვილს პრორუსულ ძალად თვლიდნენ და ძირითად საფრთხედ ქვეყნის პროდასავლური კურსიდან გადახვევას მიიჩნევდნენ. ქართული ოცნების მომხრეებს მიაჩნდათ, რომ ნაციონალურ მოძრაობას ჩაფიქრებული ჰქონდა ხელისუფლებაში მ. სააკაშვილის დატოვება ვ. პუტინის მიერ რუსეთში განხორციელებული სცენარის მსგავსი სცენარის მეშვეობით<sup>6</sup>.

<sup>5</sup> სააკაშვილის რეუიმის მომხრეები ამ ქმედებებს წესრიგის აღდგენად და სახელმწიფოს ბუნებრივი ვალდებულებების შესრულებად თვლიდნენ, რეუიმის მოწინააღმდეგები კი – საუბრობდნენ ავტორიტარული ტენდენციების გაძლიერებაზე.

<sup>6</sup> 2008 წელს, პრეზიდენტობის ორი ვადის ამონურვის შემდეგ, ვ. პუტინმა გადაინაცვლა პრემიერ-მინისტრის საგარდელში. თუმცა, მას ისევ ქვეყნის ფაქტობრივ მმართველად მოიაზრებდნენ.

**2012 – საპარლამენტო არჩევნები თუ ცივი სამოქალაქო ომი?**

საზოგადოება უკიდურესად პოლარიზებული იყო. კამპანიაზე დაკვირვება ქმნიდა ისეთ შთაბეჭდილებას, რომ მიმდინარეობს არა საპარლამენტო არჩევნები, არამედ „ცივი“ სამოქალაქო ომი – ქვეყნის თვის ეგზისტენციალური ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის. ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების მომხრეები ერთმანეთის პოზიციას ამორალურად მიიჩნევდნენ. ქართული ოცნების მომხრეები ამორალურად მიიჩნევდნენ, აგრეთვე, იმ ადამიანების პოზიციას, ვისაც გამოკვეთილი პოლიტიკური პრეფერენცია არ ჰქონდა. როგორც ივანიშვილმა ერთ-ერთ საგაზითო ინტერვიუში განაცხადა, „შეუ უნდა გაიკრიფოს“.

დაპირისპირებული<sup>7</sup> პოლიტიკური ლიდერების ემოციური გამოსვლები დატვირთული იყო მძაფრი ნეგატიური სიმბოლიზმით.

ისეთი მოვლენებიც კი, რომლებიც შეიძლება ფაქტების კატეგორიას მივაკუთვნოთ, წინასაარჩევნო კამპანიის პროცესში პოლიტიკური ინტერპრეტაციების საგანი ხდებოდა. მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლებს ყოველთვის მოსდევდა „ოპერატორული ბრძოლები“. პარტიზანული ტელევიზიები პარტორული ხერხების გამოყენებით საპროტესტო გამოსვლის ვიზუალურად უფრო დიდ ან უფრო მცირე სურათებს ქმნიდნენ. პოლიტიკურ დებატებში მონაწილეები იმაზეც კი ვერ თანხმდებოდნენ, დაახლოებით რამდენი ადამიანი მივიდა ამა თუ იმ საპროტესტო აქციაზე. იქმნებოდა „ხალხური“ მათემატიკური ფორმულები აქციაზე მისულთა რაოდენობის დასათვლელად. პოლიტიკური ბრძოლის იარაღი გახდა ფარული ჩანაწერების ჩვენება ან ვებგვერდებზე ატვირთვა. როგორც წესი, ამგვარი ჩანაწერების კონტექსტი და შინაარსი იმდენად ბუნდოვანია, რომ ძალზე ადვილად ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს. საზოგადოება ითხოვდა ამგვარი ჩანაწერების აუთენტურობის დადგენას. მაგრამ აუთენტურობის დადგენის ოპერაციაც აზრს მოკლებული გახდა, რადგან რომელიმე მხარე აუცილებლად გამოუცხადებდა უნდობლობას იმ ორგანიზაციას, რომელმაც ექსპერტიზა ჩაატარა.

წინასაარჩევნო ბრძოლაში ჩართული აღმოჩნდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ინდუსტრია. არჩევნების ნინ გაიმართა ქართული პოლიტიკის თვის ტრადიციული „რეიტინგების მომ“. საჯარო სივრცეში ქვეყნდებოდა სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები, რომლებიც, ხშირად, ენინააღმდეგებოდა ერთმანეთს. სატელევიზიო სტუდიებში იბრძოდნენ სხვადასხვა პოლიტიკოსთან ასოცირებული პოლსტერები და ერთმანეთს პოლიტიკურ მიკერძოებაში სდებენ ბრალს. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებთან დაკავშირებით შეიქმნა აბსურდული სიტუაცია: დებატების

<sup>7</sup> შეხედულებათა პოლარიზება ერთი განზომილების გასწვრივ, გარკვეულწილად, ფუნქციურია იდეოლოგიური დემოკრატიის ჩამოყალიბების თვის. თუმცა, საქართველოს პოლიტიკურ დისკურსში პოლარიზება ატარებს განსხვავებულ ხასიათს. ევროპულ იდეოლოგიურ დისკურსში დაიკვირვება გაზიარებული ინტერპრეტაციული სქემები, პარადიგმები და პოლარიზება ხდება ამ პარადიგმის შიგნით. შეხედულებათა პოლარიზება ხდება ერთი კონტინუუმის გასწვრივ. ქართულ პოლიტიკურ დისკურსში ურთიერთგაზიარებული ინტერპრეტაციები რთული აღმოსაჩენია. პოლიტიკური დებატები მონოლოგების რეჟიმში მიმდინარეობს. პოლიტიკური დებატის მთავარი მიზანია ოპონენტის დელეგიტიმაცია.

## თავი 5.

თემა იყო არა მონაცემების განსხვავებული ინტერპრეტაცია, არამედ დებატები მიმდინარეობდა იმის შესახებ, გაყალბებულია თუ არა მონაცემები. ბოლოს და ბოლოს, მეცნიერული და ტექნიკური ინფორმაციის დამოწმება აზრს მოკლებული გახდა. „დამოუკიდებელმა მეცნიერულმა არგუმენტებმა“ ძალა დაკარგა, რადგან მათი დამოუკიდებლობის არავის სჯეროდა.

ამგვარად, შეიქმნა აბსურდული სიტუაცია, როდესაც პოლიტიკური პრეფერენცია გახდა არა ევრისტიკული იარაღი მოვლენების ინტერპრეტაციის პროცესში, არამედ საზომი იმისა, დაიჯერებდა თუ არა ამომრჩეველი, რომ ესა თუ ის მოვლენა ნამდვილად მოხდა. შეიძლება ვთქვათ, რომ „ფაქტი გაქრა“ და ფაქტების ადგილი დაიკავა ფაქტების პოლიტიკურმა ინტერპრეტაციებმა.<sup>8</sup>

საარჩევნო პროცესებზე დამკვირვებელთა ნაწილის აზრით, სასწორი გადაიხარა „ქართული ოცნების“ მხარეს მას შემდეგ, რაც ტელევიზიებმა უჩვენეს ციხეებში პატიმართა წამების კადრები. ამან გამოიწვია საპროტესტო მოძრაობის ახალი ტალღა და მანამდე ნეიტრალური ამომრჩევლის მობილიზაცია სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მკვეთრად პოლარიზებული წინასაარჩევნო კამპანიის და მასობრივი მობილიზაციის ახალი ტალღის ფონზე, ნაციონალური მოძრაობა დამარცხდა და ქართულმა ოცნებამ მოიპოვა ადგილების უმრავლესობა პარლამენტში. 1990 წლის შემდეგ, ხელისუფლებაში მყოფი ძალა პირველად დამარცხდა დემოკრატიულ არჩევნებში და ხელისუფლება მშვიდობიანად გადასცა ოპოზიციურ ძალას. საპარლამენტო არჩევნების შემდგომი პერიოდი აღინიშნა ქართული რეალობისთვის უპრეცედენტო მოვლენით ე.წ. კოპაბიტაციით. საქართველოს პრეზიდენტის საგარდელს კვლავ მ. სააკაშვილი იკავებდა. საქართველოს კონსტიტუციით მას ჯერ კიდევ ჰქონდა ძალაუფლების მნიშვნელოვანი ბერკეტები. აღმასრულებელი ხელისუფლება გადავიდა მოქმედი პრემიერ-მინისტრის ბ. ივანიშვილის ხელში. ქართულმა ოცნებამ დააკომპლექტა მინისტრთა კაბინეტი. პრეზიდენტმა სააკაშვილმა მოიხსნა ფაქტობრივი პასუხისმგებლობა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე, თუმცა, შეინარჩუნა ვეტოს უფლება. ქვეყანაში შეიქმნა უჩვეულო ვითარება, როდესაც პრეზიდენტმა თავი იპოზიციურ ძალად გამოაცხადა. ამგვარ დაპირისპირებას ქვეყანაში მძიმე დესტრუქციული პოლიტიკური პროცესები არ გამოუწვევია. დაძაბულობის მანიფესტაცია, ძირითადად, პროცედურულ ომებში ხდებოდა. ე.წ. კოპაბიტაციის მდგომარეობა იწვევდა გარკვეულ დაძაბულობას სა-

<sup>8</sup> როგორც ცნობილია, პოსტმოდერნული დისკურსისთვის ზოგადად დამახასიათებელია ინტერპრეტაციების ფრაგმენტაციის მაღალი დონე, მაგრამ ამ შეთხვევაში ჩვენ ვსაუბრობთ ოდნავ განსხვავებულ ფენონებზე:

ზოგადოებაში. გაურკვევლობის ფონი ბიზნეს წრეებში ქმნიდა სტაგნაციურ განწყობას, თითქოს ქვეყნის ეკონომიკა მდგომარეობის განმუხტვის მოლოდინის რეჟიმში გადავიდა. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ახალი კონსტიტუციით პრეზიდენტს აღმასრულებელი ხელისუფლების მნიშვნელოვანი ბერკეტები აღარ ჰქონდა, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს „ქვეყნის დალაგების“ დიდი მოლოდინები უკავშირდებოდა.

საპრეზიდენტო არჩევნებამდე განხორციელდა წინა რეჟიმის რამდენიმე მაღალჩინოსანის დაკავება და პატიმართა ფართომასშტაბიანი ამნისტია. ამნისტიას თან მოჰყვა ამნისტირებულთა საკმაოდ დიდი ნაწილისთვის პოლიტიკური პატიმრის სტატუსის მინიჭება. ახალ ხელისუფლებას მოუწია ორ ურთიერთგამომრიცხავ პოზიციას შორის ბალანსირება. კო-ჰაპიტაციის მდგომარეობა და პარლამენტში ნაციონალური მოძრაობის დიდი ფრაქციის არსებობა გულისხმობდა წინა რეჟიმისა და მისი მმართველი გუნდის ლეგიტიმაციას და მათი დემოკრატიული ფუნქციის დე-ფაქტო აღიარებას. პოლიტიკური პატიმრების არსებობის აღიარება და სისტემური დანაშაულის მხილება, რომელიც საფუძვლად ედო წინა ხელისუფლების ლიდერების გასამართლებას, გულისხმობდა წინა რეჟიმის შეფასებას ავტორიტარულ და არალეგიტიმურ რეჟიმად. ეს ორი მიდგომა დიდწილად ურთიერთგამომრიცხავი იყო.

მიმდინარე პროცესებმა საზოგადოებაში პოლარიზაციის და სამყაროს ორი რადიკალურად განსხვავებული სურათის კონსტრუირების პროცესი გააღრმავა. საჯარო ფიგურების ერთი ნაწილი საუბრობდა მდგომარეობის გამოსწორებაზე დემოკრატიის თვალსაზრისით, მეორე ნაწილი – პოლიტიკურად მოტივირებულ სამართლებრივ დევნაზე და შერჩევით სამართალზე; დაკავებულ მაღალჩინოსნებს ერთი ნაწილი უწოდებდა კრიმინალებს, მეორე ნაწილი – გმირებს; ამნისტირებული პატიმრების გარკვეული წრე საზოგადოების ერთი ნაწილისთვის პოლიტიკურ პატიმრებად აღიქმებოდა, მეორე ნაწილისთვის კი – უცხო ქვეყნის აგენტებად. საზოგადოების რადიკალურად განწყობილი ფენები ითხოვდნენ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ უფრო მკაფრი სამართლებრივი ზომების გატარებას და ნაციონალური მოძრაობის, როგორც პოლიტიკური ძალის დელიგიტიმაციას. ამგვარი მოთხოვნები გამოიხატა განზოგადებული ტერმინით „სამართლიანობის აღდგენა“.

საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდი აღინიშნა საქართველოს რეალობისთვის კიდევ ერთი უჩვეულო მოცემულობით. უმრავლესობიდან წასულმა პოლიტიკურმა პარტიამ – ნაციონალურმა მოძრაობამ, შეინარჩუნა ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი რაოდენობა და ძველი პარტიული ბრენდით კენჭს იყრიდა საპრეზიდენტო არჩევნებში.

საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე ბ. ივანიშვილმა გამოაცხადა, რომ აპირებდა თანამდებობის დატოვებას სპარეზიდენტო არჩევნების შემდეგ, რამაც საპრეზიდენტო არჩევნებს დამატებითი ინტრიგა და საზოგადოების გამძაფრებული მოლოდინები დაუკავშირა.

საპრეზიდენტო არჩევნებისთვის რამდენიმე ათეული კანდიდატი და-რეგისტრირდა, თუმცა, გასაგები იყო, რომ ერთმანეთს დაუპირისპირდებოდა სამი კონკურენტუნარიანი კანდიდატი.

კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ საპრეზიდენტო კანდიდატად წამოა-ყენა მოქმედი განათლების მინისტრი, გიორგი მარგველაშვილი. მარგვე-ლაშვილი საზოგადოებაში პოლიტიკურად ფიგურად არ აღიქმებოდა. ივა-ნიშვილის ხელისუფლებაში მოსვლამდე ის საზოგადოებამ გაიცნო როგორც ექსპერტ-აქტივისტი, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლების ენამოსწრე-ბული კრიტიკით გახდა პოპულარული. განათლების მინისტრის სავარძელი მან ჩაიბარა ივანიშვილის „დაუინებული თხოვნით“. საზოგადოებისთვის და პოლიტიკური კლასის წარმომადგენლებისთვის ცხადი იყო, ივანიშვილის და-დებითი დამოკიდებულება მარგველაშვილის მიმართ გახდა კანდიდატის ლე-გიტიმაციის ძირითადი საფუძველი. მარგველაშვილის კანდიდატურის მხარდამჭერი რაციონალური არგუმენტაცია ამ პროცესს არ მოჰყოლია.

ნაციონალურმა მოძრაობამ ჩაატარა პრაიმერი საქართველოს ექვს დიდ ქალაქში. საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელდა პარლამენტის ყო-ფილი თავმჯდომარე – დავით ბაქრაძე.<sup>9</sup> სააკაშვილის ფონზე, არც ბაქრაძე აღიქმებოდა დამოუკიდებელ, ძლიერ პოლიტიკურ ფიგურად.

მესამე ანგარიშგასანევ ფიგურად საპრეზიდენტო არჩევნების პრო-ცესში ითვლებოდა ოპოზიციური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა-ერთი-ანი საქართველოს“ თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე.<sup>10</sup>

კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კამპანიის პროცესში ნათლად ჩანდა, რომ მისი ლეგიტიმაციის ძირითადი წყარო კოალიციის თავმჯდომარე ბ. ივანიშვილი იყო.<sup>11</sup>

<sup>9</sup>ნაციონალური მოძრაობის მმართველობის ბოლო წლებში, საზოგადოებაში გაფ-რცელებული იყო მოსაზრება, რომ სახელისუფლებო ძალაში არსებობდა ორი ფრთა: „ქორები“ და „მტრედები“. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი, საზოგადოებაში „მტრედების“ ფრთის წარმომადგენლად მოიზრებოდა.

<sup>10</sup>ნ. ბურჯანაძე იყო პარლამენტის თავმჯდომარე, რომელშიც უმრავლესობას ნაცი-ონალური მოძრაობა წარმოადგენდა.

<sup>11</sup>წინასაარჩევნო პროცესის ბოლოს, ბიძინა ივანიშვილმა გამოთქვა გარკვეული უკ-მაყოფილება იმის გამო, რომ გიორგი მარგველაშვილს საკმარისი მხარდაჭერა არ

წინასაარჩევნო კლიპებში მარგველაშვილი გამოჩენდა ივანიშვილთან ერთად. საინტერესოა, რომ ივანიშვილი აქცენტს აკეთებდა არა კანდიდატის იდეოლოგიურ პოზიციაზე, არამედ გ. მარგველაშვილის მორალურ და მენეჯერულ თვისებებზე. (მაგ. „როგორი მეურნე კაცი მოდის, როგორი მენეჯერი“, „დღეს ჩვენ ძალიან ღირსეულ კაცს ვირჩევთ, საქართველოს ეყოლება ძალიან ღირსეული პრეზიდენტი“).

მარგველაშვილის წინასაარჩევნო კამპანიის დროს ნათლად ჩანდა, რომ ამ ეტაპზე „ქართული ოცნება“ არის ის ძალა, რომელმაც „ხალხის“ სახელით ლაპარაკის „ლიცენზია“ მოიპოვა. მისი წინასაარჩევნო კლიპები მიმდინარეობდა ადამიანებთან შეკრების ფონზე, ხოლო კამპანიის ძირითადი ლოზუნგი იყო: „ძალიან ნათლად უნდა გამოჩენდეს, რომ ხალხი და მთავრობა ერთადაა“. პრეზიდენტობის სამი კანდიდატიდან მარგველაშვილი იყო სწორედ ის კანდიდატი, რომელიც ცდილობდა არ დაეკავებინა გამოხატული იდეოლოგიური პოზიცია და ყოფილიყო ელექტორალურ ცენტრთან ყველაზე ახლოს. იგი აწარმოებდა „ნათელი მიზნების“ და არა მათი მიღწევის გზების არტიკულაციას. მის გამოსვლებს ახასიათებდა ზოგადობის და ბუნდოვანების მაღალი ხარისხი<sup>12</sup>.

---

ჰქონდა საზოგადოებისგან, რაც პირადად მის იმდეგაცრუებას იწვევდა. მან საზოგადოებას წარმოუდგინა იმის შესაძლებელი სცენარი, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ქართული ოცნების მიერ პოლიტიკური სცენის დატოვებას. პოზიციური პარტიების და საზოგადოების ნაწილმა ეს აღიქვა, როგორც პოლიტიკური შანტაჟი.

<sup>12</sup> ურნალისტის შეკითხვა: „რა გესახებათ თქვენი, როგორც საქართველოს პრეზიდენტის ყველაზე დიდ ამოცანად? გ. მარგველაშვილის პასუხი: „საქართველო ამ ხუთი წლის შემდეგ, ჩემი პრეზიდენტობის ვადის დასასრულს, შემდეგნაირად მესახება: ესაა დემოკრატიული ქვეყანა, სადაც დაცულია ადამიანის ყველა – პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ეკოლოგიური უფლება; ქვეყანა, რომელსაც აქვს სტაბილური ეკონომიკური განვითარების ვექტორი; დაძლეულია უმუშევრობის პრობლემა; ადამიანები იღვნიან და შრომობენ მშვიდობისა და კეთილდღეობის გაძლიერებისთვის; ქვეყანა, რომელიც საიმედო პარტიიორია მსოფლიო თანამეგობრობისთვის; სადაც ვითარდება საზოგადოების სრულფასოვანი, ღირსეული ცხოვრების ყველა სფერო: კულტურა, მეცნიერება, სპორტი, მედია და ა.შ.; სადაც სამოქალაქო საზოგადოება ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად ვითარდება, თუმცა მუდმივად აკონტროლებს მას; სადაც ბიზნესის ინტერესები დაცულია და მენარმეობის განვითარებისთვის ყველა პირობაა შექმნილი; სადაც სახელმწიფო ზრუნავს მოქალაქეებზე; პოლიტიკური ვითარება სტაბილურია; ტერიტორიული პრობლემებისა და კონფლიქტების მოგვარებისკენ გადადგმულია ქმედითი ნაბიჯები; განვითარების ევროპული ვექტორი სტაბილური და შეუქცევადია და არავის ეჭვს არ იწვევს არც ჩვენში, არც ქვეყნის გარეთ“.

## თავი 5.

ბაქრაძის წინასაარჩევნო რიტორიკა უკავშირდებოდა ქვეყნის განვითარების დასავლური ვექტორის გაძლიერებას. ქვეყნის ყველა სფეროს წინსვლა მიზეზ-შედეგობრივად უკავშირდებოდა დასავლური ვექტორის განვითარებას. ბაქრაძის წინასაარჩევნო კამპანია, იდეოლოგიური თვალსაზრისით, უფრო თანმიმდევრული იყო და ეკონომიკის განვითარების მემარჯვენე ხედვის არტიკულაციას ანარმოებდა (გადასახადების შემცირება, ახალ რეგულაციებზე უარის თქმა, ეკონომიკის ამნისტირება, სტაბილური საინვესტიციო გარემოს შექმნა და ა.შ). ბაქრაძის წინასაარჩევნო კამპანიაში ყველაზე მაღალი იყო ე.ნ. ნეგატიური კამპანიის ხვედრითი წილი. ბაქრაძის კამპანია აქცენტებს სვამდა ივანიშვილის მთავრობის არაეფექტოან, არაპროფესიონალურ მმართველობასა და შეუსრულებელ დაპირებებზე.

ბურჯანაძემ რადიკალური პოზიცია დაიკავა ე.ნ. „სამართლიანიანობის აღდგენის“ საკითხში და გარკვეულწილად, გახდა იმ ელექტორატის მიზიდულობის ცენტრი, რომელიც მოითხოვდა ნაციონალური მოძრაობის, როგორც პოლიტიკური ძალის დელეგიტიმაციას. გარდა ამისა, ბურჯანაძემ დაიწყო საქართველოს პროდასავლური საგარეო კურსის ეჭვქვეშ დაყენება და რუსეთთან დაახლოებაზე მიმართული პოზიციის ღიად არტიკულირება. ამგვარი პოზიცია, ქართული პოლიტიკური სპექტრის დიდ ნაწილში ცუდ ტონად თვლებოდა.

### საარჩევნო ქცევის რაოდენობრივი კვლევა

2013 წლის წინასაარჩევნო განწყობების ამსახველი მოსახლეობის რაოდენობრივი კვლევა მიმდინარეობდა 2013 წლის 1 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრამდე. (რესპონდენტთა შერჩევის მეთოდოლოგიის შესახებ იხ. დანართი). კვლევა მიზნად ისახავდა საარჩევნო ქცევის ანალიზს პოლიტიკურ დღის წესრიგთან მიმართებაში. რაოდენობრივ კვლევას წინ უძღვოდა მედიის ანალიზი, რომელმაც გამოავლინა ის საკითხები, რომლებიც 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში პოლიტიკურ დღის წესრიგს ქმნიდა. განხორციელდა პოლიტიკური დღის წესრიგის ძირითადი თემების ოპერაციონალიზაცია და კვლევის ინსტრუმენტში ასახვა.

გარდა ამისა, კითხვარში ჩავრთეთ ბაზისური ღირებულებების გამოვლენაზე მიმართული კითხვები. ამ კითხვების მიზანი იყო რესპონდენტის პოზიციის გამოვლენა შემდეგ განზომილებებზე: უნივერსალიზმი-პარტიკულარიზმი; მემარცხენეობა-მემარჯვენეობა; მაჟორიტარიზმი – რესპუბლიკანიზმი; კონტროლის ლოკუსი. ამ განზომილებების ჩართვა

კვლევის პროცესში მოხდა იმ ვარაუდით, რომ რესპონდენტის ღირებულებებს და პოლიტიკურ დღის წესრიგში არსებული თემების მიმართ დამოკიდებულებას შორის კოჰერენტული კავშირი გამოვლინდებოდა.

კითხვარი მოიცავდა, აგრეთვე, სოციო დემოგრაფიულ და მედია ბლოკებს. ჩვენ ვაკვირდებოდით კავშირს ამ ბლოკებში შემავალ ცვლადებსა და რესპონდენტის პოლიტიკურ პრეფერენციებს შორის. (იხ, დანართი # 1 – შერჩევის მოდელი; დანართი # 2 – კითხვარის სრული ვერსია).

**მოსახლეობის ზოგადი განწყობები (attitudes):** კვლევის მონაცემების თანახმად, წინასაარჩევნო პერიოდში რესპონდენტთა 47%<sup>13</sup> თვლიდა, რომ მოვლენები ქვეყანაში სწორი მიმართულებით ვითარდება. 24.1% მიიჩნევდა, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით მიდის.

კვლევამ გამოავლინა, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის დამახასიათებელი პოლარიზაციის ძლიერი მუხტი, ნაწილობრივ, შენარჩუნებული იყო საპრეზიდენტო არჩევნების წინ. გამოკითხულთა ერთ მეოთხედზე ოდნავ მეტი (26%) ქვეყანაში წინა და ახალი რეჟიმის მომხრეების მშვიდობიანი თანაარსებობის მომხრეა და კოპაბიტაციას პოლიტიკური დაპირისპირების და ერის გამოლიანების შანსად მიიჩნევს. 32% მიიჩნევს, რომ დღეს ოპოზიციაში მყოფი ნაციონალური მოძრაობა უნდა გაძლიერდეს, რათა ქვეყანამ განვითარების სწორ კურსს არ გადაუხვიოს. წინა რეჟიმის მიმართ უარყოფითად განწყობილთა ხვედრითი წილი, გარკვეულილად, ასახავს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს. გამოკითხულთა 58% მიიჩნევს, რომ ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკაში არ უნდა დარჩეს. წინა რეჟიმის მიმართ უფრო რადიკალურად განწყობილთა ხვედრითი წილი 31%-ია. რესპონდენტთა ეს კატეგორია დადებითად აფასებს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ რაიონულ გამგეობებში ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელთა შევიწროებას.

სამართლებრივ სისტემაში მიმდინარე პროცესების და სამომავლო სტრატეგიების შეფასებაში საზოგადოებრივი აზრი თითქმის თანაბრად იყოფა: რესპონდენტთა 29% თვლის, რომ მ.სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში დანიშნული მოსამართლეების საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია მათი ვადის ამონურვამდე. ამ პოზიციას არ იზიარებს გამოკითხულთა 30%. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პატიმართა მასობრივი ამნისტიის ფაქტს დადებითად აფასებს გამოკითხულთა 43%, უარყოფითად კი – 33%. საქართველოში პრეზიდენტის უფლებების შეზღუდვაზე მი-

<sup>13</sup> 47% მმართველობაში ახლადმოსული რეჟიმისთვის საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. წინა რეჟიმების შესაბამისი მაჩვენებელი უფრო მაღლაი იყო.

## თავი 5.

მართულ საკონსტიტუციო ცვლილებებს გამოკითხულთა უმრავლესობა (53%) დადებითად აფასებს.

ამგვარად, საპრეზიდენტო არჩევნების წინ, საზოგადოებაში პოლარიზების მაღალი დონე შენარჩუნებულია. თუმცა, საინტერესოა, რომ სამართლიანი ურთიერთობების დალაგებას ქვეყნის მთავარ პრიორიტეტად მხოლოდ 3% მიიჩნევს. ამომრჩეველთა ძირითადი ნაწილის მოლოდინები უკავშირდება სამუშაო ადგილების შემქნას (31%), სოციალური პროგრამების განხორციელებას (26%), ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას (13%) და ტერიტორიული მთვლიანობის აღდგენას (13%)<sup>14</sup>. პრობლემები, რომლებიც ეკონომიკასთან არ არის დაკავშირებული (დემოკრატიის გაძლიერება, ადამიანის უფლებების დაცვა) გამოკითხულთა უმნიშვნელო რაოდენობის ყურადღებას იპყრობს (იხ. დანართი #2).

კვლევის მონაცემების მიხედვით, საპრეზიდენტო არჩევნებამდე 2-3 კვირით ადრე, ამომრჩეველთა 42%-ს არ ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ ვის მისცემდა ხმას საპრეზიდენტო არჩევნებში. თუმცა, ჩანდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მოგების ყველაზე მეტი შანსი მარგველაშვილს ჰქონდა. კვლევის მონაცემების თანახმად, საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის მას ყველაზე მეტი მხარდამჭერი (36%) ჰყავდა. ბაქრაძის და ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი, ფაქტობრივად, ერთმანეთს ემთხვეოდა (დ. ბაქრაძე – 15%; ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – 13%). ქართული ოცნების მომხრეთა ხვედრითი წილი (44%) აღმატება იმ რესპონდენტთა ხვედრით წილს, რომლებსაც მარგველაშვილი საუკეთესო კანდიდატად მიაჩნიათ.

თუ გავითვალისწინებთ კვლევის იმ მონაცემებს, რომლებიც წინა რეჟიმის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების მაღალ ხარისხს ავლენდა, ნათელია, რომ მარგველაშვილის რესურსი იყო ამომრჩევლის მოსალოდნელი სტრატეგიული ქცევა. სტრატეგიული ქცევა წინა რეჟიმის მიმართ უარყოფით მობილიზაციაში გამოვლინდებოდა.

**საარჩევნო ქცევის ძირითადი მასტრუქტურირებელი ღერძები:** კვლევის მონაცემების შემდგომი ანალიზისთვის ჩვენ გამოვიყენეთ საარჩევნო ქცევის ორგანზომილებიანი სივრცული მოდელი. ორგანზომილებიანი მოდელი აიგო ამომრჩეველთა პოლიტიკური პრეფერენციების საფუძველზე. მოდელის აგებისას იგულისხმება, რომ ამომრჩევლის ქცევა რაციონალურია და

<sup>14</sup> სამუშაო ადგილების შექმნა, ბოლო 15 წლის მანძილზე, პრიორიტეტების სიაში პირველ ადგილს ინარჩუნებს, რაც შეეხება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ბოლო წლებში ამ პრობლემამ აქტუალობა დაკარგა მოსახლეობის გარკვეული ხაწილისთვის.

მის მიერ პარტიის ან კანდიდატის მხარდაჭერას განაპირობებს პოლიტიკური პლატფორმის მიმართ იდეოლოგიური ან თემატური სიახლოვე.

საარჩევნო ქცევის მასტრუქტურირებული ღერძების იდენტიფიკაციისთვის, ჩვენ განვახორციელეთ იმ ცვლადების ფაქტორული ანალიზი, რომლებიც ასახავს ამომრჩევლის დამოკიდებულებას პოლიტიკურ დღის წესრიგში არსებული თემების მიმართ. ფაქტორულმა ანალიზმა გამოავლინა რესპონდენტების საარჩევნო ქცევის განმსაზღვრელი ორი ძირითადი ღერძი:

1. ღერძი დასავლეთი – ანტიდასავლეთი: დასავლეთის მიმართ დამოკიდებულების ამსახველ ცვლადებს აქვთ ძლიერი დისკრიმინაციული პოტენციალი ამომრჩეველთა ქცევის ანალიზისას. ამომრჩეველთა დამოკიდებულება ნატოსთან და ევროკავშირთან საქართველოს თანამშრომლობის მიმართ აყალიბებს ორგანზომილებიანი სივრცული მოდელის ერთ ღერძს.

2. წინა რეჟიმისადმი დამოკიდებულების ღერძი: ესაა ფაქტორი, რომელიც თავისი შინაარსით ახლოსაა თემასთან, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმის მოწინააღმდეგები საჯარო დისკურსი მოიხსენიებდნენ, როგორც „სამართლიანობის აღდგენას“. ამ ფაქტორის შემადგენლებია: ა) დამოკიდებულება პრეზიდენტის ინსტიტუტის შეზღუდვის მიმართ, ბ) დამოკიდებულება განხორციელებული ფართომასშტაბიანი ამნისტიის მიმართ, გ) დამოკიდებულება ნაციონალური მოძრაობის ყოფილი მაღალჩინოსნების პასუხისმგებლობაში მიცემის მიმართ. თუ ვივარაუდებთ, რომ მმართველობის საპრეზიდენტო ფორმისადმი დამოკიდებულება არის სააკაშვილის რეჟიმის მიმართ დამოკიდებულების პროექცია, შეიძლება ეს ღერძი განვიხილოთ, როგორც წინა რეჟიმის მიმართ დამოკიდებულების ღერძი.


## თავი 5.

ცხრილი #1. ფაქტორული წონები<sup>15</sup>

n=1000	კომპონენტი	
	რეჟიმი	დასავლეთი
P1 ნატო	-,126	,874
P2 ევროკავშირი	,030	,886
P10 მაღალჩინოსნების დასჯა	,782	-,099
E12 საპრეზიდენტო ძა- ლაუფლების შეზღუდვა	,799	,006
E11 ამნისტია	,798	-,034
% of Variance	38,1%	31,2%
Cumulative %	39,7%	69,3%

ქვემოთ მოცემული გამოსახულება გვიჩვენებს პრეზიდენტობის კანდიდატების განლაგებას ორი ფაქტორით ფორმირებულ ორგანზომილებიან სივრცეში. პრეზიდენტობის კანდიდატების პოზიციები შეესაბამება ამომრჩეველთა შეფასებების საშუალო მაჩვენებლებს და არა კანდიდატების მიერ წინასა-არჩევნო კამპანიის პროცესში არტიკულირებულ პოზიციებს.

გრაფიკი #1. ამომრჩეველთა განაწილება ორგანზომილებიან სივრცეში



<sup>15</sup> Extraction Method: Principal Component Analysis. Rotation Method: Varimax with Kaiser Normalization

მოცემულ ორგანზომილებიან სივრცულ მოდელში მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს შემდეგ ტენდენციებს:

- ღერძების ფორმირება არ მოხდა პარტიული დემოკრატიისთვის ტიპური იდეოლოგიური განზომილებების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ამომრჩევლისთვის ყველაზე პრიორიტეტულია ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, ამ პრობლემებისა გადაჭრისადმი განსხვავებული (მემარჯვენე, მემარცხენე) მიდგომები მნიშვნელოვან წყალგამყოფ ხაზებს (cleavages) საზოგადოებაში ვერ ქმნის.
- ორგანზომილებიან სივრცეში ცენტრთან უფრო ახლო პოზიცია აქვს მარგველაშვილს ბაქრაძესთან შედარებით. ეს მეტ-ნაკლებად ასახავს საარჩევნო კამპანიის თავისებურებებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გ. მარგველაშვილის კამპანია იყო პოპულისტული და ნაკლებად იდეოლოგიზებული.

მარგველაშვილის ცენტრისტული პოზიციის ინტერპრეტირება შესაძლებელია, აგრეთვე, ვალენტობის ცნების მოშველიებით, რომელიც შემოაქვთ საარჩევნო ქცევის თანამედროვე თეორეტიკოსებს (Schoffled, 2009). ვალენტობის ცნება ესმიანება იდეოლოგიური პოლიტიკის ლიდერებზე ორიენტირებული პოლიტიკით ჩანაცვლების პროცესს<sup>16</sup>.

თუ ვივარაუდებთ, რომ 2013 წელს ხდებოდა ივანიშვილის და სააკაშვილის ვალენტობის პროეცირება საპრეზიდენტო კანდიდატებზე, ნათელია, რომ მარგველაშვილი აღიქმება უფრო მაღალი ვალენტობის კანდიდატად.

<sup>16</sup> სკოფილდის მიხედვით, კანდიდატის (პარტიის) ვალენტობა არის ამომრჩევლის წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რამდენად შეუძლია კანდიდატს (პარტიას) გაუმკლავდეს ქვეყნის წინაშე არსებულ სერიოზულ პრობლემებს. ამომრჩეველი ირჩევს კანდიდატს (პარტიას), რომელსაც, მისი აზრით, შეუძლია წარმატებით გადაწყვიტოს პრობლემები. ვალენტობის შემადგენელია ამომრჩევლის შეხედულებები ლიდერების კომპეტენციის, წესიერების ან „ქარიზმის“ შესახებ. საარჩევნო ქცევა მხოლოდ პოლიტიკურ პრეფერენციებს რომ ეფუძნებოდეს, სახეზე გვექნებოდა ყველა კანდიდატის (პარტიის) ცენტრისკენული (ამომრჩევლის პოზიციების ცენტრი) ტენდენცია. როდესაც ანალიზს ვალენტობის ფაქტორი ემატება, ჩანს ცენტრიდანული ტენდენციები და კანდიდატის (პარტიის) პოზიციის ცენტრიდან დაშორება სწორედ კანდიდატის ვალენტობაზეა დამოკიდებული. კანდიდატები, რომელთა ვალენტობა მცირეა, ცენტრიდან დაშორებულ პოზიციას იკავებენ. ზოგიერთ შემთხვევაში, ნაკლებად ვალენტური კანდიდატისთვის (პარტიისთვის) ამომრჩევლის ხმების მაქსიმიზაციისთვის რაციონალური პოზიცია ელექტორალურ პერიფერიაზეა. მისთვის უფრო რაციონალურია მოპოვოს საკმარისი ხმები ამა თუ იმ საკითხზე რადიკალური პოზიციის არტიკულაციისთვის.

ამიტომ, სკოფილდის მიდგომით მისთვის ცენტრთან ახლოს პოზიციის დაკავება იყო უფრო რაციონალური.

- კვლევის მონაცემები უჩვენებს, რომ ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილი იკავებს პოზიციებს ცენტრთან ახლოს. ამგვარი ვითარება შეიძლება იყოს იმის მიმანიშნებელი, რომ პოლიტიკური დღის წესრიგის თემები მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ირელევანტურია და მათი ინტერესები რეპრეზენტირებული არ არის. მოდელში წარმოდგენილი ორივე ლერძი ხსნის ამ კატეგორიის რესპონდენტების ქცევის ვარიაბელობის 0.2%-ს.
- ბაქრაძის საარჩევნო კამპანიის პროცესში არტიკულირებული პოზიცია მეტ-ნაკლებად ემთხვევა მისი ამომრჩევლების პოზიციას. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ბაქრაძეს უფრო კონსოლიდირებული და პროდასავლურად ორიენტირებული ამომრჩეველი ჰყავს, ვიდრე დანარჩენ ორ კანდიდატს. რაც შეეხება მარგველაშვილის და ბურჯანაძის<sup>17</sup> პოზიციებს, მათი პოზიციები ორგანზომილებიან სივრცეში მნიშვნელოვნად განსხვავდება საარჩევნო კამპანიის პროცესში არტიკულირებული პოზიციებისგან. კერძოდ, მარგველაშვილის წინასაარჩევნო რიტორიკა პროდასავლური იყო, მაგრამ მისი ამომრჩევლების შეფასებების ცენტრი იმყოფება დასავლეთის ღერძის ცენტრთან ახლოს, მაგრამ ანტიდასავლურ ნახევარში<sup>18</sup>. ბურჯანაძე წინასაარჩევნო კამპანიის პროცესში მოითხოვდა წინა რეჟიმის დელიგიტიმაციას და მისი წარმომადგენლების მკაფრ დასჯას, მაგრამ წინა რეჟიმთან დამოკიდებულების ღერძზე მისი პოზიცია ცენტრთან ახლოსაა. როგორც ჩანს, ბურჯანაძის ფიგურა უფრო მიმზიდველი აღმოჩნდა იმ ამომრჩევლისთვის, რომლისთვისაც ანტი-

<sup>17</sup> ნ. ბურჯანაძის პოტენციურ ამომრჩეველთა რაოდენობა კვლევაში საკმაოდ მცირეა, რის გამოც, ამომრჩევლების ამ ჯგუფთან მიმართებაში გაკეთებული დასკვნების სტატისტიკური სანდოობა კლებულობს. თუმცა, ჩვენ მაინც აღვწერთ იმ ტენდენციებს, რომლებიც საინტერესოდ გვეჩვენება.

<sup>18</sup> როგორც აღინიშნა კვლევა ჩატარდა არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე და მარგველაშვილის რეიტინგი ასახავს ამ პერიოდის მდგომარეობას. არჩევნების შედეგად „ქართულმა ოცნებამ“ მოახერხა მერყევი ამომრჩევლის დიდი ნაწილის მობილიზება. კვლევის მონაცემების კროსტაბულაციური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამომრჩევლის ეს ნაწილი უფრო პროდასავლურია, ვიდრე ის ნაწილი, რომელსაც კვლევის მომენტისთვის უკვე არჩეული ჰყავდა გ. მარგველაშვილი. ეს ფაქტი საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ არჩევნების შედეგების მიხედვით დ. ბაქრაძის და გ. მარგველაშვილის პოზიციები დასავლეთის ღერძზე უფრო მეტად დაუახლოვდებოდა ერთმანეთს.

დასავლური პოზიცია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე წინა რეჟიმთან ანგარიშის გასწორება.

ისმის შეკითხვა: რატომ ირჩევს ამომრჩეველი, რომელიც პროდასავლურად არ არის განწყობილი მარგველაშვილს და არა ბურჯანაძეს? ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც ამგვარ ქცევას განაპირობებს შეიძლება იყოს შემდეგი: ანტიდასავლურად ორიენტირებული ელექტორატის ნაწილისთვის რეჟიმის ღერძი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დასავლეთზე ორიენტაციის ღერძი. ამიტომ ის ახორციელებს სტრატეგიულ ქცევას: ირჩევს ისეთ კანდიდატს (მარგველაშვილი), რომლის პოტენციალი დაამარცხოს ნაციონალურ მოძრაობის კანდიდატი უფრო მაღალია. ჩვენ ვარაუდს ადასტურებს შემდეგი მონაცემები, რომლებიც აღწერს ორი ღერძის შედარებით ახსნით პოტენციალს.

- მონაცემთა რეგრესიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ორ სივრცულ ღერძს შორის საარჩევნო ქცევის უფრო ძლიერი ამხსნელია **რეჟიმთან დამოკიდებულების ღერძი:** კერძოდ, ორივე ღერძი ერთად ხსნის ბაქრაძის ამომრჩეველთა ქცევის ვარიაბელობის 37%-ს ( $r = 0.37$ ). თუ ამ 37% -ს ჩავთვლით 100%-ად და გამოვთვლით თითოეული ღერძის ამხსნელობით პოტენციალს, გამოვა, რომ ბაქრაძის ამომრჩეველთა ქცევის ვარიაბელობის 67% ( $r = 0.67$ ) იხსნება წინა რეჟიმისადმი დამოკიდებულებით, ხოლო 33% ( $r = 0.33$ ) – პროდასავლური ორიენტაციის ღერძით.

რაც შეეხება, გ. მარგველაშვილის ამომრჩევლებს, ორივე ღერძი ერთად, ხსნის მათი საარჩევნო ქცევის ვარიაბელურობის 20%-ს ( $r = 0.2$ ); ღერძების ამხსნელობითი პოტენციალის თანაფარდობა დაახლოებით ისეთივეა, როგორც ბაქრაძის შემთხვევაში: წინა რეჟიმისადმი დამოკიდებულების ღერძით იხსნება ქცევის ვარიაბელობის 68% ( $r = 0.68$ ), ხოლო დასავლური ორიენტაციის ღერძით – 32% ( $r = 0.317$ ).

როგორია დამოკიდებულებაა რესპონდენტების სოციო დემოგრაფიულ მახასიათებლებს და მათ საარჩევნო პრეფერენციებს შორის? მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ სოციო-დემოგრაფიული ცვლადების ამხსნელობითი პოტენციალი ძალიან დაბალია. კერძოდ, ოთხი ცვლადი (რესპონდენტის განათლების ცენზი, რესპონდენტის ოჯახის მატერიალური მდგომარეობა, ასაკი და დასახლებული პუნქტის სიდიდე), ერთობლივად ხსნის ბაქრაძის

## თავი 5.

ამომრჩეველთა ქცევის ვარიაბელობის მხოლოდ 3%-ს და მარგველაშვილის ამომრჩეველთა ქცევის ვარიაბელობის მხოლოდ 5%-ს.<sup>19</sup>

აღნერილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ დასავლეთში პარტიულ-რეპრეზენტატული დემოკრატიის „ოქროს ხანაში“ დაკვირვებადი<sup>20</sup> კავშირები რესპონძენტის სოციო-დემოგრაფიულ პოზიციასა და საარჩევნო ქცევას შორის საქართველოში არ არის გამოხატული. ეს შეიძლება ჩავთვალოთ იმის ინდიკატორად, რომ პარტიული დემოკრატიისთვის დამახასიათებელი რეპრეზენტაციის ფორმა საქართველოში არ არსებობს.

საინტერესოა, რომ სოციო-დემოგრაფიულ ცვლადებთან შედარებით უფრო ძლიერი ამხსნელი პოტენციალი გააჩინია რეგიონალურ ცვლადებს. კერძოდ, რესპონძენტის პოზიციას რეჟიმისადმი დამოკიდებულების ღრეულზე რეგიონის ცვლადი ხსნის – 35%-ით ( $r = 0.347$ ). ამგვარი კავშირები დაიკვირვებოდა 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროსაც. მაგ. სააკაშვილის რეჟიმს ყველაზე მაღალი მხარდაჭერა ჰქონდა სამეგრელოს რეგიონში.<sup>21</sup> გარდა ამისა, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში აშკარა იყო ამომრჩეველთა დაყოფა დედაქალაქის, დიდი ქალაქებისა და სოფლების პრიციპით. ამას მკლევართა ნაწილი ხსნის ინფორმაციის უფრო მეტი ხელმისაწვდომობით ქალაქებში; ნაწილი კი იმ ფაქტით, რომ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში რეგიონებში სახელმწიფო ინსტიტუტები ამუ-

<sup>19</sup> როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბურჯანაძის ამომრჩეველთა რაოდენობა შერჩევაში დაბალია, ამის გამო, მასთან დაკავშირებული მონაცემები სტატისტიკური სანდოობის მაღალი დონით არ ხასიათდება. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ სოციო-დემოგრაფიული ცვლადების ამხსნელობითი პოტენციალი 6. ბურჯანაძის შემთხვევაში ოდნავ უფრო მაღალია (10%). მისი ამომრჩეველი უფრო ასაკოვანია და განათლების ნაკლები ცენზით, დაბალი ეკონომიკური მდგომარეობით ხასიათდება. გარდა ამისა, დიდი ქალაქების მაცხოვრებლებს შორის ბურჯანაძის უფრო ნაკლები ამომრჩეველი ჰყავს, ვიდრე პრეზიდენტობის დანარჩენ ორ კანდიდატს.

<sup>20</sup> როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, ამგვარი კავშირები უფრო ძლიერი იყო 1970-იან წლებამდე, როდესაც დასავლური დემოკრატია პარტიული რეპრეზენტაციის მოდელით აღინერებოდა.

<sup>21</sup> ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის რეგიონული მხარდაჭერა შეიძლება აიხსნას კონკრეტული ისტორიული კონტექსტით. მაგ. ყოფილ პრეზიდენტს, ზ. გამსახურდიას ყველაზე დიდი მხარდაჭერა ჰქონდა თავის მშობლიურ რეგიონში – სამეგრელოში. ე. შევარდნაძის მმართველობის პირველ წლებში სწორედ ეს რეგიონი დაზარალდა ყველაზე მეტად პარამილიტარისტული უკონტროლო ჯგუფების თარეშით. ამ ფაქტის გამო, სამეგრელოში ე. შევარდნაძის საწინააღმდეგო ძლიერი განწყობა არსებობდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს განწყობა იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც განაპირობებდა ამ რეგიონის მხარდაჭერას მ. სააკაშვილის რეჟიმის მიმართ.

შავდა და რეგიონალური ინფრასტრუქტურის მდგომარეობა და ცხოვრების ხარისხი მკვეთრად გაუმჯობესდა.

**მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოვლინდა ჩვენი კვლევისთვის ყველაზე საინტერესო კავშირი:** რეჟიმისადმი დამოკიდებულების ღერძზე რესპონდენტის პოზიციის პოვნობის უფრო ძლიერი ფაქტორი აღმოჩნდა რესპონდენტის, როგორც ტელემაყურებლის პოზიცია. რესპონდენტის ვარიაბელობას ამ ღერძზე 40%-ით ( $r = 0.4$ ) ხსნის ამა თუ იმ ტელევიზიისადმი ნდობის მაჩვენებელი.

ბაქრაძის ამომრჩეველთა 95%-სთვის სანდო ტელევიზია „რუსთავი-2“; გ. მარგველაშვილის ამომრჩევლების 73%-სთვის კი სანდო ტელევიზია „მაესტრო“.

თუ მოცემულ მაჩვენებელს შევადარებთ სოციო-დემოგრაფიული ცვლადების ამხსნელ პოტენციალს, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში სახეზე გვაქვს სიტუაცია, რომლის აღწერა სატელევიზიო დემოკრატიის ტერმინებში უფრო ადექვატურია, ვიდრე რეპრეზენტატული დემოკრატიის ტერმინებში.

რა თქმა უნდა კაუზალობის (causality) მიმართულებაზე ვერაფერს ვიტყვით. ჩვენ ვერ ვამტკიცებთ იმას, რომ კონკრეტული პარტიზანული ტელევიზია განსაზღვრავს მისი მაყურებლის პოლიტიკურ პოზიციას. შეიძლება პირიქითაც იყოს: ამომრჩეველი იმ ტელევიზიას უფრო ენდობა, რომელიც მის პოლიტიკურ პრეფერენციებს გამოხატავს. ნებისმიერ შემთხვევაში, სახეზე გვაქვს ორ ფაქტორს შორის ძლიერი კავშირი, რომელსაც შეიძლება ბიკაუზალური, რეზონაციული კავშირი ვუწოდოთ. ამ კავშირის რეზონაციულობა მდგომარეობს შემდეგში: დამყარდა რა კავშირი ორ ფაქტორს შორის, ეს ორი ფაქტორი იწყებს ერთმანეთის გაძლიერებას. თუ ქართული მედია სივრცის პოლარიზების<sup>22</sup> მაღალ დონეს მივიღებთ მხედველობაში, შეიძლება

<sup>22</sup> შეიძლება ითქვას, რომ ქართული მედია პოსტმოდერნული სამყაროს ავანგარდშია ნარატივების ფრაგმენტაციის ხარისხით. ქართული ტელევიზიების მიერ შექმნილი ნარატივები და სამყაროს სურათები ერთმანეთის მიმართ პარალელურ სივრცეშია. პოლიტიკოსების „გაბუტვა“ არამეგობრულად განწყობილი ტელევიზიების მიმართ, საქართველოში ჩვეული პრაქტიკაა. შედეგად ვიღებთ იმას, რომ ამა თუ იმ ტელევიზიის მაყურებელი ისმენს მხოლოდ ერთ პოლიტიკურ პოზიციას. ამ ჯაჭვის შემდეგი რგოლია ფრაგმენტირებული ნარატივების უფრო მეტად კრისტალიზება, მათი ქცევა რიგიდულ ევრისტიკულ იარაღებად და შემდეგ ფაქტების აღქმა ამ ევრისტიკული ინსტრუმენტების გამოყენებით, რისი მოწმეც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ გავხდით.

## თავი 5.

ითქვას, რომ ეს რეზონაციული კავშირი საზოგადოებაში ურთიერთგაზია-რებული ინტერპრეტაციების ძიების პროცესს ნამდვილად არ უწყობს ხელს.

**იდეოლოგება: მემარჯვენე – მემარცხენე:** როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვლევამ გამოავლინა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობისთვის ყველაზე აქტუალურია ქვეყნის ეკონომიკასთან და სოციალურ პოლიტიკასთან და-კავშირებული პრობლემები, მაგრამ ამ პრობლემების გადაწყვეტისადმი განსხვავებული მიდგომები წყალგამყოფ ხაზებს (cleavages) ვერ ქმნის.

კვლევის მონაცემები გვიჩვენებს, რომ საქართველოს ამომრ-ჩევლისთვის, მემარჯვენე-მემარცხენე კონტიმინუუმი აზრს<sup>23</sup> ვერ იძენს. ეს განზომილება საზოგადოებას არ ყოფს.


თუ ბაქრაძის წინასაარჩევნო კამპანიის მკვეთრად გამოხატულ ლი-ბერალურ<sup>24</sup> რიტორიკას მივიღებთ მხედველობაში, მოსალოდნელი იყო, რომ ბაქრაძის ამომრჩეველს ლიბერალური პოზიციები ექნებოდა ეკონომიკურ პრობლემებთან მიმართებაში. მაგრამ, კვლევის მონაცემები უჩვენებს, რომ განსხვავება საპრეზიდენტო კანდიდატების მომხრეთა პოზიციებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი არ არის.

V5.1	V5.2		
ხალხის დასაქმების მიზნით, სა-ხელმწიფომ უნდა ააშენოს ქარხნები და საწარმოები, რომლებიც იქნება სახელმწიფო საკუთრებაში	სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს ეკო-ნომიკის ფუნქციონირებაში, ხალხის დასაქმებას კერძო ბიზნესი და თა-ვისუფალი ბაზარი უკეთ შეძლებს.		
სრულებით ვე-თანხმები	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა		
1	2	3	4

<sup>23</sup> ამ კონტინუუმზე რესპონდენტის პოზიცია იზომებოდა მისი დამოკიდებულებით ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მიმართ.

<sup>24</sup> იგულისხმება ლიბერალიზმი ეკონომიკურ საკითხებთან მიმართებაში

გრაფიკი #2. მარგველაშვილის და ბაქრაძის მოხრეთა განაწილება (V5.1 და V5.2)



კვლევის მონაცემების ანალიზისას, თვალში საცემია, აგრეთვე, რესპონდენთა დამოკიდებულებების არათანმიმდევრულობა ეკონომიკურ საკითხებთან მიმართებაში. საკმაოდ დიდია იმ რესპონდენტთა ჯგუფი (64%), რომელიც მიიჩნევს, რომ ეკონომიკის განვითარების მიზნით სახელმწიფომ უნდა ააშენოს ქარხნები და საწარმოები, რომლებიც სახელმწიფოს საკუთრებაში იქნება და **ამავე დროს** (P16 კითხვაზე პასუხისას) თვლის, რომ ეკონომიკის განვითარება თავისუფალ ბაზარს უნდა დაეყრდნოს. რესპონდენტთა დიდი ნაწილი (66%) **ერთდროულად** ემხრობა ლიბერალური და პროტექციონისტული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას. რესპონდენტთა ეს ნაწილი თვლის, რომ ხელისუფლებამ უფრო მეტად უნდა იზრუნოს უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე და ამავე დროს, მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ უნდა შეზღუდოს უცხოური პროდუქტების იმპორტი იმისთვის, რომ განვითარდეს ადგილობრივი მრეწველობა.

სოციალური პროგრამებისთვის უფრო მეტი მნიშვნელობის მინიჭება რესპონდენტთა ცნობიერებაში არ უკავშირდება გამოხატულ იდეოლოგიურ პლატფორმას. გამოკითხულთა უმრავლესობისთვის ეს არის „უბრალო ხალხის გაჭირვების შემსუბუქება“.

## თავი 5.

“საყოველთაო სამედიცინო დაზღვევა, უფასო სასკოლო სახელმძღვანელო-ები, გლეხების მიწის დამუშავება, შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანა ჩრდილოების პირველ რიგში ნიშნავს...“

- |   |     |
|---|-----|
| 1. უბრალო ხალხის გაჭირვების შემსუბუქებას                                      | 78% |
| 2. მხოლოდ დღევანდელ დღეზე ფიქრს, ეკო-ნომიკის მომავალი განვითარების შეფერხებას | 7%  |
| 3. ევროპული ტიპის საყოველთაო კე-თილდღეობის სახელმწიფოს დამკვიდრებისკენ სვლას  | 7%  |
| 4. ადრე არსებული, საბჭოთა ტიპის კე-თილდღეობის ელემენტების დაბრუნებას          | 3%  |
|   | 5%  |
| 5. მიჭირს პასუხის გაცემა  |     |

ზოგადად, რესპონდენტთა უმრავლესობის მოსაზრებები ეკონომიკის განვითარებასთან მიმართებაში, ისევ სტეიტისტურია. გამოკითხულთა უმრავლესობა ეკონომიკური განვითარების და პროცესების მთავარ აქტორად სახელმწიფოს მოიაზრებს. გამოკითხულთა 89% თვლის, რომ სასურველია საავადმყოფოების და ამბულატორიების დიდ ნაწილს უნდა ფლობდეს სახელმწიფო და მუნიციპალიტეტები; ხოლო 73 % თვლის, რომ ხალხის და-საქმების მიზნით სახელმწიფომ უნდა ააშენოს ქარხნები და საწარმოები, რომლებიც იქნება სახელმწიფო საკუთრებაში. როგორც ჩანს, საბჭოთა გრა-ვიტაცია საზოგადოებრივ ცნობიერებაში ჯერ კიდევ ძალიან ძლიერია.

გამოკითხულთა უმრავლესობა ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების პროგრამების მიმართ ნაკლებ ინტერესს იჩენს. მოსახლეობის დაახლოებით 70% თვლის, რომ სოციალურ პროგრამების განხორციელება პრიორიტეტული უნდა იყოს, თუნდაც, ამისთვის აუცილებელი გახდეს ინფრასტრუქ-ტურული პროექტების შემცირება და ბიზნესისთვის გადასახადების ზრდა. როგორც კვლევის მონაცემები გვიჩვენებს, რესპონდენტთა უმრავლესობა ვერ აცნობიერებს იმას, რომ სოციალური პროგრამების გაფართოება გუ-ლისხმობს გადასახადების ზრდას. განათლების და ჯანდაცვის უზრუნველ-საყოფად საკუთარი შემოსავლებიდან უფრო დიდი თანხების გადახდაზე გა-მოკითხულთა მხოლოდ 46% იქნებოდა თანახმა.

რატომაა, რომ საზოგადოებრივ ცნობიერებაში მშვიდობიანად თანაარსებობს ურთიერთ გამომრიცხველი იდეები, როგორ ახერხებენ ადამიანები შეუთავსებლის შეთავსებას და სამყაროს მათთვის გასაგები სურათის შექმნას? როგორც ჩანს, ეკონომიკის და პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულების ამხსნელი ინტერპრეტაციული სქემა, რომელიც კოგნიტურად კონსონანსურია საქართველოში არ არსებობს.<sup>25</sup>

მაგ. მემარჯვენე- მემარცხენე, როგორც ინტერპრეტაციული სქემა, ეკონომიკური ამომრჩევლისთვის მნიშვნელობის მატარებელია. ამომრჩეველმა იცის, რომ თუ მხარს უჭერს სოციალური პროგრამების გაფართოებას, ეს შეიძლება ნიშნავდეს გადასახადების ზრდას. სოციალური პროგრამების გაფართოება და დაბალი გადასახადები ერთდროულად ნაკლებად აბლატურია. მემარცხენეც და მემარჯვენეც იზიარებენ სოციალური სამყაროს ამგვარ სურათს და ამის შემდეგ არკვევენ, ვინ რომელ მხარესაა.

საქართველოს მოსახლეობის მოსაზრებები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შესახებ იმდენად არათანმიმდევრულია, რომ ეკონომიკური აზროვნების და იდეოლოგიური განზომილების (მემარჯვენე – მემარცხენე კონტინუუმი) თვალსაზრისით, აბსურდულად გამოიყურება. ამ ფენომენს შეიძლება მრავალი ფაქტორი განაპირობებდეს. მათ შორის: 1. საქართველოს იდეოლოგიური პოლიტიკის გამოცდილება არ გააჩნია, „უკლასო საზოგადოებიდან“ ქვეყანამ პირდაპირ პოსტმოდერნულ დემოკრატიაში შეაბიჯა; 2. ლურჯსაყელოიან მუშავთა კლასი, რომელიც მემარცხენე იდეოლოგიის გამტარებელი იქნებოდა, საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობს; 3. საჯარო პოლიტიკურ დისკურსში მემარცხენე-მემარჯვენე განზომილების აქტუალიზაცია ნაკლებად ხდება; 4. ეკონომიკური განათლების დონე მოსახლეობაში დაბალია და ა.შ.

თუ მემარჯვენე-მემარცხენე იდეოლოგემის სოციალურ განზომილებას შევხედავთ, დამოკიდებულება საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პოლიტიკაში მონაწილეობის მიმართ არის ის პარამეტრი, რომელიც ბაქრაძის და მარგველაშვილის ამომრჩეველს ყველაზე მეტად განასხვავებს ერთმანეთისგან.

სექსუალური უმცირესობების უფლებების მიმართ დამოკიდებულება ორივე ჯგუფში ერთნაირად უარყოფითია.

<sup>25</sup> მართალია, ამ ტიპის აზროვნება კოგნიტურად დისონანსურია, მაგრამ ის შეიძლება ემოციურად კონსონანსური იყოს რესპონდენტისთვის. მაგ. რესპონდენტის ცნობიერებაში ორი ფენომენი: „უცხოური ინვესტიციები“ და „ადგილობრივი მრეწველობის მიმართ პროტექციისტული პოლიტიკა“ – პოზიტიური ემოციური მუხტის მატარებელი ფენომენებია, ამიტომ მათ შეთავსებას რესპონდენტი ახერხებს ეკონომიკური თვალსაზრისით შეუთავსებელ სქემაში.

მკვლევრები ხშირად მიუთითებენ, რომ სოციალური და ეკონომიკური ღირებულებების დასავლეთის ქვეყნებისთვის ტიპიური დაკავშირების წესი სხვაგვარია პოსტსაბჭოთა სივრცეში. კერძოდ, პოსტსაბჭოთა სივრცეში სახეზეა შემდეგნაირი დაწყვილება: 1. ეკონომიკური ლიბერალიზმი – ლიბერალიზმი სოციალურ საკითხებთან მიმართებაში და 2. მემარცხენე ეკონომიკური პოზიცია – სოციალური ტრადიციონალიზმი. საქართველოში ამგვარი დაწყვილება გამოხატულია საჯარო სივრცეში, მაგრამ როგორც ჩვენი კვლევის მონაცემები უჩვენებს, ამომრჩეველთა ცნობიერებაში ამგვარი კავშირი სუსტია.

მონაცემთა სტატისტიკურმა ანალიზმა არ გამოვლინა მნიშვნელოვანი განსხვავება ბაქრაძის და მარგველაშვილის ამომრჩეველს შორის სხვა ბაზისურ ღირებულებთან მიმართებაში.

ამგვარად, ემპირიული კვლევა ავლენს, რომ ღირებულებებზე დაფუძნებული იდეოლოგიური პოზიციები საქართველოში საარჩევნო ქცევის განმსაზღვრელი არ არის.

დასავლეთის და რეჟიმის მიმართ დამოკიდებულების ღერძების მდგრადობა: ზემოთ ჩვენ აღვწერეთ ორი ღერძი, რომლებიც ყველაზე მეტად ახდენს ამომრჩეველთა ქცევის სტრუქტურირებას. ბუნებრივია, ისმის კითხვა: ეს ღერძები დროებითი და კონტექსტუალურია, თუ მათ ახასიათებთ მდგრადობის გარკვეული ხარისხი? ამ საკითხზე სამსჯელოდ, საინტერესო მონაცემებს ნარმოადგენს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევა. (Schofied et al, 2012).

მოცემული კვლევის შედეგად გამოვლენილი ორგანიზომილებიანი სივრცის ერთი ღერძი ანალოგიურია ჩვენს მიერ გამოვლენილი ღერძისა. ამ ღერძის ფორმირებას ახდენს ამომრჩეველთა დამოკიდებულება ნატოს, ევროკავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ. მეორე ღერძის ფორმირებას ახდენს ამომრჩევლების მიერ დემოკრატიის მდგომარეობის შეფასება სააკაშვილის რეჟიმის დროს. სააკაშვილის მომხრეები თვლიან, რომ ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხი მისაღებია. სხვა საპრეზიდენტო კანდიდატების მომხრეები კი საქართველოში დემოკრატიის ხარისხს უარყოფითად აფასებენ. ამავე დროს, ორი ძირითადი საპრეზიდენტო კანდიდატის (მ.სააკაშვილი, ლ.გაჩეჩილაძე) ამომრჩევლების პოლარიზება უფრო მეტად ხდება იმ ღერძის გასწვრივ, რომელიც დემოკრატიას აფასებს სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში. დასავლეთთან დამოკიდებულების ღერძზე ამ ორი ჯგუფის პოზიციები დაახლოებით ერთნაირია. ამგვარად, შესაძლებელია დავინახოთ მსგავსება 2008 წლის და 2013 წლის მონაცემებს შორის. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ვთქვათ, რომ დასავლეთთან დამოკიდებულების ღერძი

ინარჩუნებს მდგრადობას, როგორც საარჩევნო ქცევის უმნიშვნელოვანესი განზომილება. რაც შეეხება 2008 წელს გამოვლენილ მეორე დერძს, მის ფორმირებაში ორი მდგრენელი იღებს მონაწილეობას: დამოკიდებულება დე-მოკრატის, როგორც ლირებულების მიმართ და დამოკიდებულება სააკაშვი-ლის რეჟიმის მიმართ.

შესაძლებელია, დავინახოთ გარკვეული ანალოგია ჩვენი კვლევის პრო-ცესში გამოვლენილ სააკაშვილის რეჟიმის მიმართ დამოკიდებულების ღერძთან, თუმცა, რამდენად ახლოსაა ამ ორი ღერძის მნიშვნელობა, ამის ინტერპრეტაციისთვის საკმარისი ემპირიული მონაცემები არ გვაქვს.

ამგვარად, აშკარაა, რომ დამოკიდებულება დასავლეთთან ინტეგრაციის საკითხის მიმართ მდგრადი პოლიტიკური წყალგამყოფია საქართველოს საზოგადოებაში.

დასავლეთის ღერძზე ამომრჩევლის ვარიაბელობის 15%-ს ( $r = 0.15$ ) ხსნის ოთხი სოციოდემოგრაფიული ცვლადი: (რესპონდენტის განათლების ცენზი, რესპონდენტის ოჯახის მატერიალური მდგომარეობა, ასაკი და და-სახლებული პუნქტის სიდიდე). როგორც ვხედავთ, სოციოდემოგრაფიული ცვლადების ამხსნელობითი პოტენციალი დასავლეთის ღერძთან მიმართებაში უფრო მაღალია, ვიდრე რეჟიმთან მიმართებაში (ამ ვითარების ინტერპრეტაციას მომდევნო ქვეთავებში შევეცდებით).

სიანტერესოა, რა შინაარსის მატარებელია „დასავლეთთან ინტეგრაციის“ ღერძი საზოგადოებრივი ცნობიერებისთვის? უკავშირდება თუ არა ის გარკვეულ პოლიტიკურ ან იდეოლოგიურ შინაარს? როგორც კვლევის მონაცემები უჩვენებს, გარკვეული კავშირი არსებობს ლიბერალური ეკონომიკის მხარდაჭერასა და რესპონდენტის პროდასავლურ ორიენტაციას შორის. რაც შეეხება სხვა ლირებულებრივ განზომილებებს, დასავლეთის ღერძთან მათი კავშირი არ ვლინდება.

პროდასავლური განვითარება მოსახლეობის ერთ მესამედზე მეტისთვის არის ფენომენი, რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც ზოგადი დადებითი მოლოდინი<sup>26</sup>, რომელიც კონკრეტულ პოლიტიკასა და შინაარს ნაკლებად უკავშირდება.

<sup>26</sup> ამგვარ ფენომენზე, რომელიც, თავისი ბუნებით კონკრეტულ პოლიტიკებზე (policies) ბუნდოვანი წარმოდგენებისა და არაცნობიერი, ზოგადი მოლოდინებისა თავისებური სინთეზია, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში წერდა გ.ლებონი. დ. ჩანდლერი ამ ფენომენს უწოდებს „მოტივტივე ალმნიშვნელს (floating signifier), რომლის ერთ-ერთი მახასიათებელი ისაა, რომ ის არ ის გარკვეული შინაარსის მატარებელი და შეიძლება ნიშნავდეს სხვადასხვა რამეს სხვადასხვა ადამიანისთვის.

## თავი 5.

„ჩემთვის ქვეყნის პროდასავლური განვითარება ნიშნავს...“	
პროგრესს, ქვეყნის სწრაფ განვითარებას	38%
დემოკრატიის დამკვიდრებას, ინდივიდის პატივისცემას	12 %
ნატოს მეშვეობით დაცულობას რუ-სეთისგან	12%
ქვეყნის თვითმყოფადობის, ეროვნული ტრადიციების შეზღუდვას	13%
მიჭირს პასუხის გაცემა	26%

### ორი ლერძი, ამომრჩევლის უტილიტარული ინტერესები და რეჟიმები.

ამ პარაგრაფში ჩვენ შევეცდებით გავიაზროთ კავშირი საარჩევნო ქცევის მასტრუქტურირებელ განზომილებებს და ამომრჩევლის უტილიტარულ ინტერესებს შორის. ამომრჩევლის უტილიტარულ ინტერესებში ვგულისხმობთ, როგორც ეკონომიკურ, ისევე ფსიქოლოგიურ (იდენტობასთან დაკავშირებული საკითხები) უსაფრთხოებას.

როგორც ემპირიული კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, სოციოდემოგრაფიული ცვლადების კავშირი ლერძებთან სუსტია. ამავე დროს, სოციო-დემოგრაფიული ცვლადები დასავლეთის ლერძზე ვარიაციელობას უფრო მეტად ხსნის, ვიდრე რეჟიმისადმი დამოკიდებულების ლერძზე. თუ საქართველოს დამოუკიდებლობის 25 წლიან ისტორიას გადავხედავთ, დასავლეთის ლერძსა და ადამიანების უტილიტარულ ინტერესებს შორის კავშირის ინტერპრეტაცია რთული არ იქნება. საქართველოს პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია დაიწყო გლობალიზაციის პერიოდში. ქვეყნის ინსტიტუციურ ტრანსფორმაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ დასავლეთის ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორც ფინანსური რესურსების, ასევე ტექნიკური ექსპერტიზის თვალსაზრისით. გარე ლეგიტიმაცია საქართველოს პოლიტიკაში ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორც შიდა ლეგიტიმაცია<sup>27</sup>. საქართველომ დაიწყო ბრძოლა გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში<sup>28</sup> და ახალი ტიპის ინფორმაციულ ეკონომიკაში ადგილის დამკვიდრე-

<sup>27</sup> შევარდნაძის რეჟიმის პერიოდში გავრცელდა ხუმრობა: „საერთაშორისო სავალუტო ფონდი ერთადერთი ნამდვილი მემარჯვენე პარტიაა საქართველოში“.

<sup>28</sup> სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში გლობალურ ეკონომიკაში ჩართვისკენ მიმართული პოლიტიკა გაძლიერდა. ხორციელდებოდა აქტიური benchmarking-ი. ეკონომიკური რეფორმების დარგში სახელმწიფო მინისტრის კ. ბენდუქიძის ჯგუფის და მსოფ-

ბისთვის. ამ პროცესში საბჭოთა ეკონომიკის პირობებში შეძენილი ცოდნა და უნარები უსარგებლო აღმოჩნდა. ინგლისურის ენის ცოდნა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მუშაობის უნარი გახდა ადამიანური კაპიტალის და შრომის ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. ამ უნარების მატარებელი ფენა - “Georgian Yuppies” (Muskhelishvili, 1998), ვარდების რევოლუციის შემდეგ, მოვიდა, აგრეთვე, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში. მნირი ეკონომიკის პირობებში, წვდომა საერთაშორისო ორგანიზაციების შესაძლებლობებთან ეკონომიკური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კომპონენტი აღმოჩნდა. მნიშვნელოვანია, ამ კრიტერიუმით საზოგადოების რომელ ფენაში მოიაზრებს ამომრჩეველი თავს<sup>29</sup>.

ზემოთ ჩვენ უკვე შევეხეთ დასავლეთის ღერძთან დაკავშირებულ ფსიქოლოგიურ დაძაბულობებს, რომელიც გაჩნდა საქართველოს საზოგადოებაში. აქ მოკლედ გავიმეორებთ, რომ ტრადიციონალისტურად განწყობილი საზოგადოებისთვის, რომელიც ამავე დროს რკინის ფარდის მიღმა ყალიბდებოდა, დასავლური სოციალური ლიბერალიზმი კულტურული შოკი აღმოჩნდა, რაც საზოგადოების ულტრაკონსერვატული ნაწილისთვის გამოიხატა დილეგმაში: დასავლეთთან ინტეგრაცია ან ეროვნული და რელიგიური იდენტობის შენარჩუნება.

უფრო ბუნდოვანია ის, თუ როგორ უკავშირდება ერთმანეთს დღის წესრიგისთვის ბრძოლა, ამომრჩევლების უტილიტარული<sup>30</sup> ინტერესები და

---

ლიო ბანკის თანამშრომლობის შედეგად საქართველომ Ease of Doing Business Index-ში მე-100 ადგილიდან მე-11 ადგილზე გადმოინაცვლა.

<sup>29</sup> საინტერესოა, რომ უცხოურ ფინანსურ რესურსზე წვდომა, როგორც ახალი უთანასწორობის ფაქტორი, საქართველოს სოფლებშიც იგრძნობა. ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი ასე აღნერს ამ სიტუაციას: „როდესაც ფულით შედიხარ სოფელში, ძალაუნებურად ქმნი ახალ პრივილიგირებულ ფენას, რომელსაც სოფელი იუცხოვებს. მაგ. ჩვენი ორგანიზაცია აფინანსებდა სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის სხვადასხვაგვარ სასწავლო ჯგუფებს. ჩვენ მოვაწყვეთ ბუნების დაცვის დღე. ამ დღეს სოფლის მოსახლეობა აგროვებს ნაგავს და წმენდს ტერიტორიას. აქტიურობდნენ ის ბავშვები, მშობლები და მასწავლებლები, რომლებიც სასწავლო წრეებში მონაწილეობდნენ. სოფლის დანარჩენი მაცხოვრებლები შორიახლოს იდგნენ, აქტიურობდნენ მონაწილეებს და თვლიდნენ, რომ მათი საქმე არ არის სოფლის დასუფთავებაში მონაწილეობა და ამ საქმეში წვლილის შეტანა“ (Muskhelishvili et al. 2012)

<sup>30</sup> იდეოლოგიური სტილის პოლიტიკაში ამომრჩეველი ნათლად ხედავს კავშირს ამათუ იმ პოლიტიკურ პლატფორმასა და თავის კერძო ინტერესს შორის (მაგ. გადასახადების საკითხი). ტელეოლოგიურ პოლიტიკურ დისკურსი ამომრჩევლისთვის რთულია პირდაპირი კავშირი დაინახოს თავის კერძო მერკანტილურ ინტერესს, შრომის ბაზარზე თავის პოზიციასა და ტელეოლოგიურ სიმბოლოს შორის.

რეჟიმებისადმი დამოკიდებულება. საქართველოში პოლიტიკური პროცესის ამ ასპექტების ანალიტიკურად გამიჯვნაც კი რთულია.<sup>31</sup>

ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკაში ტრანსლირების ისტორიულ-ევოლუციური მოდელი (ლიპსეტი/ლოქანი) დემოკრატიის და კაპიტალიზმის, როგორც პოლიტიკურ-ტრანსფორმაციული პროექტების გაგებაში ვერ გვეხმარება. ფაქტობრივად, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში საქმე გვაქვს პირიქითა პროცესთან: რეჟიმების მიერ გატარებული რეფორმების ტრანსლირება ხდებოდა ახალ საზოგადოებრივ წყალგამყოფებში. რეჟიმები, გატარებული რეფორმების გამო, აღიქმებოდა ახალი ტიპის უთანასწორობების მთავარ დიზაინერებად<sup>32</sup>. ის, რაც საქართველოს რეალობას განასხვავებდა აღმოსავლეთ ევროპის რეალობისგან, იყო პოლიტიკურის და ეკონომიკურის დაკავშირების ფორმალური და არაფორმალური<sup>33</sup> წესების „მშვიდობიანი თანაარსებობა“. ამ დროს, ახალი უთანასწორობები აღიქმებოდა არა დეპერსონალიზებული თამაშის წესების, არამედ რეჟიმთან არაფორმალური ურთიერთობების ფუნქციად. საქართველოს რეალობაში, პოზიცია შრომის ბაზარზე და რეჟიმთან სიახლოვე ერთმანეთის კორელატებად მოიზრება<sup>34</sup>. ეს კიდევ ერთი დამატებითი ასპექტია, რაც რეჟიმებთან დაპირისპირებას განსაკუთრებულ სიმძაფრეს ანიჭებს.

<sup>31</sup> როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ კავშირები ემპირიულად არ ჩანს.

<sup>32</sup> ე. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში გატარებულმა პრივატიზებამ შექმნა საკუთრების მფლობელთა კლასი საქართველოში; მ. სააკაშვილის მმართველობის პერიოდში საზოგადოებაში მუდმივი მითქმა-მოთქმა იყო საკუთრების არამყარი უფლებების და საკუთრების გადანაწილების შესახებ; ბ. ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო ლაპარაკი ნეპოტიზმის ფართოდ გავრცელებაზე. ყველა რეჟიმის პერიოდში გავრცელებული იყო ჩივილები რეჟიმებსა და დიდ ბიზნესს შორის დეპერსონალიზებული თამაშის წესების არარსებობის შესახებ.

<sup>33</sup> არაფორმალური ინსტიტუტების გავლენა შეიძლება აიხსნას სამხრეთული კულტურის თავისებურებებით, მაგ. შემკვრელი (Bonding) სოციალური კაპიტალის სიძლიერით.

<sup>34</sup> განუვითარებელი ეკონომიკის და უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლების პირობებში, დასაქმება სახელმწიფო სექტორში არის ის სასურველი რესურსი, რომელიც ეკონომიკურ კეთილდღეობასთან და სტაბილურობასთანაა ასოცირებული. შევარდნაძის რეჟიმის დროს, სახელმწიფო სექტორში დასაქმებულობა უზრუნველყოფდა წვდომას კორუფციაში მონაწილეობაზე. საზოგადოებაში ამ პროცესს ხუმრობით უწინდებდნენ „ბრძოლას კორუფციაში მონაწილეობისთვის“. სააკაშვილის რეჟიმის დროს, მართვის ორგანოებში განხორციელებული ოპტიმიზაციის (streamline) შემდეგ, ბიუროკრატიას დაენიშნა მაღალი ხელფასები. (სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2014 წლის მონაცემების მიხედვით, სახელმწიფოს მართვის სექტორში დასაქმებულთა ხელფასები საფინანსო სექტორში დასაქმებულთა ხელფასების შემდეგ ყველაზე მაღალია). საზოგადოების გარკვეული ფენები რეჟიმთან ბრძოლის სანაც-

რა თქმა უნდა, რეჟიმის ღერძის სიძლიერის განმსაზღვრელი ფაქტორების ჩამონათვალი სრული არ არის. პოსტსაბჭოთა გრავიტაცია შეიძლება იყოს რეჟიმის ღერძის მნიშვნელოვნების კიდევ ერთი განმაპირობებელი ფაქტორი. კერძოდ, პოსტსაბჭოთა ცნობიერების მიერ ყველა ტიპის წარმატების/წარუმატებლობის ატრიბუცია რეჟიმებზე ხდება. აქედან გამომდინარე, რეჟიმის შეცვლა აღიქმება მდგომარეობის გამოსწორების უმთავრეს პირობად.<sup>35</sup>

ამგვარად, კავშირი ამომრჩევლის უტილიტარული ინტერესებსა და დასავლეთის ღერძს შორის შედარებით ნათელია. მისი ინტერპრეტაცია შესაძლებელი ადამიანური კაპიტალის (*human capital*) და იდენტობის ტერმინებით. რეჟიმთან დამოკიდებულების ღერძის შემთხვევაში, ამ კავშირის დანახვა რთულია. როგორც ჩანს, კონტექსტუალური<sup>36</sup> და ინტერპრეტაციული (პარტიზანული ტელევიზიები) ფაქტორების გავლენა ამომრჩევლის ქცევაზე ამ შემთხვევაში უფრო ძლიერია.

#### ორი ღერძის მანიფესტაცია საქართველოს საჯარო სივრცეში.

რეჟიმი-ანტირეჟიმი საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ყველაზე ადვილად დაკვირვებადი დაპირისპირებაა. ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებს შორის გამაფრებული კონკურენცია ყველაზე მეტად „ანტირეჟიმული“ ძალის ნიშის დასაკავებლად<sup>37</sup>. მასობრივი პროტესტები რეჟიმების წინააღმდეგ მიმდინარეობს „უბრალო ხალხის“ და მთავრობის დაპირისპირების ეგიდით, რითიც პროცესები ემსგავსება ახალ ევრო-

ვლოდ ელიან დასაქმებას სახელმწიფო სექტორში ახალი რეჟიმის მოსვლის შემთხვევაში. ბრძოლა სახელისუფლებო და თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმების-თვის თვალსაჩინო ხდება რეჟიმის ცვლილების პერიოდებში. მაგ. ბ. ივანიშვილის რეჟიმის ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღეებიდან სახელმწიფო დაწესებულებებში დაიწყო ბრძოლა ძველი რეჟიმის მომხრების განდევნისთვის.

<sup>35</sup> წინა თავში ჩვენ აღვნერთ ემპირიული კვლევის შედეგები, რომლებიც სტეიტური აზროვნების მაღალ ხარისხზე მიუთითებს.

<sup>36</sup> კონტექსტუალურ ფაქტორებად შეიძლება მოვიაზროთ ის, თუ რა პოზიციაში აღმოჩნდა ამომრჩეველი (ან რეგიონი) ამა თუ იმ რეჟიმის მიერ გატარებული პოლიტიკის ან მასთან არაფორმალური ქსელების ქონის შედევგად. როგორც წინა პარაგრაფში აღვნიშნეთ, ჩვენი მიზანი იყო პოლიტიკური პრეფერენციების და საარჩევნო ქცევას შორის კავშირის კვლევა. ამის გამო, კონტექსტუალური ფაქტორები კვლევაში ნაკლებადაა ასახული.

<sup>37</sup> 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ყველაზე ძლიერი ანტირეჟიმული პარტიის ნიშა დაიკავა ნაციონალურმა მოძრაობამ; ეს ნიშა მან წაართვა ნომინალურად მემარცხენე – ლეიბორისტულ პარტიას.

## თავი 5.

პულ პოპულიზმისთვის დამახასიათებელი ანტისისტემური განწყობები ყველაზე ძლიერად საქართველოში გამოვლინდა 2012 წელს.<sup>38</sup>

საქართველოში ნათლად არტიკულირებული მემარჯვენე- მემარცხენე დაპირისპირება საჯარო სივრცეში არ ჩანს.<sup>39</sup> მემარცხენე ლოზუნგები დიდი საპროტესტო მასის მობილიზაციას ვერ ახერხებს. კლასობრივი ბრძოლა საქართველოში ჩანაცვლებულია რეფიმებთან ბრძოლით.

ნინასაარჩევნო პერიოდებში დაიკვირვება მოსახლეობის მხრიდან სტრატეგიული ქცევის – ნეგატიური მობილიზაციის ძლიერი ტენდენცია. ეს არის რეტროსპექტული საარჩევნო ქცევა, რომელიც განპირობებულია არა პოლიტიკური პრეფერენციით, არამედ მოქმედი რეჟიმის განდევნის სურვილით<sup>40</sup>.

დასავლურ სამყაროში აღნერილი ნეგატიური მობილიზაციის ტენდენციებისგან განსხვავებით, საქართველოში მოსახლეობა ექცევს რეჟიმის ჩამნაცვლებელ ახალ პოლიტიკურ ძალას, რომელიც ხელისუფლებაში ჯერ არ ყოფილა.

დაპირისპირებები რეჟიმთან დამოკიდებულების<sup>41</sup> და დასავლეთის დერძზე ვლინდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში (პარტიზანული ტელევიზიიები, არასამთავრობო სექტორი, საექსპერტო საზოგადოება, ე.ნ. „ცნოდაბი სახეები“ და ა.შ).

მედია საშუალებები ხშირად აშუქებენ ამა თუ იმ რეჟიმის მომხრე და მოწინააღმდეგე არასამთავრობო ორგანიზაციების შეხლა-შემოხლის ფაქტებს<sup>42</sup>.

არასამთავრობო სექტორში „დასავლეთი – ანტიდასავლეთის“ განზომილებაც ნათლადაა არტიკულირებული საჯარო სივრცეში. ერთის მხრივ, მედიაში და საჯარო სივრცეში აქტიურობენ ორგანიზაციები, რომლებიც საერთაშორისო არასამთავრობო ქსელების წარმომადგენლები არიან<sup>43</sup>. ეს ორგანიზაციები თავის ძირითად ფუნქციად მოიაზრებენ იმას, რომ დაეხმარონ საქართველოს მთავრობებებს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაში და დასავლეთთან ინტეგრაციაში. მათი საჯარო რიტორიკა, ძირითადად, შეეხება იმას, თუ როგორ ასრულებს ესა თუ ის რეჟიმი საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე აღებულ

<sup>38</sup> 2012 წლის არჩევნების წინ საქართველოს ქალაქებში შენობები აჭრებული იყო წარწერით: „სისტემა უნდა დაინგრეს“.

<sup>39</sup> მაგალითად, კ. ბენდუქიძის ეკონომიკის ლიბერალიზაციაზე მიმართულ რეფორმებს საზოგადოება უფრო მეტად უპირისპირდებოდა ანტიგლობალისტური და არა მემარცხენე პოზიციებიდან. საზოგადოების კონსერვატული ნაწილი აპროტესტებდა სახელმწიფო ქონების გასხვისებას უცხოელებზე. შრომის კოდექსის ლიბერალიზაციის წინააღმდეგ მიმართული კრიტიკა უფრო მეტად ევროპული პროფესიონალის მხრიდან ისმოდა.

<sup>40</sup> მაგ. 2003 წელს ნაციონალური მოძრაობის ყველაზე პოპულარული ლოზუნგი იყო „საქართველო შევარდნაძის გარეშე“

<sup>41</sup> საინტერესოა, რომ პოლიტიკური იდენტობები უფრო მეტად დაკავშირებულია რეჟიმებთან, ვიდრე იდეოლოგიებთან. მაგ. გავრცელებულია დამაკნინებელი სახელები ამა თუ იმ რეჟიმის მომხრეებისთვის: „ნაცი“-ნაციონალური მოძრაობის მომხრე; „ქოცი“ – ქართული ოცნების მომხრე.

<sup>42</sup> საჯარო სივრცეში ნაკლებად ჩანს არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური ან პროფესიული ჯგუფების ინტერესების დაცვაზე და მათი ინტერესების რეპრეზენტაციაზე მიმართული.

<sup>43</sup> საერთაშორისო გამჭირვალეობა – საქართველო, სამართლიანი არჩევნები, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

ვალდებულებებს. ეს არის როზენვალონის მიერ აღწერილი სამოქალაქო დემოკრატიის, „მოდარაჯე ძალის“ (Watch Dog) ქართული მანიფესტაცია.

მეორეს მხრივ, სახეზე გვაქვს ულტრაკონსერვატული ჯგუფები და მოძრაობები ქსენოფიბიური და კონსპირაციული რიტორიებით. ისინი უპირისპირდებიან ამა თუ იმ რეჟიმის ისეთ ნაბიჯებს, რომელიც მათი განსაზღვრებით ანტიეროვნულია და იმ ჯგუფებს, რომლებიც, მათი აზრით, საფრთხეს უქმნის ქართულ იდენტობას („სოროსელები“, „პომოსექსუალები“ „აგენტურა“ და ა.შ.).

## **საქართველო – პოსტდემოკრატია თუ პრედემოკრატია?**

რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ პარტიულ-იდეოლოგიური პოლიტიკისთვის დამახასიათებელი რეპრეზენტაციის ტიპი საქართველოში გამოხატული არ არის. ელექტორალური ქცევის ყველაზე მნიშვნელოვანი განზომილებებია: დამოკიდებულება კონკრეტული რეჟიმის მიმართ და დამოკიდებულება დასავლეთთან ინტეგრაციის მიმართ. რეჟიმის მიმართ დამოკიდებულების ძლიერი ამხსნელი ფაქტორია ტელევიზია, რომელსაც ამომრჩეველი უყურებს და სანდოდ თვლის.

რეჟიმის მიმართ დამოკიდებულების ღერძის სიძლიერე მიგვანიშნებს იმაზე, რომ იდეოლოგიური ბრძოლა მემარჯვენე-მემარცხენე ღერძის გასწვრივ საქართველოში ჩანაცვლებულია რეჟიმებთან ბრძოლით. პოლიტიკურ პროცესში წინ არის წამოწეული ანგარიშვალდებულების ასპექტები. ამდენად, შეიძლება პოლიტიკური პროცესის ინტერპრეტაცია ანგარიშვალდებულების დემოკრატიის და არა რეპრეზენტატული დემოკრატიის ტერმინებში.

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით მიმოვიხილოთ ის ფაქტორები და პროცესები, რომელთა ფონზე სოციო-ეკონომიკური ჯგუფების რეპრეზენტაციაზე მიმართული პოლიტიკური პროცესი საქართველოში ვერ ჩამოყალიბდა და დომინანტური გახდა ანგარიშვალდებულების პროცესი, რაც მოსახლეობის რეჟიმებთან მძაფრი და პერმანენტული დაპირისპირების სახით გამოვლინდა.

**ტრანზიციის პარადიგმა, რეპრეზენტაცია და დღის წესრიგისთვის ბრძოლა:** პოსტკომუნისტური დემოკრატიზაციის პროცესი არსებითად განსხვავდებოდა დემოკრატიზაციის ევროპული, ისტორიული პროცესისგან. როგორც წინა თავში აღვნერეთ, ევროპაში ჯერ კლასობრივი ინტერესები ჩამოყალიბდა და შემდეგ – ამ ინტერესების რეპრეზენტატორი პარტიები. დემოკრატიზაციის და საბაზო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესები საქართველოში, ისევე, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებში იყო

პოლიტიკური პროექტები „ზემოდან“. თუ დემოკრატია და კაპიტალიზმი ევროპაში იყო ისტორიულ – ევულუციური პროცესის შედეგი, საქართველოში ისინი გამოცხადდა მიზნად, რომელსაც ქვეყანამ უნდა მიაღწიოს ტრანზიციის შედეგად.

იმდენად, რამდენადაც პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია პოლიტიკური პროექტია, რეჟიმი ხდება მთავარი აქტორი ქვეყნის ტრანსფორმაციის პროცესში.

ისმის შეკითხვა: რატომ არ წავიდა ხელისუფლების განხორციელების პროცესი სოციო-ეკონომიკური ჯგუფების რეპრეზენტაციის გზით?

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის რომ, საქართველოში არ არსებობდა საზოგადოებრივი ჯგუფები, რომელთა რეპრეზენტაციაც გახდებოდა პოლიტიკური პროცესის საფუძველი. საბჭოთა კავშირის პერიოდში არსებული ილუზორული კლასებისგან საქართველოში არაფერი არ დარჩა: ქვეყნის ეკონომიკურმა კოლაფსმა, სწრაფმა დეინდუსტრილაზაციამ და სოფლის მეურნეობის დემოდერნიზაციამ გამოიწვია მოსახლეობის მასობრივი გადარიბება, საზოგადოების ატომიზაცია და ქცევა ამორფულ ერთობად.

გარდა ამისა, ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ქვეყნის ამოცანები და რეპრეზენტაციის პრინციპი, გარკვეულწილად, ერთმანეთის მიმართ არაკონგრუენტულია. „ტრანზიციის პარადიგმა“ და მასთან დაკავშირებული ტელეოლოგიური დისკურსი გულისხმობს იმას, რომ საერთო-ეროვნული ამოცანები და ერის კონსოლიდაცია პრიორიტეტული ამოცანაა. ჯგუფების ინტერესების რეპრეზენტაციაზე და დაბალანსებაზე კი მას შემდეგ უნდა ვიფიქროთ, რაც განხორციელდება საერთო ეროვნული ამოცანები.

ტრანზიციის პარადიგმა გულისხმობს, აგრეთვე, ტრანზიციის ეტაპების შესახებ წარმოდგენებს. ტრანზიციის ეტაპების შესახებ განსხვავებული მოსაზრებები შეიძლება ჩავთვალოთ განსხვავებულ დღის წესრიგებად. თუ 90-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოში პოლიტიკური ბრძოლების ისტორიას<sup>44</sup> გადავხედავთ, შეიძლება ვთქვათ, რომ ბრძო-

<sup>44</sup> მიუხედავად იმისა, რომ სოციო-ეკონომიკური ჯგუფების რეპრეზენტაციაზე მიმართული პოლიტიკური პროცესის საქართველოში ვერ ჩამოყალიბდა, პოლიტიკური ავანსცენა გადატვირთული იყო ურიცხვი რაოდენობის პარტიით, რომლებიც იქმნებოდა პიროვნებების გარშემო. ამას შეიძლება ვუწიდოთ პლურალიზმის სიმულაკრა, რომელსაც ქაროტერსი აფასებს, როგორც უსარგებლო პლურალიზმს. „...პოლიტიკური ელიტების კლასი პლურალისტურია და კონკურენციას ეფუძნება, თუმცა მთლიანადაა მოწყვეტილი მოქალაქეებს, რის გამოც, პოლიტიკური ცხოვრება, საბოლოო ჯამში, ცარიელ და უსარგებლო სავარჯიშოდაა ქცეული“ (Carothers, 2002, გვ. 11).

ლა დღის წესრიგის ფორმირებისთვის (Agenda Setting) ამ პროცესების უფრო თვალსაჩინო ასპექტი იყო, ვიდრე ჯგუფების ინტერესების რეპრეზენტაცია. ისევე, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებში, პოლიტიკური პროცესი კონცენტრირებული იყო ნაციონალიზმის, დემოკრატიის და უსაფრთხოების საკითხებზე. კითხვები: „ჯერ დამოუკიდებლობა თუ ჯერ დემოკრატია“? „ჯერ სახელმიწოდებელი მშენებლობა თუ ჯერ დემოკრატია“? პოლიტიკური დებატების მნიშვნელოვანი თემები იყო. საჯარო დისკურსში იდენტობების და მსოფლმხედველობების შეუთავსებლობის მანიფესტაცია უფრო მეტად ხდებოდა, ვიდრე ეკონომიკური ინტერესების შეუთავსებლობის. ამაზე მეტყველებს იარღიყვანის ომი, რომელსაც პოლიტიკური ძალები აწარმოებდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ („წითელი ინტელიგენცია“, „პროვინციული ფაშიზმი“, „რუსეთის აგენტურა“ და ა.შ.). ტრასფორმაციული პროცესების სირთულეებთან და მიმდევრობასთან დაკავშირებული დოკუმები ხდებოდა საზოგადოების ახალი წყალგამყოფები.

**სააკაშვილის რეჟიმის ნარატივი საერთო ეროვნული ამოცანების და ტრანზიციის ეტაპების (დღის წესრიგის) შესახებ**

ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე აუცილებელია ფორსირებული მოდერნიზაცია, სახელმიწოდებელი მშენებლობა და სწრაფი ეკონომიკური ზრდა. დემოკრატიის კონსოლიდაცია<sup>45</sup> კი შემდეგი ეტაპის ამოცანაა. ამ ამოცანების გადასაჭრელად არსებობს

<sup>45</sup>დებატები მოდერნიზაციის, ეკონომიკური მდგომარეობს და დემოკრატიის მდგრადიბის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ თეორიულ ლიტერატურაში დაინუო 1959 წლიდან, როდესაც ს.მ. ლიპსეტმა გაამახვილა ყურადღება ეკონომიკური განვითარების და დემოკრატიის კავშირზე. მსჯელობის ლოგიკა ასეთია: ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ინვესტიციების კომპლექსური ინსტიტუტების განვითარებას, რომელთა მართვა ავტორიტარული ხერხით შეუძლებელი ხდება. ინსტიტუტების შემდგომი დიფერენციაციის ერთ-ერთი ეტაპია პოლიტიკურის გამოყოფა და დემოკრატიის დამკვიდრება. დემოკრატიას შობს ეკონომიკური განვითარება და მოდერნიზაცია, რომელიც მიიღევა ავტორიტარიზმის პირობებში.

კვლევებმა უჩვენა, რომ დამოუკიდებულება ავტორიტარიზმის მდგრადობას და ეკონომიკურ განვითარებას შორის წრფივი ხასიათის არ არის. ავტორიტარიზმი მდგრადია ძალიან ღარიბ ქვეყნებში, თუ per capita შემოსავალია \$ 4000 – \$ 7 000 ავტორიტარული რეჟიმების დესტაბილიზაციის ალბათობა დიდია, მაგრამ ეს მიმართება იცვლება თუ შემოსავალი \$ 7 000 აჭარბებს. ამ შემთხვევაში, ავტორიტარული რეჟიმების გადარჩენის ალბათობა მატულობს. მიუხედავად იმისა, რომ მიმართება ეკონომიკურ განვითარებასა და ავტორიტარიზმის გადარჩენის ალბათობას შორის არაერთმნიშვნელოვანია, გამოვლინდა სრულებით ერთმნიშვნელოვანი ტრენდი: თუ ავტორიტარიზმი დაემხო, დემოკრატია ინარჩუნებს მდგრადობას მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის შემოსავლები უფრო მაღალია. ანუ ქვეყნის ეკონომიკური გან-

## თავი 5.

ტექნოკრატიულად სწორი ერთი გზა. ამდენად, პოლიტიკური დისკურსი უნდა ჩაანაცვლოს ტექნოკრატიულმა დისკურსმა. ეკონომიკის ტრანსფორმაცია არ არის პოლიტიკური საკითხი. ეს არის ტექნოკრატიული საკითხი. ერთ არის კორპორაცია. მთავრობა უნდა იყოს კორპორაციის CEO, რომელიც ქვეყანას წაიყვანს ამ სწორი გზით ეკონომიკური ზრდისკენ. არსებობს მთავრობის ავ-კარგიანობის სწორი ტექნოკრატიული საზომი – ესაა ეფექტურიანობა.

ფაქტობრივად, ეს არის დასავლურ სამყაროში ყველაზე მოდური იმ დოქტრინის (New Public Management) ადაპტაცია, რომელიც წინა თავში აღვნერეთ. თუ ეკონომიკის გლობალიზაციას და პოლიტიკური მმართველობის ტექნოკრატიზაციას შორის ისევ წინა თავში აღნერილ მზარდ კვეშირს გავიხსენებთ, ასეთი ლოგიკა გასაგები ხდება: გლობალიზაციის პირობებში ქვეყანამ უნდა მოიგოს კონკურენცია ფინანსური რესურსებისთვის და უცხოური ინვესტიციებისთვის. ეს არის საერთო ეროვნული ამოცანა. თუ ქვეყანა ამ ამოცანას თავს ვერ გაართმევს მდიდარიც და ღარიბიც ერთნაირად წაგებული დარჩება.

ამგვარად, საერთო ეროვნული ამოცანების არტიკულაცია და სოციო ეკონომიკური ჯგუფების რეპრეზენტაციის პრინციპზე აგებული დემოკრატია ერთმანეთის მიმართ არაკონგრუენტული აღმოჩნდა.

იდეოლოგიური საკონცენტრირებული პოპულისტული პოლიტიკა. პოლიტიკური პროცესი საქართველოში ევროპული გაგებით იდეოლოგიური ხასიათის არ არის. ეს პროცესი შეიძლება აღინიშნოს, როგორც პოლიტიკური ძალების ბრძოლა არა საზოგადოების რომელიმე სეგმენტის, არამედ „მთელი ხალხის“ და ეროვნული ინტერესების სახელით ლაპარაკის „ლიცენზიის“ მოსაპოვებლად. იდეოლოგიური სტილისთვის დამახასიათებელი ალტერნატიული პოზიციების არტიკულაცია, ჩანაცვლებულია ერთი ლირებულების არტიკულაციით. ლირებულება და მასთან დაკავშირებული სლოგანი შეიძლება იყოს პოზიტიური („საქართველოს სიღარიბის გარეშე“, „მილიონი სამუშაო ადგილი“) ან ნეგატიური („საქართველო შევარდნაძის გარეშე“, „საქართველო კორუფციის გარეშე“). სლოგანი ცდილობს არა საზოგადოების გარკვეული სეგმენტის, არამედ „მთელი ერის“ მობილიზებას.

საერთო-ეროვნული ამოცანებზე მიმართული პოლიტიკური დისკურსის თვის დამახასიათებელი სიმბოლიზმი უკავშირდება განსაკუთრებული მისიის მატარებელი ლიდერის მესიანურ ფიგურას<sup>46</sup>. პოპულარული ლიდერი – სიმბოლო ასრულებს გამაერთიანებლის როლს, წარმოადგენს „მთელ ხალხს“ და არა რომელიმე სოციალურ ჯგუფს. პოპულარული ლიდერების გარშემო იქმნება

ვითარების დონე არის იმის პრედიქტორი, იქნება თუ არა დემოკრატია მდგრადი. (Przeworski et al, 2003).

<sup>46</sup>როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, ლიდერის ფაქტორის ზრდაზე მიუთითებენ საარჩევნო ქცევის მკვლევრები დასავლეთის ქვეყნებშიც. პოლიტიკური პრეფერენციის საპირნონე ხდება პოლიტიკური ლიდერის ვალენტობა.

ტაქტიკური კოალიციები<sup>47</sup>, რომელთა მიზანია არჩევნებში გამარჯვება. საქართველოში კოალიციები ცდილობენ თავი აარიდონ მკვეთრად გამოკვეთილი იდეოლოგიური პოზიციის დაკავებას, გარკვეულ ჯგუფთან იდენტიფიცირებას და არტიკულირებენ საერთო-სახალხო ამოცანებს<sup>48</sup>.

თუ გადავხედავთ საქართველოს ისტორიას დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, შეიძლება დავინახოთ ასეთი პატერნი<sup>49</sup>: არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოდის კოალიცია, რომელსაც მოსახლეობის დიდი ნაწილი აღიქვამდა წინა რეჟიმთან ყველაზე შეურიგებელ და ამავე დროს ყველაზე ვალენტურ ძალად. ასეთი ძალა ხელისუფლებაში მოდის მკაფიოდ გამოხატული საპარლამენტო, ზოგ შემთხვევაში, საკონსტიტუციო უმრავლესობით და იკავებს საკომანდო პოზიციებს ხელისუფლების სხვა შტოებში. ამის შედეგად, იქმნება სახელმწიფოსთან შეზრდილი კოალიცია-პარტია. კოალიციური რეჟიმი ხდება *ძლიერი, დაუბალანსებელი* პოლიტიკური აქტორი ტრანსფორმაციული პოლიტიკური და ეკონომიკური პროექტების განხორციელების პროცესში.

რეჟიმების დასაბალანსებლად საქართველოში არ არსებობს ინსტიტუტები, რომლებიც დასავლურ სამყაროში ხანგრძლივი ისტორიულ-ევოლუციური პროცესის შედეგად იქმნებოდა: სამართლებრივი უნივერსალიზმი, ძლიერი პოლიტიკური ოპოზიცია, სამოქალაქო საზოგადოება და ა.შ<sup>50</sup>.

<sup>47</sup> ევროპული კოალიციური პოლიტიკისგან ქართულ პოლიტიკურ პროცესს განასხვავებს ის, რომ კოალიცია საქართველოში იქმნება არჩევნების წინ მმართველი პოლიტიკური ძალის წინააღმდეგ, არჩევნებში გასამარჯვებლად. მაშინ, როდესაც ევროპაში კოალიციები იქმნება არჩევნების შემდეგ. კოალიციები საქართველოში, ხშირად, ნეგატიური ხასიათისაა და აერთიანებს იდეოლოგიურად შეუთავსებელ ძალებს. იდეოლოგიური შეუთავსებლობის გამართლება უფრო მაღალი რიგის ამოცნით ხდება: მაგ. „ჯერ სააკაშვილის რეჟიმი დავამარცხოთ და იდეოლოგიებზე შემდეგ ვიდავოთ“.

<sup>48</sup> ამაზე მეტყველებს იმ კოალიციების სახელებიც, რომლებმაც გაიმარჯვეს ოთხ არჩევნებში: „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ ზ. გამსახურდიას მეთაურობით; „მოქალაქეთა კავშირი“ – ე.შევარდნაძის მეთაურობით; „ნაციონალური მოძრაობა“ – მ.სააკაშვილის მეთაურობით; „ქართული ოცნება“ – ბ.ივანიშვილის მეთაურობით.<sup>48</sup>

<sup>49</sup> ჩვენს მიერ აღნერილი პატერნები, ისევე როგორც ყოველგვარი განზოგადება, გარკვეულნილად სქემატური ხასიათისა და არ ასახავს იმ განსხვავებებს, რომლებიც რეჟიმებს მორის არსებობდა.

<sup>50</sup> ქართული პოლიტიკის ერთერთი მახასიათებელი ისიცაა, რომ მმართველო კოალიციები ცდილობენ საკუთარი პოზიცია აიყვანონ ჯანსაღი აზრის სტატუსში. შესაბამისად, დაპირისპირება მმართველ კოალიციასთან განიხილება, როგორც ანტისახელმწიფოებრივი ქმედება. ამას მოსდევს ოპოზიციური ძალების მარგინალიზაციის

დემოკრატიული ტრანსფორმაციის პროექტი „ზემოდან“ გულისხმობდა იმას, რომ ძლიერ კოალიციურ რეჟიმს თვითონ უნდა შეექმნა ის ინსტიტუტები, რომლებიც მის ძალაუფლებას შეზღუდავდა.

რეჟიმები ცდილობდნენ შეუთავსებლის შეთავსებას: არაპოპულარული რეფორმების გატარებას და ძალაუფლების შენარჩუნებას გამოცხადებული დემოკრატიის პირობებში. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ პრობლემას ვერცერთი რეჟიმი ვერ წყვეტდა წარმატებით, რასაც მოსდევდა რეჟიმების მუტაცია, ოპორტუნიზმი და სიმულაციურ-ფასადური პოლიტიკა.

როგორც წესი, რეჟიმები არ ჩქარობდნენ ხელისუფლების დეცენტრალიზაციაზე და შემდგომ დემოკრატიზაციაზე მიმართული რეფორმების გატარებას და ვერ ახერხებდნენ საზოგადოებაში არსებული კონფლიქტების ინსტიტუციონალიზაციას პოლიტიკური სისტემის შიგნით, რასაც მოსდევდა პროტესტის გადასვლა ქუჩაში და მასობრივი საპროტესტო გამოსვლები რეჟიმების გადადგომის მოთხოვნით. მასობრივი გამოსვლების პარალელურად, საჯარო სივრცეში მიმდინარეობდა საერთო-ეროვნული ამოცანებთან და ტრანზიციის ეტაპებთან დაკავშირებული მსოფლმხედველობრივი ბრძოლები პოლიტიკურ და ინტელექტუალურ ელიტებში. მაგ. სააკაშვილის რეჟიმის დროს, პოლიტიკური და ინტელექტუალური კლასის ერთი ნაწილი მოითხოვდა უპირობო დემოკრატიზაციას; მეორე ნაწილი უპირობო დემოკრატიზაციაში საფრთხეებს ხედავდა, მიუთითებდა დემოკრატიასა და ლიბერალიზმს შორის არსებულ დაძაბულობებზე და საუბრობდა მოდერნიზაციაზე, ძლიერი სახელმწიფოს, ინსტიტუტების მშენებლობასა და ეკონომიკურ განვითარებაზე, როგორც დემოკრატიის წინაპირობებზე.

ამგვარად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ძლიერი, დაუბალანსებელი კოალიცია, რომელიც პოლიტიკური სტაბილურობის მიზნით იქმნება, თავის თავში მოიცავს რეჟიმი-ანტირეჟიმის ლერძზე დაპირისპირების აღმოცენების ლოგიკას. თავისი ბუნებით ის პრინციპულად განსხვავდება დემოკრატიის პარტიულ-რეპრეზენტატული ფორმისგან და უფრო მეტად წააგავს ჩვენს მიერ წინა თავში აღწერილ კონტდემოკრატიულ სიტუაციას, რომლის უკიდურესი ფორმაა ახალი პოპულიზმი.

---

მცდელობები. სხვადასხვა რეჟიმი ოპოზიციის დემონიზაციას სხვადასხვანაირად ცდილობდა: „წითელი ინტელიგენცია“, „კრემლის აგენტები“ (ზ.გამსახურდია); „რუსეთის აგენტები“, „ქუჩის ოპოზიცია“, „სუსტი ოპოზიცია“ (მ.სააკაშვილი); „კრიმინალები“, „სიცრუის მანქანა“, „არაკონსტრუქციული ოპოზიცია“ (ბ.ივანიშვილი).

\* \* \*

საინტერესოა, რა გამოწვევების წინაშე დადგება დემოკრატია სა-ქართველოში უახლოეს მომავალში? შეინარჩუნებს თუ არა რეჟიმის მიმართ დამოკიდებულების ღერძი მდგრადობას მომავალ არჩევნებში? გაგრძელდება თუ არა ბრძოლა რეჟიმის წინააღმდეგ ისევ კოალიციური სცენარებით? ბ.ივანიშვილის პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ, მისი ოპონენტები საუბრობენ იმაზე, რომ საქართველოში გაჩნდა სრულებით ახალი ტიპის გამოწვევა დემოკრატიისთვის. ფორმალურის და არაფორმა-ლურის შერწყმის ქართული პოლიტიკისთვის ტრადიციულმა პრობლემამ მი-იღო უჩვეულო და უცნაური ფორმა: საზოგადოებისთვის გაუგებარი გახდა, ვინ არის ძალაუფლების სუბიექტი. რეალურად პროცესებს მართავს ივა-ნიშვილი, თუმცა, ეს არ აისახება ანგარიშვალდებულების შესაბამის ფორმა-ში. ამდენად, გაუგებარია რა სახეს მიიღებს პოლიტიკური პროცესი, რო-მელიც ჩვენ აღვწერეთ ანგარიშვალდებულების დემოკრატიის ტერმინებში.

### სადისკუსიო კითხვები

ჩვენ წარმოვადგინეთ მოსაზრებები დასავლეთის ქვეყნებში დემოკრა-ტიის ტრანსფორმაციის შესახებ და აღვწერეთ საქართველოში მიმდინარე პროცესები.

შესაძლებელია პარალელების გავლება ევროპულ „პოსტდემოკრატია-სა“ და საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესს შორის. ორივე პრო-ცესს ახასიათებს ორიენტაცია არა კლასობრივ ინტერესებზე, არამედ ქვეყნისთვის საერთო – ყველაზე აქტუალურ პრობლემებზე. საქართველოში ეს დეიდეოლოგიზებული კოალიციების შექმნით გამოიხატა, დასავლურ დე-მოკრატიებში მედიანურ ამომრჩეველზე ორიენტირებული (Catch all) პრო-ცესით<sup>51</sup>; ორივე პროცესის მახასიათებელია, აგრეთვე, პოლიტიკური ლი-დერების ვალენტობის წინა პლაზე წამოწვევა იდეოლოგიურ ფაქტორებთან შედარებით. სახეზეა, აგრეთვე, სხვადასხვა ტიპის მედიის გავლენის ზრდა პოლიტიკურ პროცესებზე. რეპრეზენტაციის პრინციპის ნაცვლად ანგა-რიშვალდებულების პრინციპის გაძლიერება თანამედროვე ევროპული დე-მოკრატიის კიდევ ერთი მახასიათებელია. ანგარიშვალდებულების პრინცი-პის დომინირება საქართველოში ვლინდება რეჟიმებთან მძაფრი დაპირისპი-რებით და სტრატეგიული საარჩევნო ქცევით.

<sup>51</sup> ამ პროცესის პათოლოგიური გამოვლინებაა პოპულიზმი.

თუმცა, გარეგნული მსგავსების მიღმა არსებობს, აგრეთვე, სიღრმისე-ული განსხვავებები. დასავლური დემოკრატიის ტრასწორმაცია ხდება პოსტმატერიალისტურ ღირებულებებზე დაფუძნებულ საზოგადოებაში; საქართველოში კი ანგარიშვალდებულების დემოკრატიის დომინირება შეიძლება ტრანსფორმაციაში მყოფი საზოგადოების ლოგიკით იყოს განპირობებული. აქედან გამომდინარე, შეიძლება დაისვას შეკითხვები: არის თუ არა ეს დემოკრატიის ერთი და იგივე ტიპი?

როგორ უნდა შევაფასოთ რეჟიმის ლერძის სიძლიერე საქართველოში? შეიძლება თუ არა ვთქვათ, რომ ქვეყანა მანკიერი წრის ტიპის ციკლში ჩაერთვება, თუ რეჟიმის მიმართ დამოკიდებულება (და არა იდეოლოგიური პრეფერენცია) გახდება საარჩევნო ქცევის ძირითადი განმაპირობებელი მომავალშიც? იქნებ შეიძლება, ამ პროცესს უფრო ოპტიმისტურად შევხედოთ და ვიფიქროთ, რომ ეს არის დასავლეთის სამყაროში გაძლიერებული რეტროსპექტული საარჩევნო ქცევის და ანგარიშვალდებულების დემოკრატიის გამოვლინება საქართველოში? თუ ასეა, ნიშნავს თუ არა ეს, რომ ევოლუციის პროცესში პარტიულ-რეპრეზენტატული დემოკრატიის ეტაპს წარმატებით „გადავახტით“, შევუერთდით დასავლურ ტრენდს და აღარ უნდა „ვიტიროთ“ იმის გამო, რომ ქვეყანაში არ არსებობს სოციო – დემოგრაფიული ჯგუფების რეპრეზენტატორი პარტიები და ამომრჩევლის ქცევა არ არის განპირობებული იდეოლოგიური პრეფერენციით? თუ დასავლური დემოკრატიაც თვისებრივ ტრანსფორმაციას განიცდის და უცნობი მიმართულებით მიემართება, რა იქნება, ამ შემთხვევაში, ორიენტირი ან მაჩვენებელი (თუნდაც ნორმატიული) იმისა, თუ სად ვიმუოფებით დემოკრატიის განვითარების რთულ ლაბირინთში?

## თავი 6

### ევროპა, როგორც ცარიელი აღმნიშვნელი

#### მარიამ იაკობიძე

მოცემული კვლევა აღწერს „ევროპის“ სიმბოლურ გამოყენებას სა-ქართველოს პოლიტიკურ დისკურსში. ნაშრომი ასაბუთებს, რომ „ევროპა“ ამ დისკურსში არის „ცარიელი აღმნიშვნელი“ – ცნება, რომელიც წარმოადგენს ერებსაჭო ლაკლაუს მთავარი თეორიული კონცეფციის – რადიკალური დე-მოკრატის – საფუძველს.

ცარიელი აღმნიშვნელების ცნების გაშლისას ლაკლაუ იყენებს სოსიურის და ლაკანისეულ განმარტებებს (Laclau, 2006).

სოსიურის თანახმად რეპრეზენტაცია თავის თავში მოიცავს ორ ნაწილს შორის ურთიერთობას: აღმნიშვნელსა და აღნიშნულს შორის. ცარიელი აღმნიშვნელების ცნება მომდინარეობს სოსიურის მიერ განვითარებული და შემდგომ ლაკანის მიერ რადიკალიზირებული თეზისიდან, რომ აღნიშნულის და მისი აღმნიშვნელის მთლიანობა სინამდვილეში იღუზორული და ყალბია. აქედან გამომდინარე, რეპრეზენტაცია/აღმნიშვნელი არ არის დაკავშირებული კონკრეტულ ობიექტთან/საგანთან, რომლის რეპრეზენტირებასაც ახდენს. რაც თავის მხრივ ნიშნავს, რომ აღმნიშვნელის მნიშვნელობა დევს სხვა აღმნიშვნელში და არა რეალობაში, რადგანაც რეალობა წინააღმდეგობაშია სიმბოლიზაციასთან<sup>1</sup>.

ლაკანი გვთავაზობს master-signifier ცნებას, რომელიც წარმოადგენს *point de capiton* და მნიშვნელობას ანიჭებს აღმნიშვნელების ჯაჭვს, რითაც არეგულირებს მთელ სისტემას. აქედან გამომდინარე, master-signifier მთელი აღმნიშვნელების სისტემის ცენტრში იმყოფება, რომლის გარშემოც გამყარებულია სხვა აღმნიშვნელები და რომლის ირგვლივაც ოპერირებს დისკურსი. სწორედ ამ აზრზე აქვს ლაკლაუს განვითარებული თავისი ცნება ცარიელი აღმნიშვნელების შესახებ.

<sup>1</sup> Kontogiannis-Mandros, Angelos. Why do empty signifiers matter to politics?: A critical evaluation of Laclau's work. [www.academia.edu](http://www.academia.edu)

## ლაკლაუს კონცეფცია

ლაკლაუ თანამედროვე საზოგადოებას აღწერს როგორც სივრცეს, რომელზეც გაფანტულია სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ვიწრო ინტერესები და მოთხოვნები, ხოლო პოლიტიკის მთავარი დილემა სწორედ იმაში მდგომარეობს, თუ როგორ შექმნას ერთიანობა ამ მრავალფეროვნებისგან. ლაკლაუსთვის საჯარო სივრცეში გაუდერებული ყველა მოთხოვნა თავის თავში უკვე დაყოფილია ნაწილებად. რას ნიშნავს ეს, მაგალითად: დასაქმებულები მოითხოვენ ხელფასების მატებას, თუ ისინი ამ მოთხოვნას რეპრესიული რეჟიმის პირობებში გააუდერებენ, ერთის მხრივ, ამ მოთხოვნას ექნება კონკრეტული შინაარსი (მაღალი ხელფასები) და მეორეს მხრივ, ხალხი ამ მოთხოვნას დაინახავს როგორც მთლიანი არსებული სისტემის გამოწვევას, კონფირონტაციას სისტემასთან. მოთხოვნის ამ მეორე, უფრო უნივერსალურ მხარეს შეუძლია სხვა სოციალური მოთხოვნების გენერირება მოახდინოს – მაგალითად, სტუდენტების მოთხოვნა უნივერსიტეტის ავტონომიაზე. ეს ორი მოთხოვნა, გამომდინარე მათი სპეციფიკიდან, არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა, სისტემასთან დაპირისპირების კონტექსტში ექვივალენტურად აღიქმება. თუ გაჩნდება მესამე, ასევე არსობრივად განსხვავებული მოთხოვნა, რომელიც ასევე სისტემასთან დაპირისპირებაში შევა, ეს წარმოშობს ექვივალენტურობის ჯაჭვს (equivalential chain). რასაც საბოლოოდ მივყავართ იქამდე, რომ ზედაპირზე ჩანს არა ინდივიდუალური მოთხოვნები, არამედ მოთხოვნები მთლიანობაში. ამ მომენტში, იქიდან გამომდინარე, რომ მთელი ამ ჯაჭვის რეპრეზენტაციის საშუალებას წარმოადგენს ერთი კონკრეტული მოთხოვნა (პირველი მოთხოვნა, რომელსაც მოპყვა ექვივალენტურობის ჯაჭვის განვითარება) – მას ეკისრება მოთხოვნათა მთელი ჯაჭვის წარმომადგენლობის ფუნქცია. ამას ლაკლაუ ცარიელ აღმნიშვნელს უწოდებს. ცარიელი, რადგან იმისათვის, რომ აღმნიშვნელმა წარმოადგინოს მოთხოვნათა ჯაჭვის ტოტალობა, მან უნდა უარყოს ის კავშირი, რომელიც აქვს კონკრეტულ მოთხოვნასთან, რომლისგანაც იგი წარმოიშვა და რეპრეზენტაცია უნდა მოახდინონ მოთხოვნათა ფართო სპექტრის, რომელთაც ექვივალენტური ურთიერთმიმართება აქვთ ერთმანეთთან; ამდენად, ეს აღმნიშვნელი ნელ-ნელა ნაკლებად ინდივიდუალური და უფრო უნივერსალური ხდება; ამავე დროს, იგი არის ჰეგემონური აღმნიშვნელი, რადგან მას აქვს ფუნქცია – თავისი კონკრეტული შინაარსის მეშვეობით რეპრეზენტირებდეს უნივერსალობას, რომელიც სცდება მის საზღვრებს ლაკლაუს თქმით, საზოგადოებებში, რომლებშიც ჩვენ ვცხოვრობთ ორი ტენდენცია იკვეთება: 1) სხვადასხვა

მოთხოვნების უნივერსალიზაცია ცარიელი აღმნიშვნელების წარმოებით და 2) ცალკეული მოთხოვნების პარტიკულარიზმი; ეს ორი ტენდენცია ქმნის დაძაბულობას, რომელზეც შემდგომ პოლიტიკური კონსტრუირდება (Campi, 2008).

ლაკლაუსთვის, დემოკრატიული სისტემის აგება დამოკიდებულია ორ განზომილებაზე, რომელიც, ერთის მხრივ, ერთმანეთთან წინააღმდეგობაშია და მეორეს მხრივ, ერთმანეთს ავსებენ. რომ წარმოვიდგინოთ, პირველი განზომილება – პორიზონტალური, გაფანტული ექვივალენტური მოთხოვნების ჯაჭვი, და მეორე განზომილება – ვერტიკალური, ჯაჭვის გაერთიანება რაიმე ერთი ცენტრალური, ცარიელი აღმნიშვნელის გარშემო. როგორც პორიზონტალური გაფანტულობა, ისე ვერტიკალური პოლუსი აუცილებელია დემოკრატიული პოლიტიკის სანარმოებლად (Campi, 2008).

თავის ერთ-ერთ ცენტრალურ ნაშრომში ლაკლაუ ცარიელ აღმნიშვნელებზე მსჯელობას შემდეგნაირად იწყებს: „მკაცრად რომ განვსაზღვროთ, ცარიელი აღმნიშვნელი არის აღმნიშვნელი აღნიშნულის გარეშე“ (Laclau, 2006). ცარიელი აღმნიშვნელები არსებობს იმდენად, რამდენადაც რეპრეზენტირების სისტემა (system of signification) სტრუქტურირებულია ცარიელი სივრცის გარშემო, რომელიც წარმოიშობა განსხვავებული სოციალური მოთხოვნების საერთო პოზიტიური მიზნის გარშემო გაერთიანების შეუძლებლობით. ცარიელი აღმნიშვნელის ქვეშ ამ მოთხოვნების გაერთიანება ხდება საერთო ნეგატიური ელემენტის მეშვეობით – მათი დაპირისპირება საერთო ოპონენტისადმი. შესაბამისად, ცარიელი აღმნიშვნელი არის არარსებული ტოტალობის აღმნიშვნელი (Campi, 2008). იმისათვის, რომ მოთხოვნა იქცეს ცარიელ აღმნიშვნელად, მან თავდაპირველად სხვა მოთხოვნებისგან განმასხვავებელი ნიშანთვისება უნდა გამოკვეთოს, რომელიც ყველა დანარჩენის საპირისპიროდ დააყენებს მას. შემდგომ, მისი უნივერსალური მხარე გენერირებს სხვა მოთხოვნებს და მათ პორიზონტალურ სიბრტყეზე აყენებს, რითაც წარმოქმნის ექვივალენტურობის ჯაჭვს, რომელიც ყველა ამ მოთხოვნას ერთი ნეგატიური მიზნის ირგვლივ კრავს – სისტემასთან დაპირისპირება. პოლიტიკურზე ჰეგემონიის შესანარჩუნებლად ცარიელი აღმნიშვნელი მუდმივად დაცლილი უნდა იყოს კონკრეტული შინაარისგან. მარტივად რომ ავხსნათ, წესრიგს, როგორც ცნებას არ აქვს ერთი კონკრეტული შინაარსი, რადგან იგი არსებობს სხვადასხვა ფორმებში, რომლებშიც მისი რეალიზაცია ხდება. თუმცა, რადიკალური უნესრიგობის პირობებში „წესრიგი“ არსებობს როგორც რაღაც არარსებული, ანუ იგი იქცევა ცარიელ აღმნიშვნელად, რაღაცად, რაც არ არსებობს.

## თავი 6.

რაიმეს ჰეგემონიზაცია სწორედ ამ სიცარიელის შემავსებელი ფუნქციის აღსრულებას ნიშნავს (Laclau, 2006).

ისევე, როგორც master-signifier არის *point de capiton*, რომლის ირგვლივაც მთელი სისტემა სტაბილიზირდება, ცარიელი აღმნიშვნელების ირგვლივ იკვრება აღმნიშვნელების ჯაჭვი, რომელიც მნიშვნელობას იღებს ცენტრალური აღმნიშვნელიდან გამომდინარე და უზრუნველყოფს პოლიტიკური სფეროს სტაბილიზირებას. თუმცა, მართალია ერთის მხრივ ცარიელი აღმნიშვნელები არის აღმნიშვნელები, რომელთაც მთელ სისტემაზე აქვთ ჰეგემონია და არეგულირებენ მას, მეორეს მხრივ, ისინი უარყოფენ ამ რეგულირებას/სტაბილიზაციას. ვინაიდან ისინი არ ეფუძნებიან არც რეალობას, არც კონკრეტულ ობიექტს/საგანს, რომელსაც აღნიშნავენ, მათ არ გააჩნიათ კონკრეტული/ობიექტური ან უკეთესად რომ ვთქვათ „მყარი“ მნიშვნელობა. მათი შინაარსი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ მოიპოვებს გამარჯვებას აღტერნატიული აღმნიშვნელების მუდმივ ბრძოლაში, რომელიც ცდილობენ უპირატესობის მოპოვებას მასზე და მისთვის მნიშვნელობის მიცემას. ამ კონტექსტში ცარიელი აღმნიშვნელები ქმნიან პოლიტიკური თამაშის სფეროს, რომელშიც პოლიტიკური ძალები ერთმანეთს ეჯიბრებიან იმაში თუ ვის ექნება ჰეგემონია ცარიელ აღმნიშვნელზე, რადგან ძალაუფლებას ფლობს ის, ვინც განსაზღვრავს ცარიელი აღმნიშვნელის შინაარს (ჟიურის მაგალითი რომ მოვიყვანოთ, სხვადასხვა პოლიტიკური ძალები მარქსისტებით და ლიბერალებით დაწყებული, კონსერვატორებით დამთავრებული ედავებიან ერთმანეთს „დემოკრატიის“ შინაარსა და მის „რეალურ“ მნიშვნელობაზე) (Butler, 2005). იმისათვის, რომ დომინაცია შეინარჩუნონ, ეს რეპრეზენტაციები უნდა იყოს ბუნდოვანი, რათა მოიცვას ყველა სხვა კონკურენტი აღმნიშვნელის ელემენტი. ამგვარად, ჰეგემონიის მოპოვება ხდება კონკრეტული მნიშვნელობის და სტაბილური შინაარსის დაკარგვით. შესაბამისად, ცარიელი აღმნიშვნელები არის როგორც სტაბილურობის პირობები, ისე ცვლილება. სტაბილურობას უზრუნველყოფენ იმდენად, რამდენადაც ადგენენ აღმნიშვნელთა მთელი ჯაჭვის მნიშვნელობას, ხოლო ცვლილებას წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც იგი მუდამ ღიაა ახალი ჰეგემონიური რეპრეზენტაციებისთვის/აღმნიშვნელებისთვის. ცარიელ აღმნიშვნელებს შეუძლიათ აგვისნან როგორ არის კონკრეტული პოლიტიკური სფერო სტრუქტურირებული საყოველთაოდ აღიარებული საკითხების გარშემო და რა პოლიტიკური ცვლილებებია შესაძლებელი (Laclau, 2006).

ზემო მსჯელობიდან გამომდინარე, პოლიტიკურ ბრძოლას თუ შევხედავთ როგორც მუდმივ ბრძოლას ცარიელი აღმნიშვნელის შინაარსზე ჰე-

გემონის მოპოვებისთვის, მაშინ მნიშვნელობა აღარ აქვს იმას, აქვს თუ არა კავშირი ცარიელ აღმნიშვნელს რეალობასთან ან არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური ჭეშმარიტება/რეალობა აღმნიშვნელთა მთელი ამ სისტემის გარეთ, რადგან პოლიტიკისთვის მთავარია თუ ვის აქვს ჰეგემონია შინაარსზე.

## ევროპა, როგორც ცარიელი აღმნიშვნელი

ასეთ ცარიელ აღმნიშვნელად საქართველოში ბოლო წლებში იქცა ევროპა, როგორც master signifier, რომლის დომინანტური პოზიცია სისტემაში ნარჩუნდება ინტერპრეტაციების მონაცვლეობის მიუხედავად. მმართველი გუნდი, სხვა პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორც პოლიტიკური აქტორები და მედია თავის როლს თამაშობენ „ცარიელი აღმნიშვნელების“ ფორმირების და დეტერმინაციის პროცესში და შესაბამისად, ჩემი კვლევის საგანს ნარმოადგენს იმის გამოკვეთა, თუ როგორ იქცა „ევროპა“ ცარიელ აღმნიშვნელად, ვინ როგორ ინტერპრეტირებს მას და რა მნიშვნელობებს იძენს იგი პოლიტიკური მოვლენების ტრასფორმაციის პარალელურად.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პირველ წლებში ევროპა საჯარო დისკურსში დიდ როლს არ თამაშობდა. მთავარი პოლიტიკური აქცენტები უმეტესად სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ეროვნული იდენტობის საკითხებზე კეთდებოდა. „დასავლეთი“, როგორც ზოგადი ორიენტირი არსებობდა. თუმცა, მისი კონტურები პოლიტიკურ დღის წესრიგში მოგვიანებით, ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში უფრო გამოიკვეთა. საქართველო გაწევრიანდა არაერთ საერთაშორისო თუ რეგიონალურ ორგანიზაციაში, მოახდინა საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირება, საკანონმდებლო ცვლილებებსა და სხვადასხვა საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკური დოკუმენტების შექმნაში აქტიურად მონაწილეობდნენ დასავლეთიდან ჩამოსული ექსპერტები, მსხვილი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ადგილობრივი ოფისების გახსნით ქვეყანაში დაიწყო დასავლური ფულის შემოდინება. იმ დროისთვის „დასავლეთი“ აღიქმებოდა პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვების საშუალებად (გეოპოლიტიკური ორიენტირი) და ასევე პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების ნიმუშად (დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკა). შესაბამისად, ის ყველაფერს მოიცავდა – დემოკრატიას, კაპიტალიზმს, ევროპას, ევროკავშირს, ნატოს, გაეროს, თავისუფლებას, კეთილდღეობას, განვითარებას და სხვ. „დასავლე-

თო“, როგორც ცარიელი აღმნიშვნელი საზოგადოების ცნობიერებაში წინა ისტორიულმა პერიოდმა, ცივმა ომმა შემოიტანა, თუმცა მისი შინაარსის განსაზღვრისათვის პოლიტიკური დაპირისპირებები, იმ სახით, როგორიც ის დღეს არის, 2003 წლამდე არ მიმდინარეობდა. დასავლეთის დისკურსზე ჰე-გემონის მოპოვებისთვის ბრძოლა, რომელიც გარკვეულ პოლიტიკურ ძა-ლებს (სააკაშვილი/უვანია) და არასამთავრობო ორგანიზაციებს ერგო, დასრულდა მათ მიერ 2003 წლის ე.წ. ვარდების რევოლუციით ძალაუფლე-ბაში მოსვლით. ახალი პოლიტიკური თაობისთვის დასავლეთის და ევროპის ნეგატიურ ალტერნატივას წარსულს ჩაპარებული საბჭოთა კავშირი წარმო-ადგენდა.

დასავლურ ქვეყნებში განათლებამიღებული ახალგაზრდებისგან ფორმირებულმა ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო „დასავლეთის“ საკუთარი ძალაუფლების განსამტკიცებლად აქტიური გამოყენება. ამისთვის საკმაოდ წარმატებით იყენებდა სიმბოლურ დატვირთვებს. მაგალითად, საჯარო სივრცეში სახელმწიფო დროშის გვერდით გაჩნდა ევროკავშირის დროშა, მე-დიაში გამოსვლების დროს მთავრობის წარმომადგენლების ფონად აუ-ცილებლად საქართველოს და ევროკავშირის დროშები და სიმბოლიკა ფი-გურირებდა. ამავე პოლიტიკის ნაწილი იყო მყისიერი და დაჩქარებული სა-კადრო ცვლილებები, რომლის დროსაც მუდმივად განსაკუთრებული ხაზი ესმეოდა იმას, რომ ახალ კადრებს განათლება დასავლეთის (ევროპის) ქვეყნებში ჰქონდათ მიღებული და რომ ახალგაზრდა ხელისუფლება და-სავლური იდეებით მოდიოდა საბჭოთა მენტალიტეტის შედეგად ჩამოშლილი სახელმწიფოს თავიდან ასაშენებლად.

დროთა განმავლობაში „ევროპა“ იკავებდა master signifier „დასავლე-თის“ მნიშვნელობას და ადგილს იმკვიდრებდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. თუ მანამდე „დასავლეთის“ ქვეშ ბევრი სხვა ცნება ერთი-ანდებოდა, ახალი პოლიტიკური დისკურსის პირობებში დაიწყო ცნებების ტრანსფორმაცია და ერთმანეთში არევა. ევროპა და ევროკავშირი ერთ აღმნიშვნელად მოიაზრებოდა. მაშინ, როდესაც ევროპა გამოთქვამდა ზო-გადად თანამშრომლობის სურვილს, მთავრობა ხალხს პირდებოდა, რომ მა-თი მმართველობის პერიოდში საქართველო აუცილებლად გახდებოდა ევროკავშირის წევრი ქვეყანა. მოგვიანებით, როდესაც აშკარა გახდა, რომ ევროკავშირის წევრობა იმ დროისთვის გრძელვადიან პერსპექტივასაც კი არ წარმოადგენდა და მოსახლეობისთვის მიცემული დაპირების შესრულება შეუძლებელი იყო, „ევროპის“ გვერდით გაჩნდა ახალი ცარიელი აღმნიშვნე-ლი – ნატო. როგორც ტერიტორიული მთლიანობის და ეროვნული უშიშროე-ბის გარანტი. ევროპის დისკურსი დარჩა, თუმცა ტრანსფორმაცია განიცადა

– ამჯერად, ხელისუფლება საუბრობდა არა ევროკავშირის წევრობაზე, არა-მედ ევროპული სახელმწიფოს მშენებლობაზე: „მომავალ წელს საქართველოში მარტო გზებზე დამატებით დავხარჯავთ 700-800 მილიონ დოლარს. ჩვენ გავაკეთებთ იმას, როსთვისაც სხვა ქვეყნებს დასჭირდათ ევროკავშირში შესვლა – ევროკავშირში შესვლის მთავარი მიღწევა ბალტიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის იყო ის, რომ მათ გაუკეთეს გზები. მართალია, ჯერ არ ვიქნებით ევროკავშირში, მაგრამ საქართველოს არაოკუპირებულ ნაწილში ყველა მიმართულებით კარგი გზები გვექნება“<sup>2</sup>.

პარალელურად იცვლება ნეგატიური აღმნიშვნელი – საბჭოთა კავშირის ადგილს რუსეთი იკავებს, რამაც გამოიწვია ევროპის ნატოსთან ასოცირება და ახალი – ევროატლანტიკური – დისკურსის წარმოშობა. მმართველი პარტიის, როგორც წევრობერალური და ლიბერალური ნაციონალისტური იდეოლოგიების სინთეზის რიტორიკა და საგარეო თუ შიდა პოლიტიკა, მთლიანად ნატო+ევროკავშირი/რუსეთის ბინარულ ოპოზიციაზე იყო აგებული. მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციების და ახალი საგანმანათლებლო სისტემის მეშვეობით ვითარდებოდა ახალი პოლიტიკური აზროვნება, რომელიც ევროპას აუცილებლად რუსეთთან დაპირისპირებაში აყენებდა. არ არსებობდა სივრცე იმაზე მსჯელობისთვის, თუ რა არის ევროპა, ევროპული ღირებულებები, ევროპული მმართველობის სისტემა და სხვ. ამის სანაცვლოდ, არსებობდა მხოლოდ ერთი განზომილება, სადაც „ევროპა“, როგორც ცარიელი აღმნიშვნელი, მნიშვნელობას რუსეთთან დიქოტომიაში იძნება<sup>3</sup>. მაგალითად, 2010 წლის ყოველწლიურ ანგარიშში პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აცხადებდა: „მომდევნო 2 წლის განმავლობაში ბათუმში იქნება უფრო მეტი ბრენდის სასტუმრო, ვიდრე დღეს არის ქალაქ მოსკოვში“; „ოდესალაც ჩვენ გვექნება თავისუფალი ფრენა მოსკოვთან და ნორმალური ურთიერთობები, მაგრამ დამერნებუნეთ ჯობია მათ ვუხადოთ ძვირი ფასი, მაგრამ იქ ჩავდიოდეთ როგორც ევროპელები“<sup>4</sup>. 2011 წლის 26 ივნისს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რამდენიმე სახელმწიფოს ოფიციალური წერილით მიმართა, რომ ამიერიდან საქართველო „გრუზიას“ ნაცვლად „ჯორჯიად“ მოეხსენებინათ. 2008 წლის ომის შემდგომ

<sup>2</sup> მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი საჯარო გამოსვლა 2011 წლის მაისში.

<sup>3</sup> აქვე საინტერესოა შემდეგი ვიდეო:

<https://www.youtube.com/watch?v=oXkXsanA5nc&list=WL&index=195> არსებობს უამრავი მსგავსი პათოსის გამოკითხვები, სტატიები, ბლოგები და ა.შ. ქართულ მედია და ინტერნეტ სივრცეში.

<sup>4</sup> პრეზიდენტის 2010 წლის ანგარიში.

მმართველი ელიტის რიტორიკა იმდენად ხისტი გახდა, რომ საზოგადოების, განსაკურებით კი ახალგაზრდების ცნობიერებაში ჩამოყალიბდა ახალი აზროვნების სისტემა – ინფანტილურად რომანტიზირებული ევროპა, რომელიც ავტომატურად დემონიზირებულ რუსეთთან ოპოზიციაში აღიქმება. რუსეთი კი, თავის მხრივ, მოიცავდა წარსულს, ტრადიციულს და, შესაბამისად, ხშირად ქართულსაც. მთავარი პრინციპი, რასაც ხელისუფლების და მისი მომხრეების პოლიტიკა ემყარებოდა, იყო ევროპის დისკურსზე ექსკლუზიური უფლების მოპოვება, ქვეყნის ევროპული განვითარების ერთ კონკრეტულ პარტიასთან – ნაციონალურ მოძრაობასთან გაიგივება: „ჩვენი გზის ალტერნატივა არის ჩამორთმებული თავისუფლება და ცენტრიდან უფრო სების მასპინძლობა – „ტამადა, სულუგუნი, სულიკო“ – არ არის ეს ჩვენი არჩევანი“<sup>5</sup>.

აქ აღსანიშნავია ერთი, მეტად საინტერესო და სრულიად მივიწყებული ისტორიული ფაქტი, რომ თავის დროზე, მე-19 საუკუნიდან მოყოლებული ევროპა და ევროპული კულტურა საქართველოში სწორედ რუსეთის გავლით შემოდიოდა. ქართული საზოგადოების ის ფენა, რომელმაც მოგვიანებით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში, როგორიც მაგალითად ილია ჭავჭავაძეა, განათლებას რუსეთში იღებდა, სადაც ევროპულ იდეებს და ცოდნებს ეუფლებოდნენ და შემდგომ ამ იდეებს საქართველოში ავრცელებდნენ. დღეს, რუსეთის ეს მნიშვნელობა დაკარგულია.

ყოფილი პრეზიდენტის და მისი გუნდის წარმომადგენლების განცხადებებს, ასევე იმ პერიოდში მედიაში გაბატონებულ რიტორიკას თუ დავაკვირდებით, ევროპა წარმოჩინდება როგორც პოზიტიური აღმნიშვნელი, რომელიც ხელისუფლებისთვის წარმოადგენდა ნებისმიერი გატარებული პოლიტიკის ლეგიტიმაციის წყაროს. 2007 წლის 15 მარტის ყოველწლიურ ანგარიშში სააკაშვილი ამბობს, რომ „საქართველო აფხაზებს და ოსებს ევროპული სტანდარტების ავტონომიას სთავაზობს“, თუმცა როგორია ამ ავტონომიის შინაარსი და რას მოიაზრებს იგი არ განმარტავს. ამავე გამოსვლაში სააკაშვილი აღნიშავს – „თუ ცოტა ხნის წინ ქართული ეკონომიკა ვლადიკავკაზის და ერგნეთის ბაზრობებზე კეთდებოდა, ეს ჩაანაცვლა ლონდონის საფონდო ბირჟამ“<sup>6</sup>, რის შემდეგაც ამატებს „საქართველო ბრუნდება თავის ევროპულ ოჯახში. ჩვენ უბრალოდ ევროპელები არ ვართ, ჩვენ უძველესი ევროპელები ვართ... ევროპა უპირველეს ყოვლისა – ეს არის ჩვენი საგარეო პოლიტიკის მთავარი ლოზუნგი“. შემდგომი წლების

<sup>5</sup> პრეზიდენტის 2010 წლის ანგარიში.

ანგარიშებშიც იგი არაერთხელ იმეორებს, რომ „ჩვენი მთავარი მიზანი არის შევქმნათ ევროპული, თანამედროვე, წარმატებული სახელმწიფო, ... და-სავლეთი არის გზა რეალური უსაფრთხოებისა და თავისუფლებისაკენ“<sup>6</sup>. თუ საბჭოთა კავშირის დროს კომუნიზმი იყო უალტერნატივო, გარდაუვალი ნა-თელი მომავალი, ნაციონალური მოძრაობის დროს ასეთ უალტერნატივო მიზნად იქცა დასავლეთი, კერძოდ კი ევროპა.

საჯარო სივრცე, რომელიც დიდწილად ხელისუფლების მიერ იმართე-ბოდა, ქმნიდა დისკურსს, რომელზეც აბსოლუტური ჰეგემონია ჰქონდა სა-ქართველო (როგორც ისტორიულად დასავლეთის ნაწილი) / რუსეთის ბი-ნარულ ოპოზიციას და ხდებოდა ნებისმიერი რიგითი მოქალაქის თუ პო-ლიტიკური ძალის მარგინალიზება ან კრემლის აგენტად შერაცხვა, ვინც ამ დღის წესრიგიდან გადაუხვევდა. ყოველთვის, როდესაც საზოგადოებაში ძლიერი საპროტესტო ტალღა იწყებოდა, ხელისუფლება მაშინვე მი-მართავდა კარგად ნაცად რუსინას: პატრიოტული შემართებით მოუ-წოდებდა ოპოზიციას და საზოგადოების უკმაყოფილო ნაწილს ქვეყნისთვის ამ გამანყვეტ მომენტში საერთო საგარეო მტრის წინააღმდეგ<sup>7</sup>.

2003 წლიდან 2012 წლამდე არაერთ საპროტესტო აქციას ჰქონდა ადგი-ლი, მათ შორის მასშტაბის თუ მნიშვნელობის თვალსაზრისით გამოვყოფდი შემდეგს: 2007 წლის ნოემბერი, 2009 წლის გაზაფხულის რამდენიმეთვიანი აქციები და 2011 წლის 26 მაისი. სამივე შემთხვევაში ხელისუფლებას ერთი სტრატეგია ჰქონდა – თავდაპირველად ოპოზიციურად განწყობილი მასის იგნორირება, არალეგიტიმურ ოპონენტად აღიარება და მაშინ, როდესაც უკმაყოფილება პიკს აღწევდა ძალადობრივი გზით დარბევა და აქციის მო-ნაწილეების ქართული სახელმწიფოებრიობის მტრად და კრემლის აგენტე-ბად გამოცხადება. მაგალითად, 2007 წლის 7 ნოემბრამდე რამდენიმე დღით ადრე ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები დამცინავად მოიხსენი-ებდნენ მიმდინარე აქციებს და არასერიოზულს უწოდებდნენ მას: 2007 წლის 1-ელ ნოემბერს, როდესაც რეგიონებიდან ოპოზიციურად განწყობილი მო-სახლეობის კოლონა თბილისისკენ მოდიოდა, თბილისის მერმა გიგი უგუ-ლავამ განაცხადა, რომ ოპოზიციური კოლონა იყო 2003 წლის რევოლუციის მოვლენების „უნიჭო იმიტაცია“. ამავე წლის 3 ნოემბერს, აქციების დაწყე-ბიდან მეორე დღეს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ – გივი თარგამაძემ განაცხადა, რომ არ არის საჭირო დიდი ყურადღება მიექცეს პარლამენტის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციას. ტე-

<sup>6</sup> პრეზიდენტის 2010 წლის ანგარიში: <http://civil.ge/geo/article.php?id=22407>

<sup>7</sup> პრეზიდენტის 2009 წლის ანგარიში.

ლეკომპანია „რუსთავი 2“-ის კითხვაზე, როგორ შეიძლება მოგვარდეს არსებული კრიზისი, თარგამაძემ უპასუხა: „მოგვარების საჭიროება არ არსებობს; ჩვენ მხოლოდ ჩვენი საქმის კეთება უნდა განვაგრძოთ“. 7 ნოემბრის ცნობილი დარბევის შემდგომ კი მოულოდნელად გაჩნდა შსს-ს მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმები, ფარული ჩანაწერები<sup>8</sup> და მკაცრი განცხადებები ხელისუფლების წარმომადგენლებისგან, რომ აქციის მონაწილეების მოტივაციაში რუსული ინტერესები და რუსული ფული იკვეთებოდა, რომ სახელმწიფო გადატრიალება და არეულობა იგეგმებოდა და ა.შ<sup>9</sup>.

ზუსტად ანალოგიურ პროცესებს ჰქონდა ადგილი 2011 წლის 26 მაისის დარბევამდე და შემდგომ. 2011 წლის 21 მაისს, აქციების მიმდინარეობისას შსს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა რუსთავი 2-ის გადაცემა P.S.-ში განცხადა: „ყველამ დაინახა, რომ ყველა ის განცხადება, ყველა ის გეგმები, რაც ჰქონდათ ამ ადამიანებს იყო ყალბი და არასერიოზული. ამიტომ არასერიოზულ ქმედებებზე ჩვენ გვექნება რეაქცია ანუ არავითარი რეაქცია არ გვექნება ... დღეს იმდენად ცოტანი, იმდენად სუსტები არიან ეს ადამიანები, რომ მათ არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ, არც იმის რასაც ამბობენ და არც იმის მეასედის, რასაც ისინი ხშირად იქადნიან ... არავითარი მცირე, პატარა საფუძველიც არ არსებობს რაიმე საფრთხის შეცველი<sup>10</sup>.“ 2011 წლის 24 მაისს, აქციის დარბევამდე 2 დღით ადრე პრეზიდენტი რიყის პარკის გახსნაზე: „ეს მასკარადები, შეიძლება ჩემთვის პირადად სასაცილო იყოს, მაგრამ ორგანიზატორთა გათვლა სრულიად ნათელი და კონკრეტულია. მათ მიაჩნიათ, რომ ეს ყველაფერი მათია და თბილისში, ქუთაისში, ბათუმში ჩამოსულმა ხალხმა აეროპორტებში „ფეხსბეს“ მესაზღვრეთა კონტროლი უნდა გაიაროს – აქ ხომ საბჭოთა მესაზღვრეები უნდა იდგნენ. ეს ხალხი საქართველოში უნდა ჩამოდიოდეს არა როგორც თავისუფალ ქვეყანაში, არამედ როგორც რუსეთის ერთ-ერთ პროვინციაში.“ აქციის დარბევიდან კი მეორე დღესვე შსს-მ გაავრცელა ვიდეო და აუდიო ჩანაწერები, რომლებიც აქციის ლიდერებს სახელმწიფო სტრუქტურებზე ძალადობრივი თავდასხმის დაგეგმვასა და სახელმწიფო ღალატში ამხელდა<sup>10</sup>. ვინაიდან რუსეთი აღნიშნავდა

<sup>8</sup> <http://www.civil.ge/geo/article.php?id=16576&search=>;

<http://www.civil.ge/geo/article.php?id=16575&search=>;

<sup>9</sup> <http://www.civil.ge/geo/article.php?id=16583&search=> სააკაშვილის სატელევიზიო განცხადება 7 ნოემბრის დარბევის შემდგომ; სრული ტექსტი >

<http://www.civil.ge/geo/article.php?id=16586&search=>

<sup>10</sup> <http://www.civil.ge/geo/article.php?id=24099>; სააკაშვილი: „მეხუთე კოლონა ღიად მოქმედებს საქართველოში“ <http://www.civil.ge/geo/article.php?id=24101&search=>

ევროპის საპირისპიროს, ოპოზიციის რუსეთთან გაიგივება იმავდროულად ნიშნავდა ამ ოპოზიციის ანტიევროპულობის მტკიცებას.

ნიშანდობლივია ის წინააღმდეგობა, რომელიც ახასიათებდათ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს ევროპასთან მიმართებით. სააკაშვილი ხშირად იმეორებდა, რომ მისი გუნდის მიზანი იყო ერთის მხრივ ევროპული პოლიტიკური სისტემის განვითარება, რომელიც გულისხმობდა პიროვნულ თავისუფლებას, დემოკრატიას, პოლიტიკურ სტაბილურობას და მეორეს მხრივ სინგაპურის მსგავსი ლიბერალური ეკონომიკური მოდელის შექმნას<sup>11</sup>. თუმცა, საჯარო სივრცეში არასდროს ყოფილა დისკუსია ამ საკითხზე და არცერთი პოლიტიკური პარტიისგან არ გაჟღერებულა ის, რომ ევროპული პოლიტიკური და სოციალური სისტემა, რომელიც დემოკრატიული და სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფოს იდეას ეფუძნება, თავისი არსით, წინააღმდეგობაშია სინგაპურის ულტრანეოლიბერალურ და არცთუ დემოკრატიულ სისტემასთან და შეუძლებელია ამ ორი ფუნდამენტურად განსხვავებულ ლირებულებებზე დაფუძნებული მოდელის სინთეზი და თანაარსებობა. მაშინ, როდესაც ხელისუფლება ევროპულ დემოკრატიაზე საუბრობდა, ამის პარალელურად 2006 წელს გაუქმდა შრომის ინსპექცია, შემუშავდა შრომის ახალი კოდექსი, რომელიც არანაირ ბერკეტს და დაცვის საშუალებას არ უტოვებდა დასაქმებულს და არადეკვატურად არათანაბარ მდგომარეობაში აყენებდა მას დამსაქმებელთან ურთიერთობაში. შრომის ინსპექციის გაუქმებას ავტომატურად მოჰყვა მძიმე ინდუსტრიაში დასაქმებულთა სამუშაო ადგილზე სიკვდილიანობის ზრდა<sup>12</sup>. ამავე პერიოდში, 2009 წლის ოქტომბერში პარლამენტმა მიიღო ერთ-ერთი ყველაზე ანტიევროპული ეკონომიკური დოკუმენტი – „ეკონომიკური თავისუფლების აქტი“, რომელიც პირდაპირ აკანონებდა მინიმალურ სახელმწიფოს, ბაზრის პასოლუტურ დერეგულაციას და ნეოლიბერალურ ეკონომიკურ მმართველობას.

<sup>11</sup> "მთავარი არის ის, რომ საქართველო გადაიქცეს ყველაზე სწრაფად მზარდ ეკონომიკად მთელ ევროპაში, რადგან, ერთის მხრივ, ჩვენ უნდა გვქონდეს ევროპული პოლიტიკური სისტემა, თავისუფლება, დემოკრატია, პოლიტიკური სტაბილურობა და, მეორეს მხრივ, ლიბერალური ეკონომიკური მოდელი, ისე როგორც სინგაპურშია," 12.05.2011 მიხეილ სააკაშვილის ინტერვიუ.

<sup>12</sup> საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი მონაცემებით 2007-2013 წლებში რესპუბლიკის მასშტაბით საწარმოო ტრავმებისგან 273 ადამიანი დაიღუპა და 486 მძიმედ დაშავდა, ხოლო საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების წევრი ორგანიზაციების სტრუქტურულ ერთეულებში საწარმოებში (ორგანიზაციებში) 2007-2013 წლებში დაიღუპა 71 და მძიმედ დაშავდა 25 დასაქმებული; [www.gtuc.ge](http://www.gtuc.ge)

## თავი 6.

რა ხდებოდა ამ დროს ოპოზიციაში? რა დისკურსები ჰქონდა (ჰქონდა კი?) ოპოზიციას ევროპასთან მიმართებით? რითი უპირისპირდებოდა იგი ხელისუფლების „დასავლურ/ევროპულ“ დისკურსს? საკვლევ და გასაანალიზებელ პერიოდად ამისთვის გამოგვადგება 2007 წლის ნოემბრის აქციებამდე და შემდგომ განვითარებული მოვლენები, ვინაიდან ამ პერიოდიდან ყველაზე აქტიურად და ორგანიზებულად დაუპირისპირდნენ ხელისუფლებას სხვადასხვა ოპოზიციური ძალები. რა თქმა უნდა, მანამდეც იყო აქციები, გამოსვლები და ა.შ. თუმცა, ისინი უმეტეს შემთხვევაში გახმაურებულ საქმეებს უფრო უკავშირდებოდა (მაგალითად სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმე) და თავისი ბუნებით სპონტანური და არაორგანიზებული იყო. 2007 წლის ოქტომბრიდან კი ოპოზიციური პარტიები ერთი ქოლგის ქვეშ – საერთო სახალხო მოძრაობა – გაერთიანდნენ, რომელიც ათ ოპოზიციურ ჯგუფს მოიცავდა<sup>13</sup>. მათ გაერთიანებას იმ პერიოდში ირაკლი ოქრუაშვილის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებსაც უკავშირდნენ. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ყოფილი მაღალჩინოსნის და პრეზიდენტის დაახლოებული პირის სერიოზულმა ბრალდებებმა მმართველი გუნდის ლიდერების მიმართ თავისი წვლილი შეიტანა ხელისუფლების წინააღმდეგ არსებული უკმაყოფილო განწყობების ორგანიზებაში. მთავარი საკითხები, რომლებიც ოპოზიციამ გააუღერა იყო ოთხი მოთხოვნა: 1. საპარლამენტო არჩევნების კონსტიტუციურ ვადაში, 2008 წლის გაზაფხულზე ჩატარება; 2. არჩევნები ჩატარებულიყო პოლიტიკური პარიტეტის საფუძველზე შექმნილი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ; 3. მრავალმანდატიან მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში მანდატები განაწილებულიყო თითოეული კანდიდატისთვის მიცემული ხმების საფუძველზე; და 4. სინდისასა და პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლება<sup>14</sup>. ზოგიერთი ჯგუფი ასევე აუღერებდა საპრეზიდენტო მმართველობის საპარალამენტო მმართველობით ჩანაცვლების მოთხოვნას<sup>15</sup>. ოპოზიცია მუდმივად პატიმრებდა ხელისუფლების მხრიდან არადემოკრატიულად და ერთპიროვნულად განხორციელებულ კონსტიტუციურ ცვლილებებზე, ადამიანის უფლებების დარღვევაზე, დემოკრატიის ნაკლებობაზე ქვეყანაში. თუ მმართველი პარტიისთვის ძალა-

<sup>13</sup> ლეიბორისტული პარტია, რესპუბლიკელები, კონსერვატორები, პარტია „თავისუფლება“, საქართველოს გზა, ხალხის პარტია, მოძრაობა ერთიანი საქართველოს-თვის, ეროვნული ფორუმი, პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენ თვითონ“ და „ქართული დასი“. საერთო სახალხო მოძრაობის ეროვნული საბჭო

<http://www.civil.ge/geo/article.php?id=16374>

<sup>14</sup> <http://www.civil.ge/geo/article.php?id=16376&search>

<sup>15</sup> „საქართველო პრეზიდენტის გარეშე!“

<http://www.civil.ge/geo/article.php?id=16255&search>

უფლების ლეგიტიმაციის და პოლიტიკურ სპექტრზე ადგილის დამკვიდრების საშუალებას „ევროპის დისკურსი“ წარმოადგენდა, ოპოზიცია მას დაუპირისპირდა არა ევროპის რეინტერპრეტირების გზით, არამედ ახალი, „დემოკრატიის დისკურსით“. რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს ე.წ. საგურამოს მანიფესტიდან<sup>16</sup>. ოპოზიციის მანიფესტში 12 პუნქტად, პრიორიტეტული თანმიმდევრობით არის ჩამოთვლილი ფუნდამენტური პრინციპები, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა დემოკრატიის საკითხებს ეხება. მთავარი რაზეც ოპოზიცია ხელისუფლებას ედავებოდა იყო დემოკრატიის ნაკლებობა და ლიბერალური დემოკრატიული ლირებულებების ღალატი. ევროპა მანიფესტში მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები, ისიც ბოლოში, ერთი ფრაზით, რომ დაინება ქვეყნის კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზება. თავისი, ასე ვთქვათ, „დასავლური ორიენტაციის“ შესახებ ირიბი მინიშნებები ამ პერიოდში არაერთხელ ჰქონდა ოპოზიციას, როდესაც, მაგალითად, მიმართვა გაავრცელეს ნატოს წევრი სახელმწიფოებისადმი, რომლითაც სცადეს მათთვის აეხსნათ თუ რატომ და რა მოთხოვნებით უპირისპირდებოდნენ ხელისუფლებას<sup>17</sup>: „ჩვენ, საქართველოს ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები, გამოვხატავთ რა ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ნებას და მხარს ვუჭერთ რა საქართველოს ნატოში განევრიანებას და ევროპულ ინტეგრაციას ...“; ან როდესაც აქციებამდე რამდენიმე კვირით ადრე შეხვედრები გამართეს ევროკავშირის წარმომადგენლებთან.<sup>18</sup> თუმცა, იმ დროს არცერთ შემთხვევაში ოპოზიცია არ აცხადებდა პრეტენზიას ევროპის ალტერნატიულ მნიშვნელობაზე, განსხვავებით დღევანდელი პოლიტიკური რეალობისგან. დღეს, როდესაც საჯარო სივრცეზე აბსოლუტური ჰეგემონია „ევროატლანტიკურ“ დისკურსს აქვს პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის ძალაუფლებისთვის ბრძოლა სწორედ „ევროპის“ განსხვავებულ მნიშვნელობებზე გადის. განსაკუთრებით აშკარა გახდა ეს, როდესაც კოალიციურ ხელისუფლებას თავისუფალი დემოკრატები გამოეყვნენ 2014 წლის ნოემბერს და ლეგიტიმური პოლიტიკური ოპონენტის ნიშის მოსაპოვებლად პრეტენზია განაცხადეს, რომ მხოლოდ ისინი სთავაზობენ მოსახლეობას ევროპის და ზოგადად სახელმწიფოს ევროატლანტიკური კურსის „ჭეშმარიტ მიშვნელობას“.

<sup>16</sup> 2007 წლის ოქტომბრში გაერთიანებულმა ოპოზიციამ საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლმუზეუმში ხელი მოაწერა ერთიან მანიფესტს. მანიფესტის სრული ტექსტი იხ. აქ > <http://www.civil.ge/geo/article.php?id=16370&search>

<sup>17</sup> <http://www.civil.ge/geo/article.php?id=16284&search>

<sup>18</sup> <http://www.civil.ge/geo/article.php?id=16427&search=>

## თავი 6.

ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში კი პოლიტიკური ბრძოლა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, განსხვავებულ დისკურსებს შორის მიდიოდა. ხელისუფლების ტოტალიტარული დისკურსის პირობებში ოპოზიციამ გადარჩენა და გაერთიანება იმით მოახერხა, რომ სხვა დისკურსი – დემოკრატიული ლირებულებები, ადამიანის უფლებები, თავისუფალი მედია – დაუპირისპირა მას. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით 2007 წლის 7 ნოემბრის შემდგომ გამოიკვეთა. პირველად საჯარო სივრცეში ნაციონალური მოძრაობის მიერ წარმოებული ევროპის გეოპოლიტიკური ინტერპრეტაციის გარღვევის მცდელობად შეიძლება განვიხილოთ 2011 წლის ოქტომბერში ბიძინა ივანიშვილის პირველი საჯარო განცხადება, სადაც იგი ამბობს: „გავაღრმაოთ აშშ-სა და ევროკავშირთან მეგობრობა და ინტეგრაცია და დავიწყოთ რუსეთთან ურთიერთობების დალაგება“<sup>19</sup>. სწორედ ამ პერიოდიდან საჯარო სივრცეში ნელ-ნელა იკვეთება ევროპის ალტერნატიული მნიშვნელობები.

2012 წლის არჩევნების შემდგომ მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ, ძალაუფლების ლეგიტიმაციისთვის არა ახალი აღმნიშვნელები, არამედ უკვე არსებული ცარიელი აღმნიშვნელების ინტერპრეტაციაზე საკუთარი ჰეგემონის დამკავიდრების გზა აირჩია. 2013 წლის ივლისი, პრემიერ მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადება: „ჩვენი საგარეო პოლიტიკური კურსი უცვლელია. ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზაზე ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას ალტერნატივა არ აქვს. ჩვენს ხალხს კარგად ესმის, რომ დასავლეთან ინტეგრაცია ის ერთადერთი გზაა, რომელიც დემოკრატიის ჩამოყალიბების შესაძლებლობებს მისცემს ჩვენს ქვეყანას. საქართველო ერთ-ერთი უძველესი ევროპული ქვეყანაა თავისი კულტურითა და ლირებულებებით“. 2013 წლის სექტემბერში ლატვიაში ვიზიტის დროს მიცემული ინტერვიუ: „ევროპა ჩვენთვის მხოლოდ ვიზიტები და „გულაობა“ არ არის, როგორც ზოგიერთებს ეგონათ. ევროპულობას ვიზიტების რაოდენობა არ განსაზღვრავს“.

ხელისუფლების ცვლამ მედია უფრო გახსნილი გახადა ევროპის ალტერნატიული ინტერპრეტაციების მიმართ. თუ მანამდე საჯარო სივრცეზე დომინაცია ევროპის ერთ, მმართველი გუნდის მიერ წარმოებულ მნიშვნელობას ჰქონდა, პოლიტიკური პარტიების და ჯგუფების 2012 წლის არჩევნების შემდგომ დისკურსებს თუ დავაკვირდებით, შეიძლება გამოვკვეთოთ „ევროპის“ შემდეგი ინტერპრეტაციები: 1) ნაციონალური მოძრაობა – ევროპის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა; 2) რესპუბლიკური პარტია/თავისუ-

<sup>19</sup> <http://www.civil.ge/geo/article.php?id=24617&search=>

ფალი დემოკრატები – „ნაციონალური მოძრაობა არ არის ევროპა, ჩვენ ვართ ევროპა (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ევროპაში“ ისინი მოიაზრებენ, როგორც ევროკავშირს, ისე ნატოს და აშშ-ს და მას, რა თქმა უნდა, რუსეთთან დაპირისპირებაში აყენებენ); 3) „ქართული ოცნების“ ინტერპრეტაცია, პირველისგან განსხვავებით, ნაკლებად კონფრონტაციულია რუსეთთან მიმართებით; 4) კონსერვატიული მიდგომა (აქ არ იგულისხმება კონსერვატიული პარტია, არამედ საზოგადოებრივი ჯგუფები), რომ ჩვენ ვართ ქართველები და არ გვინდა ევროპა, რადგან იგი საფრთხეს უქმნის ჩვენს ეროვნულ იდენტობას და ლირებულებებს. 5) საჯარო სივრცეში ყველაზე ნაკლებად ხილვადი მემარცხენე მიდგომა – ევროპულობა ნიშნავს მემარცხენეობას, პროგრესული გადასახადები და სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფო არის ევროპა, ევროპასთან ინტეგრაცია მოითხოვს მემარჯვენეობის ჰეგემონიის დაძლევას.

თუმცა, დომინანტური პოზიცია მაინც პირველ ორს უკავია საჯარო სივრცეში, რაც საბოლოოდ ქმნის ისეთ გარემოს, სადაც პოლიტიკურ პარტიებს და აქტორებს შორის მიმდინარეობს არა იდეოლოგიური ბრძოლა სახელმწიფოს პოლიტიკებზე და ალტერნატიული პოლიტიკების შეთავაზებაზე, არამედ იმაზე, თუ ვინ მოიპოვებს საავტორო უფლებებს ცარიელ აღმნიშვნელებზე, რომლებიც პოლიტიკურ და საჯარო დისკურსში უფრო მყარი და სტაბილურია, ვიდრე ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც რეინტერპრეტირებენ მათ. თუ სუბიექტი, იქნება ეს პოლიტიკური პარტია თუ საზოგადოებრივი ჯგუფი, არ აღიარებს ევროპა/რუსეთის ბინარული ოპოზიციის ტოტალობას, თუ იგი არ ინტერპრეტირებს ევროპას რუსეთთან დაპირისპირებაში, მაშინ იგი საერთოდ არ აღიქმება ლეგიტიმურ პოლიტიკურ ოპონენტად, ანუ პოლიტიკური ძალაუფლებისთვის ბრძოლის ველზე არ ფიქსირდება, ლუმპენიზირებულია.

---

## დანართი №1

### შერჩევის მოდელი

- შერჩევის მოცულობა: 1000 რესპონდენტი
- შერჩევის ტიპი: მრავალსაფეხურიანი, კლასტერული ალბათური შერჩევა
- შერჩევის ბაზა: 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემები
- შერჩევის პირველ ეტაპზე, მთლიანი მოსახლეობა (18+) დაიყო რეგიონების ზომების პროპორციულ სტრატებად (თბილისის შემთხვევაში. რაიონების პროპორციულ სტრატებად).<sup>1</sup>
- კლასტერი – სტრატის საარჩევნო უბანი
- კლასტერი განისაზღვრა შერჩევის პირველად ერთეულად. მცირე დიზაინის ეფექტის გამო, თითოეული კლასტერისთვის განისაზღვრა 6 რესპონდენტის შერჩევა.
- შინამეურნეობები კლასტერში – შერჩევის მეორადი ერთეული.
- შინამეურნეობის შერჩევის მეთოდი – წინასწარ შერჩეული ქუჩებიდან შინამეურნეობის არჩევა ხეტიალის გაანგარიშებული ინტერვალით.
- შინამეურნეობის წევრის, როგორც რესპონდენტის შერჩევის მეთოდი – კიშის ცხრილი. კიშის ცხრილის გამოყენება უზრუნველყოფს სოციოდემოგრაფიული პარამეტრების რეპრეზენტატულ განაწილებას.
- სანდოობის დონე – 95%; ცდომილება (ზღვრული შეცდომა) – 3-4% (სპეციფიური რეგიონებისთვის 6.1-10%)

---

<sup>1</sup> მოცემული კვლევა მიზნად ისახავდა ქართულენოვანი პოლიტიკური დისკურსის კვლევას. ამის გამო, შერჩევაში არ არის ასახული ის რაიონები, რომელთა მოსახლეობა მთლიანად არაქართულენოვანია.

## დანართი №2

### 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები – კითხვარი

#### მიმღინარე პოლიტიკის შეფასების ბლოკი

E1. საქართველოს მოქალაქეები სხვადასხვანაირად აფასებენ მოვლენათა განვითარებას დღევანდელ საქართველოში. თქვენი აზრით, როგორი მიმართულებით ვითარდება მოვლენები ქვეყანაში?

სწორი მიმართულებით	უფრო სწორი, ვიდრე არასწორი მიმართულებით	არაფერი იცვლება	უფრო არასწორი, ვიდრე სწორი მიმართულებით	არასწორი მიმართულებით	მიჭირს პასუხის გაცემა
10 (%)	37	21	14	11	7

E2. როგორ ფიქრობთ, რამდენად ასრულებს ბიძინა ივანიშვილი მთავრობა თავის დაპირებებს, რომლებზეც ხელისუფლებაში მოსვლამდე ლაპარაკობდა?

წარმატებით ასრულებს	ძირითადად ასრულებს	მეტ-ნაკლებად ასრულებს	ძირითადად არ ასრულებს	საერთოდ არ ასრულებს	მიჭირს პასუხის გაცემა
4	17	48	16	9	5

E3. როგორ აფასებთ ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებას დატოვოს პრემიერ მინისტრის პოსტი და წავიდეს პოლიტიკიდან?

დადებითად	უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად	ნეიტრალურად	უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად	უარყოფითად	მიჭირს პასუხის გაცემა
9	14	25	20	27	6

E4. არსებობს სხვადასხვა მოსაზრება იმის თაობაზე, რამდენად შეინარჩუნებს ბიძინა ივანიშვილი გავლენას ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე პრემიერ-მინისტრის პოსტის დატოვების შემდეგ. ახლა მე ჩამოგითვლით რამდენიმე დებულებას და თქვენ მიპასუხეთ, რომელ მათგანს ეთანხმებით ყველაზე მეტად (შესაძლებელია მხოლოდ ერთი პასუხი)

პრემიერ მინისტრის პოსტის დატოვების შემდეგ ბიძინა ივანიშვილი .....

1. მაინც იქნება ქართულ პოლიტიკაში ყველაზე გავლენიანი ფიგურა 29
2. შეინარჩუნებს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან გავლენას 35
3. დაკარგავს გავლენის მნიშვნელოვან ნაწილს 18
4. საერთოდ ვეღარ მოახდენს გავლენას ქართულ პოლიტიკაზე 7
99. მიჭირს პასუხის გაცემა 12

E5. ახლა მინდა დაგისვათ იგივე შეკითხვა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან მიმართებაში. რამდენად შეინარჩუნებს მიხეილ სააკაშვილი გავლენას ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე პრეზიდენტის პოსტის დატოვების შემდეგ. მე ჩამოგითვლით რამდენიმე დებულებას და თქვენ მიპასუხეთ, რომელ მათგანს ეთანხმებით ყველაზე მეტად (შესაძლებელია მხოლოდ ერთი პასუხი).

პრეზიდენტის პოსტის დატოვების შემდეგ მიხეილ სააკაშვილი:

1. მაინც იქნება ქართულ პოლიტიკაში ყველაზე გავლენიანი ფიგურა 6
2. შეინარჩუნებს მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან გავლენას 20
3. დაკარგავს გავლენის მნიშვნელოვან ნაწილს 24
4. საერთოდ ვეღარ მოახდენს გავლენას ქართულ პოლიტიკაზე 41

99. მიჭირს პასუხის გაცემა 9

დღეს ქვეყანაში არსებული პრობლემების ბევრნაირი ახსნა არსებობს. ზოგი ხელისუფლებას ადანაშაულებს, ზოგი კი – სხვა ძალებს. ახლა მე ჩამოგითვლით რამდენიმე მიზეზს და გთხოვთ, მიპასუხეთ რომელი მათგანი განაპირობებს ქვეყანაში არსებულ პრობლემებს ყველაზე მეტად?, ყველაზე ნაკლებად? მიაწოდეთ ძარათი (თითოეულ სვეტში დასვებია მხოლოდ ერთი პასუხი).

	E6.1 ყველაზე მეტად	E6.2 ყველაზე ნაკლებად
ქვეყნის არასწორი მართვა	36	15
საზოგადოების მოუმზადებლობა პოლიტიკაში მონაწილეობისთვის, პასიურობა	22	30
დასავლეთის (ამერიკა, ევროპა) გავლენა	10	13
რუსეთის გავლენა	15	12
მიჭირს პასუხის გაცემა (არ წაუკითხოთ)	16	30

**E7. რამდენად ეთანხმებით მოსაზრებას, რომ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების დროს ადგილი ჰქონდა ადამიანების პოლიტიკურ დევნას, მოსმენებს, რის გამოც ადამიანებს ეშინოდათ აზრის გამოხატვის და ვერ გრძნობდნენ თავს თავისუფლად?**

სრულებით ვე-თანხმები	უფრო ვე-თანხმები, ვიდრე არა	უფრო არ ვე-თანხმები	სრულებით არ ვეთანხმები	მიჭირს პასუხის გაცემა
30	36	10	10	14

**E8. რამდენად ეთანხმებით მოსაზრებას, რომ ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ბოლო მოელო ადამიანების პოლიტიკურ დევნას, აღარავის უსმენენ, აღარავის ეშინია აზრის გამოთქმის, ადამიანები უფრო თავისუფლად გრძნობენ თავს?**

სრულებით ვე-თანხმები	უფრო ვე-თანხმები, ვიდრე არა	უფრო არ ვე-თანხმები, ვიდრე ვე-თანხმები	სრულებით არ ვეთანხმები	მიჭირს პასუხის გაცემა
15	40	14	7	24

**E9. რამდენად ეთანხმებით მოსაზრებას, რომ 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებაში მიხეილ სააკაშვილის მთავრობასაც ბრალი მიუძღვის?**

სრულებით ვე-თანხმები	უფრო ვე-თანხმები, ვიდრე არა	უფრო არ ვე-თანხმები, ვიდრე ვე-თანხმები	სრულებით არ ვეთანხმები	მიჭირს პასუხის გაცემა
16	26	22	15	22

**E10. როგორ აფასებთ იმ ფაქტს, რომ ბოლო წლებში სასოფლო-სამეურნეო მიწების დიდი მასივები მსხვილ ინვესტორებზე გასხვისდა?**

დადებითად	უფრო და-დებითად, ვიდრე უარყო-ფითად	ნეიტრა-ლურად	უფრო უარყო-ფითად, ვიდრე და-დებითად	უარყო-ფითად	მიჭირს პასუხის გაცემა
1	10	18	25	41	4

E11. როგორ აფასებთ საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომელთა შედეგად საქართველოში პრეზიდენტის უფლებები იზღუდება და პარლამენტის და პრემიერ-მინისტრის უფლებები იზრდება?

დადები-თად	უფრო და-დებითად, ვიდრე უარყო-ფითად	ნეიტრა-ლურად	უფრო უარყო-ფითად, ვიდრე და-დებითად	უარყო-ფითად	მიჭირს პა-სუხის გა-ცემა
15	38	21	12	4	8

E12. როგორ აფასებთ იმ ფაქტს, რომ საპარალმენტო არჩევნების შემდეგ ხელისუფლებამ მასობრივი ამნისტია განახორციელა და პატიმართა მნიშვნელოვანმა ნაწილმა დატოვა საპატიმროები?

დადები-თად	უფრო და-დებითად, ვიდრე უარყო-ფითად	ნეიტრა-ლურად	უფრო უარყო-ფითად, ვიდრე და-დებითად	უარყო-ფითად	მიჭირს პა-სუხის გა-ცემა
11	32	17	14	19	4

E13. როგორ აფასებთ იმ ფაქტს, რომ ყოფილი პრემიერ მინისტრი, ვანო მერაბიშვილი და თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაზო ახალაია იმყო-ფებიან პატიმრობაში?

დადები-თად	უფრო და-დებითად, ვიდრე უარყო-ფითად	ნეიტრა-ლურად	უფრო უარყო-ფითად, ვიდრე და-დებითად	უარყო-ფითად	მიჭირს პა-სუხის გა-ცემა
30	24	15	10	7	11

E14. როგორ აფასებთ იმ ფაქტს, რომ ოქტომბრის არჩევნების შემდეგ რა-იონულ გამგეობებში დაიწყო ნაციონალური მოძრაობის წარმო-მადგენლების თანამდებობებიდან განთავისუფლების პროცესი?

დადებითად	უფრო და-დებითად, ვიდრე უარყო-ფითად	ნეიტრა-ლურად	უფრო უარყო-ფითად, ვიდრე და-დებითად	უარყო-ფითად	მიჭირს პა-სუხის გა-ცემა
8	23	29	19	10	12

**E15. საქართველოს მოქალაქეებს სხვადასხვანაირი დამოკიდებულება ჰქონდათ მიხეილ სააკაშვილის მთავრობის მიმართ. ქვემოთ ჩამოთვლილია რამდენიმე დებულება, გთხოვთ, მიპასუხეთ, ჩამოთვლილთაგან რომელ კატეგორიას აკუთვნებთ თავს უფრო მეტად?**  
(დასაშვებია მხოლოდ ერთი პასუხი)

1.

მიხეილ სააკაშვილის მთავრობას სულ თავიდან ვუჭერდი 17  
მხარს და ბოლომდე ამ აზრზე ვრჩები

მიხეილ სააკაშვილის მთავრობას მხარს არ ვუჭერდი თავიდან, 2  
მაგრამ მერე მისი მომხრე გავხდი

მიხეილ სააკაშვილის მთავრობას მხარს ვუჭერდი თავიდან, 53  
მაგრამ აზრი შევიცვალე და მას მხარს აღარ ვუჭერდი

არასოდეს არ ვუჭერდი მხარს მიხეილ სააკაშვილის მთავრობას 14

პასუხი არ არის 13

**E16. ასევე განსხვავებულია დამოკიდებულება ბიძინა ივანიშვილის მიმართ, ქვემოთ ჩამოთვლილია დებულებები. გთხოვთ, მიპასუხეთ რომელ კატეგორიას მიაკუთვნებთ თავს?**  
(დასაშვებია მხოლოდ ერთი პასუხი)

ბიძინა ივანიშვილს, იმ მომენტიდან რაც პოლიტიკაში მოვიდა, ვუჭერდი მხარს და დღესაც ამ აზრზე ვარ	48
ბიძინა ივანიშვილს მხარს არ ვუჭერდი თავიდან, მაგრამ მერე მისი მომხრე გავხდი	5
ბიძინა ივანიშვილს მხარს ვუჭერდი თავიდან, მაგრამ ნელ-ნელა აზრი შევიცვალე და მას მხარს აღარ ვუჭერ	13
არასოდეს არ ვუჭერდი მხარს ბიძინა ივანიშვილს	18
პასუხი არ არის	16

---

## **სამომავლო სტრატეგიების ბლოკი**

ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მიზანია იმის დადგენა, ქვეყნის განვითარების სა-მომავლო გეგმებიდან რომელს უჭერს მხარს მოსახლეობის უმრავლესობა. ახლა მე ჩამოვითვლით სხვადასხვა პოლიტიკურ სტრატეგიას და გთხოვთ, გამოხატოთ რამდენად უჭერთ მხარს თითოეულ მათგანს?

### **P1. ხელისუფლებამ უნდა გააძლიეროს კურსი ნატოში განევრიანებაზე**

სრულებით ვუჭერ მხარს	უფრო ვუ-ჭერ მხარს	ნეიტრა-ლურად ვარ განწყობილი	უფრო არ ვუჭერ მხარს	სრულებით არ ვუჭერ მხარს	მიჭირს პასუხის გაცემა
29	32	14	9	7	9

### **P2. ხელისუფლებამ უნდა გააძლიეროს კურსი ევროკავშირთან მჯიდრო ურთიერთობასა და დაახლოებაზე**

სრულებით ვუჭერ მხარს	უფრო ვუ-ჭერ მხარს	ნეიტრა-ლურად ვარ განწყობილი	უფრო არ ვუჭერ მხარს	სრულებით არ ვუჭერ მხარს	მიჭირს პასუხის გაცემა
37	28	12	4	2	8

### **P3. ხელისუფლებამ უფრო მეტი ნაბიჯი უნდა გადადგას რუსეთთან ურთიერთობების დათბობისთვის და გაუმჯობესებისთვის.**

სრულებით ვუჭერ მხარს	უფრო ვუ-ჭერ მხარს	ნეიტრა-ლურად ვარ განწყობილი	უფრო არ ვუჭერ მხარს	სრულებით არ ვუჭერ მხარს	მიჭირს პასუხის გაცემა
33	40	11	9	4	4

### **P4. ხელისუფლებამ ნაკლები ანგარიში უნდა გაუწიოს დიდი ქვეყნების ინტერესებს და აწარმოოს დამოუკიდებელი, ეროვნული პოლიტიკა.**

სრულებით ვუჭერ მხარს	უფრო ვუ-ჭერ მხარს	ნეიტრა-ლურად ვარ განწყობილი	უფრო არ ვუჭერ მხარს	სრულებით არ ვუჭერ მხარს	მიჭირს პასუხის გაცემა
16	40	17	17	3	8

P5. თუ მშვიდობიანი გზით აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პრობლემა ვერ გადაიჭრება, ხელისუფლებამ უნდა იფიქროს სამხედრო გზით ტე-რიტორიული პრობლემების გადაწყვეტაზე.

სრულებით ვუჭერ მხარს	უფრო ვუ-ჭერ მხარს	ნეიტრა-ლურად ვარ განწყობილი	უფრო არ ვუჭერ მხარს	სრულებით არ ვუჭერ მხარს	მიჭირს პა-სუხის გა-ცემა
1	3	2	10	82	3

P6. საქართველოს მართმადიდებლურმა ეკლესიამ უფრო აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში

სრულებით ვუჭერ მხარს	უფრო ვუ-ჭერ მხარს	ნეიტრა-ლურად ვარ განწყობილი	უფრო არ ვუ-ჭერ მხარს	სრულებით არ ვუჭერ მხარს	მიჭირს პასუხის გაცემა
17	24	14	13	27	5

P7. ხელისუფლებამ მომავალ წელს საქართველოში ახალი, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების უნდა ჩაატაროს.

სრულებით ვუჭერ მხარს	უფრო ვუ-ჭერ მხარს	ნეიტრა-ლურად ვარ განწყობილი	უფრო არ ვუჭერ მხარს	სრულებით არ ვუჭერ მხარს	მიჭირს პასუხის გაცემა
14	28	21	11	9	17

P8. ხელისუფლებამ უფრო მეტად უნდა იზრუნოს უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე

სრულებით ვუჭერ მხარს	უფრო ვუ-ჭერ მხარს	ნეიტრა-ლურად ვარ განწყობილი	უფრო არ ვუჭერ მხარს	სრულებით არ ვუჭერ მხარს	მიჭირს პასუხის გაცემა
22	42	15	13	3	5

**P9. ხელისუფლებამ უნდა შეზღუდოს გარკვეული უცხოური პროდუქტების იმპორტი იმისთვის, რომ განვითარდეს ადგილობრივი მრეწველობა**

სრულებით ვუჭერ მხარს	უფრო ვუჭერ მხარს	ნეიტრალურად ვარ განწყობილი	უფრო არ ვუჭერ მხარს	სრულებით არ ვუჭერ მხარს	მიჭირს პასუხის გაცემა
41	33	14	8	1	3

**P10. სამართლიანობის აღდგენის მიზნით, ნაციონალური მოძრაობის ყოფილმა მაღალჩინოსნებმა კანონის წინაშე პასუხი უნდა აგონ მთელი სიმკაცრით**

სრულებით ვუჭერ მხარს	უფრო ვუჭერ მხარს	ნეიტრალურად ვარ განწყობილი	უფრო არ ვუჭერ მხარს	სრულებით არ ვუჭერ მხარს	მიჭირს პასუხის გაცემა
30	33	8	11	7	10

**P11. მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში დანიშნული მოსამართლეების საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია მათი ვადის ამონურვამდე.**

სრულებით ვუჭერ მხარს	უფრო ვუჭერ მხარს	ნეიტრალურად ვარ განწყობილი	უფრო არ ვუჭერ მხარს	სრულებით არ ვუჭერ მხარს	მიჭირს პასუხის გაცემა
7	21	21	19	11	21

**P12. განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებს (მაგ. ჰომოსექსუალებს) უნდა ჰქონდეთ უფლება ღიად დააფიქსირონ თავისი განსხვავებულობა ტრადიციული ორიენტაციის ადამიანებისგან.**

სრულებით ვუჭერ მხარს	უფრო ვუჭერ მხარს	ნეიტრალურად ვარ განწყობილი	უფრო არ ვუჭერ მხარს	სრულებით არ ვუჭერ მხარს	მიჭირს პასუხის გაცემა
1	3	8	11	75	3

P13. საქართველოში ყველა რელიგიური მრნამსის ადამიანს უნდა ჰქონდეთ ისეთივე შესაძლებლობა საჯაროდ მისდიოს თავის რელიგიურ მრნამსს, როგორიც აქვთ მართლმადიდებელ ქრისტიანებს

სრულებით ვუჭერ მხარს	უფრო ვუ-ჭერ მხარს	ნეიტრა-ლურად ვარ განწყობილი	უფრო არ ვუჭერ მხარს	სრუ-ლებით არ ვუჭერ მხარს	მიჭირს პასუხის გაცემა
13	35	19	18	12	4

P14. სახელმწიფო უნდა იყოს აგებული ეროვნული საწყისებზე და ხე-ლისუფლება პირველ რიგში უნდა ზრუნავდეს ეროვნული ტრადიციების, ადათ- წესების შენარჩუნებაზე.

სრულებით ვუჭერ მხარს	უფრო ვუ-ჭერ მხარს	ნეიტრა-ლურად ვარ განწყობილი	უფრო არ ვუჭერ მხარს	სრუ-ლებით არ ვუჭერ მხარს	მიჭირს პა-სუხის გა-ცემა
47	46	4	1	0	2

P15. საავადმოყოფოებისა და ამბულატორიების დიდ ნაწილს უნდა ფლობდეს სახელმწიფო და მუნიციპალიტეტები

სრულებით ვუჭერ მხარს	უფრო ვუ-ჭერ მხარს	ნეიტრა-ლურად ვარ განწყობილი	უფრო არ ვუჭერ მხარს	სრუ-ლებით არ ვუჭერ მხარს	მიჭირს პა-სუხის გა-ცემა
54	35	7	2	0	2

P16. სახელმწიფოში უნდა დამკვიდრდეს ისეთი თამაშის წესები, რომელთა შედეგად ეკონომიკის განვითარება თავისუფალ პაზარს დაეყრდობა.

სრულებით ვუჭერ მხარს	უფრო ვუჭერ მხარს	ნეიტრალურად ვარ განწყობილი	უფრო არ ვუჭერ მხარს	სრულებით არ ვუჭერ მხარს	მიჭირს პასუხის გაცემა
21	38	24	2	0.3	15

თქვენი აზრით, მოცემული ჩამონათვალიდან რომელი პრობლემების გადაწყვეტა უნდა იყოს ხელისუფლებისთვის ყველაზე მთავარი პრიორიტეტი? მეორე პრიორიტეტი? (უჩვენეთ ბარათი)

	პრობლემები	P17.1მთავარი პრიორიტეტი	P17.2მეორე პრიორიტეტი
1	მჭიდრო ინტეგრაცია დასავლურ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან	2	1
2	დემოკრატიის გაძლიერება, ადამიანის უფლებების დაცვა	4	3
3	სოციალური პროგრამების განხორციელება (ჯანდაცვა, განათლება, პენსიები, სხვა)	26	20
4	ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა	13	13
5	რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება	3	5
6	ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა	13	18
7	სამართლიანი ურთიერთობების დალაგება, უსამართლობის გამოსწორება	3	5
8	სამუშაო ადგილების შექმნა	31	24
9	ეროვნული ღირებულებების დაცვა, ტრადიციების შენარჩუნება	1	8
10	ფასების რეგულირება	1	1
11	ბიზნესისთვის გადასახადების შემცირება	0.5	1

---

### **პოზიციის ინტერპრეტაციების ბლოკი**

#### I.1 უჭერთ თუ არა მხარს ქვეყნის პროდასავლურ განვითარებას?

სრულებით ვუჭერ მხარს	უფრო ვუ- ჭერ მხარს, ვიდრე არა	ჩემთვის ამ საკითხს დი- დი მნიშვნე- ლობა არ აქვს	უფრო არ ვუჭერ მხარს	სრუ- ლებით არ ვუჭერ მხარს	მიჭირს პა- სუხის გა- ცემა
13	45	12	9	4	17

I1.1 ახლა მე გადმოგცემთ ბარათს, რომელზეც ჩამოთვლილია ოთხი შე-  
საძლო პასუხი. გთხოვთ, გამოიყენოთ ამ ბარათში მოცემული ოთხი პა-  
სუხიდან ერთი, რომელიც ყველაზე კარგად გამოხატავს თქვენს აზრს და  
დაასრულოთ შემდეგი ნინადადება:

ჩემთვის ქვეყნის პროდასავლური განვითარება პირველ რიგში ნიშნავს:

პროგრესს, ქვეყნის სწრაფ განვითარებას	38
დემოკრატიის დამკვიდრებას, ინდივიდუალის პატივისცემას	12
ნატოს მეშვეობით დაცულობას რუსეთისგან	12
ქვეყნის თვითმყოფადობის, ეროვნული ტრადიციების შეზღუდვას	13
მიჭირს პასუხის გაცემა	26

#### I2. რამდენად უჭერთ მხარს კოაბიტაციას ქართულ ოცნებასა და ნაციო- ნალურ მოძრაობას შორის?

სრულებით ვუჭერ მხარს	უფრო ვუ- ჭერ მხარს	ჩემთვის ამ საკითხს დი- დი მნიშვნე- ლობა არ აქვს	უფრო არ ვუჭერ მხარს	სრუ- ლებით არ ვუჭერ მხარს	მიჭირს პა- სუხის გა- ცემა
6	20	20	16	23	15

I2.1 ახლა მე გადმოგცემთ ბარათს, რომელზეც ჩამოთვლილია ოთხი შე-  
საძლო პასუხი. გთხოვთ, გამოიყენოთ ამ ბარათში მოცემული ოთხი პა-

**სუხიდან ერთი, რომელიც ყველაზე კარგად გამოხატავს თქვენს აზრს და დასასრულოთ შემდეგი წინადადება:**

ჩემთვის კოაბიტაცია ქართულ ოცნებასა და ნაციონალურ მოძრაობას შორის პირველ რიგში ნიშნავს:

პოლიტიკური დაპირისპირების შერბილებას, ერის გამთლიანებას	28
ამერიკელი და ევროპელი პარტნიორი ქვეყნებისთვის ანგარიშის განევას	10
სამართლიანობის აღდგენის შეფერხებას	23
ახალი ხელისუფლების მიერ ქვეყნის განვითარების იმ კურსის შენარჩუნებას, რომელიც წინა ხელისუფლებამ დასახა	7
მიჭირს პასუხის გაცემა	32

I3. რამდენად უჭერთ მხარს სოციალურ პოლიტიკაში იმ ტიპის რეფორმებს, როგორებიცაა საყოველთაო სამედიცინო დაზღვევა, უფასო სასკოლო სახელმძღვანელოები, გლეხების მიწის დამუშავება? შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანა? (ინტერვიუერს: შესაძლებელია რესპონდენტმა სხვადასხვა რეფორმის მიმართ გამოხატოს სხვადასხვა პოზიცია. დააფიქსირეთ მისი განზოგადებული განწყობა)

სრულებით ვუჭერ მხარს	უფრო ვუჭერ მხარს, ვიდრე არ	ამ საკითხს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს	უფრო არ ვუჭერ მხარს	სრულებით არ ვუჭერ მხას	მიჭირს პასუხის გაცემა
48	42	3	2	1	94

I3.1 ახლა მე გადმოგცემთ ბარათს, რომელზეც ჩამოთვლილია ოთხი შესაძლო პასუხი. გთხოვთ, გამოიყენოთ ამ ბარათში მოცემული ოთხი პასუხიდან ერთი, რომელიც ყველაზე კარგად გამოხატავს თქვენს აზრს და დასასრულოთ შემდეგი წინადადება:

საყოველთაო სამედიცინო დაზღვევა, უფასო სასკოლო სახელმძღვანელოები, გლეხების მიწის დამუშავება, შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანა ჩემთვის პირველ რიგში ნიშნავს:

უბრალო ხალხის გაჭირვების შემსუბუქებას	78
მხოლოდ დღევანდელ დღეზე ფიქრს, ეკონომიკის სამომავლო განვითარების შენელებას	7
ევროპული ტიპის საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს დამკვიდრებისკენ სვლას	7
ადრე არსებული, საბჭოთა ტიპის კეთილდღეობის ელემენტების დაბრუნებას	3
მიჭირს პასუხის გაცემა	5

ქვემოთ ჩამოთვლილია რამდენიმე დებულება, რომლებიც განსხვავებულ პოზიციებს ასახავს. წარმოიდგინეთ, რომ ამ პოზიციებს ახმოვანებს სხვადასხვა პოლიტიკური ლიდერი. გთხოვთ, მიპასუხეთ, რამდენად დაუჭირდით მხარს ლიდერს, რომელიც ამა თუ იმ პოზიციას გამოხატავს: (ინტერვიუერს: ხაზი გაუსვით იმ გარემოებას, რომ პოზიციას გამოხატავს ლიდერი, რომელსაც მან უნდა დაუჭიროს ან არ დაუჭიროს მხარი)

I4. ლი-დერის პო-ზიცია	რაც შეიძლება სწრაფად უნდა ვიაროთ დასავლეთისკენ, რაც მოითხოვს საზოგადოებაში დამკვიდრებული გარკვეული ადათ წესებისა და ტრადიციების შეცვლას				
აუ-ცილებლად დავუჭერ მხარს	უფრო დავუჭერ მხარს, ვიდრე არა	ამ საკითხს ჩემთვის დიდი მნიშველობა არა აქვს	უფრო არ დავუჭერ მხარს, ვიდრე და-ვუჭერ	არავითარ შემთხვევაში არ და-ვუჭერ მხარს	მიჭირს პასუხის გაცემა
1	10	6	33	39	10

I5. ლი-დერის პო-ზიცია	აუცილებელია რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარება, რის გამოც ნატოში გაწევრიანებაზე უარი უნდა ვთქვათ				
აუ-ცილებლად დავუჭერ მხარს	უფრო დავუჭერ მხარს, ვიდრე არა	ამ საკითხს ჩემთვის დიდი მნიშველობა არა აქვს	უფრო არ დავუჭერ მხარს	არავითარ შემთხვევაში არ და-ვუჭერ მხარს	მიჭირს პასუხის გაცემა
8	30	5	20	21	16

I6. ლიდერის პოზიცია	საჭიროა ისეთი დემოკრატიის დამკვიდრება, რომელშიც პოლიტიკური
---------------------	--

	უმცირესობის, (მაგ. ნაციონალური მოძრაობის ან პრორუსული ძალების) მიმართ იქნება პატივისცემა და მათი ინტერესები იქნება გათვალისწინებული.				
აუცილებლად დავუჭერ მხარს	უფრო და-ვუჭერ მხარს, ვიდრე არა	ამ სა-კითხს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს	უფრო არ დავუჭერ მხარს	არავითარ შემთხვევაში არ დავუჭერ მხარს	მიჭირს პასუხის გაცემა
9	32	16	18	12	12

I7. ლიდერის პოზიცია	სიღარიბის შესამცირებლად სახელმწიფომ მეტი უნდა ხარჯოს პენსიებზე, სოციალურ დახმარებაზე, უფასო განათლებაზე და ჯანდაცვაზე, რაც მოითხოვს ბიზნესისთვის გადასახადების გაზრდას, ეკონომიკურ პროექტებზე (გზები, ქარხნები) ნაკლები სახსრების გამოყოფას				
აუცილებლად დავუჭერ მხარს	უფრო და-ვუჭერ მხარს, ვიდრე არა	ამ საკითხს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს	უფრო არ დავუჭერ მხარს	არავითარ შემთხვევაში არ დავუჭერ მხარს	მიჭირს პასუხის გაცემა
23	47	4	12	3	12

### პაზისურები ლირებულებების ბლოკი

ახლა მე მოგაწოდებთ ორ დებულებას და გთხოვთ, მიპასუხეთ, რომელ მათგანს ეთანხმებით?

V1.1	დღეს აუცილებელია ქვეყნისთვის საჭირო რეფორმების სწრაფად გატარება, თუნდაც ამან საზოგადოების გარკვეული ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვიოს	V1.2	აუცილებელია ქვეყნისთვის საჭირო რეფორმების ფრთხილად და ნელ-ნელა გატარება იმისთვის, რომ საზოგადოების ყველა წევრის ინტერესი იყოს გათვალისწინებული, თუნდაც ამან პროცესი შეაფერხოს
სრულებით ვე-თანხმები	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა	სრულებით ვე-თანხმები	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა
10	25	45	17

99. მიჭირს პასუხის გაცემა 4

V2.1	ლიდერი ყოველთვის აღიარებულ ნორმებს და კანონებს უნდა მისდევდეს, არასოდეს არღვევდეს მათ და არ უშეგვიძეს გამონაკლისებს	V2.2	ლიდერის მიერ ნორმებისგან გადახვევა (ან კანონის დარღვევა) ზოგჯერ და-საშვებია, თუ ამის შედეგად პრობლემა უფრო სწრაფად და ეფუძნულად გადა-იჭრება
სრულებით ვე- თანხმები	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა	სრულებით ვე- თანხმები	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა
23	28	25	19

99. მიჭირს პასუხის გაცემა – 6

V3.1	დღესდღეობით შესაძლებელია ადამი-ანმა წარმატებას მიაღწიოს საკუთარი შრომითა და ძალისხმევით	V3.2	დღესდღეობით საკუთარი შრომითა და ძალისხმევით წარმატების მიღწევა შე-უძლებელია, თუ რაღაც პრივილეგიებს არ მოიპოვებ.
სრულებით ვე- თანხმები	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა	სრულებით ვე- თანხმები	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა
8	20	45	23

99. მიჭირს პასუხის გაცემა -5

V4.1	სახელმწიფოში უსაფრთხოების და სტა-ბილურობის მიღწევისთვის, ზოგჯერ გამართლებულია ადამიანის უფლე-ბების (მაგ. სიტყვის, გამოხატვის თა-ვისუფლება) შეზღუდვა	V4.2	ადამიანის უფლებების შეძლუდვა არ არის გამართლებული არავითარ შემთხვევაში, თუნდაც სახელმწიფოში სტაბილურობას საფრთხე ემუქრე-ბოდეს.
სრულებით ვე- თანხმები	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა	სრულებით ვე- თანხმები	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა
8	30	35	17

99. მიჭირს პასუხის გაცემა

V5.1	ხალხის დასაქმების მიზნით სახელმწი-ფომ უნდა ააშენოს ქარხნები და სა-ნარმოები, რომლებიც იქნება სა-	V5.2	სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს ეკო-ნომიკის ფუნქციონირებაში, ხალხის და-საქმებას კერძო ბიზნესი და თავისუ-
------	---	------	---

ხელმიწოდების საკუთრებაში		ფალი ბაზარი უკეთ შეძლებს	
სრულებით ვე- თანხმები	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა	სრულებით ვე- თანხმები	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა
47	26	13	8

99. მიჭირს პასუხის გაცემა -6

წარმოიდგინეთ, რომ ადამიანების ჯგუფს (მაგ. სოფელს) მისაღები აქვს გადაწყვეტილება რაიმე საკითხთან დაკავშირებით. ახლა წაგიკითხავთ გადაწყვეტილების მიღების ორ მეოთხს და თქვენ მიპასუხეთ, რომელია უფრო მეტად გამართლებული თქვენი აზრით? ინტერვიუერს: როდესაც რესპონდენტი აირჩივს ერთ-ერთ სტრატეგიას, ჰქონით: ეს სტრატეგია სრულებით გამართლებულად მიაჩინია, თუ მეტ-ნაკლებად გამართლებულად?

V6.1		V6.2	
სოფელმა კენჭი უნდა ყაროს და რომელ გადაწყვეტილებასაც უმრავლესობა დაუჭერს მხარს, ის უნდა შეასრულოს		სოფელი უნდა ეცადოს, რომ იპოვოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელსაც თითქმის ყველა მცხოვრებელი მიემხრობა, თუნდაც ამას დიდი ძალისხმევა და ბევრი დრო დასჭირდეს	
სრულებით ვე- თანხმები	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა	სრულებით ვე- თანხმები	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა
12	21	54	11

99. მიჭირს პასუხის გაცემა-2

ახლა მე აგილწერთ ორი ტიპის სახელმწიფოს და გთხოვთ მიპასუხეთ, რო-  
მელ მათგანში ისურვებდით ცხოვრებას?

V7.1		V7.2	
პირველ სახელმწიფოში ადამიანებს სა-კუთარი შემოსავლებიდან დიდი თანხე-ბის გადახდა უწევთ სახელმწიფო ბიუ-ჯეტში, სამაგიეროდ სახელმწიფო უზრუნველყოფს იმას, რომ მოსახლეობის უმრავლესობას აქვს ცხოვრების დაახლოებით ერთნაირი პირობები, უფასო განათლება და ჯანდაცვა.		მეორე სახელმწიფოში სახელმწიფო ნაკლებად ერევა ადამიანების ფინანსურ საქმეებში, ადამიანები სახელმწიფო ბიუჯეტში თავისი შემოსავლებიდან უფრო მცირე თანხებს იხდიან, ამის შედეგად უკეთესად ცხოვრების საშუალება ეძლევათ უფრო მშრომელ და/ ან ნიჭიერ ადა-მიანებს, თუმცა, ბევრმა წარმატებას შე-	

იძლება ვერ მიაღწიოს.			
სრულებით ვე- თანხმები	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა	სრულებით ვე- თანხმები	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა
19	27	33	11

99. მიჭირს პასუხის გაცემა -10

**V8. დავუშვათ თქვენ ეძებთ სამსახურს, ახლა მე ჩამოგითვლით ოთხი ტი-  
პის სამსახურს და გთხოვთ, მიპასუხეთ, რომელ მათგანს აირჩევდით?**

სამსახური სადაც იქნება მაღალი ანაზღაურება	23
სამსახური სადაც გექნებოდათ მაღალი პასუხისმგებლობა და სა- ზოგადოების თვალში პატივისცემას დაიმსახურებდით	4
სამსახური, რომელიც თქვენთვის საინტერესო იქნებოდა და თქვენი პოტენციალის რეალიზების შესაძლებლობას მოგცემდათ	14
სამსახური, რომელიც თქვენთვის საინტერესო იქნებოდა და თქვენი პოტენციალის რეალიზების შესაძლებლობას მოგცემდათ	56
მიჭირს პასუხის გაცემა	2

### **27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების ბლოკი**

**A1. თქვენი აზრით, რამდენად სამართლიანად ჩატარდება 27 ოქტომბერს  
დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნები? (გთხოვთ, შეაფასოთ როგორც  
არჩევნების დღეს დარღვევების შესაძლებლობა, ასევე მთელი წინასა-  
არჩევნო პერიოდი და საარჩევნო კამპანია).**

1. სრულებით სამართლიანად 31
  2. უფრო სამართლიანად, ვიდრე უსამართლოდ 45
  3. უფრო უსამართლოდ, ვიდრე სამართლიანად 9
  4. სრულებით უსამართლოდ 1
99. მიჭირს პასუხის გაცემა 14

**A2. აპირებთ თუ არა მონაწილეობა მიიღოთ 27 ოქტომბერს დაგეგმილ სა-  
ქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში?**

1. აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას 78
2. ალბათ მივიღებ მონაწილეობას 13
3. ალბათ არ მივიღებ მონაწილეობას 4

---

4. არავითარ შემთხვევაში არ მივიღებ მონაწილეობას	3
99. მიჭირს პასუხის გაცემა/ჯერ არ გადამიწყვეტია/	
<b>A3. რომელ საპრეზიდენტო კანდიდატს აძლევთ ხმას (მისცემდით ხმას თუ გადაწყვეტით არჩევნებში მონაწილეობას) 27 ოქტომბერს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებში?</b>	
1. ნინო ბურჯანაძე	3
2. დავით ბაქრაძე	15
3. გიორგი მარგველაშვილი	36
4. სხვა (ჩაწერეთ) -----	2
77. ჯერ არ გადამიწყვეტია	42
78. არც ერთს	2
79. პასუხი არ არის	

**L1. როდესაც ვეკითხებით, რის გამო ანიჭებენ უპირატესობას ჩვენი თანამოქალაქეები ამა თუ იმ პრეზიდენტობის კანდიდატს, ასახელებენ სხვდასხვა მიზეზს. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რა არის თქვენთვის ყველაზე მთავარი უპირატესობის მინიჭებისას**

ხმას ვაძლევ ამ კანდიდატს, იმის გამო, რომ მას შეუძლია სხვა, ქვეყნისთვის ძალიან არასასურველი კანდიდატის (კანდიდატების) და-მარცხება	5
მომწონს ამ კანდიდატის და იმ პოლიტიკური გუნდის პოლიტიკური პროგრამა და ხედვები, რომელსაც ეს კანდიდატი მიეკუთვნება	42
ჩემს მიერ არჩეულ კანდიდატს სხვებზე მეტად გააჩინა ის პიროვნული თვისებები, გამოცდილება, რეპუტაცია და ხედვა, რომლებიც პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს.	40
მიჭირს პასუხის გაცემა/პასუხი არ არის	13

**L2. ახლა მე ჩამოგითვლით პოლიტიკური ლიდერის სამ შესაძლო მახასიათებელს. გთხოვთ მათგან ამოირჩიოთ ის ერთი, რომელიც თქვენი აზრით, ყველაზე სასურველი იქნებოდა ჩვენი ქვეყნის ლიდერისთვის.**

მთავარია ლიდერმა არასოდეს დაარღვიოს კანონი და თანამდებობა სა-თავისოდ არ გამოიყენოს	15
მთავარია ლიდერმა შეასრულოს ის წინასაარჩევნო დაპირებები, რომლებითაც ამომრჩეველთა ხმები მოიპოვა	39
მთავარია ლიდერს ჰქონდეს მუდმივი კონტაქტი ამომრჩეველთან და არჩევნების შემდეგაც გაითვალისწინოს საზოგადოებაში არსებული სხვა-	42

დასხვა მოსაზრება და ინტერესი.	
მიჭირს პასუხის გაცემა	4

### **ბრალდებების და მხარდამჭერი განწყობების ბლოკი**

და ბოლოს, მინდა კიდევ ერთხელ გამოხატოთ თქვენი დამოკიდებულება იმ ბრალდებების ან მხარდამჭერი განწყობების მიმართ, რომლებიც ხშირად ისმის სხვადასხვა პოლიტიკურ ძალასთან მიმართებაში: ახლა მე ჩამოგითვლით რამდენიმე დებულებას და გთხოვთ მიპასუხეთ, რამდენად ეთანხმებით თითოეულ მათგანს, სრულებით ეთანხმებით, უფრო ეთანხმებით, უფრო არ ეთანხმებით თუ სრულებით არ ეთანხმებით.

S1. პიძინა ივანიშვილი და ქართული ოცნება რუსეთის ხელშეწყობით მოვიდნენ ხელისუფლებაში და ქვეყნისთვის საშიში ძალაა

სრულებით ვე- თანხმები	უფრო ვე- თანხმები, ვიდრე არა	უფრო არ ვე- თანხმები	სრულებით არ ვე- თანხმები	მიჭირს პასუხის გაცემა
4	11	20	49	16

S2. მიხეილ სააკაშვილსა და ნაციონალურ მოძრაობას ჩადენილი აქვთ ისეთი მძიმე დანაშაულები, რომ პოლიტიკაში არ უნდა დარჩნენ

სრულებით ვე- თანხმები	უფრო ვე- თანხმები, ვიდრე არა	უფრო არ ვე- თანხმები	სრულებით არ ვეთანხმები	მიჭირს პა- სუხის გაცემა
30	28	15	13	14

S3. ნინო ბურჯანაძეს ისეთი პოლიტიკური ნაბიჯები აქვს გადადგმული, რომ მისი ნდობა არ შეიძლება

სრულებით ვე- თანხმები	უფრო ვე- თანხმები, ვიდრე არა	უფრო არ ვე- თანხმები	სრულებით არ ვეთანხმები	მიჭირს პა- სუხის გაცემა
21	32	19	9	19

S4. საჭიროა, რომ ხელისუფლებაში მყოფმა ბლოკმა ქართულმა ოცნებამ გააგრძელოს ქვეყნის მართვა, ვინაიდან ის შეძლებს ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას

სრულებით ვე- თანხმები	უფრო ვე- თანხმები, ვიდრე არა	უფრო არ ვე- თანხმები	სრულებით არ ვეთანხმები	მიჭირს პა- სუხის გაცემა
31	33	14	7	15

S5. საჭიროა რომ დღეს ოპოზიციაში მყოფი ნაციონალური მოძრაობა გაძლიერდეს, რათა ქვეყანამ განვითარების სწორ კურსს არ გადაუხვიოს

სრულებით ვე- თანხმები	უფრო ვე- თანხმები, ვიდრე არა	უფრო არ ვე- თანხმები	სრულებით არ ვეთანხმები	მიჭირს პა- სუხის გაცემა
12	20	20	34	14

S6. საჭიროა, რომ ნინო ბურჯანაძე და დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო გაძლიერდნენ, რადგან მხოლოდ ეს ძალა გამოხატავს იმ განწყობას, რაც ხალხშია.

სრულებით ვე- თანხმები	უფრო ვე- თანხმები, ვიდრე არა	უფრო არ ვე- თანხმები	სრულებით არ ვეთანხმები	მიჭირს პა- სუხის გაცემა
3	10	29	38	20

S7. იმ ძალებიდან, რომლებიც დღეს პოლიტიკურ ასპარეზზე არიან, არც ერთი არ გამოხატავს ხალხის ინტერესებს, საჭიროა რომ პოლიტიკაში გამოჩენდეს და ხელისუფლებაში მოვიდეს სრულებით ახალი ძალა, ვინაიდან ქვეყანა საჭიროებს განახლებას და განსხვავებულ პერსპექტივას.

სრულებით ვეთანხმები	უფრო ვე- თანხმები, ვიდრე არა	უფრო არ ვე- თანხმები	სრულებით არ ვეთანხმე- ბი	მიჭირს პა- სუხის გა- ცემა
4	20	32	23	22

პოლიტიკური პრეფერენციების, პოლიტიკური აქტივობისა და მედიის ბლოკი

**PP. როგორ ფიქრობთ, რომელი პოლიტიკური პარტია გამოხატავს  
თქვენნაირი ადამიანების ინტერესებს?**

1. პარტია „ქართული ოცნება „	44
2. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	13
3. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი	2
4. თავისუფალი დემოკრატები	0.6
5. რესპუბლიკური პარტია	0.5
6. დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო	4
88, არცერთი	11
99. მიჭირს პასუხის გაცემა	23

**B. გთხოვთ, მიპასუხეთ, რამდენად ხშირად ახორციელებთ ქვემოთ ჩა-  
მოთვლილ ქცევებს?**

	ქცევები	ხში რად	იშვია თად	არასოდეს	მიჭირს პასუხის გაცემა/პასუხი არ არის
B1	ვსაუბრობ პოლიტიკურ თე- მებზე	29	54	17	
B2	ვესწერები პარტიების ან კანდიდატების შეხვედრებს მოსახლეობასთან	4	15	81	
B3	ვმონაწილეობ მიტინგებში	2	6	92	
B4	ვაკეთებ კომენტარებს პო- ლიტიკურ საკითხებზე სოცი- ალურ ქსელში ან ინტერნეტში	1	3	96	
B5	ვარ (ან ვიყავი) ერთ-ერთი პო- ლიტიკური პარტიის ან მოძრაობის წევრი (ინტერვი- უერს: დადებითი პასუხის შემთხვევაში შემოხაზე „1“)	4	1	95	
B6	დაეხმარებივარ რომელიმე პარტიას ან კანდიდატს (ვმუ- შაობდ მოხალისედ ან ვეხმა- რებოდი ფულით)	3	4	92	
B7	ვაკეთებ საჯარო განცხა- დებებს ამა თუ იმ მნიშვნე- ლოვან საკითხებზე მედიაში, შეკრებებზე, საზოგადოებრი- ვი აზრის ფორმირებისთვის	0	1	99	
B8	ვმუშაობ (მიმუშავია) პო- ლიტიკური ძალისთვის და ვი- ღებ (ამიღია) ჰონორარი, ხელფასი.	2	2	96	

**M1. რამდენად ხშირად უყურებთ (უსმენთ, კითხულობთ) პოლიტიკური ხასიათის ინფორმაციას (ახალი ამბები, ტოკ შოუები, შეფასებები)?**

ყოველდღიურად	ხშირად (კვირაში რამდენჯერმე)	იშვიათად (კვირაში ან ორ კვირაში ერთხელ)	არა-სოდეს	მიჭირს პასუხის გაცემა
32	34	30	4	1

**M2. ეცნობით თუ არა პოლიტიკური ხასიათის ინფორმაციას ტელევიზიონ?**

- |                  |    |
|------------------|----|
| 1. ხშირად        | 61 |
| 2. იშვიათად      | 35 |
| 3. არასოდეს      | 4  |
| 99..უარი პასუხზე |    |

**M3. გთხოვთ, შეაფასეთ თითოეული სატელევიზიო არხი იმის მიხედვით,**  
თუ რამდენად მისაღები/სანდო ან მიუღებელი/არასანდოა ის თქვენთვის.  
თუ რომელიმე არხი თქვენთვის არ არის მისაწვდომი ან მას არ უყურებთ,  
ჩვენ თქვენს პასუხს დავაფიქისრებთ შესაბამის გრაფაში.

		ერთ-ერთი ყველაზე მისაღები.	უფრო მისაღები.	უფრო მისაღები მას საჭირო.	ერთ-ერთი ყველაზე მისაღები.	არ გუაყურებელი	არ არის ხელმისაწვდომი	მიჭირს პასუხის გაცემა
M3.1	რუსთავი	31	44	13	3	3		
M3.2	მაესტრო	27	33	3	1	10	22	
M3.3	ობიექტივი	9	25	2	1	25	34	
M3.4	იმედი	42	47	2	0	3	2	
M3.5	კავკასია	4	24	4	1	23	40	
M3.6	პირველი არხი	8	44	12	2	20	11	
M3.7	მეორე არხი	2	19	4	1	31	39	
M3.8	ადგილობრივი ტელევიზია (ჩანერეთ)	6	14	1	0	9	65	
M3.9	რუსეთის არხები	6	23	1	0	26	43	

**M4. რამდენად ხშირად იყენებთ ინტერნეტს პოლიტიკური მოვლენების შესახებ ახალი ამბების გასაგებად?**

- |                           |    |
|---------------------------|----|
| 1. ყოველდღე               | 4  |
| 2. ხშირად                 | 9  |
| 3. იშვიათად               | 13 |
| 4. არასოდეს               | 75 |
| 99. მიჭირს პასუხის გაცემა |    |

**რესპონდენტის პროფილი**

**R1. ქართული ენის გარდა, რომელ ენას ფლობთ ყველაზე უკეთ?**

- |                                       |    |
|---------------------------------------|----|
| 1. რუსული                             | 67 |
| 2. ინგლისური                          | 5  |
| 3. გერმანული, ფრანგული, სხვა ევროპული | 2  |
| 4. სომხური                            | 1  |
| 5. აზერბაიჯანული, თურქული             | 1  |
| 6. არც ერთს                           | 24 |

**R2. ადამიანებს სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება აქვთ რელიგიურ საკითხებთან.**

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან თქვენ რომელ კატეგორიას მიაკუთვნებდით თავს?

ვარ ღრმად რელიგიური და ეკლესიური ადამიანი, ძალიან ხშირად დავდივარ ეკლესიაში (მეჩეტში, სინაგოგაში, სხვა) ვასრულებ თითქმის ყველა აუცილებელ ქცევას (მაგ, ლოცვა, მარხვა და ა.შ), რომელსაც მოითხოვს ჩემი სარწმუნოება.	9
ვარ რელიგიური და ეკლესიური ადამიანი, ეკლესიაშიც დავდივარ, თუმცა ყველა აუცილებელ ქცევასა და საეკლესიო რიტუალს არ ვახორციელებ	54
ღმერთის არსებობის მნამს, მაგრამ ეკლესიური ადამიანი არ ვარ	36
დარწმუნებული არ ვარ არც იმაში, რომ ღმერთი არსებობს და არც იმაში, რომ არ არსებობს	.4
ვარ ათეიისტი	1
მიჭირს პასუხის გაცემა/ პასუხი არ არის	.3

---

### R3. რომელი რელიგიური კონფესიის მიმდევარი ხართ?

- |                              |    |
|------------------------------|----|
| 1. მართლმადიდებელი ქრისტიანი | 93 |
| 2. კათოლიკე ქრისტიანი        | .2 |
| 3. იელოვას მოწმე             | .3 |
| 4. მუსლიმი                   | 4  |
| 5. გრეგორიანელი              | 1  |
| 6. იუდაველი                  | .2 |

### R4. მუშაობთ თუ არა ამჟამად?

- |                    |    |
|--------------------|----|
| 1. დიახ            | 36 |
| 2. არა             | 64 |
| 99. პასუხი არ არის |    |

**R5. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელ კატეგორიას მიეკუთვნებით? (და-საშებია ერთი პასუხი. რამდენიმე სტატუსის ერთდროული არსებობის შემთხვევაში დააზუსტეთ რომელს თვლის ძირითადად შემოსავლის მი-ხედვით და აღნიშნეთ)**

თვითდასაქმებული (ან საკუთარი ბიზნესის მფლობელი დაქირავებული თა-ნამშრომლები გარეშე)	17
საკუთარი ბიზნესის მფლობელი დაქირავებული თანამშრომლებით	3
ხელმძღვანელი მუშაკი სახელმწიფო ორგანიზაციაში	2
სახელმწიფო ორგანიზაციის რიგითი მუშაკი	21
ხელმძღვანელი მუშაკი კერძო ორგანიზაციაში	2
რიგითი მუშაკი კერძო ორგანიზაციაში	31
არასამთავრობო ან საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომელი	.6
ფერმერი (გლეხი), ვანარმოებ მეურნეობას დაქირავებული მუშახელის გა-რეშე.	23
ფერმერი (გლეხი), ვანარმოებ მეურნეობას დაქირავებული მუშახელის დახმარებით.	1
სხვა	.3

---

**R6. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია თქვენი ამჟამინდელი სტატუსი? (R4.2-დან)**

1. პენსიონერი	38
2. დიასახლისი	16
3. სტუდენტი	4
4. უმუშევარი აქტიურად ვეძებ სამსახურს	34
5. უმუშევარი არ ვეძებ სამსახურს	8

**W1. საკუთარი ოჯახის მატერიალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელს მიაკუთვნებდით თავს?**

ოჯახის შემოსავალი კვების პროდუქტების შესაძენადაც არ გვყოფნის	32
კვების პროდუქტების და პირველადი საჭიროების ნივთების გარდა ვერაფრის ყიდვას ვერ ვახერხებთ	42
ვახერხებთ კვების პროდუქტების და ტანსაცმლის/ფეხსაცმლის ყიდვას, მაგრამ უფრო ძვირად ღირებულ ნივთებს (ტელევიზორი, კომპიუტერი და ა.შ) ვერ ვყიდულობთ	23
ოჯახში რაც გვჭირდება (ტექნიკის ჩათვლით) ყველაფერს უპრობლემოდ ვყიდულობთ	2
შეგვიძლია ყველაფრის ყიდვა (ბინის ჩათვლით)	2
მიჭირს პასუხის გაცემა/ უარი პასუხზე	

**W2. თუ სხვადასხვა თვიური შემოსავლის ჯგუფებს განვიხილავთ, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელს მიეკუთვნება თქვენი ოჯახი?**

1. 200 ლარზე ნაკლები	26
2. 201 – 400 ლარი	31
3. 401 – 600 ლარი	16
4. 601- 800 ლარი	8
5. 801-1000 ლარი	6
6. 1000 -1500 ლარი	3
7. 1501 -2000 ლარი	1
8. 2000 ლარზე მეტი	4
99. უარი პასუხზე	8

---

**R9. რესპონდენტის სქესი**

1. ქალი	66
2. მამაკაცი	34

**R10. რესპონდენტის ასაკი:**

18-24	10
25-34	16
35-44	18
45-54	21
55-64	15
65 +	20

**R11. რესპონდენტის განათლება:**

1. საშუალო არასრული	4
2. საშუალო	36
3. საშუალო-ტექნიკური	24
4. უმაღლესი, დაუსრ. უმაღლესი	37
5. სამეცნიერო ხარისხი	

**G1. რესპონდენტის საცხოვრებელი რეგიონი:**

1. აჭარა	9
2. გურია	3
3. იმერეთი	17
4. სამეგრელო	11
5. შიდა ქართლი	7
6. ქვემო ქართლი	10
7. მცხეთა მთიანეთი	2
8. კახეთი	9
9. სამცხე-ჯავახეთი	3
10. თბილისი	28

**G3. რესპონდენტის საცხოვრებელი ადგილი:**

1. სოფელი	44
2. დაბა	5
3. პატარა ქალაქი (დაახლოებით 20 000 – 100 000 მაცხოვრებელი)	12
4. დიდი ქალაქი ( 100 000 მაცხოვრებელზე მეტი)	39

---

## ପ୍ରକାଶନଙ୍କାଳୀ

- Bauman, Z. (2012) What is Central in Central Europe? In: *Democracy on the Precipice*. Council of Europe.
- Bell, D. (1960) *The End of Ideology*, Harvard University Press.
- Bowman, P. (1999) Politics, Polemics and Academics: An Interview with Ernesto Laclau, *Parallax*, Vol. 5, Issue 2.
- Butler, Rex. (2005) Slavoj Žižek: Live Theory, Continuum.
- Campi, A. (2008) Interview with Ernesto Laclau, *Platypus Review*, Issue #2.
- Canovan, M. (2002) Taking Politics to the People: Populism as the ideology of Democracy. In: Meny Y., and Surel Y. (eds). *Democracies and the Populist Challenge*, 2002, Palgrave.
- Carothers, T. (2002) The End of the Transition Paradigm, *Journal of Democracy*, 13:1.
- Caul M.I., Gray M.M. (2000) From Platform Declarations to Policy Outcomes: Changing Party Profiles and Partisan Influence Over Policy, in: Dalton R.J. and Wattenberg M.P. (eds) *Parties Without Partisans, Political Change in Advanced Industrial Democracies*, Oxford University Press.
- Coleman, R, Maxwell McCombs, Donald Shaw, and David Weaver. (2009) Agenda Setting . In: Wahl-Jorgensen, Karin ,Thomas Hanitzsch (Eds). *The Handbook Of Journalism Studies*. Routledge.
- Crouch, C. (2004) *Post-Democracy*. Polity Press.
- Dahl, R. A. (1989) *Democracy and Its Critics*. Yale University Press.
- Dahl, R. A. (1998) *On Democracy*. Yale University Press.
- Dahl, R. A. (2000) A Democratic Paradox? *Political Science Quarterly*, Vol. 115, No. 1, pp. 35-40.
- Dahl, R. A. (2005) *Who Governs?: Democracy and Power in an American City*, Yale University Press; 2 edition.
- Dahrendorf R., (2000) Class and Class Conflict in Industrial Society. In: Grusky D.,(ed), *Social Stratification, Class, Race and Gender in Sociological Perspective*, Westview Press.
- Dalton, R. J. (1966) Political Cleavages, Issues and Electoral Change. In: Ledue L., Niemi R.G., and Norris P., Thousand Oaks (eds), *Camparing Democracies: Elections and Voting in Global Perspective*, , CA: Sage Publication, pp. 319-342.
- Dalton R. J. (2000) The Decline of Party Identifications. In: Dalton R.J. and Wattenberg M.P. (eds), *Parties Without Partisans, Political Change in Advanced Industrial Democracies*, Oxford University Press.
- Dryzek, J. S. , Christian List. (2003) Social Choice Theory and Deliberative Democracy: A Reconciliation. *British Journal of Political Science*, 33, pp 1-

- Dryzek, J. S. , Leslie Templeman Holmes. (2004) *Post-Communist Democratization. Political Discourses across Thirteen Countries*. Cambridge University Press.
- Elster, J. (1997) The Market and the Forum: Three Varieties of Political Theory. In: James Bohman and William Rehn (ed). *Deliberative Democracy: Essays on Reason and Politics*, Cambridge, Mass. : MIT Press.
- Enelow, J. M. Melvin J. Hinich. (1989) A general probabilistic spatial theory of elections. Kluwer Academic Publishers. Publ& Cho&e 61: 101-113.
- Entman, R. M., Jörg Matthes, and Lynn Pellicano. (2009) Nature, Sources, and Effects of News Framing. In: Wahl-Jorgensen, Karin ,Thomas Hanitzsch (Ed) *The Handbook Of Journalism Studies*. Routledge.
- Entman, R. M. (2010) Media framing biases and political power: Explaining slant in news of Campaign 2008. *Journalism*, 11(4): 389-408.
- Farrell D.M., Webb P., (2000) Political Parties as Campaign Organizations. In: Dalton R.J. and Wattenberg M.P. (eds), *Parties Without Partisans, Political Change in Advanced Industrial Democracies*, Oxford University Press.
- Green-Pedersen C.and Walgrave S. (eds). (2014) *Agenda Setting, Policies, and Political Systems. A Comparative Approach*. The University of Chicago Press.
- Guusto, H., David Kitching, Stefano Rizzo (eds). (2013) *The changing faces of populism. Systemic Challengers in Europe and the US*. FEPS, CRS, Fondazione Italianieuropei.
- Hallin D. C., Paolo Mancini, W. Lance Bennett (Editor), Robert M. Entman (Editor). (2004) *Media Systems and Politics*. Cambridge University Press.
- Hallin, D., S Papathanassopoulos (2002) Political clientelism and the media: southern Europe and Latin America in comparative perspective. *Media, Culture and Society*, v.24, N 2, pp.175-195.
- Held, D. (ed), (2000) *A Globalizing World? Culture, Economies, Politics*. The Open University, Routledge.
- Held, D. (2006) *Models of Democracy*. Stanford University Press.
- Inglehart, R. (1977) *The Silent Revolution: Changing Values and Political Styles Among Western Publics*, Princeton University Press.
- Inglehart, R., Baker W.E., (2003) Modernization, Cultural Change, and the Persistence of Traditional Values. In: DalhR.A., Shapiro I., and Cheibub J.A. (eds) *The Democracy Sourcebook*,The MIT Press.
- Laclau, E. (2001) Democracy and the Question of Power. *Constellations*, Vol. 8, No. 1.
- Laclau, E. (2005) *On Populist Reason*. Verso.
- Laclau, E. (2006) *Emancipation(s)*. Verso.
- Lijphart, A. (1999) *Patterns of Democracy: Government Forms and Performance in Thirty-Six Countries*. New Haven and London: Yale University Press.

- 
- Lipset, S.M., Rokkan S. (1967) *Cleavage Structures, Party Sysytems, and Voter Alignment: An Introduction*, New York: Free Press.
- Majone, G. (2006) Agenda Setting. In: Moran Michael (ed), Martin Rein (Ed), Robert E. Goodin (Ed), *The Oxford Handbook Of Public Policy*. Oxford University Press.
- Manin, B. (1997) *The Principles of Representative Government (Themes in the Social Sciences)*. Cambridge University Press.
- McCombs. M. (2014) *Setting the Agenda. The Mass Media and Public Opinion*, Polity Press.
- Mény, Y. and Yves Surel (2002) The Constitutive Ambiguity of Populism. In: Mény, Yves and Yves Surel (eds), *Democracies and the populist challenge*. Palgrave.
- Mill, J. S. (1991) Considerations on Representative Government, In: *On Liberty and other Essays*, Oxford University Press.
- Muskhelishvili, M. (2008) Globalization and the Transformation of Institutions and Discourses in Georgia. In: *Anthropologues et e 'conomistes face a la globalisation [Anthropologists and Economists Facing Globalization]*, ed. Eveline Baumann et al., p.171–187. Paris: L'Harmattan.
- Muskhelishvili, M., G. Jorjoliani, (2009) Georgia's ongoing struggle for a better future continued: democracy promotion through civil society development, *Democratization*. Volume 16, Issue 4 August pp. 682 – 708.
- Muskhelishvili, M. (2010) Georgia in a New Wave of Transformation. *The Caucasus and Globalization*. V. 4. 1-2, CA&CC Press, Sweden. pp. 35-42.
- Muskhelishvili, M. Institutional Change and Social Stability in Georgia. *Southeast European and Black Sea Studies*. Routledge.. Vol. 11, No. 3, September 2011, pp. 213–228.
- Mushkelishvili, M. Lia Mezvrishvili, Beka Natsvlishvili, Mariam Elizbarashvili (2012) *The Role of Social Capital in Rural Community Development in Georgia*, Tbilisi: Universali (in Georgian). In English: <http://www.ascn.ch/en/Publications/Books.html>
- Papadopoulos Y., (2003) Populism, the Democratic Question, and Contemporary Governance. In: Dahl R.A., Shapiro I., and Cheibub J.A. (eds) *The Democracy Sourcebook*, The MIT Press.
- Popper K. (2011) *The Open Society and Its Enemies*. Routledge, Routledge classics.
- Powell G. B.. (2000) *Elections as Instruments of Democracy. Majoritarian and Proportional Visions*. Yale University Press.
- Przeworski A., Alvarez M.E., Cheibub I.A., and Limongi F. (2003) Economic Developments and Economic Regimes. In: Dahl R.A., Shapiro I., and Cheibub J.A. (eds) *The Democracy Sourcebook*, The MIT Press.
- Rebelo, Joseph T. (2008) (Why) Do Empty Signifiers Matter to Political Economy? Hegemony, Non-Commodity Money and Part one of Capital. University of

- 
- Massachusetts Graduate Workshop in Economics. [www.peri.umass.edu](http://www.peri.umass.edu).
- Riker, W. H. (1982) *Liberalism against Populism. A Confrontation Between the Theory of Democracy and the Theory of Social Choice*. Waveland Press.
- Riker, W. H. (1986) *The Art of Political Manipulation*, Yale University Press.
- Rosanvallon, P. (2008) *Counter-Democracy. Politics in the Age of Distrust*. Cambridge University Press.
- Rousseau, J.-J. (1762). *The Social Contract*.  
<http://www.earlymoderntexts.com/assets/pdfs/rousseau1762.pdf>
- Ryan, P. M, (2012) Agenda Setting in English Canada in the Age of Minority Government, 2004-2011 Theses and dissertations. Paper 1162.
- Sartori, G. (2005). *Parties and Party Systems, A Framework for Analyses*. ECPR Press.
- Schmitt, C. (1996) *The Concept of the Political*. The University of Chicago Press.
- Schneider F., Enste D., (2002) Hiding in the Shadows, The Growth of the Underground Economy, International Monetary Fund.
- Schofield, N. (1998) Democratic Stability. In: J. Knight, I. Sened (eds). *Explaining Social Institutions*. The University of Michigan Press. pp.189-216.
- Schofield N, Gallego M, Jeon J, Muskhelishvili M. (2012). Modelling Elections in the Caucasus, *Journal of Elections, Public Opinion, Parties*, 22:2, pp.187-214.
- Schofield, N. (2009) *The Political Economy of Democracy and Tyranny*. Oldenbourg Verlag Munchen.
- Schumpeter, J. (2003) *Capitalism, Socialism and Democracy*, London: Routledge.
- Sen, A. (2002) The Informational Basis of Social Choice. In: K.J Arrow, A.K. Sen and K Suzumura (eds), *Handbook of Social Choice and Welfare*, Volume 1, . Elsevier Science B.
- Schmitt, C. (1996) *The Concept of the Political*. The University of Chicago Press.
- Szelenyi I., Townsley E., (2000) Postcommunist Managerialism. In: Grusky D. (ed), *Social Stratification, Class, Race and Gender in Sociological Perspective*, Westview Press.
- Tocqueville, A. de. (2003) *Democracy in America*. Penguin Classics.
- Tsebelis, G. (2002) *Veto Players: How Political Institutions Work*. Princeton, NJ: Princeton University Press.
- Weaver, D. H. (2007) Thoughts on Agenda Setting, Framing, and Priming. *Journal of Communication* 57 pp.142-147.
- Worsham, L., Olson, Gary A. (1999) Hegemony and the Future of Democracy: Ernesto Laclau's Political Philosophy. *JAC*, Vol. 19, No. 1.
- Zerilli, Linda M.G. (1998) This Universalism which is not one. *Diacritics*, Vol. 28, No. 2.
- Zielinski J., Translating Social Cleavages into Party Systems. The significance of New Democracies, *World Politics*, 54 (January 2002), pp.184-211.

